


# საერთო გაზეთი

№29 (213) ● 27.VI-3.VII.2012 წელი ● გამოდის ყოველ ოთხშაბათს ● www.saertogazeti.net; E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი

## xelisuflebis morigi provokacia biZina ivaniSvilis winaaRmdeg

სააკაშვილს მაგიდაზე მუშტი დაურტყამს და მთელი ხმით უყვირია: „სექტემბერში ივანიშვილის „დუხი“ არ ვნახო საქართველოში, გაიგეთ?“

**xelisufleba biZina ivaniSvilze gadamwyveti ieriSis mitanas ivlis-agvistoSi apirebs?**

დღეს „ნაციონალურ მოძრაობას“ ივანიშვილის კი არა, სააკაშვილის უნდა ეშინოდეს!

## opiumis mwevelis zmanebani

ხელისუფლება არჩევნების ჩაშლას აპირებს?!

ISSN 2233-3983







## ეს ხელისუფლება დროზე თუ არ „დავაყადაღეთ“, ადგება და აქით დაგვაყადაღებს

საქესთან მჯდარმა მიხეილ სააკაშვილმა კაცი რომ გაიტანა, ამაზე ინფორმაცია ბადრი პატარკაციშვილს ჰქონდა და ამის შესახებ ერთმა მისმა ახლობელმა პოლიტიკოსმაც იცის...

## სამშობლოში დაკარგულები

25 000 თურქმა უკვე მიიღო საქართველოს მოქალაქეობა, მალე ბათუმის მოსახლეობის უმრავლესობა თურქები იქნებიან

## ამ ახალ, „სანიმუშო“ საავადმყოფოებში ქალი და მამაკაცი, ორსული და ინფარქტგადატანილი, ერთ პალატაში წვანან

თუ მომკლავენ, თორემ ციხეშიც რომ ჩამსვან, იქაც არ გავჩუმდები!

## რედაქტორის სვეტი



ქვეყანაში მიმდინარე საგანგაშო პროცესებს რომ აკვირდები, არ შეიძლება არ გაგიჩნდეს კითხვა: — საით მიდის ეს ქვეყანა — არჩევნებისკენ თუ სამოქალაქო დაპირისპირებისკენ?

ყოველშემთხვევაში,

**რაც დღეს ხდება ეს ნამდვილად არ ჰგავს არჩევნებისთვის, მითუმეტეს, სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნებისთვის მზადებას.**

საერთაშორისო დემოკრატიული თანამეგობრობა დაჟინებით მოგვიწოდებს, რომ ოქტომბერში აუცილებლად დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნები უნდა ჩავატაროთ, თუმცა მოწოდება მოწოდებად რჩება და პრინციპული, მკაცრი შეფასებები არაერთი ავანტურისტული ნაბიჯების გამო ჯერაც არ გაკეთებულა.

რაც დრო გადის, საერთაშორისო დემოკრატიული ინსტიტუტების ეს მოწოდებები სულ უფრო და უფრო ემსგავსება ცუდად შენიღბულ დემაგოგიას და ფარისევლობას.

რა უნდა მოიმოქმედოს ასეთ სიტუაციაში ქართველმა ხალხმა — ისევ შორიდან, დამკვირვებლის სტატუსით უნდა უყუროს, როგორ მიექანება უფსკრულისკენ და ხმა მხოლოდ მაშინ უნდა ამოიღოს, როცა უფსკრულში აღმოჩნდება?

უფსკრულიდან ყვირილს და მუშტების ქნევას რა აზრი აქვს — უფსკრულიც საამრეა და თუ ძალიან ბევრს იყვირებ, მიწის მიყრასაც არ დაგზარდებიან...

ქართველ ხალხს ჯერჯერობით მხოლოდ დამკვირვებლის და სეირის მაყურებლის როლიღა აქვს.

ჩვენც ვდგავართ და საკუთარ უბედურებას, საკუთარ სიკვდილს, საკუთარ დასაფლავებას სეირივით ვუყურებთ.

კი, მაგრამ სანამდის ვიყოთ ასე?

ოცი წლის წინათ დაწყებული ნგრევის, გახლეჩვის, სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირების ექსტაზი დღემდე არ დამთავრებულა და ახალ-ახალი ნიუანსებით ისევ გრძელდება და გრძელდება.

სანამდე?

კი, ვიღაც-ვიღაცეები „გვინამიოკებენ“, ტოლერანტობა გაკლიათო, მაგრამ ღმერთმა ხომ იცის ველური ტომები ხომ არ ვართ, ველური ტომები ხომარ ვართ, ჩვენს ზურგს უკან მრავალსაუკუნოვანი ცივილიზაცია დგას, ჩვენ კიდევ ოცი წელია ნორმალურ, მშვიდ, კულტურულ ვითარებაში არჩევნების ჩატარება ვერ მოგვიხერხებია და არჩევნებს ომთან და უკომპრომისო ანგარიშსწორებასთან ვაიგივებთ.

ვფიქრობ, მიზეზი ამისა, ჩვენი ეროვნული ხასიათის თავისებურებების და ინტელექტუალურ-კულტურული ჩამოჩენილობა კი არ არის, არამედ ის, რომ უცხო ძალების, უცხო ქვეყნების, ათასი ჯურის საერთაშორისო ინსტიტუტების დირექტივებისა და ინსტრუქციების მიხედვით ვირჯებით ხშირად და არა საკუთარი გულის, საკუთარი სულისა და გონების კარნახით.

საბჭოთა პერიოდში შეძენილი და იქიდან გადმოყოლილი მგონია ეს უკეთური თვისება.

ჩვენ შევეჩვიეთ მდგომარეობას, როცა ჩვენს ნაცვლად სხვა ფიქრობდა, ჩვენს ნაცვლად სხვა იღებდა გადაწყვეტილებებს და ჩვენს ნაცვლად სხვა გვისაზღვრავდა სამოქმედო არეალს.

ლამის არასრულყოფილების კომპლექსში გადაზრდილი ეს დამღუპველი თვისება ვერც თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შემდეგ მოვიშორეთ.

**თუ ადრე რუსები წყვეტდნენ ჩვენს მაგივრად ჩვენს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ პრობლემებს ახლა ამერიკელებმა ან ევროპელებმა უნდა გადაგვიწყვიტონ თურმე და ზოგიერთების აზრით, ამაში არაფერია სათაკილო და მიუღებელი.**

არა ცალკეული პოლიტიკური ფიგურები, არა ცალკეული პოლიტიკური ორგანიზაციები, არა ხელისუფლება არამედ მხოლოდ ქართველი ხალხია ის მთავარი, ის უპირველესი პოლიტიკური სუბიექტი, რომელიც თავისი ქვეყნის ბედს თვითონვე უნდა წყვეტდეს.

სანამ ამას არ მივხვდებით, სულ ასე ვირბენთ აღმა-დაღმა უთავბოლოდ.

**ვახტანგ ხარჩილავა**

## ბიძინა ივანიშვილი: მცხეთის აქციაზე იმავე მუხტს შევინარჩუნებთ, რაც ადრე გვქონდა



„მცხეთის აქციაზეც ისეთივე მუხტს შევინარჩუნებთ, როგორიც დანარჩენ შემთხვევებში იყო,“- განაცხადა კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა დღეს გამართულ ბრიფინგზე.

მისი თქმით, მცხეთის მუნიციპალიტეტის მხრიდან შექმნილი პრობლემების მიუხედავად, აქცია დათქმულ დროს გაიმართება.

„როგორც ჩვევიათ, თავდაპირველად, პრობლემები შეგვიქმნეს და პირველად მოთხოვნილ ადგილზე უარი განგვიცხადეს. ჩვენ ალტერნატიულ ადგილზე გავაკეთეთ ხელახლა განაცხადი და დაგვთანხმდნენ. მოლოდინი მაქვს ისეთი, როგორიც წინა აქციების დროს მქონდა,“ — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

მისივე თქმით, აქცია დაგეგმილი სცენარით წარიმართება.

„აუცილებლად ბევრი ხალხი მოვა აქციაზე და აუცილებლად დავინახავთ დიდ მუხტს,“- განაცხადა ივანიშვილმა.

## ბიძინა ივანიშვილი: ხალხმა, რომელმაც მერეთში სკანდალი მოგვიწყო, აღიარა, რომ გორიდან ჩამოიყვანეს



„მერეთში მოსახლეობის მხრიდან აბსოლუტური მობილიზება დაგვხვდა. ხალხი გველოდა, რომ ჩვენგან მოესმინათ კითხვებზე პასუხები. ხელისუფლება ამან გააღიზიანა და კუდი გამოიძახა,“- განაცხადა კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა დღეს გამართულ ბრიფინგზე.

მისი თქმით, ადამიანები, რომლებიც მის წინააღმდეგ პროტესტს გამოთქვამდნენ სპეციალურად ჩამოყვანილი ხალხი იყო.

„ეს ის ხალხი იყო, რომელიც მიშას ტაშს უკრავს ხოლმე და რომელიც ყველა აქციაზე ავტობუსებით დაჰყავთ. ჩემთან საუბარში მათ აღიარეს, რომ არ იყვნენ ადგილობრივები და გორიდან იყვნენ ჩამოყვანილები,“- განაცხადა ივანიშვილმა.

მისივე თქმით, მსგავსი ექსცესები სამომავლოდაც მოსალოდნელია.

„ასეთი ტიპის სკანდალები მოსალოდნელია და ჩვენ ამას ვაცნობიერებთ. მოსახლეობას მოვუწოდებთ, რომ არ შეშინდნენ და ცოტაც გაუძლონ. ექსცესები აუცილებელიც არის. ეს ერთადერთი იარაღია სააკაშვილისთვის, რომელიც მას პროცესების „სამართავად“ დარჩა,“- განაცხადა ივანიშვილმა.

## ბიძინა ივანიშვილი: სააკაშვილმა ამერიკას ომი გამოუცხადა




„მასტ ქერისა“ და „მასტ ოფერის“ პრინციპების შესახებ მიღებული საკანონმდებლო ინიციატივა ძალიან აბსურდულია,“ — განაცხადა კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა დღეს გამართულ ბრიფინგზე.

მისი თქმით, ეს გადაწყვეტილება ხელისუფლებამ ფასადურად მიიღო.

„როდესაც ჰილარი კლინტონი იმყოფებოდა საქართველოში, მან თქვა, რომ მაუწყებლობაზე ხელმისაწვდომობა ყველა დროს უნდა იყოს და არა მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდში. მაშინ ჩვენი ხელისუფლება კლინტონს დაეთანხმა და შეპირდა, რომ ამას გაითვალისწინებდა. ახლა კი ხედავთ როგორ იქცევიან,“ — განაცხადა ივანიშვილმა.

მისივე თქმით, ხელისუფლება ამერიკას უკვე დიდი ხანია ეურჩება და ომს უცხადებს.

„აქამდე ვხედავდით, რომ ჩვენი ხელისუფლება ამერიკას უჯერებდა და ემორჩილებოდა. ჰილარი კლინტონის წასვლის შემდეგ კი ჩვენ მოვისმინეთ ბოკერიას განცხადებები, რომელიც ამბობდა, რომ საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა და თავად გადაწყვეტს როგორ მოიქცესო. შედეგად მივიღეთ ის, რომ „მასტ ქერისა“ და „მასტ ოფერის“ პრინციპების შესრულების დაპირება დაპირებად დარჩა. ეს იმას ნიშნავს, რომ სააკაშვილმა ამერიკას ომი გამოუცხადა,“- განაცხადა ივანიშვილმა.

## „ქართული ოცნების“ ახალგაზრდულმა ორგანიზაციამ იუსტიციის სამინისტროსთან აქცია გამართა



კოალიცია "ქართული ოცნების" ახალგაზრდული ორგანიზაციის წარმომადგენლებმა იუსტიციის სამინისტროსთან აქცია სახელწოდებით "მატყუარა პროკურორები"გამართეს.

როგორც ახალგაზრდული ორგანიზაციის ერთ-ერთმა ლიდერმა ცოტნე ზურაბიანმა განაცხადა, დღეს პროკურორები მიხეილ სააკაშვილის დაკვეთას ასრულებენ და ახალგაზრდების პროტესტის საბაბიც სწორედ ეს გახდა.

"მატყუარა პროკურორები ასრულებენ საკააშვილის გადაწყვეტილებას და ისინი შორს არიან, სამართლიანობისა და კანონისგან. ვინც უკრავს სააკაშვილის დაკრულზე, აუცილებლად აგებს პასუხს", — განაცხადა ზურაბიანმა.

აქცია ტამტამების ფონზე მიმდინარეობდა.

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

# didi meTevze da goimi RorjoebisTvis gadmogdebuli ankesi



როგორ იქცევიან, კაცო, ესენი? ნებისმიერი არიფი ღორჯო არ წაავლებს პირს იმ ანკესს, ესენი რომ სიხარულით და აღტაცებით წაეტანებიან ხოლმე.

არადა, ზოგს ჟურნალისტი ჰქვია, ზოგს იურისტი, ზოგს – ექსპერტი, ზოგს კი, თქვენ წარმოიდგინეთ, პოლიტიკოსი.

„გლობალ-ტვ“-ის თეფშების დაყაჩაღების მეორე დღეს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე გამობრწყინდა უცებ და: – საარჩევნო პერიოდში საკაბელო ორგანიზაციები ვალდებულნი იქნებიან ყველა სატელევიზიო არხი ჩართონ თავიანთ ქსელშიო, – თქვა.

– დედააა, ნახეთ, რა თქვაო? ტიტუ, ავშენდით და გავკეთდითო! გადარჩა ქართული დემოკრატიაო! თავისუფალი, ობიექტური და მიუკერძოებელი არჩევნები გარანტირებული გვაქვსო! – ატეხეს ჟრიამული არასამთავრობოების ბავშვებმა და ამ ჟრიამულს ჟრიამულითვე მიუბანეს ჟურნალისტებმა, ექსპერტებმა, პოლიტიკოსებმა.

ამ ჟრიამულის და ჟივილ-ხივილის ახსნა და გაგება კიდევ შეიძლებოდა დავით ბაქრაძის ამ ისტორიული და საეტაპო განცხადების წინა დღეს სწორედ სააკაშვილით მომსახურებისთვის განკუთვნილი „გლობალ-ტვ“-ის 300 000 თეფში რომ არ გაეტაცნა ხელისუფლებას და გაურკვეველი მიმართულებით რომ არ წაეცუნცულებინა.

ამ ფაქტის შესახებ არც ბაქრაძეს დასცდენია რაიმე და არც ჯონ ბასს. ეს ამბავი ვითომც არ ყოფილა და არც მომხდარა.

რა მიხვედრა უნდოდა იმას, რომ ბაქრაძემ ეს სასიხარულო ამბავი სწორედ წინა დღის დიდი ყაჩაღობის გადასაფარად გადმოგვიგდო ანკესივით, რომელსაც მავანნი და მავანნი, როგორც ვთქვით, გოიმი ღორჯოებივით წაესივნენ.



ამათ ხვიხვინს და ხუნტრუცს რომ ვუსმენდი, ეჭვმა გამკრა, ესენი ხელისუფლებასთან ფარულ გარიგებაში ხომ არ არიან და ერთად, შეხმატკბილებულად ხომ არ გვაბოლებენ მეთქი?

აბა, სხვა რა უნდა იფიქროს კაცმა, როცა ბაქრაძის ამ აშკარად ცინიკურ და უტიფარ ინიციატივას ტაშს რომ დაუკრავენ და წინ, დემოკრატიული არჩევნებისკენ გადადგმულ ნაბიჯად მონათლავენ?

– არჩევნების დაწყებამდე ორმოცი დღით ადრე დაიწყება ეს კამპანია და არჩევნების დამთავრების შემდეგ შეწყდებაო, – მორზეს ანბანის ტონალობით გვაუწყა ბ-ნ დავითმა.

კაცმა რომ თქვას, ეს სატელევიზიო არხები საკაბელოებში ჩაირთვებიან თუ საერთოდ გამოირთვებიან, არც ამას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა – ყველამ ყველაფერი იცის, ყველაფერი ცხადი და ნათელია – მეფე შიშველია, შიშველს კი მეტი რა უნდა გახადო, როცა ისედაც შიშველია?

# profesia dambalansebeli, anu cru mowmeebis parpaSi qarTul mediaSi

ამასწინათ ერთ-ერთ სატელევიზიო არხზე პრესის დაბალანსების საკითხებზე გამართული დისკუსიისას ერთმა გრანტიჭამია პროფესორმა ქალბატონმა რეპლიკა ისროლა: – აი, „საერთო გაზეთსაც“ დაბალანსება აკლიაო.



ეს ის გრანტიჭამია ქალბატონია, რომელიც რატომღაც ზემოდან დაჰყურებს ქართველ საზოგადოებას და ყოვლისმცოდნის ტონით ტუქსავს შიგადაშიგ – თქვე ხეპრეებო, დაივიწყეთ რომ ქართველი ერი განსაკუთრებული ერია, ერთი გაუნათლებელი და უბირი ხალხი ვართ, ესაა და ესო.

ამას, რა თქმა უნდა, პირდაპირ ამ სიტყვებით არ ამბობს, მაგრამ შინაარსი და ქვეტექსტი ერთია.

საერთოდ, საკუთარი ინტელექტუალური უპირატესობის დემონსტრირება და საზოგადოებასთან მენტორულ-დიდაქტიკური ტონით ლაპარაკი, ზოგადად, გრანტიჭამიებისთვის დამახასიათებელი ტიპიური „საფირმო“ ნიშანია – ამ გრანტიჭამიებს გრანტებს იმიტომ აძლევენ, რომ ჩვენ, ნახევრად ველურები, ჩამორჩენილები, უწიგნურები აღვგზარდონ, გაგვანათლონ, გადაგვაკეთონ.

ჰოდა, ესეც, ეს გრანტიჭამიაც, სათვალის ზემოდან გადმოგვხედავს ხოლმე ცივი თვალებით და გვმოძღვრავს და გვმოძღვრავს.

მოცემულ უკიდურესად კრიზისულ და კრიტიკულ სიტუაციაში ამ გრანტიჭამიასაც ჰგონია, რომ მთავარია არა ობიექტური, მიუკერძოებელი ინფორმაციის მიწოდება, არამედ ამ ობიექტური ინფორმაციის ყალბი ინფორმაციით „დაბალანსება“, უფრო ზუსტად რომ თქვათ, სიმართლის დაბალანსება სიცრუით.

მაგალითად, ამ გრანტიჭამიასთვის დაუბალანსებელია ინფორმაცია, თუ მხოლოდ ერთი პირი იტყვის, რომ 27 მაისის აქციას 200 000-მდე ადამიანი ესწრებოდა, მაგრამ თუ ამ ერთ რესპონდენტთან ერთად სტუდიაში იმყოფება მეორეც, რომელიც იტყვის, რომ აქციას 200 000 კაცი კი არა 20 000 ესწრებოდა, ეს უკვე დაბალანსებული ინფორმაციაა, რომელიც ჟურნალისტური ეთიკის ჩარჩოებში ჯდება თურმე.






ცრუ მოწმის ჩვენებებს ჰგავს ხოლმე დაბალანსების მიზნით ამა თუ იმ ტელეარხზე, გნებავთ, გაზეთების ფურცლებზე, სპეციალურად მოწვეული „დაბალანსებული“ სტუმრების „ჩვენებები“.

ჩვენს სინამდვილეში, რაოდენ პარადოქსულად და დაუჯერებლადაც არ უნდა მოგეჩვენოთ ეს, გაჩნდნენ საინფორმაციო სივრცეში მომსახურე პროფესიონალი „დამბალანსებლები“, ანუ პროფესიონალი „ცრუ მოწმეები“, რომლებზეც დიდი მოთხოვნაა და რომლებსაც სტუდიიდან სტუდიაში დაარბენინებენ ხოლმე გადაცემის „დასაბალანსებლად“.

ორი ადამიანი გამახსენდა უცებ, რომლებიც ამ მიმართულებით წარმატებით მოღვაწეობენ – მიშა თავხელიძე და გიგა ნასარიძე.

გაიხსენეთ გადაცემები მათი მონაწილეობით და მიხვდებით, რაზეც არის საუბარი...

ინფორმაციის იმგვარად აჭრა, სიმართლისა და ტყუილის იმდაგვარად ათქვეფა ერთმანეთში, რომ საქმეში ჩაუხედავმა ადამიანმა იქიდან სწორი დასკვნის გაკეთება ვერ მოახერხოს – აი, ამ ფარულ მიზანს ემსახურება დღეს ეს ყალბი და ფარისევლური რიტორიკა დაბალანსების შესახებ.

რაც შეეხება გრანტიჭამია ქალბატონს, მასაც, როგორც მის სხვა თანამოაზრეებს, შესანიშნავად აქვთ აწყობილი ცხოვრება – ცოტას ხელისუფლების კარზე წაიბალახებენ, ცოტას ოპოზიციის კარზე წაიხემსებენ, საღამოს კი გრანტების მსხვილ და ნოყიერ ვახშამს მიაძღებიან.

რით ვერ გაძეხით და რითი ვერ დაიბალანსეთ ეს ოხერი კუჭი, თქვე მართლა გრანტიჭამიებო, თქვენა!

თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

# ივანიშვილმა მერეთში მომხდარი დაპირისპირების შემდეგ შეხვედრა ტყვიავშიც გამართა

„გორის რაიონის სოფელ მერეთში ბიძინა ივანიშვილისა და ირაკლი ალასანიას სტუმრობას დაპირისპირება მოჰყვა. "ქართული ოცნების" ლიდერების სოფელში მისვლას ფიზიკური შეხლა-შემოხლა მოჰყვა თუმცა შეხვედრა მაინც შედგა,"- ამის შესახებ „თავისუფალი დემოკრატების" პრესსამსახურის უფროსმა ვაკო ავალიანმა განაცხადა.

მისივე განცხადებით, დაპირისპირება მაშინ მოხდა, როდესაც ხელისუფლების წარმომადგენლებმა დაინახეს, რომ ძალიან ბევრი ხალხი იყო გამოსული ივანიშვილთან და ალასანიასთან შესახვედრად.

„მათ სურდათ შეხვედრის ჩაშლა. გამოიძახეს კუდის თანამშრომლები და შეეცადნენ არავითარ შემთხვევაში არ შემდგარიყო ეს შეხვედრა. ისინი გაიძახდნენ ნუგზარ წიკლაურის ძალიან „პოპულარულ" ფრაზებს. ამან გამოიწვია მოსახლეობის გაღიზიანება, რომელთაც ივანიშვილის მოსმენა სურდათ. კუდის თანამშრომლები მათ დაუპირისპირდნენ," — განაცხადა ვაკო ავალიანმა.



მისივე თქმით, შეხვედრა არ ჩაშლილა.

„მიუხედავად ამისა, ბიძინა ივანიშვილმა მოახერხა მოსახლეობასთან გასაუბრება. შემდეგ იმყოფებოდა ტყვიავში. სადაც პატივი მიაგო ქართლ-რუსული ომის დროს დაღუპულ გმირებს და გაესაუბრა ტყვიაველებსაც. ხელისუფლებას სურდა, რომ წარმოეჩინათ თითქოს გორში ივანიშვილს მხარდაჭერა არ აქვს. ეს არ გაუვიდათ,"- განაცხადა ვაკო ავალიანმა.

facebook

# xalxis azriT

ცოტა გასაკვირია ამ ხალხის რეაქცია,თუ ვინმეზე ნაწყენი უნდა იყვნენ,ალბათ მიშაზე?თუ ეგენიც აფანატებენ მიშაზე,ასეთ დღეში რომ ჩააგდო,ცოტა ვერ არის მანდ საქმე,თან ევროკავშირის დამკვირვებლებთან ერთად:((

არავის აქვს უფლება ორგანიზირება გაუკეტოს ინციდენტებს. არ გინდა შეხვედრა? არ მიხვიდე.ესაა წესი. როცა მოქალაქეტა კავშირი დიდ დილომში მოდის, მათ აქციებს ახლოს არ ვეკარები. რატომ უნდა გამოვიწვიო ხმაური?:) ჩაატარონ, წავიდნენ

არ გამოვრიცხავ, რომ პროვოკაცია იყო. უბრალოდ ამ ეტაპზე, როცა დამატებითი ინფორმაცია არ არსებობს, ისტერიულად რაიმეს მტკიცება უაზრობაა. მე მიმაჩნია, რომ ხელისუფლება ევროკავშირის დამკვირვებლების თვალწინ ასეთ ნაბიჯზე არ წავა, თქვენ თვლით, რომ აგონიაშია და ასე შემდეგ... მაგრამ ისტერიული დამოკიდებულება არაა მოსაწონი. ცალსახად ცუდი რამ მოხდა, რა მიზეზითაც უნდა მომხდარიყო.

ვერ გაიგეთ? ესენი არჩევნების გზით არ წავლენ, სად გაგიგიათ — ძალით მოსული მისი ნებით წასულიყო.

საერთოდ,ამას ხელისუფლება ქვია?თუ ბანდა ვიღაცა კრიმინალების?

ჰოდა ,თუ ასე გაგაგრძელებენ, დაკარგავენ ბოლო მხარდამჭერებსაც. მეც ეს მინდა ,მაგრამ არა ადამიანების დაზიანებების საფასურად. ამათნაირი არ გავხდები

რას პოსტავს ზოგიერთი, კრიმინალები არიან, კრიმინალები! ქვეყანა დააქციეს, უკან დასახევი გზა არ აქვთ, არჩევნებით წავლენ მაგენი? ფეისის ლომებო, ენის ტლიკინი არ შველის საქმეს, რა ხერხითაც გებრძვის მოწინააღმეგე იგივე ხერხით უნდა ებრძოლო...

# xelisuflebis morigi provokacia biZina ivaniSvilis winaaRmdeg




როგორც ცნობილია, სოფელ მერეთში ივანიშვილს პროვოკაცია მოუწყვეს, ნაცემია რამდენიმე ადამიანი.

გორის რაიონის სოფელ მერეთში ბიძინა ივანიშვილისა და ირაკლი ალასანიას სტუმრობას დაპირისპირება მოჰყვა.

ამ დროისთვის არსებული ინფორმაციით, ივანიშვილთან და ალასანიასთან ერთად მერეთში ევროკავშირის წარმომადგენლებიც იმყოფებოდნენ.

„ინფო-9" იტყობინება, რომ გორის რაიონის სოფელ მერეთში კოალიცია „ქართული ოცნების" მოსახლეობასთან შეხვედრის ჩაშლის ორგანიზატორები იყვნენ მერეთის გამგებელი ვასილ თევდორაშვილი, გორის სამაშველო სამსახურის უფროსი კახა ლომიძე. თანამდებობის პირები და მათი თანმხლებნი მერეთში კოალიციის ჩამოსვლამდე გამოჩნდნენ, შეკრებილ მოსახლეობას შეუერთდნენ და ბიძინა ივანიშვილისა და ირაკლი ალასანიას გამოჩენას დაელოდნენ.




გარკვეული დროის შემდეგ მათ ახალი ნაკადი შეუერთდა. მოსახლეობის თქმით, ისინი სოდის და კუდის თანამშრომლები იყვნენ.

დაპირისპირება მოსახლეობასა და გამგებლის თანმხლებ პირებს შორის ბიძინა ივანიშვილის მანქანის გამოჩენისთანავე დაიწყო.

ცოტა ხანში სიტუაცია უმართავი გახდა.

შეხლა-შემოხლა მას შემდეგ დაიწყო, რაც სოფელში ბიძინა ივანიშვილი მივიდა და მისი მისამართით გაისმა შეძახილები: „წადი", „რუსეთის აგენტი" და ა.შ. ნაცემია რამდენიმე ადამიანი, მათ შორის ქალებიც.

შეხლა-შემოხლის დროს ჭყლეტაში მოყვნენ ჟურნალისტებიც, დაზიანებულია რამდენიმე ავტომანქანა. შემთხვევის ადგილზე პოლიციის თანამშრომლები არ გამოჩენილან.




სოფელი მერეთი გორის რაიონში საოკუპაციო ზოლთან ახლოს მდებარეობს. სოფლიდან დაახლოებით 200 მეტრში რუსული საგუშაგოა.

როგორც თვითმხილველები ჰყვებიან, დაპირისპირება მას შემდეგ დაიწყო, რაც აგრესიულად განწყობილმა ადამიანთა ერთმა ჯგუფმა ბიძინა ივანიშვილს შეურაცხმყოფელი რეპლიკებით მიმართა და სოფლის დატოვება მოითხოვა. მიზეზად კი ის სახელდებოდა, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის დროს და მას შემდეგ სოფელს არავინ დახმარებია.

— ახლა რომ გამოჩნდით, სად იყავით მაშინ, რუსები რომ გვბომბავდნენ. ან მერე სად იყავით? რატომ არ დაგვეხმარეთ? — ისმოდა აქეთ-იქიდან.

ბიძინა ივანიშვილის მცდელობა, აეხსნა ამ ადამიანებისთვის ბრალდებების უსაფუძვლობა, ამაო გამოდგა — მათ არაფრის მოსმენა და გაგონება არ სურდათ. როგორც მერეთის მაცხოვრებლები ირწმუნებიან, ამ აგრესიულად განწყობილ ჯგუფში უცხო ადამიანები ჭარბობდნენ, რომლებიც სოფელში აქამდე არავის უნახავს.

მაღალპროფესიონალურ დონეზე იმუშავა ივანიშვილის დაცვამ, რომელმაც უვნებლად გაარიდა ივანიშვილი ინციდენტის ადგილს.

მერეთში ივანიშვილის წასვლის შედეგად დიდხანს არ დამცხრალა ვნებათაღელვა — კოალიცია „ქართული ოცნების" და „ნაცმოძრაობის" პირისპირ დარჩენილი მომხრეები ერთმანეთს ადანაშაულებდნენ მომხდარი ინციდენტის პროვოცირებაში.

ცხადია, ბიძინა ივანიშვილის დადანაშაულება იმაში, რომ ის გაჭირვების დროს საქართველოს არ დახმარებია, დიდი ცილისწამება და უმადურობაა. მას უზარმაზარი წვლილი აქვს შეტანილი საქართველოს შეიარაღებული ძალების სათანადოდ აღჭურვაში და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში.

თუმცა ამის გარჩევა მერეთში სპეციალურად დაგეშილი ადამიანების გარემოცვაში შეუძლებელი იყო...

იმედია, მერეთის, ამ მრავალჭირნანახი სოფლის მკვიდრები თვითონ გასცემენ პასუხს პროვოკატორებს, რომლებმაც თავიანთი ხულიგნური საქციელით ჩირქი მოსცეს ამ გმირ სოფელს და სტუმრებთან ნორმალურად დალაპარაკების საშუალება არ მისცეს.

დაბოლოს, კოალიცია „ქართული ოცნების" წარმომადგენლებს არაერთხელ განუცხადებიათ, რომ ამ ხელისუფლებისგან ნებისმიერი სახის პროვოკაციას უნდა ელოდო.

ბევრჯერ ითქვა იმის შესახებაც, რომ ბიძინა ივანიშვილს განსაკუთრებული საფრთხე შეიძლება სწორედ რეგიონებში მოგზაურობისას დაემუქროს.

ყოველივე ამის შემდეგ, გასაკვირია, რატომ რისკავს კოალიცია „ქართული ოცნება" და რატომ აწყობს ასეთ სპონტანურ გასვლებს რეგიონებში?

ინციდენტი სამეგრელოში, ინციდენტი ქედაში და ბოლოს ინციდენტი მერეთში სრულ საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ პროვოკაციები კვლავ გაგრძელდება და უფრო და უფრო საშიშ ხასიათს მიიღებს.

რა თქმა უნდა, სასურველია, რომ ბიძინა ივანიშვილი ყველგან მივიდეს და ყველას შეხვდეს, მაგრამ როცა მის გარშემო ასეთი საგანგებო და საგანგაშო სიტუაციაა შექმნილი, ალბათ, სჯობს, რისკის შემცველი ფაქტორები მაქსიმალურად გამოირიცხოს.

**დავით მაისურაძე**

*გვესაუბრება ბიძინა ივანიშვილის მრჩეველი, დიპლომატი* **ზაზა გოგსაძე:**

# xelisufleba arCevnebis CaSlas apirebs?!

**— ბატონო ზაზა, ბოლო დროს ხელისუფლებამ რეპრესიული მანქანა გამალებით აამუშავა — მოქალაქეობის არ მიცემას, ბანკის დაყაჩაღებას კოლოსალური თანხებით დაჯარიმება და ქონების დაყადაღება მოჰყვა. როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე?**

— ივანიშვილმა განაცხადა, რომ უკანონოდ დაწესებულ ჯარიმებს არ გადაიხდის. ხელისუ-




ფლების ქმედება მიმართულია იმისკენ, რომ ანტენების დამონტაჟებით მოსახლეობამ ალტერნატიული აზრი ვერ მოისმინოს. „გლობალ TV“-ის უფროსი ივანიშვილის ძმაა. კი, ბატონო, ასეა, მაგრამ მაშინ, დავსვათ შეკითხვა, ვინ არის ტელეკომპანია „იმედის“ დირექტორი? — გიორგი არველაძე, სააკაშვილის ხელისუფლების ყოფილი მინისტრი, რომელიც დღეს მთელ რიგ ბიზნესებს აკონტროლებს. ვინ არის „რუსთავი 2“-ის პრაქტიკული მფლობელი? — კეზერაშვილი, რომელსაც საქართველოს ბიზნესების დიდი ნაწილი უჭირავს. აქედან გამომდინარე, სად არის სიმართლე და წესიერება?! ამიტომ, ხელისუფლების მხრიდან ქონების დაყადაღება აბსოლუტურად არაკანონიერი ქმედებაა. ივანიშვილი მართალი პიროვნებაა, მას გაცილებით მეტი ფული აქვს დახარჯული ქველმოქმედებაში, აღმშენებლობაში, მაგრამ ასეთ უზნეობას, მძარცველობას, რასაკვირველია, იგი მხარს არ აუბამს. იგი ამ უკანონო ბრძოლაში არ ჩაებმება, გამომდინარე აქედან, არც ჯარიმის გადახდას არ აპირებს. ხელისუფლებას წაგებული აქვს არჩევნები.

**— რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?**

— ჩვენი ბრძოლა აუცილებლად გამარჯვებით დაგვირგვინდება იმიტომ, რომ ჩვენს უკან ხალხი დგას, რომელიც ცვლილებას, სიმართლეს ითხოვს. საქმე მარტივადაა — სიმართლე-ტყუილს, ზნეობა-უზნეობას ებრძვის. ეჭვი არ გვეპარება, რომ სიმართლე გაიმარჯვებს და ოქტომბერში არჩევნებს მოვიგებთ, ხმებსაც დავიცავთ და ამ ხელისუფლებასაც შევცვლით.

**— მაგრამ, ბატონო ზაზა, რამდენად შეიძლება პარტნიორი ქვეყნების მოწოდებების იმედად ვიყოთ მაშინ, როცა საქართველოს ხელისუფლება მათ მოსაზრებებს აინუნშიც არ აგდებს.**

— გასაგებია. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ხელისუფლებას ეშინია. მათ იციან, რომ ამ არჩევნებს წააგებენ, ამიტომ ხალხის დაშინებას ცდილობენ, რათა დროებით მიაღწიონ შედეგს, მაგრამ ეს იცით რას ჰგავს? — სირაქლემა თავს რომ მალავს და ჰგონია, ვერ მხედავენო. ხელისუფლებაც ასეა — ჰგონია, რომ დაშინების მეთოდებით გავლენ ფონს, მაგრამ ეს გამორიცხულია. ამ პროცესს უკან ველარავინ დააბრუნებს. ჩვენ გვაბრალებენ რუსეთის აგენტობას, მაგრამ ისინი თავად არიან პუტინის აგენტები. სააკაშვილი ახორციელებს პუტინიზაციას, მას ხელისუფლებაში ყოფნის გახანგრძლივება პრემიერ-მინისტრობის მეშვეობით უნდა. გამაგებინეთ, რას ნიშნავს სააკაშვილისთვის ან წიკლაურისთვის იმაზე საუბარი, თითქოს ივანიშვილს რუსული ფული აქვს. ივანიშვილმა რუსეთში ბიზნესი მთლიანად გაყიდა. კაცი მთელ თავის კაპიტალს სამშობლოს ახმარს და ესაა რუსული ფული?!

**— სააკაშვილი ხალხის დაშინებას ცდილობსო აღნიშნეთ, თუმცა ისიც ფაქტია, რომ თავად მას არავისი ეშინია, მათ შორის არც აშშ-სი.**

— მესმის თქვენი კითხვის არსი. დიახ, ხალხში არის ამაზე საუბრები — სააკაშვილმა რომ არ გაითვალისწინოს აშშ-ს რეკომენდაციები, რა მოჰყვება ამას. კი, ასეთი რამ შესაძლებელია, მაგრამ ხალხი მაინც იტყვის თავის სიტყვას. ჩატარდება არჩევნები, სადაც ყველა ჩვენ დაგვიჭერს მხარს, დავიცავთ ხმებს და დემოკრატიულ პროცესებს ბოლომდე მივიყვანთ. თუ სააკაშვილი არ გაითვალისწინებს საერთაშორისო ორგანიზაციების რჩევებს, მას ეს მარცხის მეტს არაფერს მოუტანს.

**— მაგრამ რამდენად აქვს არჩევნებზე საუბარს აზრი მაშინ, როცა ხელისუფლების მხრიდან გაყალბების მანქანა უკვე ჩართულია. ადგილი აქვს ცემის, უკანონოდ დაჯარიმების, დაყადაღების ფაქტებს. რას უპირისპირებთ ამ ყველაფერს?**

— თუ არჩევნები ჩაიშლება, ამის ავტორი ხელისუფლება იქნება. ჩვენ ღიად ვაცხადებთ, რომ არჩევნების ჩატარება აუცილებელია. მიგვაჩნია, რომ დღეს არსებული ორი ძალიდან, ხელისუფლება აუცილებლად წააგებს. თუ ხელისუფლება საქმეს არჩევნებამდე არ მიიყ-



ვანს, ეს მთლიანად მისი ბრალი იქნება. არჩევნები თუ არ ჩატარდა, ჩვენ კარგად ვაცნობიერებთ, რომ ეს ისევ და ისევ ქართველ ხალხს დაარტყამს ძალიან მაგრად, რაც ქვეყნის მომავალ განვითარებას შეაფერხებს. თუ ხელისუფლება არჩევნებს არ ჩაატარებს, ეს მის ზურგზე გადაივლის. თუ პროცესს კიდევ უფრო გაართულებენ, გააგრძელებენ ჯარიმების კასკადს და სხვა უკანონობებს, რასაკვირველია, ხალხი ყველაფერს ხედავს და ეს კარგ შედეგებამდე არ მიგვიყვანს.

**— ფაქტია, რომ ხელისუფლება უკან არაფერზე იხევს. ახლახან გელა ნიკოლაიშვილმა ჩემთან ინტერვიუში აღნიშნა: არ გამიკვირდება ხელისუფლებამ კანონი შემოიღოს და ივანიშვილი 6 მილიარდით დააჯარიმოსო.**

— დიახ, აბსოლუტურად ვეთანხმები გელას, ასეთი ქმედება ხელისუფლების მხრიდან არც მე გამიკვირდება. მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული. ყველა ხედავს რაც ხდება და ამას ყველა მხრიდან ლოგიკური ქმედებები მოჰყვება. ამიტომ პროცესების განვითარება მაინც ლოგიკას ექვემდებარება. ლოგიკა კი მიდის იქეთკენ, რომ არჩევნები ჩატარდეს. თორემ სააკაშვილის პიროვნებისგან, მისი ეიფორიული მდგომარეობიდან გამომდინარე, მართლაც ყველაფერია მოსალოდნელი, რაც ყველა ჩვენგანისთვის დამღუპველი იქნება. ყველამ იცის, რომ სააკაშვილის ქმედებები ივანიშვილის მიმართ შიშითაა გამოწვეული.

ჩვენი ამოცანაა არჩევნებამდე მივიდეთ. როგორც ჩანს, ხელისუფლებას არ უნდა არჩევნებამდე მისვლა. ჩვენ ვასაჩივრებთ ამ უკანონობებს, ყველა საქმე სტრასბურგში წავა და დამერწმუნეთ, სააკაშვილი წააგებს. ხალხი, ვინც რუსთაველზე, ქუთაისში, გურიაში გამოვიდა, ამბობს, რომ არ უნდათ სააკაშვილი. სააკაშვილის გუნდი ამ ერთ პიროვნებაზეა ჩამოკიდებული. პრეზიდენტი მათ, როგორც ბატონი ყმას, ისე ექცევა, შეურაცხმყოფელად.

საქმე ის გახლავთ, რომ ხელისუფლებას ხალხის ეშინია და ამიტომაცაა ასე აქტიური, მაგრამ არ ესმის, რომ ეს კიდევ უფრო დაძაბავს, გააღიზიანებს ხალხს და ისინი, ამ უკანონობებს უფრო მძაფრ რეაქციას მისცემენ. ხელისუფლებაზეა დამოკიდებული, თუ როგორ იმოქმედებს. იგი უნდა მიხვდეს, რომ დაჯარიმებები უკანონოა.

**— თქვენ ფიქრობთ, რომ ხელისუფლება უკან დაიხევს და ჯარიმებს გააუქმებს?**

— წესით კი, თუ უნდათ საქართველოში მართლაც ხალხმა გადაწყვიტოს, ვინ უნდა იდგეს ქვეყნის სათავეში, უკანონო ქმედებებზე უარი უნდა თქვან. აი, ნახავთ აუცილებლად გავიმარჯვებთ. თუ რეპრესიები გაგრძელდა და ნახევარი საქართველო დაიჭირეს, ხალხი ისევ ამოიღებს ხმას და ყველაფერი სხვა მიმართულებით გადავა, რაც ჩვენთვის ძალიან არასასურველია.

**— ივანიშვილმა განაცხადა ხელისუფლება აგონიაშიაო. ჩვენც ამით ვხარობთ, თუმცა რეალურად აგონიაში ჩავარდნილი ხელისუფლება შესანიშნავად ახორციელებს საკუთარ გეგმებს.**

— დიახ, ხელისუფლება აგონიაშია, იმიტომაც გვაჯარიმებს, მაგრამ ჩვენ არ ვიხდით. თუ ხელისუფლება გონს არ მოეგო, ეს ყველასთვის ცუდი იქნება. ჩვენ აღარ გვინდა ძალადობა, დემოკრატიის გზით გვინდა ხელისუფლების შეცვლა. საქართველოს თითოეულმა მოქალაქემ უნდა შეიგნოს, რომ საკუთარი ბედის მართვა შეუძლია, ანუ ვინც არ მოსწონს, არჩევნების გზით შეცვალოს. მენტალიტეტით უნდა ვიყოთ ევროპელები. იმერეთში ვიყავი იმ პერიოდში, როდესაც გამგებელი დადიოდა და მოსახლეობას, ვისაც ანტენებს უმონტაჟებდნენ, აფრთხილებდა, რომ ანტენების გამო პრობლემები შეექმნებოდათ. ასეთი რამე გაგიგიათ სადმე ევროპაში?

**— თუმცა, ივანიშვილის ოფისის განცხადებაში მითითებულია, რომ დემოკრატიისა და თავისუფალი სიტყვის მიმართ ტერორი ხორციელდება. დემოკრატიული არჩევნები ტერორის ფონზე როგორ წარმოგიდგენიათ?**

— ნუ ვიტყვით ასე, რომ არჩევნები ტერორის ქვეშაა. როგორი ავტოკრატიული ხელისუფალიც არ უნდა იყოს, გარკვეულ პროცენტზე მეტად მაინც ვერ გააყალბებს არჩევნებს იმიტომ, რომ ეს მერე საყოველთაო არეულობას, რევოლუციურ პროცესებს იწვევს, მერე ხალხი აღარ ემორჩილება ხელისუფლებას. ჩვენ ვუშვებთ იმის ალბათობას, რომ ხელისუფლება რაღაც პროცენტით გააყალბებს არჩევნებს, მაგრამ ამ შემთხვევაში ხალხის გამოსვლები იმდენად მასიური იქნება, რომ ყველაფერს გადაფარავს. ხელისუფლებას სისხლში აქვს გამჯდარი და გაყალბებას აუცილებლად შეეცდება, მაგრამ დიდ გაყალბებაზე ვერ წავა იმიტომ, რომ მაშინ ხალხის წინააღმდეგ მოუწევს წასვლა, რაც მათთვის კატასტროფით დამთავრდება. მათ ურჩევნიათ არჩევნებით წააგონ, ვიდრე სხვა გზით.

**თამარ შველიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# samSob l oSi dakargu l ebi



უცნაურია, მაგრამ დღევანდელი ქართველობა შეეგუა კიდეც დამამცირებელ მდგომარეობას, რომელსაც ხან შევარდნაძე და ხანაც მისი გაზრდილი ე.წ. პოლიტიკოსები, დროდადრო ჰკადრებენ ხოლმე!

საქართველოში ბოლო 20 წლის განმავლობაში საზოგადოება, ანუ ამ ქვეყანაში მცხოვრები ხალხი, თურმე მხოლოდ იმიტომ არის საჭირო, რომ ისინი „ვიღაცამ“ დათვალოს! საკუთარი უბადრუკი კარიერული აღმასვლისთვის გამოიყენოს! საკუთარი „ინტელექტუალური შესაძლებლობების უპირატესობა“ საჯაროდ დაანახოს! საკუთარი ყოფითი თუ ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, სწორედ ხალხის სახელით ივაჭროს! და ბოლოს, იმიტომ რომ ხალხი მათ თვალში მხოლოდ ბრბოა — საქონელსაც შეადაროს, პირუტყვსაც და გნებავთ, საზარბაზნე ხორცსაც, როცა საქმე ხელისუფლების თუ უცხო ქვეყნის მხრიდან რაიმე სახის დაპირისპირებისას იჩენს ხოლმე თავს!

არადა, როგორც კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე იყო ცნობილი — ძალა ხალხშია!!! საქართველოში პირიქითაა — ძალა იმ ჯგუფების ხელშია, რომლებიც თავის დროზე გარკვეული კომპრომატების მეშვეობით, ძლევამოსილმა „კგბ“-მ დაავერბოვკა და ე.წ. „ლიდერებად“ შემოგვასაღა!

ოღონდაც, ასეთები აუცილებლად უნდა ყოფილიყვნენ გამოჩენილი მამების, დედების თუ ბებია-ბაბუების შთამომავლები და მათი რიგები მხოლოდ მათით რომ არ ყოფილიყო წარმოდგენილი, „შთამბეჭდავი შევსება“ სპორტსმენებით, მომღერლებით, მსახიობებითა თუ ე.წ. „ექსპერტებითაც“ გაამდიდრეს!

ხალხი, ანუ რიგითი მშრომელი, თუ გნებავთ, დიასახლისი, ანდა პატიოსანი, ჯერ კიდევ სულით უბიწო, სტუდენტი ბავშვი ამ შემადგენლობაში არასოდეს ხვდებოდა იმიტომ, რომ ასეთი ტიპის ადამიანები მათთვის არასაიმედონი იყვნენ ყველა დროში და ახლაც ასეა როგორც არ უნდა გაუკვირდეს ვინმეს!

**აბა, დააკვირდით ბოლო 20 წლის განმავლობაში მოღვაწე ე.წ. ლიდერების ჩამონათვალს? მცირე გამონაკლისის გარდა მათი სია უცვლელია, ან ახალი კონტროლირებადი „სახეებით“ არის წარმოდგენილი და ეს „უმნიშვნელო“ რეალობაა სწორედ ის რეალობა, რომ ჩვენი სამშობლოს ბედი, გარკვეული დროის განმავლობაში, არათუ უკეთესობისკენ, არამედ უარესობისკენ არის მიმართული, დაწყებული — ტერიტორიული მთლიანობის დარღვევით, უკიდურესი გაჭირვებით და ქვეყნიდან იძულებით გაქცეულებით დამთავრებული!**

პირადად მე, ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ 2007-08 წლის პოლიტიკური მღელვარებანი ასე უნიათოდ, ასე უპრინციპოდ და ასე სამარცხვინოდ დასრულდებოდა! მაგრამ, გულახდილი რომ ვიყო ბოლომდე, „იქ“ გულის რომელიღაც კუნჭულში ასეთ ფიასკოს ველოდი კიდეც, რადგან იმ წლებში გაპიარებული ე.წ. „ლიდერები“, სხვა რანი იყვნენ თუ არა იგივე შევარდნაძის და უფრო ადრეული მმართველობის გუნდრუკის მკმეველნი და ლოგიკურად ფინალიც ასეთი რომ მივიღეთ როგორიც მოსალოდნელი იყო, გასაკვირია? მაგრამ ყველაზე მთავარი ამგვარ მარცხში იყო ის, რომ ამ პოლიტიკური პროცესებიდან სრულიად შეგნებულად, აბსოლუტური უმრავლესობით გამოირიცხა ხალხი, ანუ საზოგადოება, როგორც მთავარი დამკვეთი ცვლილებებისა და ხალხი, როგორც ძირითადი შემსრულებელი ამ ცვლილებებისა!

**მიზეზი? მიზეზი არის ის, რომ ხალხი სწორედ „ჩარჩოში“ ჩასმული „პოლიტიკოსების“ ნება-სურვილების აღმსრულებლად იქცა და არა იმ ძალად, რომელიც რეალურად შეცვლიდა ვითარებას ქვეყნის სასარგებლოდ!**

ამის დასტურად, გავიხსენოთ ის მიტინგები, რომლებიც სულ ახლახან იყო და ისიც გავიხსენოთ, ე.წ. „პატრიოტმა ლიდერებმა“ რეჟიმის შესანარჩუნებლად რა ნაბიჯები გადადგეს და როგორია უტიფარი, მეტიც, შეურაცხმყოფელი ეპითეტებით შეამკეს ხალხი, ანუ ის ადამიანები, ვინც სამშობლოს სიყვარულის გამო მინუს 20 გრადუსიან ყინვაში თუ პლუს 40 გრადუსიან „მიშა წადი“-ს მოთხოვნით ერთ მუშტად იყო შეკრული!

„ეეე, ბიჭო, მანდ არ ჩამოიყვანო, ვინ არის ეს ყ...ე“, — იკითხა კოკა გუნცაძემ ერთ-ერთი მომიტინგის მისამართით, როცა იმ „ყ-მ“ მოწოდება: „ახლა დავიშალოთო“ — გააპროტესტა და ტრიბუნაზე ასვლა მოიწადინა. „შენზე ნაკლები ვაჟკაცის დედას შე...ცი, ამოდი ერთი აქ, მაქედან რომ მექაჩები“, — ამ სიტყვების ავტორი კი ლევან — „წიწიბურაა“, ვინც ხალხის შეურაცხყოფის ყველა რეკორდი მოხსნა! მაგრამ ხალხის, როგორც მცნების ისტორიული შეფასება შესაშურად ზუსტად მხოლოდ გუბაზმა გააკეთა და „საქონელიო“ ისე თქვა — წარბიც არ შეუხრია!

დიახ, სწორედაც რომ საქონელია ხალხის ის ნაწილი სააკაშვილის რეჟიმს რომ დაუწვა ტალახში, ახლა იმ პატარა სააკაშვილების, ანუ ოპოზიციის მარჩენალიც გახდა და მთელი ამ უბედურების კულმინაცია კი ის არის, ამ მარაზმის თანამონაწილედაც კი იქცა თავისი უმოქმედობით! ვინ არის დამნაშავე? — ხალხი თუ „პოლიტიკოსები?“ რა თქმა უნდა, ხალხი, რადგან გარდა თავშეყრისა, სხვა ფუნქცია თავის თავზე ვერა და ვერ აიღო! ხალხს, ანუ ჩვენ, არც ერთხელ, არავისთვის ხალხის ტრიბუნიდან (ტრიბუნა ხალხის უნდა, იყოს და არა რომელიმე ე.წ. ლიდერის) არ მიუმართავს და მეტიც — თავად ვერ იქცა ლიდერად, პროცესების რეალურ პატრონად და აქედან გამომდინარე, საკუთარი სამშობლოს ბატონ-პატრონად! მოხდა პირიქით ცრუ ლიდერებმა, იმიტომ, რომ სამშობლოზე შეყვარებული ადამიანები თავშივე ბრმებად შეიცნეს, ყველა ბერკეტი საკუთარ ბინძურ ხელებში მოიმწყვდიეს და დღემდე არაფრის დიდებით არ თმობენ! სხვისი არ ვიცი, მაგრამ მე, როგორც რიგით ქართველს, ყოველთვის მქონდა შეგრძნება, რომ ხალხი, როგორც ყველაზე უზენაესი მმართველი, ერთ დღეს (იქნებოდა ეს 7-8 ნოემბერი, 20 იანვარი, 27 მაისი თუ ასე შემდეგ) გამოფხიზლდებოდა, განთავისუფლდებოდა ილუზიებისაგან და არათუ სააკაშვილს, არამედ მთელ მის დასაყრდენ ოპოზიციასაც სანაგვეზე გაიტანდა! მაგრამ... კვლავ ამუშავდნენ ხელისუფლების სამსახურში მდგომი ტელევიზიები, „ოპოზიციურად“ შერაცხული არხები თუ ბეჭდური მედია საშუალებები და ყველა ერთად რიგრიგობით ჩვენ თვალწინ გააცოცხლეს! ამის შემდეგ ვართ ხალხი? ხალხი — ზოგი ბუნებრივი სიკვდილით კვდებოდა! ზოგი სამშობლოდან შორს გარბოდა! ზოგი თვითმკვლელობით ამთავრებდა სიცოცხლეს! ზოგი სპეც. რაზმელებთან უთანასწორო ბრძოლაში ეცემოდა, მიდიოდა ციხე-კოლონიებში, ანდა თვალის ჩინს კარგავდა ე.წ. „რეზინის ტყვიებით“ დასაჩუქრებული!

საკვირველია, ხალხი, მიუხედავად იმისა, რომ რიცხობრივად მილიონჯერ აღემატება ხელისუფლებასაც და „ოპოზიციად“ მონათლულ დამნაშავეთა გუნდსაც — მაინც დამარცხებულია და, დამარცხებულია არა იმიტომ, რომ ბრძოლის უნარი არა აქვს, არამედ მარცხდება იმიტომ, რომ მუდამ ახალი, მომავალი „ბატონის“ მონა ხდება ქვეცნობიერად და ქართული მენტალობიდან გამომდინარე ტრიბუნაზე ასული ნებისმიერი ვიგინდარა თავისზე ჭკვიანი და პატრიოტი ჰგონია!

საქართველოს გმირულ წარსულს, როგორც არ უნდა გაუკვირდეს ეს ვინმეს, არა მხოლოდ ერთი მეფე, ანდა რომელიმე ერთი ერისთავი კი არ ქმნიდა, არამედ მისი მთავარი შემოქმედი — ხალხი იყო, ქართველი ხალხი და მისთვის, ისევე როგორც დღეს, მამულისათვის სიკვდილი დიდ პატივად ითვლებოდა! ომებს ერთი მეფე, ანდა ერთი თავადი კი არ იგებდა — იგებდა ქართველი ხალხი და სამწუხაროდ, მათი გვარ-სახელები, თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა, უცნობია! ვერავინ დამისახელებს იმ რიგითი ადამიანების გვარ-სახელებსაც, ვინც ბოლო 20 წლის განმავლობაში, სამშობლოს ჭეშმარიტი სამსახურისთვის, მისი უსაზღვრო სიყვარულისთვის დაეცა! და, ვერ დამისახელებთ იმიტომ, რომ ამ ადამიანების გმირების რანგში აყვანას თავად ხალხმა შეუშალა ხელი, ქართველმა ხალხმა! ხოლო ცრუ გმირები — ლევან, გუბაზ, კონსტანტინე, კობა, ზვიად, ნინო, ეკა, ნინელი, თინათინ, დავით, ირაკლი, კახაბერ, გიორგი და ა.შ. — კი, რამდენიც გნებავთ, ყოველდღე გმირებად ცხადდებიან, ოღონდაც არ ვიცით, რატომ, რა გააკეთეს და რა დამსახურებისთვის!

**თუ მათი დამსახურება ის არის, რომ ხალხს, როგორც საქონელს, ერთ ადგილას აგროვებენ და შემდეგ კი ხელისუფლების მიერ მოწყობილ „ბოინში“ დასაკლავად და საჯიჯგნად აქცევენ — კი, ბატონო, მაგრამ, როცა იგივე ხელისუფლებასთან შეკრებილი ხალხის რაოდენობის მიხედვით ვაჭრობენ და იგივე ხალხის ნების საწინააღმდეგ, ისევ სააკაშვილს ტოვებენ ხელისუფლების სათავეში, ასეთ ნაც.მოძრაობას უპყრია ქვეყნის მართვის სადავეები და აქედან გამომდინარე კი ქვეყანა სადღაც, მართლაც „ნაცში“ მიექანება — მართლა საქონლები, მართლაც პირუტყვები და მართლაც მუნჯთა ბრბო ხომ არა ვართ, ხალხო?**

ეს ერთი მუჭა დამნაშავეები, დღესაც რომ „ოპოზიციონერობენ“ და მომავალი ბატონის ტახტრევანიდან ყოველდღე რომ პოზირებენ, ახალ-ახალი „სარჩო-საჩუქრების“ მიღებით რომ ტკბებიან — თქვენ რა, ხალხო? ანდა, რატომ გგონიათ, რომ ღალატში, თქვენს ღალატში გაწაფულები დღეს ისევ არ გღალატობენ და ხვალ ახალი ღალატისთვის არ ემზადებიან?

ნუთუ ვერ ხედავთ, რომ — თქვენ, ხალხი, მთელი ამ პროცესებიდან, თანამედროვე ენით რომ გითხრათ მოტეხილები ხართ? არ არის ასე? კი, ბატონო, დაგიმტკიცებთ 1) დამისახელეთ ერთი სახალხო შეკრება, სადაც თქვენ აზრის გამოსათქმელად ტრიბუნაზე მიგიწვიეს? 2) გასულ წლებში ანდა ახლა განა რომელიმე „ლიდერმა“ გკითხათ — გინდოდათ თუ არა მრავალთვიანი, მრავალკვირიანი უმიზნო და უშედეგო მიტინგები, ხან რიყეზე, ხან სტადიონზე და ხანაც იპოდრომზე, მიდი-მოდი და ბოლოს შედეგის სააკაშვილის ხელისუფლებაში დატოვება?

3) ანდა 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს, ვინმემ გაგიწიათ ანგარიში და დაიცვეს ის ხმები, რომელიც თქვენ შიშზე გადაბიჯებით ე.წ. „ოპოზიციას“ მიეცით?

4) 2008 წლის 20 იანვარს, სააკაშვილის ე.წ. ინაუგურაციაზე,

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

როცა გუშინდელმა და დღევანდელმა „ოპოზიციონერებმა“ იპოდრომზე გაგრეკეს, სადღესასწაულო ეპიცენტრს, რუსთაველის გამზირს შეგნებულად მოგაცილეს; თქვენ, ხალხს გკითხეს, გინდოდათ თუ არა მთავარი ადგილიდან შორს და ისიც უსაგნოდ განცალკევება?

**5) 2007 წლის 7 ნოემბერს, როცა მიტინგებით დაღლილი ხალხი, ანუ თქვენ, სახლებში მიბრძანდით და გამთენიისას სპეცრაზმმა თუ პოლიციამ „გრეჩიხას“ და მის ძმაკაცებს წაუთაქა, რუსთაველის გამზირი ერთ საათში რომ გადაიჭედა, გახსოვთ? მაგრამ ისიც ხომ გახსოვთ, რომ მაშინაც მოგვაშორეს მთავარ გამზირს და იგივე „გრეჩიხამ“, ცრუ გიორგიმ და დანარჩენმა „ოპოზიციონერებმა“ ახლა რიყეზე გაგრეკეს? ანუ, თქვენ, ხალხს მაშინ გკითხეს — გინდოდათ თუ არა ბრძოლის ველიდან გაქცევა და რიყეზე თავის შეფარება?**

6) სააკაშვილთან რომ დადიოდნენ რიგრიგობით და ისიც მხოლოდ საკუთარი მოთხოვნებით, უჩუმრად და ღამღამობით — დაგავიწყდათ? თქვენ, ანუ ხალხს — ან მაშინ დაგეკითხნენ ჭკუას, წასულიყვნენ თუ არ წასულიყვნენ?

7) „ხვარაზმელები“ თბილისში რომ იყვნენ გამაგრებული და მეისტორიე გუბაზი რომ ბრძოლის ველიდან გაიძურწა — დაგავიწყდათ? ან მაშინ მოგიწვიათ მიკროფონთან და გკითხათ: ხალხო! ჩვენს ბანაკში მოღალატეები გვყოლია და რა ვქნათო?

8) 2008 წლის აგვისტოში, დამპალ „მხედართმთავარს“ სააკაშვილს მთელმა „ოპოზიციურმა“ სპექტრმა მორატორიუმი რომ გამოუცხადა და ხელისუფლებაში დატოვეს — თქვენ, ანუ ხალხს, ვინმემ გკითხათ, გინდოდათ თუ არა ჰალსტუხიჭამია პრეზიდენტი?

9) როდესაც პარლამენტში არ შედიოდნენ, წინასწარ შეათანხმეს ამომრჩეველთან, ანუ ხალხთან —„ოპოზიციური“ გადაწყვეტილება?

10) ანდა, ვიდრე სახალხოდ და მთელი მსოფლიოს დასანახად ჩაისვრიდნენ, თქვენ, ანუ ხალხს, ვინმემ გკითხათ — გჭირდებოდათ თუ არა წინამძღოლებად ის ადამიანები, ვინც ყველა მეფის კალთაში კოტრიალობდა და ყველა მეფის ჯიბეს იყოს დახარბებული? ჰოდა, რადგან არავის უკითხავს და არც არავინ შეგეკითხებათ არასოდეს — მაშინ საკუთარ თავებს ვკითხოთ, ჩვენ, ე.ი. ხალხს, არჩევანის უფლება რა ძალამ წაგვართვა, სულ ერთ წრეზე რომ დავიარებით და სულ ერთი და იგივე ადამიანების ყურება რომ მოგვისაჯა დაუსრულებლად?

„ძალა ხალხშია“, — ამბობენ „ჩვენი“ პოლიტიკოსები, მაგრამ სინამდვილეში (ყოველ შემთხვევაში, საქართველოში ასეა) ძალა მის ხელში აღმოჩნდება ხოლმე, ვისაც ფული, გავლენა და თუნდაც მცირე ორატორული ნიჭი აქვს! ჩვენთან, ვიდრე ხეებზე ფოთლები მშვიდად განაგრძობენ ზრდას ხალხის ძალა შესუსტებულია! უცხოეთში კი არათუ ხეები, მანქანები და ვიტრინები როცა იწყებენ ზანზარს — მთელი მსოფლიო ტაშს უკრავს მათ, რადგან ნებისმიერ ერს აქვს უფლება გამოხატოს პროტესტი, გამოხატოს ისე, როგორადაც მას მოესურვება და მათ ამის გამო არავინ ეძახის ველურებს!

**დიახ, ნებისმიერ ქვეყანაში ძალა ხალხშია და ეს ძალა ასმაგდება, თუკი ქვეყანაში ტირანი და დიქტატორი უზით სათავეში!**

ჩვენთან პირიქითაა და რადგან ყველაფერი უკუღმაა, ამიტომაც გვჭირს ის, რაც გვჭირს!

ბოლო ხანებში მთელ მსოფლიოში, საპროტესტოდ გამოსულ ადამიანებს ლიდერად არავინ ჰყავს, რადგან ადამიანები ამა თუ იმ უსამართლობისას ერთმანეთს გვერდში მაშინვე ამოუდგებიან ხოლმე და იმ ხელისუფლებას, რომელიც ხალხის წინააღმდეგ ირჯება — პოლიტიკურ სანაგვეზე ისტუმრებს!

აქ, საქართველოში, თურმე, ნუ იტყვით და, ლიდერია საჭირო, ანუ ვაცი, რომელიც ფარას გადაჩეხვისგან დაიცავს, მაგრამ, ხალხო! სხვის მიერ გაწვრთნილ-დავერბოვკებული, ე.წ. „ლიდერები“, თითქმის ყოველ წელს კლდეებიდან დაბლა რომ გყრიან და მომავალშიც ასე იქნება — გონს მოდით, რა?

**თქვენ, თქვენ და მხოლოდ თქვენ უნდა ნიშნავდეთ შეკრების ადგილებს, შეკრების საათს და თქვენს მიერ ორგანიზებულ საპროტესტო აქციებზე, თქვენ უნდა იღებდეთ გადაწყვეტილებას — როგორ ქვეყანაში გინდათ ცხოვრება და ვინ გჭირდებათ ქვეყნის მთავრობაში, პარლამენტში და ა.შ.**

ვიღაცის ნება სურვილით რეკომენდირებულმა პრეზიდენტმა, პრემიერ მინისტრმა, დეპუტატებმა, შინაგან საქმეთა მინისტრმა და ა.შ. — რა შედეგიც მოგვიტანა, ვნახეთ! მაგრამ, ხვალ რომ ისევ თქვენთან შეუთანხმებელი კანდიდატებისათვის ხმის მისაცემად მიგიყვანენ საარჩევნო ურნებთან და შემდეგ იმ დეპუტატებს რომ თვალს ვერ მოჰკრავთ თქვენს სიახლოვეს — ლოგიკური არ იქნება?

დიახ, ლოგიკური იქნება, რადგან უკვე მერამდენედ, ისევ იმ წრეზე დავიწყებთ ტრიალს, რომელზეც დიდი ხანია დავდივართ და ამ წრეს რომ ვერა და ვერ ვარღვევთ ხალხის, ანუ ჩვენი საზოგადოების გულუბრყვილობის ბრალია, სიწუწკის ბრალია! ქვეყნის მომავლის ფეხებზე დაკიდების ბრალია! ერთურთის გაუტანლობის ბრალია! და ბოლოს, იმის ბრალია, რომ ნელ-ნელა ახალ ჯიშად ვყალიბდებით და ძველ ქართულ მენტალობას ასევე ნელ-ნელა, ზურგს ვაქცევთ! ყოველივე ამის შემდეგ კი „ძალა ხალხშია?“ რა სასაცილოდ ჟღერს ეს სიტყვები დღევანდელ საქართველოში, არა

**ირინე გოგოსაშვილი**

# `hilari klintonis vizitis Semdeg cxadi gaxda, rom qarTvel xalxs da biZina ivaniSvils amerikis ki ara mxolod sakuTari Tavis imedi unda hqondeT!~



სიცილ-კისკისით ჩამოვიდა, სიცილ-კისკისით წავიდა და სიცილ-კისკისით აგრძელებს მოგზაურობას მთელ დედამიწაზე.

— ამ ტანჯულ დედამიწაზე რამდენი უბედურება ტრიალებს, რამდენი სისხლი იღვრება, რამდენი ცრემლი იფრქვევა და რამდენი ადამიანი იღუპება გაუთავებელ, უაზრო ომებში, ამას კიდევ რა აცინებს და რა აკისკისებსო? — უკვირთ ზოგიერთებს, მაგრამ ხმამაღლა თქმას როგორ გაბედავენ, აქეთ აშშ-სი ეშინიათ, იქით კიდევ — ბილის...

საწყალი ბილი, ერთხელ წაუცდა ხელი მაცთური მონიკასკენ და კინაღამ მთელი ამერიკა აღსდგა მის წინააღმდეგ.

უცნაური ხალხია ეს ამერიკელები — თავის ქვეყანაში, თავის ამერიკაში ერთი წვეთი სპერმის გამო შეიძლება პრეზიდენტი პოსტიდან გადააყენონ, სხვაგან, სხვა ქვეყანაში კი, თუ მათ პოლიტიკურ ინტერესებს ჭირდება, ამ ქვეყნის პრეზიდენტმა მთელი ქვეყანა რომ დაჩინჩლოს, მაინც დემოკრატიის შუქურა უძახონ, როგორც ეს, მაგალითად, საქართველოში ხდება.

**რა შუქურა, კაცო, რისი შუქურა, დაბრმავდით თქვენ, ძმებო, ამერიკელებო თუ ჩვენ გვაბრმავებთ — ამხელა დირე გვაქვს გადებული და თქვენ კიდევ შუქურაო, აგიჩემებიათ.**

# ratom hgvanan erTmaneTs hilari klintoni da xaTuna oCiauri?

* * *

სიცილ-კისკისით ჩამოვიდა, მასპინძელიც სიცილ-კისკისით დახვდა, მერე ორივე სიცილ-კისკისით ჩავიდა ბათუმში და ახლა იქ ისიცილ-იკისკისეს, მერე ის წავიდა, ეს დარჩა და მეორე დღესვე მუშტი მოუღერა საკუთარ ქვეყანას.

ჩვენ რომ გვეგონა, ქალბატონი ჰილარის სტუმრობის შემდეგ „ავტოკრატი მიხეილი“ ერთბაშად დემოკრატიის გზას დაადგებაო, ყველაფერი პირიქით მოხდა.

ისრაელში ქალბატონი ჰილარის გამოსვლის შემდეგ, სადაც მან ფაქტობრივად ღიად გამოხატა თავისი მხარდაჭერა საქართველოს ხელისუფლების მისამართით, ალბათ, არავის აქვს იმის ილუზია, რომ აშშ-ს ადმინისტრაცია





რაიმე ქმედით ზომებს მიიღებს საქართველოში სამართლიანი არჩევნების ჩატარების უზრუნველსაყოფად.

* * *

ქალბატონი ჰილარი თანდათან ემსგავსება „ნაცმოძრაობის“ ვეტერან წევრს, ხათუნა ოჩიაურს.

რაც არ უნდა ელაპარაკო, რა არგუმენტები არ უნდა მოუყვანო სააკაშვილს საწინააღმდეგოდ, ოჩიაურის ქალი მაინც თავისას გაიძახის და საყვარელი მიშას თუნდაც მცირეოდენი ნაკლის და ზადის გაგებაც კი არ უნდა.

ასეა ქალბატონი ჰილარიც — მას, როგორც ბოლო სტუმრობისას, ისე მანამდეც არაერთხელ დაწვრილებით მოუყვნენ რა უმსგავსობებსაც სჩადის სააკაშვილი, მაგრამ ქალბატონმა ყველაფერი ერთ ყურში შეუშვა, მეორედან გამოუშვა და ისრაელში ხათუნა ოჩიაურის როლში მოგვევლინა: ბათუმი ახალი ლას-ვეგასია, ხოლო იუსტიციის სახლი ტექნიკის საოცრებაა...

**ჩვენ რაზე შემოგჩივლეთ და შემოგღაღადეთ, თქვენ კი რით გვპასუხობთ, ძვირფასო ქალბატონო?**

**ჩვენ დემოკრატია გვინდაო, გეხვეწებით, დამოუკიდებელი სასამართლო გვინდა, თავისუფალი მედია გვინდა, სამართლიანი არჩევნები გვინდაო, გემუდარებით, თქვენ კი კაფე-ბარებზე, რესტორნებზე და იუსტიციის სახლზე გვებაასებით?**

**ზუსტად ასე იქცევიან „ნაცმოძრაობის“ „პოლიტხელები“ — პალიკო, აკუ, ბოცო, ხათუნა, ჩიორა, პეტკა და სხვები, თქვენ კი, ამხელა ზესახელმწიფოს ერთ-ერთი ლიდერი, როგორ დავიჯეროთ, რომ „ნაცმოძრაობის“ წევრი გახდით ფარულად და ზემოთჩამოთვლილი პირები თქვენი პარტიული „აფხანიკები“ არიან?**

* * *

იყო ერთი ასაკოვანი კაცი, რომელიც საუბარს მუდმივად ერთი და იგივე ფრაზით იწყებდა: — მე რომ ოსმალეთში ვიყავი...

გავა დრო, ასე 20-30 წელიწადი, უკვე ასაკში შესული ქალბატონი ჰილარი თავის შვილიშვილებსა და შვილთაშვილებში ჩაჯდება და დაიწყებს: — მე რომ საქართველოში ვიყავი... და მეათასედ თუ ათასმეერთედ მოჰყვება, რა საოცრება ნახა ბათუმის იუსტიციის სახლში და ბათუმის კაფე-რესტორნებში, თუმცა არაფერს იტყვის იმის შესახებ, საქართველოდან მისი წასვლის მეორე დღესვე როგორ დაერია სააკაშვილი თავის პოლიტიკურ ოპონენტებს.

* * *

**... სიცილ-კისკისით ჩამოვიდა, მასპინძელიც სიცილ-კისკისით შეეგება, მერე ერთად, ორ ხმაში ისიცილ-იკისკისეს, მერე ის წავიდა, ეს დარჩა და ახლა მთელ ქვეყანას უპირებს დედა უტიროს და ცხარე ცრემლებით ატიროს.**

**ასე იცის უადგილო სიცილ-კისკისით უზნეობის წახალისებამ და წაქეზებამ...**

* * *

„ჰილარი კლინტონის ვიზიტის შემდეგ ცხადი გახდა, რომ ქართველ ხალხს და ბიძინა ივანიშვილს ამერიკის კი არა, მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონდეთ, — ვკითხულობთ სოციალურ ქსელებში.

ტექსტის ავტორი ვიღაც უცნობი და უსახელო „ექსპერტია“, თუმცა სახელს რა მნიშვნელობა აქვს, მთავარი ის არის, რომ ეს კაცი, მგონი, სიმართლეს ამბობს.

**გიორგი გამეზარდაშვილი**

# gigi wereTeli: darwmunebuli var, oqtomberSi xalxi swor arCevans gaakeTebs

*„საერთო გაზეთს“ „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი* ***გიგი წერეთელი*** *ესაუბრა.*

**— ბატონო გიგი, პარლამენტის თავმჯდომარის ინიციატივა, რომელიც საკაბელო ტელევიზიების მიერ ყველა სატელევიზიო არხის გავრცელებას გულისხმობს, საზოგადოების ნაწილმა უცნაურ დამთხვევად მიიღო, რადგან ერთი დღით ადრე „გლობალ ტვ“-ის ანტენების დაყადაღება მოხდა. საზოგადოების ნაწილი თვლის, რომ მმართველმა გუნდმა აღნიშნული ინიციატივით ერთგვარად იმ აგრესიის შერბილება მოახდინა, რაც „გლობალ ტვ“-ის ირგვლივ შექმნილმა პრობლემებმა ხალხში გააჩინა. რას ფიქრობთ ამ ფაქტთან დაკავშირებით?**

— დროში ყველაფერი ერთად და სწრაფად ვითარდება და შესაძლოა, საზოგადოების ნაწილს ჰქონდეს ასეთი პოზიცია და მომხდარი ფაქტები ერთმანეთს დაუკავშიროს, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ საკაბელო ტელევიზიებთან და „მასტ ქერის“ საკითხთან დაკავშირებით უკვე დიდი ხანია მსჯელობა მიმდინარეობს და მანმადე, სანამ „გლობალ ტვ“-ის სატელევიზიო ანტენების დაყადაღება მოხდებოდა ხელისუფლების მხრიდან, კეთდებოდა სხვადასხვა სახის განცხადებები იმის შესახებ, რომ მოსახლეობას უნდა ჰქონდეს ის ინფორმაცია, რაც მას სჭირდება, დანარჩენს კი ინდივიდი თავადვე გადაწყვეტს, თუ რომელ არხს უყურებს. „გლობალ ტვ“-ის ქმედებები ანტენების უფასო დარიგებასთან დაკავშირებით, წინასაარჩევნო პერიოდში არაკანონიერად ჩაითვალა. ამ თემაზე ბევრი განმარტება გაკეთდა და აღარ შევჩერდები, თუმცა რისთვისაც ეს კეთდებოდა, ახლა უკვე კანონით მოხდება რეგულირება. მთავარია, ვისაუბროთ იმ შედეგზე, რაც ამ ინიციატივას მოჰყვება. ძოგადად, ეს არის პროცესი, არა მარტო კონკრეტული პარტიის პოზიტიური იმიჯის შესაქმნელად, არამედ ეს ინიციატივა საქართველოსა და საქართველოს ხალხის მომავლისთვისაა მნიშვნელოვანი.

**— „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერის თინა ხიდაშელის განცხადებით, ხელისუფლებამ „გლობალ- ტვ“-ის ანტენები მიზანმიმართულად დააყადაღა, რათა შეეზღუდა „მაესტროსა“ და „მეცხრე არხის“ ტრანსლირება. როგორია თქვენი კონტრარგუმენტი?**

— თინა ხიდაშელი და მისი კოლეგები ხშირად საუბრობენ იმ საკითხებზე, რაზეც კომენტარის გაკეთება არც ღირს. კოალიციის წარმომადგენლებს შეუძლიათ საკითხი ასეც დააყენონ, რადგან მათი მხრიდან ეს ყველაზე რბილი შეფასება იქნება, რასაც „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები ზოგადად აკეთებენ ხოლმე. მათ ასეთი მოსაზრება აქვთ და ვერ გადავათქმევინებთ, მაგრამ ყველას უნდა მოეხსენებოდეს, რომ ყველას მოქმედება კანონთან შესაბამისობაში უნდა იყოს.



**— რამდენად კანონიერად თვლით იმ მასშტაბურ ჯარიმებს, რომელთაც კონტროლის პალატა „ქართულ ოცნებასა“ და ბიძინა ივანიშვილს აკისრებს. ოოცნების წარმომადგენლები თვლიან, რომ მათი მისამართით სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი უკანონოა, რადგან მოსარჩელე მხარეს წაყენებული ბრალდებების დასადასტურებლად კონკრეტული მტკიცებულებები არ გააჩნიათ?**

— ამ ფაქტთან დაკავშირებით, კონტროლის პალატამ და პროკურატურამ არაერთი განცხადება გააკეთა, საკმაოდ ბევრი ფაქტი იყო „ქართული ოცნების“ დარღვევებთან დაკავშირებით. მნიშვნელობა არ აქვს, რომელი პარტიაც არ უნდა იყოს, პირადად მე, „ნაციონალური მოძრაობა“ ან ჩვენთან დაკავშირებული პირი კანონის დარღვევის შემთხვევაში, ყველამ პასუხი უნდა აგოს.



**— საუბრობენ, რომ კონტროლის პალატის ფინანსური მონიტორინგის სამსახური მიზანმიმართულად მოქმედებს „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ. კონტროლის პალატის მიერ დაკისრებული ჯარიმებით, თუ ვიმსჯელებთ, ამ კუთხით „ქართული ოცნება“ ლიდერობს?**

— „ქართულ ოცნებაში“, ალბათ, ყველაზე მეტად ხდება ფულის მიმოქცევა და ფინანსურად კოალიცია მართლაც ყველაზე უფრო ძლიერია. თუმცა ბოლო დროს კოალიციის წარმომადგენლების მხრიდან გვესმის, რომ „ქართულ ოცნებას“ ფინანსურად გაუჭირდა და ახლა საზოგადოების შემოწირულობის იმედადაა. სიმართლე გითხრათ, მე პირადად, არავის ფინანსებს არ ვთვლი. ახლა ჩვენ სხვა საკითხებით ვართ დაკავებულნი. ვხვდებით მოსახლეობას და ვესაუბრებით, თუ როგორ უნდა დავასაქმოთ ისინი, როგორ უნდა მოხდეს ქვეყნის განვითარება და სხვა.

**— კანონი „პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ პოლიტიკურ პირებსა და სუბიექტებს ამომრჩევლის მოსყიდვას უკრძალავს. თუმცა ბოლო პერიოდში საქართველოში გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც „ნაციონალური მოძრაობის“ სახელით მიდიან ოჯახებში, ისმენენ მათ პრობლემებს და კვლავაც „ნაციონალური მოძრაობის“ სახელით პრობლემის გადაჭრას სთავაზობენ. თუ გსმენიათ აღნიშნული ფაქტების შესახებ და ითვლება თუ არა ეს ფაქტი ამომრჩევლის მოსყიდვად და კანონის დარღვევად?**

— კოორდინატორები ყველა პარტიას ჰყავს, ყველა პარტიას კონტაქტი აქვს ამომრჩეველთან, ისმენს მათ პრობლემებს და ამას, ალბათ, ყველა პარტიის კოორდინატორი აკეთებს.

**— თუმცა, როცა მმართველი გუნდის სახელით ხდება დაპირება, ან სახურავის შეკეთება, მკურნალობის, ოპერაციის დაფინანსება და ა.შ. არ არის ეს კანონის დარღვევა და ამომრჩევლის მოსყიდვა?**

— კოორდინატორების ქმედებებს თუ მოსყიდვის სახე აქვს და ვინმე ამომრჩევლის ხმის მიცემის სანაცვლოდ პრობლემის მოგვარებას ჰპირდება, ეს კანონით და, ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში, უნდა ამოქმედდეს კანონით გათვალისწინებული სანქციები.

**— ბატონო გიგი, ხელისუფლების მხრიდან ხშირად ვისმენთ, რომ საქართველო დემოკრატიის გზით ვითარდება, თუმცა რამდენად ჯდება დემოკრატიულ სტანდარტებში „ნაციონალური მოძრაობის“ ქმედება, როცა მას შემდეგ, რაც ივანიშვილი პოლიტიკაში შემოვიდა, ხელისუფლებისთვის იგი რუსეთის ინტერესების გამტარებლად მონათლა?**

— ჩვენთვის მნიშვნელოვანია და ჩვენს ინტერესებშია საქართველოს უფრო მეტად განვითარება, ეკონომიკურად ქვეყნის წინსვლა და ის, რომ ხალხს რაც შეიძლება ნაკლები პრობლემები ჰქონდეს. თუ ვინმე ამ საქმეში ჩვენს ხალხს დაეხმარება, ძალიან კარგია და მივესალმებით. მთელი მსოფლიოს მასშტაბით, როდესაც კონკრეტული ადამიანის მიერ პოლიტიკაში ფულის დაბანდება ხდება, შემდეგ მის მიმართ ჩნდება კითხვები, თუ რა მიზნები აქვს, როგორია მისი სტრატეგია და, ბუნებრივია, მისი ფულის წარმომავლობაზეც დაისმება კითხვები. ამაში უჩვეულო არაფერია, ეს სპეციფიკა პოლიტიკისთვის დამახასიათებელია.

**— ბიძინა ივანიშვილი როდესაც აფინანსებდა ხელისუფლებას, ქართულ ჯარსა და პოლიციას, მისი მისამართით ასეთი შეკითხვები არ გაჩენილა, მაშინ რა, არ ჰქონდა ე.წ. „რუსული ფული“?**

— მაშინ ეს კითხვები იმიტომ არ ისმებოდა, რომ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკურად აქტიური არ იყო და ეს ჩვეულებრივი ამბავია. როგორც კი ივანიშვილი პოლიტიკაში მოვიდა და მისი მხრიდან გაკეთდა განცხადება ხელისუფლებაში უმრავლესობით მოსვლის თაობაზე, პრემიერობის შესახებ, ბუნებრივია, მისი მისამართით ბევრი კითხვა დაისვა, მათ შორის ბიზნესთან და ფულთან დაკავშირებით. რუსეთთან კავშირზე კითხვის დასმა ცოტა ზედმეტია, რადგან არც არავის არ დაუმალავს, რომ ივანიშვილს თავისი ქონების დიდი ნაწილი სწორედ რუსეთში აქვს დაგროვილი.. მაშინ, როდესაც ივანიშვილის ბიზნესებს რუსი მაღალჩინოსნები ყიდულობენ, მე მგონი, აქ ივანიშვილის რუსული ფულის წარმომავლობის შესახებ კითხვები აღარ უნდა დაისვას.

**— „ქართული ოცნება“ წინასაარჩევნო კამპანიის დაწყების ფარგლებში აქციებს მართავს, რომლებიც ხალხის სიმცირეს ნამდვილად არ უჩივის.ააქციაზე მისული ხალხის მასშტაბებიდან გამომდინარე, პოლიტოლოგებმა და ექსპერტებმა განაცხადეს, რომ ქართველმა ხალხმა თავისი ხელისუფლება უკვე აირჩია. თქვენ ასეთ სიტუაციაში როგორ შეაფასებთ საპარლამენტო არჩევნებზე თქვენ შანსებს?**

— ყველაფერი ოქტომბრის არჩევნების დროს გამოჩნდება. მე, პირადად, „ქართული ოცნების“ აქციაზე ხალხის რაოდენობა არ გამკვირვებია, რადგან საზოგადოებაში არსებობს ასეთი გადანაწილება, რომ ოპოზიციურ პარტიებს სადღაც უფრო მეტად, სადღაც ნაკლებად უჭერენ მხარს. პირიქით, „ქართული ოცნების“ აქციებთან დაკავშირებით არავის ხელი არ შეუშლია, პროტესტი არ გამოუთქვამს, რაც თავისთავად საქართველოში არსებულ დემოკრატიაზე მეტყველებს. ჩატარდება წინასაარჩევნო კამპანია, პოლიტიკოსები შეხვდებიან ამომრჩეველს, გააცნობენ სამოქმედო პროგრამას და ამის შემდეგ ხალხი გადაწყვეტილებას მიიღებს. ვნახოთ, დადგება ოქტომბერი, ჩატარდება არჩევნები და, დარწმუნებული ვარ, რომ საზოგადოება სწორ არჩევანს გააკეთებს. მთავარია, არჩევნების შემდეგ როგორ გააგრძელებს ქვეყანა და ქართველი ხალხი ცხოვრებას, როგორ მოგვარდება სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, რადგან ჯერ კიდევ ძალიან ბევრ ადამიანს უჭირს. ჩვენ ამ საკითხების მოგვარებაზე ვფიქრობთ, თუმცა არსებობენ ადამიანები, რომლებიც არჩევნების ჩატარების შემდეგ ხალხის ქუჩაში გამოყვანაზე ფიქრობენ. დაიწყონ ყვირილი და ნანახი სპექტაკლების განმეორება მოხდეს, თითქოს გაიმარჯვეს არჩევნებში, თუმცა შედეგები სხვა არის და ა.შ. ამიტომ ამის პრევენციისთვის ჩვენ ღიად არაერთხელ განვაცხადეთ, რომ საქართველოსი არჩევნებისთვის რაც შეიძლება ბევრი დამკვირვებელი უნდა ჩამოვიდეს.

**მირანდა ნაბახტეველი**

*„საერთო გაზეთის“ სტუმარია მსახიობი* ***ᲓᲘᲛᲐ ᲯᲐᲘᲐᲜᲘ***

# es xelisufleba drozeTu ar `davayadaReT~, adgeba da aqiT dagvayadaRebs



**— ბატონო დიმა, ინტერვიუს ჩაწერამდე ბევრი რამ ისეთი ვთქვით, რაც საგაზეთო ნამდვილად არ არის, დრო თვითონ იტყვის, მაგრამ ბევრი რამ მაინც დაგრჩათ სათქმელი...**

— თქვენ იცით, პარლამენტის თავმჯდომარემ რაც განაცხადა ტელე-მაუწყებლობასთან დაკავშირებით და გეტყვით, რაშია საქმე — დღეს არ არის გასული საუკუნის 30-იანი წლები, წამყვანი ქვეყნის ელჩებმა შეაფასეს შექმნილი რეალობა, დაიბარეს „ზემოთ“ მდგომები და უთხრეს: ასე არ გამოვა, თქვენ რომ გინდათო...

ბიძინა ივანიშვილი რომ არ გამოჩნდებოდა, ამაში ესენი დარწმუნებულები იყვნენ და ამბობდნენ, რომ ეხმარება საქართველოს, ქართველ ხალხს, დიდი წვლილი შეაქვს საქართველოს აღმშენებლობაში. აგერ, როგორ აშენებს ეკლესიებს, თეატრებს; როგორი რემონტი გაუკეთა ოპერის თეატრს, თუნდაც, რა თანხა დაჯდა ის გადახურვა და ა. შ ტრაგიკულად ყველაზე მეტად იმას განვიცდი, ეს ადამიანი რომ გამოჩნდა, თქვა, კენჭისყრაში მინდა მონაწილეობის მიღება, პრეტენზია მაქვს გავხდე საქართველოს პრემიერ-მინისტრიო და რა რეაქციაც მოჰყვა ამას. რას ჰქვია, გინდა, ეს ადგილი ჩვენი და ჩვენი შთამომავლობისთვის გვაქვსო — ამას მეუბნება მე წიკლაური, მინაშვილი, კუბლაშვილი — ეს არის ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელი. რატომ უნდა გერგოს თანამდებობა მემკვიდრეობით, აგერ არის მოედანი, ვითამაშოთ სუფთად და არჩევანი ხალხმა გააკეთოს. ვინ და რა დაუკანონა ამათ, ვინ არიან, რა გაუკეთებიათ!

ახლა ვიღაც შემომედავება — შენ რაღა გაგიკეთებიაო. კარგი, ბატონო, არ გამიკეთებია, მაგრამ მათზე მეტი ხომ ვარ წლოვანებით, მათზე მეტი ხომ მინახავს რაღაც!

პირადად არ მინახავს, მეგობარმა მაჩვენა ჩანაწერი და აუცილებლად უნდა ვთქვა თქვენი გაზეთის მეშვეობით, ვფიქრობ, ბატონი ვახტანგი არ იქნება წინააღმდეგი, — არის ასეთი პოლიტიკური მოძრაობა „თავისუფლები — გამსახურდიას გზა“ და მისმა წარმომადგენელმა მალხაზ გორგასლიძემ აიღო და „მიწაში ჩამდო“ ორიოდე დღის წინ, რაც შეეძლო გადამიარა.

**— ყველა — ყველა და, ის რაღას გერჩით.**

— არ ვიცი, არა! მოძრაობის სახელს უყურეთ, სიტყვებს, „გამსახურდიას გზა“ და „თავისუფლები“ — შე კაი კაცო, ახლა, მე ხომ არ დაგაბრალებ იმას, რომ სააკაშვილთან ხარ წილნაყარი, მაგრამ შენი გამოსვლის შემდეგ ახლობლები მეუბნებიან ამას.

**— მიზეზი ხომ უნდა ჰქონდეს, რაო?**

— შენო, ზუგდიდელებს რომ ეფერებიო, ისეთი გვარები გამოგრჩაო — ვიღაც-ვიღაცების გვარები დაასახელა. მე არაფერი გამომრჩენია, ის ადამიანები დავასახელე, რომლებიც ზუგდიდში რომ დადიოდნენ, სინდის-ნამუსი იყვნენ. ახლა, გვადი? თუ გვანჯი? ჩიქოვანი იყო არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი მსოფლიოს ლეგენდა; საშა ეგუტია, თეატრის დირექტორი — ლეგენდა და ბიჭი იყო ერთი კიდევ, რომ იტყვიან, „მოძველბიჭოო“, მაგრამ ზუგდიდის სული ფერდინანდ ჟღერია საოცარი ადამიანი. ყველას აღარ ჩამოვთვლი, დასახელებული მყავს უკვე და ეს მალხაზი ახსენებს ერთ ბიჭს, ეს არ დაგისახელებიაო. კაცო, მე იმ ბიჭს დიდ პატივს ვცემ და ღმერთმა ნათელში ამყოფოს, მაგრამ მე რასაც ვამბობ და იწერება, ვიცი რას ვამბობ და რატომ... მერეო, ზუგდიდელებს როგორ შეიძლება მოეწონოს, ჭუბერის გზით რომ მოდიოდაო.

**— თქვენს შემთხვევაში, ჭუბერზე გადმოსვლისას იგულისხმა რაღაც უთუოდ...**

— ჯერ ერთი, ვერ გავიგე, რატომ მოდიოდა ჭუბერის გზით, წამოსულიყო პირდაპირი გზით, ხალხი დახოცაო იქო და...

**— თქვენ?**

— კი, კი, „ზვიადისტებს“ აქვთ ეს პრეტენზია, რომ 18 კაცი მოვკალი ჭუბერის გზაზე. არ მინდა შეურაცხყოფა მივაყენო, ახალგაზრდა ბიჭია, არც უნდა ვეპასუხებოდე იქნებ, მაგრამ ჭუბერის გზით წამოვედი იმიტომ, რომ აქით გზა ჩაკეტეს აფხაზებმა და რუსებმა. ის თუ იმას გულისხმობს, რომ ჩვენ ჩავედით ჭუბერში და მერე მე მომიხდა 80 კმ. კიდევ ფეხით სიარული ჩემ შვილთან და ჩემ მეგობრებთან ერთად მესტიამდე, ახლავე ავხსნი ამას — ეს არც ზუგდიდის და არც ზუგდიდელების ბრალი არ არის. იმ დროს, ის ფორმირებებს ზუგდიდში, რომლებშიც თითქმის ყველა კუთხის წარმომადგენლები იყვნენ გაერთიანებულები, ჰქონდათ გეგმა, რომ მოვეკალით. ეს ამბავი სრულიად შემთხვევით გაიგო ჩემი მეგობრის შვილმა, სახეზე არც მიცნობდა, ისე ამოვარდა და მეძებდა, მამაჩემმა თავის ყურით მოისმინა და ნუ იზამთ ამას, მესტიით წადითო...

მერე, ამბობს, რომ ზვიად გამსახურდიას უღალატაო. ჩემს ცხოვრებაში, ეროვნულ მოძრაობაში რომ ვიყავით, სოხუმში, მიტინგები თითქმის ყოველთვის მე მიმყავდა. არასდროს მიხსენებია ზვიადი კრიტიკული კუთხით — ეს დანამდვილებით იცის მისი ოჯახის ყველა წევრმა. რომ იკლავენ ახლა თავს მალხაზ გორგასლიძეები და მისი მიმდევრები, ერთხელ გამოვედი, ვთქვი და ახლაც ვიმეორებ, თუ თქვენს გაზეთში ეს დაიბეჭდება, ძალიან კარგი იქნება — როდესაც კონსტიტუციის მოედანზე მიტინგი მიმყავდა, გავიხედე და რას ვხედავ, ილია II-ს სურათი გადახაზული და თავდაღმა უკავიათ, იქვე ჯოჰარ დუდაევის სურათი უჭირავთ ხელში და სკანდირებენ, რომ ასე გამოტანა ზვიადის აზრია. მე გამოვედი და ვთქვი, რომ ეს ზვიადის აზრი არ არის, ეს თქვენ ხართ მიტმასნულები (როგორც ხდება ხოლმე ცხოვრებაში) და სახელს უფუჭებთმეთქი ზვიადს.

კი, ბატონო, დუდაევმა პატივი სცა ზვიადს და მეც პატივს ვცემ, როგორც სამშობლოს თავისუფლებისთვის მებრძოლ კაცს, მაგრამ ილია II-ს გადახაზულ სურათზე ხმის ამოღება თუ მეთვლება დანაშაულად, არ ვიცი — მეტი, სხვა შემთხვევა, მე არ მქონია.

ახლა, რაც თქვენ ბრძანეთ ინტერვიუს დაწყებამდე ბატონი ივანიშვილის გზასთან დაკავშირებით — რაც დაწყებულია, იმას ვერაფერი ველარ შეაჩერებს. ხალხის ყოველი გამოსვლა — 27 მაისს თბილისში, შემდეგ ქუთაისში, ოზურგეთში, ახლა მცხეთა-მთიანეთია, შემდეგ კიდევ ყველგან და ამას რომ ხედავს ხელისუფლება, აგონიაშია, რას აკეთებენ, ვერ გაიგებ. წინა დღეს დააყადაღეს „თეფშები“ და მეორე დღეს საპირისპირო გამოაცხადეს, აღარ იციან რას ლაპარაკობენ და აკეთებენ, თვითონვე ეწინააღმდეგებიან საკუთარ თავს.

მე ზესტაფონის რაიონში ადამიანები ვნახე, რომელთაც, ზოგს რაღაცას პირდებიან, ზოგს ემუქრებიან, აშინებენ — მოდიოდნენ ეს ადამიანები და ამბობდნენ, ვერ შემაშინებენ, არ მეშინიაო — გატყდა შიში!

ზღვა ხალხი იყო ქუთაისში, გადაიტენა ქუჩები — ამას ვერ ხედავს ხელისუფლება? ოზურგეთში? — მთლიანად გურიაში სამი რაიონია და 80 000 კაცი ცხოვრობს, რა რაოდენობის ხალხიც იქ გამოვიდა რომ შევადაროთ, თბილისის მასშტაბით 3 მლნ. რომ გამოსულიყო, ისეთი თანაფარდობა იქნებოდა — ამას, ძალიანაც რომ მოინდომონ, ვერ შეაჩერებენ!



**— ჰოდა, აი, მივედით იქამდე, რის გასაგებადაც მე მოვედი თქვენთან.**

— მივედით და მოგახსენებთ — ყველაფერს აკეთებს ხელისუფლება იმისათვის, რომ ქუჩაში გაგვიყვანოს, დაგვერიოს და მერე თქვას, რა დროს არჩევნებია, სამოქალაქო ომია ქვეყანაშიო — ეს არ უნდა დავუშვათ.

**— აბა, რა უნდა დავუშვათ, ასე, თავის ნებაზე ყველანი რომ დაგვაყადაღონ?**

— არ არის ნებაზე მიშვებული — არ მინდა ამაზე საუბარი ინტერვიუში... ეს არის რეზინი, რომელიც რვა წლის განმავლობაში გაიჭიმა, გაიჭიმა და მემილიარდედი პროცენტიღა დარჩა, მეტი ველარ გაიჭიმება, გაწყდება, მაგრამ უნდა გაწყდეს კარგად, ისე, რომ ქვეყანა არ ჩაიყოლოს...

**— ამბობთ, ველარ გაიჭიმებაო, მაგრამ ქალბატონი კლინტონი რომ იყო ჩამოსული, ბედნიერი ღიმილი ჰქონდა ბატონ სააკაშვილს, მისი წასვლის შემდეგ კი, სტუმარი ცაში რომ იყო ჯერ კიდევ, ახალი სადამსჯელო ქმედებები დაიწყო უკვე...**

— ეს რომ ასე იქნებოდა, ცნობილი იყო. იმ ვითომ ღიმილით და შემდეგ დასჯის ახალი მეთოდებით, ვითომ აჩვენა ვიღაცას, რომ ყველაფერში „მწვანე აქვს ანთებული“ — არაფერი მწვანე, ეს არის მისი ხელისუფლების ბოლო ფართხალი.

არის ლაპარაკი და ზესტაფონშიც ითქვა, ამის შესახებ, ხელისუფლება რომ შეიცვალოს, ხალხს გაუშვებენ სამსახურებიდანო — არავინ არავის არსად არ უშვებს, მათ, ვისაც საქმე არ ექნება დამოუკიდებელ სასამართლოში.

**— ამაშია ძაღლის თავი დამარხული...**

— დიახ, საუბედუროდ, ძალიან ბევრს აქვს დანაშაული ჩადენილი და ზოგს ისეთი — თქვენ ჩემზე კარგად მოგეხსენებათ. „ზემოთ“ იმდენი ვიცი, მათ ჩამოთვლას გაზეთის ერთი ნომერი არ ეყოფა, სისხლში რომ აქვთ ხელი გასვრილი — ეს საშინელებაა...

რაც შეეხება „სახალხო კრებას“, მე ვარ „საერთო სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობის„ წევრი და ვარ „სახალხო კრების“ დარბაზის წევრიც. მოდით, მოვლენებს ნუ გავუსწრებთ — ამ ხელისუფლების გულის გასახეთქად ყველაფერი ისე იქნება, როგორც „სახალხო კრებასაც“ უნდა, ბიძინა ივანიშვილსაც და მთლიანად საქართველოსაც. ამას რომ ქართველი კაცი ქართველებზე ვამბობ, ალბათ, მეც დასაწყევლი ვარ, მაგრამ ისე წაიყვანეს საქმე და ისეთ დღეში ჩააგდეს ადამიანები, უკვე აღარ შემიძლია, ამათი დანახვაც აღარ შემიძლია უკვე...

საოცრად დიდ პატივს ვცემ თქვენს გაზეთს, მის რედაქტორს, ყველა იქ მომუშავე ადამიანს, იმიტომ, რომ იქ არიან გულანთებული, საქართველოზე შეყვარებული ადამიანები, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ საქართველო სწორ გზას დაადგეს. მე თქვენ გიერთდებით და ვამბობ, ჩვენ სწორ გზაზე მივდივართ — ყველაფერი კარგად იქნება!

**ᲛᲐᲘᲐ ᲭᲔᲚᲘᲫᲔ**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ



# dRes `nacionalur moZraobas~ ivaniSvilis ki ara, saakaSvilis unda eSinodes!

**გვესაუბრება „ამომრჩეველთა ლიგის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი გოგა ხაინდრავა:**

**— ბატონო გოგა, ქვეყანაში პროცესები უმართავი ხდება — ერთ უკანონობას მეორე მოსდევს, მეორეს — მესამე და ა.შ. როდემდე უნდა უყუროს ამას ქართველმა ხალხმა?**

— ეს, ალბათ, ქართველი ხალხის გადასაწყვეტია. ის, რომ სააკაშვილი კრიმინალი, ყაჩაღი, ბანდიტი, მარადიორია და კრიმინალურ დაჯგუფებას ხელმძღვანელობს, დიდი ხანია ცნობილია. არასდროს დამავიწყდება ის მარადიორობა, რაც ბადრი პატარკაციშვილთან მიმართებაში განხორციელდა მას შემდეგ, რაც იგი სიცოცხლეს გამოასალმეს. დღეს ამ ყველაფერმა ღია ფორმა მიიღო. მგონია, რომ დღეს ორი ალტერნატივა არსებობს: ერთი — რა რეაქცია ექნება ამ უმსგავსობაზე საერთაშორისო საზოგადოებას, აშშ-ს, რამდენად გულწრფელნი იქნებიან ისინი და ამ რეაქციის მიხედვით მივხვდებით, თუ რამდენად შესაძლებელია მათთან საქმის დაჭერა, ასევე, რამდენად შეიძლება ჩვენი ქვეყნის ბედი, მომავალი ამ ქვეყნებთან იყოს დაკავშირებული. იმიტომ, რომ ფარისევლობასაც საზღვარი აქვს, მეორე — ქართველმა საზოგადოებამ თავად უნდა გადაწყვიტოს, გააჩნია თუ არა უნარი, დარჩა თუ არა სულიერების, ღირსების, თავმოყვარეობის ნასახი. ბუნებრივია, ყველას კარგად გვესმის, ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. თუ ასეთ მძლავრ ფიგურას, პოლიტიკურ მოთამაშეს, როგორიც ივანიშვილია, ასეთ დღეში აგდებენ, წარმოგიდგენიათ რა ელოდება თითოეულ ჩვენთაგანს ცალ-ცალკე აღებულს? აქ უკვე ეს მოქმედება ალვირახსნილია. ეს არის იმის მაგალითი, როდესაც ოჯახში, ყაჩაღები შევარდებიან და ქალებზე, ბავშვებზე ძალადობენ. ამის სიმპტომები უკვე დიდი ხანია არის. სამწუხაროდ, ჩვენ თვალს ვიბრმავებდით, ქართულ საზოგადოებას ძალიან გაუტკბა სირაქლემას პოზაში ყოფნა. ამიტომაც მივედით იმ დღემდე, რა დღეშიც დღეს ვართ. ბუნებრივია, ამას ბნელი ძალებიდან, როგორც დასავლეთიდან, ისე ჩრდილოეთიდან მხარდაჭერა აუცილებლად ექნება. ვფიქრობ, კამპანია, რომელიც რუსულ პრესაში დაიწყო და რომელთა ვარსკვლავები ბენდუქიძე და მერაბიშვილი არიან, მათი პიარი რუსულ პრესაში აქტიურად ხორციელდება. გარდა ამისა, ამის საფუძველია ქართული ეკონომიკის სრული გადაბარება რუსეთისთვის. და ის ფართო ტრიბუნა, რომელიც სოვდაგარ ბენდუქიძეს აქვს მიცემული. ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ ქართველი საზოგადოების ერთადერთი გზა — თვითგადარჩენაა. თავად უნდა ვიპოვოთ საკუთარ თავში ძალა, არავის იმედი არ უნდა გვქონდეს, წესიერებას, ღირსებას არანაირი გარე ძალები არ დაუჭერენ მხარს. საქართველოში ყველას თავისი ინტერესები აქვს, რაც ხშირ შემთხვევაში ძალიან საეჭვოა. უკანასკნელი მოვლენები — აქციებზე გამოსვლა თბილისში, ქუთაისში, ოზურგეთში, სწორედ იმაზე მეტყველებს, რომ ქართველი ხალხი ილვიძებს. ქართველ ხალხში ღირსება, თავმოყვარეობა ილვიძებს, რაც დიდი ძალაა და საწინდარია იმისა, რომ მას წინ ვერაფერი დაუდგება.

**— თქვენ აღნიშნეთ, რომ მომხდარ ფაქტებზე საერთაშორისო ორგანიზაციების რეაგირებას ელოდებით. აქამდე შეშფოთების მეტი არაფერი გამოთქმულა, ახლა რამდენად შეიძლება გვქონდეს ილუზია, რომ აშშ ქართველ ხალხს უჭერს მხარს?**

— არავინ არ უჭერს ქართველ ხალხს მხარს, არამედ ყველა მხარს უჭერს საკუთარ ინტერესებს. ყველას მოქმედება იქიდან გამომდინარეობს, თუ რა ვითარებაა ქვეყანაში. თუ საკუთარ თავში ძალას ვიპოვით, საქმეს სასიკეთოდ მოვატრიალებთ და მოვიცილებთ იმ სარკომას, რომელსაც სააკაშვილი ჰქვია, მასთან ერთად ყველა სარკომისტული მოვლენა — დასავლეთიდან, ჩრდილოეთიდან თუ აღმოსავლეთიდან წარმოშობილი, ქართულ საზოგადოებას, ჩვენ ორგანიზმს მოშორდება. შედეგად განვიკურნებით, გამოვჯანმრთელდებით, ფეხზე დავდგებით და საქართველოს ქვეყანად გადავაქცევთ, მაგრამ, თუ თავად ამის უნარი არ გვექნა, ჩვენზე არავინ იზრუნებს. კლინტონი, თუ ბათუმში სააკაშვილთან ერთად პიაცაზე გაივლის და ამ პირუტყვთან, კრიმინალთან, ნარკომანთან ღვინოს დალევს, ეს მისი ზნეობაა და მხოლოდ და მხოლოდ მისი ქვეყნის ღირსებაზე მეტყველებს. არც კლინტონის და არც არავის იმედი არ მაქვს. მე მხოლოდ ქართველი ხალხის, საკუთარი თავის იმედი მაქვს. დარწმუნებული ვარ, ამ საზოგადოებაში ნამდვილად არის ხალხი, რომელიც თავგანწირვისთვისაა მზად. „ნაციონალური მოძრაობა“ ტერორისტული ორგანიზაციაა ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. ეს არის ყაჩაღების და კრიმინალების გაერთიანება, რომელიც თავის გარშემო ყველაფერს ძარცვავს და ანადგურებს, ამას ჩვენ უნდა მოვუღოთ ბოლო. არც კლინტონი, არც სარკოზი ჩვენს გასაკეთებელს არასოდეს გააკეთებს. ამას გააკეთებს მხოლოდ ქართველი ხალხი.



**— ეს მართლაც მალე რომ მოხდეს, ხალხმა მტკიცე ნება უნდა გამოხატოს, დაუფარავად უთხრას უარი ხელისუფლებას..**

— საქართველოში ხელისუფლება არ არსებობს, არამედ, როგორც მოგახსენეთ, ეს კრიმინალური დაჯგუფებაა, რომელმაც ძალაუფლების უზურპირება მოახდინა და მხოლოდ ძალაზე დგას. ეს ძალაც გამოეცალა და დარჩა დიდი ფიტული, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, ერთი სულის შებერვა, თითის კვრა უნდა და იგი დავარდება, დაიმსხვრევა, როგორც ყველა კერპი. ახლა დიდი თვითორგანიზაცია გვმართებს. პროცესი, რომელიც საქართველოში მიდის და სათავეში „ქართული ოცნება“ უდგას, ძალიან დიდი იმედის მომცემია. ყველანი ვხედავთ, რომ პროცესები აღმასვლით მიდის. დარწმუნებული ვარ, სხვა პოლიტიკური ჯგუფებიც, რომელთაც სინდისი ჯერ კიდევ შერჩათ და ამ ყეენის, დეგრადირებული მანიაკის მსახურებაში არ არიან, ყველანი ერთად შევძლებთ ამ განგრენის მოცილებას.



**— აქციებზე გამოსვლით მოსახლეობამ საკუთარი განწყობა ნამდვილად გამოხატა, მაგრამ ხომ არ სჯობს, ოპოზიციამ ხალხი სცენაზე რომ გამოიყვანოს, ხელისუფლება მათთან დაპირისპირებას ველარ გაბედავს.**

— ეს ოქტომბერში განხორციელდება. მე ნამდვილად კარგად ვიცი, რა არის ქუჩის აქციები, რა ენერგიის მატარებელია და როგორ უნდა ამას მიმართვა. არავითარ შემთხვევაში კანონის ფარგლებს არ უნდა გადავუხვიოთ. უკანონობა, კრიმინალი — ეს სააკაშვილის გზაა. ამ გზაზე არ უნდა დავდგეთ. ბევრი კრიტიკა მოვისმინეთ იმ ოპოზიციურმა ძალებმა, ვინც ამ დრომდე მიიყვანა ვითარება, შეარყია, შეაზანზარა სააკაშვილის ხელისუფლება. სამწუხაროდ, არ გვეყო ძალა ეს კერპი დაგვემსხვრია, მაგრამ მოვიდა ახალი ძალა, რამაც ახალი შესაძლებლობები გააჩინა და მჯერა საქმეს ბოლომდე მივიყვანთ.

სააკაშვილი, როგორც პოლიტიკური ფიგურა, დამთავრდა, იგი დღეს გახრწნილი გვამია, როგორც მისი კრიმინალური დაჯგუფება, რომელიც სულს ღაფავს.

**ამ თაყრილობის სათავეში მანიაკი დგას, რომლის გარშემო ბრბოა, რომელიც მზადაა მას ცოლები, შვილები და ყველაფერი შეწიროს. მოთმინებითა შენითა მოიპოვე სული შენი. ამ შემთხვევაში ყველაზე დიდ მაგალითს ბიძინა ივანიშვილი გვაძლევს, ვინც ძირითადი დარტყმის ობიექტია, ვისაც ჯიჯგნიან, ცდილობენ წყობიდან გამოიყვანონ, დააგლიჯონ ხორცები და გაანადგურონ, მაგრამ ივანიშვილი მშვენიერ მაგალითს იძლევა, თუ როგორ მოთმინებას უნდა ფლობდეს ლიდერი.**

ვფიქრობ, დრო მოვიდა, ქართულმა საზოგადოებამ ივანიშვილს მხარი დაუჭიროს არა მარტო მორალურად, არამედ ფინანსურად. ეს მხოლოდ მოგებას მოგვიტანს, მცირეოდენი თანხა ყველას შეუძლია გაიღოს საკუთარი გამარჯვებისთვის. ყველამ ერთად უნდა ვუთხრათ არა ბოროტებას, სისასტიკეს. ვერანაირი მოგელაძე, ადეიშვილი, მერაბიშვილი ქართველ საზოგადოებას ვერ მოერევიან, ხალხის ძალას ვერ დაუპირისპირდებიან. ამიტომ დიდი ყურადღებით ველოდები, საერთაშორისო საზოგადოების რეაქციას ამ ყაჩაღობაზე. მას არც საერთაშორისო სამართალთან, არც კანონთან, არც კონსტიტუციასთან კავშირი არ აქვს. სწორედ ახლა გამოჩნდება, რას წარმოადგენენ ისინი სინამდვილეში.

**— ბატონო გოგა, რა გაძლევთ ამის იმედს. სააკაშვილს არაერთხელ მოსთხოვეს, გონს მოეგეო, ბასმაც არაერთხელ გამოხატა შეშფოთება, კლინტონმაც მოუწოდა — დემოკრატიული არჩევნები ჩაატარეო, მაგრამ მეორე წუთში სააკაშვილმა ქუთაისში უდანაშაულო ხალხი დააპატიმრებინა. მაინც აშშ-ს იმედად უნდა ვიყოთ მაშინ, როცა მათი აზრი მიშას სრულებითაც არ ანაღვლებს.**

— როგორ არ ანაღვლებს. ვაშინგტონიდან განხორციელებულ ზარებს, ისინი გვერდს ვერ უვლიან. თქვენ რა გინდათ მითხრათ, რომ პარლამენტის ბიუროს წევრები დასხდნენ და გადაწყვიტეს საქართველოში კანონიერების აღდგენა? ეს ვაშინგტონის ზეწოლაა, რომელიღაც სახელმწიფო მდივნის მე-5 მოადგილის 38-ე თანაშემწემ დაურეკა ბაქრაძეს და მეორე დღესვე მიიღეს კანონი. ხალხი აღარ ჭამს კანონის მიღების გაწელვას და ათასი ხრიკების მოგონებას. თუ საერთაშორისო თანამეგობრობის წევრები ისევ გამოვლენ და გვეტყვიან კანონი ხომ მიიღესო, ამას ქართველი ხალხი აღარ ჭამს, რადგან ბევრი კანონია მიღებული, მაგრამ არ სრულდება. ეს მათ კარგად იციან. ვფიქრობ, თავადაც ესმით, რომ სამარცხვინო მდგომარეობაში არიან და რაც მთავარია, უკურეაქციას მიიღებენ. იმიტომ, რომ ჯოხს ორი ბოლო აქვს — ერთს დააბიჯებ, მეორე თავში მოგხვდება. ასეა ამერიკის პოლიტიკა — აქ თუ არ შეამჩნევ და შენი ინტერესების გამო ქართველი ხალხის ღირსებებს გაჭყლიტავ და ბოროტებას, უკანონობას დაუჭერ მხარს, უკუშედეგს სადღაც სხვაგან მიიღებ და ეს შედეგი ძალიან მძიმე იქნება აშშ-თვის. არ მინდა ასე მოხდეს იმიტომ, რომ მიუხედავად იმისა, რომ იქაურმა ჩინოვნიკებმა ქართველ ხალხზე ძალიან ცუდი შთაბეჭდილება დატოვა, აშშ მაინც დღემდე დემოკრატიის ფლაგმანად მიმაჩნია. აშშ საქართველოში ძალიან დიდი გამოცდის წინაშე დგას. საქართველო პატარა ქვეყანაა, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვან ადგილას იმყოფება და ბევრი ქვეყნის ინტერესებია გადაჯაჭვული ამ რეგიონში. ამიტომ, რასაც აქ დასთესავენ, იმასვე მოიმკიან ტეხასში, პენსილვანიაში და ა.შ. ვფიქრობ, მათ დიდი ყურადღება და გონიერება მართებთ.

**— არჩევნებზეც მინდა გკითხოთ. ბევრი საუბარია იმაზე, რომ თუ ასე გაგრძელდა, შეიძლება არჩევნებამდე ვერც მივიდეთ. როგორ ფიქრობთ, რამდენად არის ხელისუფლების გეგმაში არჩევნების ჩაშლა?**

— რა თქმა უნდა, ეს მათთვის ერთადერთი გამოსავალია. მაგრამ ეს მცდელობა ფუჭი იქნება. ეს მათ ჰგონიათ, რომ არჩევნების ჩაშლა გამოსავალია. სინამდვილეში ასე არაა, ისინი ცუგცვანგში არიან. სააკაშვილის, „ნაციონალურ მოძრაობას“ სვლა არ აქვს. ბუნებრივია, ყველაფერს შეეცდებიან, მათ შორის, ნებისმიერი სახის კონფლიქტის გაღვივებაზე წავლენ, მაგრამ მათ ამის უნარი, ძალა არ გააჩნიათ. რაც შეეხება რეპრესიებს, მათი რეპრესიების აღარავის ეშინია. ქართველ ხალხს აღარ ეშინია, მან იპოვა თავის თავში ძალა და სათქმელი ხმამაღლა თქვა და კიდევ უფრო ხმამაღლა იტყვის. საბოლოო ჯამში ეს დაგვირგვინდება იმით, რომ მთელი საქართველო გაერთიანდება.

**მექმნება შთაბეჭდილება, რომ თავად სააკაშვილი ვერ მივა არჩევნებამდე. მისი პიროვნული დეგრადაცია უკანასკნელ წერტილამდეა მისული. იგი არის მძიმე ავადმყოფი, ნარკომანიით დაავადებული. „ნაც. მოძრაობას“ მშვენივრად ესმის, რომ სააკაშვილი კლინიკური შემთხვევაა. მიუხედავად ამისა, იმდენად სულგაყიდულნი არიან, დაკარგეს ანალიზის უნარი, რომ ვერ აცნობიერებენ — ეს მათ შვილებს და პირველ რიგში, თავად მათ უქმნის საფრთხეს. დღეს „ნაციონალურ მოძრაობას“ ივანიშვილის კი არა, სააკაშვილის უნდა ეშინოდეს.**

21-ე საუკუნეში სიტყვის თავისუფლების შეჩერება ისევე შეუძლებელია, როგორც მერცხლების, ბელურების გუნდის გადაფრენა. ჩინელებმა სცადეს ეს კულტურული რევოლუციის დროს და ბელურებს ომი გამოუცხადეს. ეს რით დამთავრდა, ყველამ ვიცით — ბელურები ისევ იმდენნი არიან, მთელი თაობები შეეწირა უმოსავლოობას. სწორედ, ასეთი აზრები აქვთ ბოკერიებს, რამიშვილებს, სააკაშვილებს და შედეგსაც ვიმკით. ასე რომ,

**ყოველ წუთს ველოდები სააკაშვილის ჩამოქცევას — რაღაც რომ დაემართება, ეს პირდაპირ ჩანს, შუბლზე უბედურების ბუზი აზის, ეს ნაგვით სავსე გაერთიანება მალე ჩამოიშლება.**

**— თქვენმა საუბარმა ჩეხოვის სიტყვები გამახსენა — როცა სპექტაკლში კედელზე თოფი კიდია, იგი რომელიმე მოქმედებაში აუცილებლად გაისვრის...**

— ამ სპექტაკლში თოფი არ კიდია, ჩემო კარგო, ამიტომ ის არ გაისვრის. ამ სპექტაკლში „ნაციონალური მოძრაობის“ ჩონჩხი კიდია კედელზე. ასე, რომ ამ საფრთხეს ვერ ვხედავ. ეჭვი არ მეპარება აღმასვლა დაიწყება და ამის საწინდარი ხალხია.

**თამარ შველიძე**

# saakaSvilsmagidaze muSti daurtyams da mTeli xmiT uyviria: `seqtemberSi ivaniSvilis `duxi~ ar vnaxo saqarTveloSi, gaigeT?~



ხელისუფლების მიერ „გლობალ ტვ"-ის თეფშების მასობრივი ექსპროპრიაციის შემდეგ ერთი ადამიანი დამიკავშირდა და ასეთი რამ მიამბო: „ამბავს, რომელსაც ახლა მოგიყვები, მე პირადად არ დავსწრებივარ და ამდენად ფაქტების სიზუსტეზე თავს ვერ დავდებ, თუმცა, ვფიქრობ, ჭორია თუ მართალია ეს ყველაფერი, საზოგადოებამ მაინც უნდა იცოდეს.

როგორც ვთქვი, სხვის მონათხრობს ვყვები, თუმცა პირველწყაროს, სრულიად გასაგები მიზეზების გამო, ვერ დავასახელებ...

მოკლედ, საქმე ასე ყოფილა: მიხეილ სააკაშვილს, „გლობალ-ტვ"-ის თეფშებზე და აქსესუარებზე მასშტაბური შეტევის წინ, ოთხშაბათს, ძალზე მწვავე საუბარი ჰქონია „ნაცმოძრაობისა" და ხელისუფლების წარმომადგენელთა ერთ ჯგუფთან და კატეგორიულად მოუთხოვია: ხვალვე შედით ყველა ორგანიზაციაში, სადაც ეს თეფშებია დასაწყობებული და უკლებლივ ყველა გამოიტანეთ. რას ჰგავს ეს, სანამ მთელი საქართველო არ მოიფინება ამ თეფშებით და სანამ ივანიშვილი ყველა ოჯახში არ შევა სააგიტაციოდ, ყური არ უნდა შევიბერტყოთ? გვიანი იქნება მერე თითზე კბენანი... ამომრჩევლის პირდაპირი მოსყიდვაა ეს — დაგიყენებ თეფშს, მომეცი ხმა! დაგიმონტაჟებ თეფშს — გაწევრიანდი „ქართულ ოცნებაში"! რას უყურებთ თქვენ, რას ელოდებით? სანამ ბიძინა ივანიშვილი მთელ საქართველოს არ გადაუბრუნებს ტვინს, ხელი არ უნდა გავანძრიოთ და არაფერი არ უნდა მოვიმოქმედოთ? დაუყოვნებლივ, ხვალვე, დილიდან შეუდექით საქმეს და ყველა თეფში გამოიტანეთ.

— დამონტაჟებულებს რა ვუყოთ? — უკითხავს ვიღაცას.

— დამონტაჟებულებს ჯერ ხელი არ ახლოთ... მაგის დროც მოვა. როდის უნდა დაიწყოს ივანიშვილმა იმ 70 მილიონის გადახდა?

— ამ დღეებში, მაგრამ არ გადავიხდიო, ამბობს.

— არ გადაიხდის და მაგისი აჯობებს... კიდევ აჰკიდეთ ერთი ასი მილიონი, მერე კიდევ დაამატეთ, მერე კიდევ დაამატეთ... დაუყადაღეთ ყველაფერი, რაც კი მის სახელთან არის დაკავშირებული, ოფისები, მანქანები, სახლები, „ქართუ ბანკი", მოკლედ ყველაფერი.

არ გადაიხდის? აღძარით საქმე და არჩევანის წინაშე დააყენეთ — ან ციხე, ან დეპორტაცია! ტრუსიკის ამარა უნდა გავუშვა ეგ აქედან...

**— აგვისტოს მეორე ნახევარში, აგვისტოს ბოლოს, ყველაფერი მომთავრებული უნდა იყოს, სექტემბერში ეს კაცი საქართველოში არ ვნახო, თორემ ვიღაც-ვიღაცებს ცუდად წაუვათ საქმე, გასაგებია?**

აი, ასეთი საუბარი ჰქონია სააკაშვილს თავის უახლოეს გარემოცვასთან.

შეიძლება არც არაფერი მოხდეს, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივაო, ხომ გაგიგონიათ? ჰოდა, დაწერე ეს, ჩემო კარგო, დაწერე და გამოაქვეყნე — იქნება, ვინც ჯერ არს, გაფრთხილდეს და პრევენციული ზომების მიღებაზე იფიქროს, — ასე დაასრულა თხრობა ჩემმა რესპონდენტმა.

სიმართლე გითხრათ, რაც ამ ადამიანმა მიამბო სხვადასხვა ვარიაციებით, მეც ბევრჯერ მსმენია და, ალბათ, გსმენიათ თქვენც, ძვირფასო მკითხველებო.

იქნებ ჭორია ეს ყველაფერი, ჭორი, რომელსაც სინამდვილესთან არაფერი აქვს საერთო, თუმც ამ ხელისუფლებისგან რომ ყველაფერია მოსალოდნელი, არც ეს არის სადავო და საკამათო.

**არც ის არის საეჭვო, რომ ივლისის და აგვისტოს თვეები ძალზე მძიმე თვეები იქნება კოალიცია „ქართული ოცნებისა" და მისი ლიდერებისთვის. სწორედ ამ პერიოდში, როცა თბილისში ხალხის სიმცირეა, შეეცდება ხელისუფლება გადამწყვეტი შეტევა მიიტანოს ბიძინა ივანიშვილზე.**

# xelisufleba biZina ivaniSvilze gadamwyveti Setevis mitanas ivlis-agvistoSi apirebs?



თითქმის გამორიცხულია და უფრო ფულის შოვნის სურვილით შეპყრობილი მოთაღლითო ელემენტების გამოგონილი გვგონია ვერსია, რომ ხელისუფლება ივანიშვილის ფიზიკურ ლიკვიდაციას ამზადებს.

ყოვლად წარმოუდგენელია ხელისუფლებამ, რომელსაც თავისი საქმიანობის ხანმოკლე პერიოდში ბევრი ცხედარი დაუგროვდა, გაბედოს და ფაქტობრივად ღიად, მსოფლიოს თვალწინ, ივანიშვილის ფიზიკური ლიკვიდაცია გაბედოს.

**ფიზიკური ლიკვიდაცია არა, მაგრამ ხელისუფლება შეეცდება სრულ ფინანსურ იზოლაციაში მოაქციოს ივანიშვილი, გადაუკეტოს ყველა ფინანსური არხი, სხვადასხვა უსაფუძვლო ბრალდებებით შეთითხნოს სისხლის სამართლის საქმეები მის წინააღმდეგ, გამოაცხადოს კრიმინალად, რუსეთის აგენტად და ქვეყნიდან მისი დეპორტირება სცადოს.**

მიხეილ სააკაშვილი სარგებლობს რა აშშ-ს ადმინისტრაციის, ევროკავშირის წევრი ქვეყნების და, საერთოდ, დემოკრატიული თანამეგობრობის საეჭვო, შეიძლება ითქვას, დანაშაულებრივი დუმილით, უფრო და უფრო ამწვავებს რეპრესიულ მეთოდებს ივანიშვილის გასანეიტრალებლად, ქვეყანას კი სამოქალაქო დაპირისპირებისკენ მიაქანებს.

ბიძინა ივანიშვილი არ არის მხოლოდ კერძო პირი, ის პოლიტიკური ლიდერია, რომლის ზურგს უკან ასიათასობით მისი მხარდამჭერი დგას.

რა მოხდება მაშინ, თუ ეს ასიათასობით ადამიანი ერთ მშვენიერ დღეს გააცნობიერებს, რომ სააკაშვილი და მისი გუნდი მხოლოდ ივანიშვილს კი არა, პირველ ყოვლისა, მას, ქართველ ხალხს უპირისპირდება?

რა ფორმას მიიღებს ამ ასიათასობით ადამიანის პროტესტი და ის ფარული აგრესია, რომელიც მოძალადე ხელისუფლების წყალობით ამ ადამიანებში წლების განმავლობაში გროვდებოდა?

ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს გონიერება და არ უნდა დაემსგავსოს შაჰიდის ქამარშებმულ თვითმკვლელს, რომელიც მზადაა ოღონდ მოწინააღმდეგე გაანადგუროს და თვითონაც განადგურდეს...

**გიორგი გამეზარდაშვილი**

იხილეთ „საერთო გაზეთი" ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# jondi baRaTuria:

# 25 000 Turqma ukve miiRo saqarTvelos moqalaqeoba, male baTumis mosaxleobis umravlesoba Turqebi iqnebian



*საქართველოს ხელისუფლება დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, ანაკლიასა და ყულევს შორის ახალი ქალაქის ლაზიკას აშენებას გეგმავს. ხელისუფლების თქმით, ლაზიკა დასავლეთ საქართველოს სავაჭრო-კომერციულ, ტურისტულ ცენტრად და საპორტო ქალაქად უნდა იქცეს, სადაც ათასობით ადამიანი დასაქმდება. ეს ამბავი საზოგადოების ნაწილმა ხუმრობად მიიღო, ნაწილმა კი გააკრიტიკა და აღნიშნა, რომ მსგავსი ტიპის პროექტებისთვის საქართველოს არასაკმარისი ფინანსური რესურსები აქვს. რამდენად რეალურია და კონკრეტულად რას ემსახურება ახალი ქალაქის მშენებლობა „საერთო გაზეთს" „ქართული დასის" ლიდერი, პარლამენტის დეპუტატი* ***ჯონდი ბაღათურია*** *ესაუბრა.*

**— ბატონო ჯონდი, ხელისუფლების განცხადებებიდან ჩანს, რომ ლაზიკას პროექტი საკმაოდ მასშტაბური იქნება, თუმცა ახალი ქალაქის მშენებლობისთვის გამოყოფილი თანხები ჯერჯერობით გაურკვეველია. რით ხსნით ამ გარემოებას?**

— აღნიშნული ფაქტი ცხადყოფს, რომ ქვეყანაში ელიტარული კორუფციაა და ხელისუფლება ლაზიკას აშენებას სააკაშვილის საპრეზიდენტო რეზიდენციის მსგავსად .ე.წ. „უკანონო ფულით" აპირებს. 2004 წლიდან — 2012 წლამდე ქვეყნის ბიუჯეტში ვერ ნახავთ მუხლს, სადაც თუნდაც ხუთი ლარი სააკაშვილის რეზიდენციისთვისაა გამოყოფილი.ანუ ქვეყნის ბიუჯეტიდან პრეზიდენტის რეზიდენციის მშენებლობა არ დაფინანსებულა, რაც ცხადყოფს იმას, რომ ქვეყანას კრიმინალური ბანდა მართავს. საქართველოს ბიუჯეტში ასევე ქუთაისში პარლამენტის მშენებლობისთვის გამოყოფილ ხარჯებს ვერ ნახავთ. როცა ვეკითხები, თუ საიდან მოიტანეს პარლამენტის მშენებლობისთვის აუცილებელი 133 მილონი ლარი ამაზე პასუხი არ აქვთ. უკვე სამი კვირაა იუსტიციის მინისტრის მოადგილე დიმიტრი ძაგნიძე პარლამენტში დადის და პასუხს ვერ გვეუბნება, თუ რა ჯდება ლაზიკაში იუსტიციის სახლის მშენებლობა.

**— არქიტექტორების ნაწილი თვლის, რომ ლაზიკას მშენებლობას შესაძლოა უფრო პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდეს, რადგან ქალაქი აფხაზეთთან ახლოს მდებარეობს და მიხელ სააკაშვილი ლაზიკაში დევნილების ჩასახლებას გეგმავს. იზიარებთ, ამ პოზიციას?**

— უკიდურესად არასერიოზული შეფასებაა, რადგან როგორ შეიძლება მიხელ სააკაშვილის არასერიოზული ფანტაზიები სერიოზულად შეაფასო. სააკაშვილის ამ დაგეგმილ პიარს პოლიტიკური მიზანი აქვს, რომ მოატყუოს სახელისუფლებო სტრუქტურები და საზოგადოება, რომ ყველაფერი გადაწყვეტილია და სააკაშვილი არსად წასვლას არ აპირებს და გეგმავს არჩენების გაყალბების გზით შეინარჩუნოს ძალაუფლება.

**— ხელისუფლების ვარაუდით ლაზიკა დასავლეთ საქართველოში ერთ-ერთი მთავარი სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრი უნდა იყოს, სადაც რამდენიმე ათასი ადამიანი დასაქმდება. რეალურად მიიჩნევთ სააკაშვილის გუნდის ამ მიზანს?**

— მაშ შემდეგ, რაც მიხელ სააკაშვილი ქვეყნის პრეზიდენტი გახდა ამბობს, რომ სულ ვიღაცას ასაქმებს. მაგალითისთვის მინდა გაგახსენოთ „რუსთავი-2"-ის ერთ-ერთი კადრი, რომელიც სააკაშვილის სვანეთში ყოფნას ასახავდა, პრეზიდენტი სიტყვით გამოსვლისას გვეუბნებოდა, რამდენი ადგილობრივი ადამიანი დასაქმდა სვანეთში მიმდინარე პროექტებისას, ამ დროს კი „კურიერის" ოპერატორ კადრში გვიჩვენებდა, ჩინელს, ინდონეზიელს, მალაიზიელ ადამიანებს, რომლებიც სააკაშვილს სამუშაო ფორმაში ჰყავდა გამოწყობილი და ადგილობრივებად „ასაღებდა". ყურები, რომ „გამოგვიჭედა" თითქოს აჭარაში ინვესტორები შემოდიან და სამუშაო ადგილები იზრდება, ალბათ პრეზიდენტს ბორდელები მიაჩნია ინვესტიციად, სადაც სასმელი წყალიც კი თურქეთიდან შემოქვთ. ბბათუმის ქუჩებში გამოკრული აბრებზე წარწერებიც კი აღარ გვხვდება ქართულად, ყველაფერი თუქრულ ენაზეა. უუკვე 25 000-მა თურქმა საქართველოს მოქალაქეობა მიიღო და ცოტა ხანში ბათუმში სრულ უმრავლესობაში სწორედ თურქები იქნებიან.

**— ეკოლოგები საუბრობენ, რომ ლაზიკის მშენებლობა მნიშვნელოვან ეკოლოგიურ პრობლემებს წარმოქმნის. ამასთან ლაზიკის ტერიტორიაზე შესაძლოა მნიშვნელოვანი კატაკლიზმები განვითარდეს ზღვის დონის ცვლილებისა და მისგან გამომდინარე ფაქტორების გამო. როგორ ფიქრობთ, ასეთი რისფაქტორებიდან გამომდინარე ინვესტორი ლაზიკაში ინვესტიციას ჩადებს?**



— მითხარით, სად არიან ინვესტორები. თქვენ ხედავთ, რომ ყოველდღიურად უმუშევართა რაოდენობა იზრდება, იხურება საწარმოები. რატომ უნდა დავიჯეროთ ტყუილი იმის შესახებ, რომ ინვესტორები აშენებულ ქალაქებში არ დებენ ინვესტიციას და ფულს ჩადებენ ჭაობში. თუმცა ლაზიკას ჭაობიანი ადგილების ირგვლივ არის უნიკალური ფლორა და ფაუნა.

**— მიუხედავად იმისა, რომ „ნაციონალურ მოძრაობას" ოფიციალურად წინასაარჩევნო კამპანიის დაწყება არ გამოუცხადებია, ქვეყნის პრეზიდენტი შეიძლება ითქვას აქტივობის ზენიტშია და ყოველდრიურად მოსახლეობასთან შეხვედრას მართავს. როგორ ფიქრობთ, სააკაშვილს ასეთი ქმედებებით შეიცვლება მის მიმართ დამოკიდებულება და პოზიტიური გახდება?**

— სააკაშვილთან შეხვედრებს, თუ დააკვირდებით ნახავთ, რომ ხალხის ძალის მცირე რაოდენობა მიდის. საავადმყოფოებში, რომ მიდის და ვითომ ავადმყოფებს ელაპარკება, ის ხალხი სინამდვილეში კუდისა და სოდის თანამშრომლები არიან. მიხელ სააკაშვილსა და მის გუნდს არანაირი გამარჯვებისთვის არანაირი შანსი აღარ აქვს.

**— რას ფიქრობთ, რა შეიძლება მოიმოქმედოს სააკაშვილმა ძალაუფლების შესანარჩუნებლად?**

— ფაქტობრივად, სააკაშვილს პატიოსანი არჩევნების შემთხვევაში მოგების და არც გაყალბების გზით დარჩენის შანსი აღარ აქვს. დანამდვილებით გეტყვით, რომ მიხელ სააკაშვილი თავის ზნეს მაინც არ დაიშლის და არჩევნებს აუცილებლად გააყალბებს.

**— გაყალბების შემთხვევაში დამეთანხმებით, რომ ქუჩაში ხალხი აუცილებლად გამოვა და თავისი ხმის დასაცავად იბრძოლებს, მაშინ ძალაუფლების შესანარჩუნებლად რა შანსები რჩება სააკაშვილს?**

— მაშინ რჩევას მივცემ მიხელ სააკაშვილს: წავიდეს, მის ქმედებებზე იქნება დამოკიდებული მისივე მომავალი.

**— თქვენ უშვალოდ რა გეგმები გაქვთ არჩევნებზე, „ქართული დასი" არჩევნებში დამოუკიდებლად მიიღებს მონაწილეობს, თუ შესაძლოა რომელიმე საარჩევნო ბლოკში გიხილოთ?**

— საარჩევნოდ, ჩვენ კოლეგებთან მოლაპარაკება, რომც ვერ შედგეს „ქართული დასი" არჩევნებში მონაწილეობას დამოუკიდებლად აუცილებლად მიიღებს. თუმცა ვთანამშრომლობთ და მოლაპარაკებები გვაქვს „დემოკრატიულ მოძრაობასა" და „ქართულ ოცნებასთან".

**— „ქართული დასი" ფსონს რომელ მათგანზე დადებს?**

—„ქართული დასის", „სახალხო კრებაც" და „ქართული ოცნებაც", არჩევანს საქართველოსა და ქართველ ხალხზე გააკეთებს. ჩვენ შექმნილი სიტუაცია ჩაგვბლავის ყურში, რომ ადამიანს თუ სამშობლო უყვარს, ყველანი ერთად უნდა დავდგეთ და არ გვაქვს იმის ფუფუნება მემარჯვენეებად და მემარცხენეებად დავიყოთ. უმჯობესი იქნება, თუ შევქმნით ერთ დიდ საარჩევნო ბულდოზერს. სიტყვა ბულდოზერი მომწონს, რადგან მისი დანიშნულებაა მოედნის ნაგვიდან გაწმენდაა და ის პოლიტიკური ნაგავი, რომელიც საქართველოში დაგროვდა სასწრაფოდ გასატანია.

**მირანდა ნაბახტეველი**

## კასპის პოლიციამ სოფელ დოესში გამართული აქციის ორგანიზატორები დააკავა

**კასპის პოლიციამ სოფელ დოესში გამართული აქციის ორგანიზატორები ტარიელ და გია ოხანაშვილები დააკავა.**



როგორც „ქართული ოცნების" წარმომადგენელი ნინო თათანაშვილი აღნიშნავს, დაკავებულები, რამდენიმე დღის წინ სოფელ დოესში სარწყავი წყლის მიღების მოთხოვნით გამართული აქციის ორგანიზატორები იყვნენ.

„აქციაზე მოსახლეობა სარწყავ წყალს ითხოვდა, რათა სავარგულები მოერწყათ, რომელიც ჯერ სეტყვით განადგურდა და შემდგომ კი მოურწყაობის გამო. ამ ხალხს ეს არ აპატიეს",—აღნიშნა ნინო თათანაშვილმა.

## „ქართულმა ოცნებამ" 1 ივლისს მცხეთაში აქციის ჩატარების ოფიციალური ნებართვა მიიღო



კოალიცია „ქართულმა ოცნებამ" 1 ივლისს მცხეთის მუნიციპალიტეტიდან თეატრონის ტერიტორიაზე აქციის გამართვის ოფიციალური ნებართვა მიიღო.

ბიძინა ივანიშვილის პრეს-სპიკერის მაია ფანჯიკიძის განცხადებით, მათ თავიდან აქციის ჩატარება მცხეთის ცენტრალურ მოედანზე უნდოდათ, რაზეც მუნიციპალიტეტიდან უარი მიიღეს.

„ქართული ოცნების" აქცია მცხეთაში, თეატრონის მიმდებარე ტერიტორიაზე 1 ივლისს, 19:00 საათზე გაიმართება.

**„მედიანიუსი"**

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

## მსოფლიო პრესის მიხედვით

# afxazeTi: saqarTvelo `sikvdilis eskadronebs~ opoziciis winaaRmdeg sabrZolvelad amzadebs

აფხაზეთის გალის რაიონში ვითარება გართულებულია. ამის შესახებ განცხადებას აკეთებს აფხაზეთის უშიშროების საბჭოს მდივანი სტანისლავ ლაკობა. როგორც ცნობილია, მილიციისა და სოფლის ადმინისტრაციის წინააღმდეგ ტერორისტული აქტები ეწყობა. „უკვე არაერთი მსხვერპლია, — აღნიშნავს ლაკობა. — ჩვეულებრივ, კლავენ იმ ქართველებს, რომლებიც აფხაზეთის ხელისუფლებასთან თანამშრომლობენ და ეს ხდება აშკარად, დემონსტრაციულად. მდგომარეობა 2011 წლის ბოლოს დაიძაბა და თანდათან კიდევ უფრო მძიმდება“. უშიშროების საბჭოს მდივნის განცხადებით, კვალს მივყავართ საქართველოს ტერიტორიისკენ, საიდანაც იგზავნებიან ტერორისტული ჯგუფები.



„როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროც აღნიშნავდა, ჩვეულებისამებრ, ტერაქტები ჟენევის მოლაპარაკებების დაწყებამდე იმის საჩვენებლად ეწყობა, თითქოს აფხაზეთის ხელისუფლება და რუსეთის მესაზღვრეები ვითარებას ვერ აკონტროლებენ, — აცხადებს ლაკობა. — უშიშროების საბჭოს გააჩნია ისეთი მონაცემები, რაც მდგომარეობის შემდგომი ესკალაციის შიშს აჩენს“.

ლაკობა იხსენებს ქართული ოპოზიციის წარმომადგენელთა განცხადებებს იმის შესახებ, რომ აფხაზეთის საზღვრის სიახლოვეს — სამეგრელოში იქმნება ერთგვარი „სიკვდილის ესკადრონები“ საქართველოს ოპოზიციური ძალების წინააღმდეგ საბრძოლველად.

„საინტერესოა, რომ ამავე პერიოდში გაათავისუფლეს ქართველი ტერორისტების უმრავლესობა, რომლებიც შევარდნაძის მმართველობისას აფხაზეთში დათარეშობდნენ, სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კი ციხეში ხანგრძლივი დროით ჩასვეს. სწორედ ამ პერიოდში, ისინი ვადაზე ადრე გაათავისუფლეს პატიმრობიდან. მათგან შექმნილი ჯგუფები, საქართველოს სპეცსამსახურებისა და დასავლეთის ინსტრუქტორების ეგიდით, მომზადებას ანაკლიის საგანგებო ცენტრებში გადიოდნენ. ეს ჯგუფები მალევე გამოჩნდნენ გალის რაიონში და დივერსიულ-ტერორისტული აქტები მოაწყვეს“, — აღნიშნავს ლაკობა.

მისი აზრით, თბილისის ხელისუფლება 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისა და 2013 წლის მარტის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ემზადება და სავსებით შესაძლებელია, ოპოზიციური ძალების შემდგომი გამოსვლების თავიდან აცილებას შეეცდებიან.

„ხელისუფლება გვარიანად შეაშინა ოპოზიციის მიტინგებმა, როგორც თბილისში (გრანდიოზული, 100-ათასკაციანი), აგრეთვე გურიის ცენტრ ოზურგეთში, — აღნიშნავს ლაკობა. — არ არის გამორიცხული, სააკაშვილმა და მისმა გარემოცვამ, ძალაუფლების დაკარგვის საფრთხის შექმნისას, აამოქმედონ აფხაზეთის საზღვრისპირა ზონაში განლაგებული კრიმინალურ-ტერორისტული ჯგუფები, რომლებსაც მათი სპეცსამსახურები აკონტროლებენ. შეუძლიათ მოაწყონ პროვოკაცია და შექმნან ისეთი ვითარება, რომლის მიზანიც მდგომარეობის დესტაბილიზაციაა. პროვოკაციას მოუწყობენ აგრეთვე რუსეთის სამხედროებსა და აფხაზეთის ადგილობრივ ძალებს. ასეთ დროს, საქართველოს ხელისუფლება შეეცდება, საზოგადოების ყურადღება საპროტესტო გამოსვლების ნაცვლად თითქოსდა რუსეთის მხრიდან მომავალ მუქარაზე გადაიტანოს.

ლაკობას აზრით, საქართველოს ხელისუფლებას მიეცემა საბაბი, ქვეყანაში საგანგებო სიტუაცია გამოაცხადოს, დაიწყოს რეპრესიები ოპოზიციის წინააღმდეგ და არჩევნები ჩაშალოს.

„ეს იქნება არა იმდენად აფხაზეთის, არამედ სააკაშვილის თბილისელი ოპონენტების საწინააღმდეგო მოქმედება, — აღნიშნავს აფხაზეის უშიშროების საბჭოს მდივანი.

# siria _ dRevandeli afxazeTi?

რუსეთმა თქვა „არა“. ეს მოკლე სიტყვა, რომელიც ამერიკელებმა გრომიკოსგან მოისმინეს, თითქოს უკვე კარგა ხანია, გაქრა რუსეთის საგარეო პოლიტიკური ლექსიკონიდან. რუსეთი ბუზღუნებდა, მაგრამ მაინც თანხმდებოდა — ნატოში ბალტიისპირეთის შესვლასაც, მეგობრული რეჟიმების დამხობასაც, „ჰუმანიტარულ“ დაბომბვებსაც, ერაყისა და ავღანეთის მიტაცებასაც...

ახლა კი, დარწმუნების, დასავლეთის მედიაში მასირებული შეტევის, კაცმა არ უწყის, ვისი მოკლული გასისხლიანებული ჩვილი ბავშვების ფოტოსურათების მიუხედავად, რუსეთი დაუმორჩილებელია. ათწლეულების მანძილზე, სირია ახალი რუსეთის სიმტკიცის პირველი და ყველაზე სერიოზული გამოცდა აღმოჩნდა.



დასავლეთშიც და აღმოსავლეთშიც უკვე მიეჩვივნენ — ყურადღება არ მიაქციონ რუსეთის პოზიციას. ახლა კი ყველაფერი თავდაყირა დადგა.

მაისის ბოლოს ნატოს და მისი მოკავშირეების მასშტაბური სამხედრო სწავლებების **Eager Lion**-ის საპასუხოდ, რომელიც სირიაში სახმელეთო ინტერვენციის მზადებად აღიქვეს — რუსეთი, ჩინეთი და ირანი უახლეს პერიოდში უფრო მასობრივ მანევრებს აპირებენ სირიაში — ხმელეთზეც და ზღვაშიც.

რუსეთის სადესანტო ორი ხომალდი, ექვსასი დესანტით, სევასტოპოლიდან სირიაში, ტარტუსში მდებარე რუსეთის სამხედრო-საზღვაო ბაზისკენ მიემართება.

ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების არაერთი მცდელობის მიუხედავად, კალინინგრადიდან ტარტუსის მიმართულებით მოძრაობს გემი, რომელზეც გარემონტებული ვერტმფრენებია განთავსებული.

სირიის ახლოს მდებარე წყალქვეშა ნავიდან რუსული რაკეტების გაშვება ისრაელში გაურკვეველ ატმოსფერულ მოვლენას იწვევს, რაც ამოუცნობი მფრინავი ობიექტების მასობრივ გამოჩენას ჰგავს.

განახლდა თანამედროვე რუსული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი იმ სისტემების მიწოდება სირიისთვის, რომლითაც შესაძლებელია თავდაცვა როგორც ხმელეთიდან, ისე ზღვიდან შეტევისას. ამიტომაც სჯობს, თავდასხმის მსურველებმა ეს ფაქტიც გაითვალისწინონ.

საბჭოთა კავშირის დაშლა მთიანი ყარაბაღით დაიწყო. პირველი მასობრივი ხოცვა-ჟლეტის პროვოცირებას ინტერვენციის მოწოდება მოჰყვება ხოლმე, და თუ მთავრობა არ გადადგება და დასავლეთის ფარვატერში არ ჩადგება, ინტერვენციაც იწყება.

XIX საუკუნიდან მოყოლებული, სირიელ ქრისტიანთა მხარდაჭერა და დაცვა რუსეთის ტრადიციული პოზიციაა. მართლმადიდებელი სირიელები აღტაცებით შეხვდნენ დამასკოში ჩასულ პატრიარქ კირილს, რომელიც სამოქალაქო ომის გამწვავების პერიოდში ესტუმრა ქვეყანას.

ახლა სირიაში ომთან შერწყმული დაზვერვა და რუსეთის სიმტკიცის გამოცდა მიმდინარეობს, რამდენად შეძლებს თავისი ძველი მეგობრისა და მოკავშირის დაცვას. ეს ხელახალი სამხრეთ ოსეთი და საქართველოა, ოღონდ რუსეთის საზღვრიდან მოშორებული. თუ რუსეთი დათმობს, მისი სტრატეგიული მდგომარეობა 2000 წლისდროინდელს დაუბრუნდება: თუ გაუძლებს — დაიბრუნებს იმ პოზიციებს, რაც თითქოსდა საბოლოოდ დათმო გორბაჩოვმა.

მეტი გასაქანი უნდა მიეცეს სირიის ოპოზიციას — კომუნისტებსაც და სხვადასხვა ყაიდის ისლამისტებსაც. უნდა შეწყდეს ყატარიდან იარაღის მეამბოხეებისთვის მიწოდება.

რუსეთი აქაც ისეთი შემტევი უნდა იყოს, როგორც საქართველოსთან ომის დროს. მიუხედავად მედიის შემტევი პოზიციისა, რუსეთმა ხომ საწადელს მაინც მიაღწია.

# amerika mixeil saakaSvils xelisuflebidan wasvlis signals aZlevs

## ამავე აზრს იზიარებს სააკაშვილის პირადი მეგობარი მაკკეინიც



გაეროში საქართველოს ექს-მუდმივი წარმომადგენელი, ოპოზიციური „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ირაკლი ალასანია კვირის დასაწყისში ამერიკის შეერთებული შტატებიდან დაბრუნდა და ამერიკელთა გზავნილი ჩამოიტანა — მისი თქმით, ამერიკის ხელისუფლება სააკაშვილს უგზავნის სიგნალს, რომ ხელისუფლებიდან მისი წასვლის დრო დადგა.

„შევხვდი სენატორებს, კონგრესმენებს, ყველას ერთნაირი პოზიცია აქვს. ისინი კვლავაც მზად არიან, მხარში ამოუდგნენ საქართველოს და არა რომელიმე პოლიტიკოსს“, — აცხადებს ალასანია.

ამერიკაში ყველა ერთსა და იმავეზე ლაპარაკობს — შემოდგომაზე საპარლამენტო არჩევნების გამართვის აუცილებლობაზე, როგორც „ხელისუფლების შეცვლის სამართლიან პროცესზე“. ამ პოზიციას მიხეილ სააკაშვილის პირადი მეგობარი, სენატორი ჯონ მაკკეინიც იზიარებს.

„მაკკეინს მიაჩნია, რომ სააკაშვილი და მისი მთავრობა უნდა შეიცვალოს მომავალ არჩევნებზე“, — აცხადებს ოპოზიციონერი, რომელიც ბიძინა ივანიშვილის „ქართული ოცნების“ კოალიციის წევრია.

„საქართველოს ხელისუფლება შეშინებულია ძალაუფლების დაკარგვის გამო და იყენებს უკანასკნელ ბერკეტებს — ძალადობასა და დაშინებას“, — აღნიშნავს ირაკლი ალასანია.

**მოამზადა გ. ჭავჭავაძემ.**

# nugzar SuSania:

# Tu momklaven, Torem cixeSic rom Camsvan, iqac ar gavCumdebi

რამდენიმე დღის წინ დააკავეს, პარტია „განახლებული საქართველოსთვის“ რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილე ვალერი გაბელია...

მანამდე კი დღისით, მზისით, ამ პარტიის წევრის ნუგზარ შუშანიას დედა მაკა ლატარია გაიტაცეს.

მოყვარე, მოკეთე და ახლობელი იყო შუშანიების ოჯახი ჭაკუებისთვის ხობში 20 ივნისამდე, სანამ ქალბატონ მაკა ლატარიას, მისი მტკიცებით, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ხობის სამმართველოს უფროსი დიმა ჭაკუა გაიტაცებდა...

**მაკა ლატარია:** პროფესიით პედაგოგი ვარ, მაგრამ ამჟამად არ ვმუშაობ. ოჯახს ვუვლი, შვილებს, ხან ხობში ვარ, ხან – თბილისში.


მაკა ლატარია

ჩემი ვაჟი ნუგზარ შუშანია არის პარტია „განახლებული საქართველოსთვის“ ხობის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

12 მაისს ჯერ ხობში და შემდეგ ზუგდიდში, სოფელ რუხში ხალხმრავალი აქცია ჩავატარა. მეც იქ ვიყავი, ჩემი შვილის გვერდით.

დიმა ჭაკუა ყველანაირად უშლიდა ხელს მომიტინგეებს. მარშუტკებს მისი ბრძანებით არ უშვებდნენ ზუგდიდში. მერე თვითონ დიმა ამბობდა, დამიდგეს წინ რომელიმე მძღოლი და მითხრას – მე თუ ვუკრძლავდი ვინმეს ზუგდიდში მიტინგზე წასვლასო. ვინ გაბედავდა ამას, ბოლოს და ბოლოს, ისინი მძღოლები არიან, რად უნდათ პრობლემები?!

იმ მიტინგზე ჩემი შვილი – ნუგზარ შუშანია გამოვიდა და თქვა: დღეიდან ხობში „ნაციონალური მოძრაობის“ დემონტაჟი იწყება, დამთავრდება მათი პარპაში, რადგან სისხლში აქვთ ხელი გასვრილიო. ამას ვუკავშირებ იმ ამბავს, რაც მოხდა.

20 ივნისს დამირეკა პრობაციისა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის ძმამ დიმა ჭაკუამ. ჩვენ ერთი რაიონიდან და ერთი სოფლიდან ვართ და მისი ზარი არ გამკვირვებია. მითხრა: დედაჩემი არის თბილისში ჩამოსული და შენთან შეხვედრა უნდაო.

**ნუგზარ შუშანია:** ესენი ჩვენთვის და ჩვენი ოჯახისთვის უცხნი არ არიან. ერთი რაიონიდან ვართ, მეზობლად ვცხოვრობთ. ბავშვობიდანვე ოჯახებით ვიცნობთ ერთმანეთს, დედაჩემი არის მაგ ნაძირალას – დიმა ჭაკუას მასწავლებელი. ერთად გვითამაშია, გვიქეიფია, ახლო ურთიერთობა გვქონია. მართალია, ძმაკაცები არასდროს ვყოფილვართ, მაგრამ ურთიერთობა ხომ გვქონდა?!

ახლა, როცა ჩვენი პოლიტიკური სიმპათიები სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდა, მოწინააღმდეგე მხარეს დავდექით.

2006 წლიდან ოპოზიციაში ვარ. ვიყავი არასამთავრობო ორგანიზაციის „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ წევრი. 2007 წლის 7 ნოემბრის აქციის დარბევის შემდეგ მოგეხსენებათ, რომ დაფუძნდა მოძრაობა „7 ნოემბერი“. მე ამ ორგანიზაციის დაფუძნებაში წვლილი მაქვს შეტანილი, რადგან თვითონ ვარ 7 ნოემბრის აქციის მონაწილე. საპროტესტო აქციებზე ხშირად დავდივარ, აქტიური ვარ ამ კუთხით.

იმ ხანებში მე დიმა ჭაკუასთან ურთიერთობა მქონდა, ოღონდ ისე, ჩვეულებრივი, რადგან, როგორც ზემოთ ვთქვი, განუყრელი მეგობრები არასდროს ვყოფილვართ. უბრალოდ, როგორც მეზობელი მეზობელთან, დედაჩემი დედამისთან ყოველთვის კარგ დამოკიდებულებაში იყო.

**მაკა ლატარია:** ამით ისარგებლა დიმა ჭაკუამ, ამიტომ მითხრა: დედაჩემს შენი ნახვა უნდაო.

მანქანა რომ გაჩერდა და იქ დედამისი ვერ დავინახე, გულმა რეჩხი მიყო, მაგრამ რა უნდა მეთქვა? 12-ის 15 წუთზე რომ მითხრა შევხვდეთო, მას შემდეგ რამდენიმეჯერ დამირეკა, მერე უკვე 12 საათს რომ 10 წუთი აკლდა კიდევ დამირეკა და მითხრა: თბილისს კარგად არ ვიცნობ, ამიტომ საჭესთან ჩემი მეგობარი იჯდება და პრობლემა ხომ არ არის, ცოტა რომ დამაგვიანდესო? მე, ცხადია, ვუთხარი – არა-მეთქი. რომ მოვიდა და დავინახე მანქანაში დედამისი – ლია ჭაკუა არ იჯდა, ვკითხე: სად არის დედაშენი-მეთქი, დედაჩემი ჩემს ძმასთან არის სასჯელაღსრულების დეპარტამენტშიო.

საჭესთან რომ ზის, ჩემი მეგობარია, სამსახური უნდა დავაწყებინო ჩემთანო. მაშინვე მივხვდი, ტყუილს რომ ამბობდა. მე ვიცანი ის. ეს იყო სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის დათო ჭაკუას მოადგილე გაგა მკურნალიძე.

ორთაჭალაში დეპარტამენტს რომ მივუახლოვდით და ეზოში უნდა შევსულიყავით, მითხრა: მობილური მათხოვე ერთი წუთითო, გამომართვა და გამორთო ჩემი ტელეფონი.

ეზოში შევედით იმ ადგილას, სადაც პატიმრების გადასაყვანი მანქანები იდგა. დიმა ჭაკუა წინ იჯდა მანქანაში მძღოლის გვერდით, მე უკან, მანქანა რომ გააჩერეს, დიმა მომიბრუნდა და მკითხა: რა გინდა ჩვენგან და ჩვენი ოჯახისგან? მერე მძღოლს, რომელიც გოჩად გამაცნო, მიუბრუნდა და უთხრა: გამოართვი ამ ნაბოზარს ჩანთა, მოსასმენი აპარატი არ ჰქონდეს ჩანთაშიო. (ბოდიშს ვიხდი, უწმაწურ სიტყვას რომ ვიმეორებ) მერე საათის, ბეჭდების მოხსნა მიბრძანა – აქ ხომ არ აქვს მოსასმენი აპარატიო, თან უკანასკნელი სიტყვებით მლანძღავდა და მემუქრებოდა, მაგინებდა. თუ ჩვენსკენ გადმოხვალ, ნებისმიერ სამსახურში ჩაგაყენებ, ხომ იცი, ხობში მე ვქმნი ამინდსო. თანაც ეს ამბავი ვინმემ არ გაიგოს, დედაჩემის ყურამდე არ მივიდეს, თორემ მოგკლავთო. რადგან ჩემს ოჯახში არიან ადამიანები, რომლებიც შენ პატივს გცემენ და უყვარხარო.

მერე ასე რატომ მექცევი, ჩემი მოსწავლე იყავი, როგორ არ გრცხვენია-მეთქი, ვუთხარი. შენ რატომ არ გრცხვენია გვასალიას გვერდით რომ დგახარ, ვერ ხვდები, რომ ინფორმაციები ჩვენ უნდა მოგვიტანო, იმიტომ, რომ ჩვენ უფრო ძლიერი ვართო?

მე რომ ვუთხარი: – თქვენ კი არა, თქვენზე მაგრებს დაუთმიათ ხელისუფლება, მოიცათ ცოტა ხანი, ოთხ თვეში მანდ აღარ იქნებით-მეთქი, მაშინ იყო რომ გამარტყა. ხელებზე სილურჯე მქონდა. (მაჩვენებს მკლავს).

მერე ვუთხარი, ვერ დავიჯერებ, შენმა ძმამ ეს იცოდეს, რასაც ახლა შენ ჩადიხარ-მეთქი.

არაო, ჩემმა ძმამ არაფერი არ იცისო.

შენმა ძმამ თუ არ იცის არაფერი, ჩემმა შვილებმა, ახლობლებმა ,ყველამ იცის, რომ მე მოვდიოდი დედაშენთან შესახვედრად, ყველას წინასწარ დავურეკე და შევატყობინე, ამიტომ აზრი არ აქვს არაფერს, ყველამ იცის, რომ შენთან ვარ-მეთქი.

**– რამდენ ხანს ჰყავდით „დაპატიმრებული“?**

– დაახლოებით საათნახევარი. მთელი ამ ხნის განმავლობაში, ფიზიკური შეურაცხყოფები, გინება, ლანძღვა არ დამკლებია.

**ნუგზარ შუშანია:** სამეგრელოში შიშია დაბუდებული. ხალხი შეშინებულია, ჰგონიათ, რომ მათ ვერავინ მოერევა. მე ყველაფერს ჩემს ოპოზიციურ საქმიანობას ვუკავშირებ. სანამ ეს ამბავი მოხდებოდა, მანამდე იყო ზარები ჩემს ტელეფონზე, ამათ ნდობით აღჭურვილი პირები ხშირად გვაკითხავდნენ და მთავაზობდნენ ნაციონალების მხარეს გადაბირებას. მე ვპასუხობდი: არ დავდგები იმათთან, ვინც ქუჩაში ადამიანებს ხოცავს, უდანაშაულო ხალხს ატერორებს. ასეთ ხალხს გვერდით ვერ დავუდგები-მეთქი.

დათო ჭაკუაზე მინდა მოგახსენოთ. რაიონში ის კრიმინალური პოლიციის თანამშრომელი იყო და ხობში ცნობილი იყო, როგორც შავი საქმეების გამკეთებელი. ხალხს უდებდა წამალს, იარაღს, როგორ მოხვდა ამ სამსახურში, ეს ყველამ იცის, მაგრამ არავინ არ ლაპარაკობს – დათო ჭაკუა არის დათა ახალაიას კურსელი. შევარდნაძის პერიოდიდან დაწყებული „ვარდების რევოლუცია“ რომ გაითამაშეს, მაშინ უნდოდათ ისეთი ხალხი ჰყოლოდათ გვერდით, ვინც ყურებით ეყოლებოდათ დაჭერილი მათი ბინძური საქმეების გამო. დათო ჭაკუა ხობში, იყო არაკაცი. ბევრი ოჯახი გაამწარა.



**დავით ჭაკუა – სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე, გენერალ-მაიორი.**

**დაიბადა 1976 წლის 12 ივნისს, სენაკში.**

**სახალხო დამცველის 2011 წლის ანგარიშში მითითებული იყო, რომ დავით ჭაკუა ხელმძღვანელობს სპეცრაზმს, რომელიც პატიმრებისადმი არაადამიანური მოპყრობით გამოირჩევა.**

**სახალხო დამცველი აღნიშნავდა, რომ სპეცრაზმი არაერთხელ შევიდა საპატიმროებში, მოაწყო პატიმრებისთვის კორიდორი, გააშიშვლა ისინი, გადაპარსა თავი, მიაყენა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა.**

**სხვადასხვა ინფორმაციით, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში „მაყურებლის ინსტიტუტს“ დეპარტამენტის უფროსი დავით ჭაკუა და მისი მოადგილე გაგა მკურნალიძე კურირებდნენ.**

**ინფორმაცია მოპოვებულია ინტერნეტიდან**

**მაკა ლატარია:** პატარა დიმა დღეს რატომღაც დიდი დიმა გახდა. ავტობიოგრაფიას ვერ წერს ადამიანი და ასეთი კაცი გახლავთ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსი ხობის რაიონში.

foto ar moiZebna!

**გაგა მკურნალიძე – სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე, დაიბადა 1984 წლის 10 იანვარს, ოზურგეთში.**

**ინფორმაცია მოპოვებულია ინტერნეტიდან**

**მაკა ლატარია:** ეს შიში, რომელიც არსებობს ხალხში, ბოლოს და ბოლოს, უნდა დაინგრეს. ეს არ არის სახელმწიფო. რა უნდა ვილაპარაკოთ, როცა დღისით, მზისით, ამიყვანა ჩემმა ყოფილმა მოსწავლემ და მიუხედავად იმისა, რომ მე ეს საჯაროდ განვაცხადე, რეაგირება არ ყოფილა სამართალდამცავი სტრუქტურებისგან. სარჩელიც შევიტანე. რეაქცია არ არის არავითარი.

**ნუგზარ შუშანია:** ოთხ თვეში ამათი საქციელი იქნება გამოძიებული და ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა.

ჩვენ ვლაპარაკობთ კანონის უზენაესობაზე, ადამიანის უფლებების დაცვაზე, თორემ მაგათი გამოძიებული საქმე კი ვიცით, რაც არის. მიიწებონ შუბლზე თავიანთი განჩინებები, წერონ და იკითხონ.


ნუგზარ შუშანია

ოქტომბრის შემდეგ ყველას მოეთხოვება პა-სუ-ხი. დედაჩემის გატაცება პირადად შეუკვეთა დათო ჭაკუამ, პირდაპირ ვაცხადებ ამას.

**მაკა ლატარია:** ამიტომაც ეჯდა დიმა ჭაკუას საჭესთან გაგა მკურნალიძე.

მაგრამ საოცრება ის არის, ჩემი ყოფილი მოსწავლე 28 წლის ახალგაზრდა დიმა ჭაკუა რომ მეუბნება: ჩვენი აგენტი რომ გახდები, გიყიდი ანკესს, შენ ითევზავებ მტკვარზე, მოვალ ინფორმაციებს მომაწვდი და მე ფულს გადაგიხდიო.

დედამისს მას შემდეგ აღარ შევხვედრივარ, რამდენიმეჯერ კი დამირეკა: გვაპატიე, ჩვენს მეგობრობას აპატიე, არ გაამჟღავნო. ეს ამბავიო. მესიჯებსაც გვწერდა – გვაპატიე, გთხოვ არავის უთხრაო.

სიზმარში მგონია თავი, ბევრი რამ მესმოდა, მაგრამ ჩემს თავზე რომ გადაიარა ყველაფერმა, ახლაღა დავრწმუნდი, რომ ძმები ჭაკუები ყველაფერზე არიან წამსვლელი.

**– სხვა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების მიმართაც არის ზეწოლის ფაქტები, რამდენადაც ვიცი.**

**ნუგზარ შუშანია:** მოგახსენებთ, ბატონო, ხობში ამ კლანის წარმომადგენლებმა სცემეს „ქართული ოცნების“ წევრს მამუკა ქარდავას. ის ჩემი პირადი მეგობარია, ჩემი ახლობელი ოპოზიციაში ვინც ვართ, ერთად ვართ. ხობში ვმეგობრობთ ის ხალხი, ვინც ჯერ კიდევ „საკნების ქალაქში“ ერთად ვათენებდით. ახლა მათ სხვა შეხედულება აქვთ, მაგრამ მიმართულება ერთია – ეს მთავრობა მოვაშოროთ. ვიცი, ბოლოს ყველა გავერთიანდებით. სადაც ნამდვილი ოპოზიციური ბრძოლაა, მალე იქ აღმოვჩნდებით ერთად ყველა.

**მაკა ლატარია:** მინდა მივმართო დათა ახალაიას: რაც შეიძლება მალე მოიშორეთ ნაძირალა დიმა ჭაკუა და მისი ძმა. ეს ძალიან ცუდ ამინდს გიქმნით, ცუდ სახელს გიხვეჭთ სამეგრელოში.

**ნუგზარ შუშანია:** მე, პირადად, ყოველთვის ვიქნები ამათ ოპოზიციაში. თუ მომკლავენ, თორემ ციხეშიც რომ ჩამსვან, იქაც არ გავჩუმდები. 26 მაისსაც დამიჭირეს, მცემდნენ, მაგრამ მე არაფერს ცუდს არ ჩავდივარ, არ ვარ კრიმინალური ჯგუფის წევრი, არ ვარ ნარკომანი და რა ბრალი უნდა დამდონ?!

**მაკა ლატარია:** არ ვიცი, მომავალში რა იქნება, მაგრამ, რაც უნდა მოხდეს, ყველაფერი იქნება ჭაკუების კისერზე, ამიტომ ფრთხილად იყვნენ თავიანთ მოქმედებებში.

ამ დღეებში დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს ვხვდებით, ჩეხეთის, გერმანიის ელჩს, რომელთაც თავშესაფარს ვთხოვთ.

თუ ჩვენს ლიკვიდაციას აპირებენ, იცოდნენ, ჩვენ მათი მამხილებელი ფაქტების დამადასტურებელი ფირები გვაქვს, რომელიც უკვე საზღვარგარეთ არის გაგზავნილი.

**ანა ვადაჭკორია**

foto ar moiZebna!

**დიმიტრი ჭაკუა – კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ხობის სამმართველოს უფროსი, დაიბადა 1986 წელს. მის სახელს უკავშირებენ „ქართული ოცნების“ წევრის მამუკა ქარდავას ცემის ფაქტს, რომელიც რამდენიმე დღის წინ მოხდა...**

**სამეგრელოში ამბობენ, რომ ჭაკუას „ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია“, რადგან ძმებ ახალაიებთან ერთად მათი მამაც როლანდ ახალაიაც მას მფარველობს.**

**ინფორმაცია მოპოვებულია ინტერნეტიდან**

# am axal, `sanimuSo~ saavadmyofoebSi qali da mamakaci, orsuli da infarqtgadatanili erT palataSi wvanan



*დღეს ჯანდაცვის სისტემაში შექმნილი მდგომარეობა კატასტროფულია — დანაპირები 100 საავადმყოფოს ჩავარდნას „წარმატებული“ 5 ლარიანი დაზღვევის ჩავარდნაც მოჰყვა. ერთი, რაც ამ დრომდე მართლაც წარმატებით ხორციელდება — ეს დაპირებებია. თუმცა, მოგვიანებით მთავრობამ მაინც მოახერხა კრიზისიდან თავის ამოყოფა და ამჯერად მოსახლეობის ყველაზე ღატაკი ფენის ხარჯზე — 150 ახალი საავადმყოფო აგვიშენა.*

*რა მდგომარეობაა ახლაშენებულ საავადმყოფოებში? როგორ არის დაცული პაციენტის უფლებები? რას მოგვიტანს სექტემბრისთვის დაგეგმილი საყოველთაო დაზღვევა? რატომ არ გვშველის მედიკამენტები? — ამ პრობლემებზე ექსპერტები გვესაუბრებიან.*

როგორც **„ჯანმრთელი სამყაროს“** თავმჯდომარე **ზურაბ ფუტკარაძე** აცხადებს, 20-25 საწოლიანი საავადმყოფო მოგებაზე ვერასდროს



იმუშავებს: „ვოზ“-ის მონაცემებით ერთი საწოლი 500 ათასი დოლარი ჯდება. საშუალოდ 100 საწოლიანი საავადმყოფოს მშენებლობა 50 მილიონ დოლარს საჭიროებს. ჩვენთან, რეგიონებში, ძირითადად 15-20 საწოლიანი საავადმყოფოებია, რაშიც 3-5 მილიონია დახარჯული. „ვოზის“ მონაცემებით, ამ თანხით მხოლოდ 4-5 საწოლის უზრუნველყოფაა შესაძლებელი. „ვოზ“-ის მიერვეა დადგენილი, რომ 100 საწოლზე ნაკლები საავადმყოფო წამგებიანია. წარმოუდგენელია 20 საწოლიანმა საავადმყოფომ მოგებაზე იმუშაოს, ეს მხოლოდ ორ რამეზეა გათვლილი — სამედიცინო მომსახურების ფასების ზრდაზე და სამედიცინო პერსონალის შემცირებაზე. გარდა ამისა, როგორც ვიცით, უამრავი ნოზოლოგია არსებობს და წარმოუდგენელია ამ ფონზე, 50 ათასი მაცხოვრებლიან რაიონში 15 საწოლიანი საავადმყოფო გქონდეს. ასევე, ყოვლად წარმოუდგენელია ის, რომ ამ ახალ საავადმყოფოებში ქალი და მამაკაცი, ორსული და ინფარქტგადატანილი პაციენტები ერთ პალატაში წვანან — ეს ელემენტარული ნორმების დარღვევაა. ავიღოთ თუნდაც მშობიარე ქალი, რომელზეც მხოლოდ ერთი საწოლია გათვალისწინებული. მეორე მშობიარეც რომ მივიდეს იმავე დროს, რა უნდა ქნას, ელოდოს სამი დღე, სანამ იმ ერთს გამოწერენ?! საზღვარგარეთ, მაგალითად, ინფექციურ განყოფილებას ცალკე სართული და ცალკე შესასვლელი აქვს. ჩვენთან ყველაფერი ერთადაა, როგორ შეიძლება ხოლერიანი პაციენტი ჩვეულებრივ პალატაში იყოს.

**სასაცილოა, როცა ამ საავადმყოფოებს მრავალპროფილურს უწოდებენ. 10-15 საწოლიანი საავადმყოფო, სადაც სპეციალისტები არ გვყავს და მშობიარე ქალი იმიტომ გელუპება, რომ კლინიკას ანესთეზიოლოგი არ ჰყავს, არ შეიძლება მრავალპროფილური ეწოდოს.**

მათ საერთოდ არ შეიძლება საავადმყოფო ეწოდოს, არამედ ესაა კარგი ამბულატორია, სადაც ადამიანს შეიძლება მხოლოდ პირველადი დახმარება გაეწიოს. მთელს მსოფლიოში მთავარი ყურადღება პირველად ჯანდაცვაზე მახვილდება, ჩვენთან ყველაფერი უკუღმაა — პოლიკლინიკები საერთოდ გაიყიდა, ოჯახის ექიმის ინსტიტუტი საერთოდ მომსპარია.

**ჩემი ინფორმაციით, ევროკავშირმა ოჯახის ექიმების გადასამზადებლად 40-50 მილიონი ევრო გამოყო, თუმცა სისტემა მთლიანად დანგრეულია, ფული კი მავანის ჯიბეებში ჩაილექა.**

რაც შეეხება, ახალ საავადმყოფოებში დაწესებულ ფასებს — დღეს თუ გინდათ ვინმე დაწყევლოთ — ამ საავადმყოფოში მოხვედრა უნდა უსურვოთ, სადაც ელემენტარულად ერთი დღე პალატაში წოლა საშუალოდ 100 ლარიდან იწყება. ინტენსიური თერაპიის განყოფილება, მედიკამენტების გარეშე, 300-400 ლარი ჯდება. თუ მძიმე დაავადებაა, ადამიანს საავადმყოფოში წოლა ერთი დღე 1500 ლარი უჯდება.

**„გვახსოვდეს ჰიპოკრატეს“** თავმჯდომარე **მარინა ბერაძე** კი მიიჩნევს, რომ „კონსტიტუციის 37-ე მუხლში გაწერილია რისი უფლება



აქვს ადამიანს და რა ვალდებულებები აქვს სახელმწიფოს. ეს დღეს აბსოლუტურად დარღვეულია. კმაყოფილნი, ერთადერთნი, საავადმყოფოს მფლობელები არიან, მაგრამ ეს დიდხანს ვერ გასტანს, იმიტომ, რომ, როცა ისინი ზარალზე გადავლენ და ეს აუცილებლად მოხდება, მიხვდებიან, რომ მათი ე.წ. ბიზნესი აღარ იარსებებს. მრავალპროფილურ საავადმყოფოებში ბევრ პრობლემებს ვაწყდებით, კერძოდ, ექიმს ეშინია პაციენტის მიღება, თუ ამ მიმართულებით სერტიფიკატი არ აქვს. მორიგე ექიმს პაციენტის მიღების საშუალება არ აქვს, იმიტომ, რომ იგი შეიძლება გაწეული სამუშაოსთვის დააჯარიმონ ან პასუხი აგებინონ. ასევე სიხარულს ნამდვილად ვერ გამოვხატავ იმის გამო, რომ ბევრი საავადმყოფო იხსნება. საავადმყოფო ბევრი კი არა იმდენი უნდა იყოს, რამდენიც საჭიროა. ხელისუფლება აცხადებს, რომ ჯანდაცვაში წარმატებულ რეფორმებს ახორციელებს. რას ვეძახით წარმატებას, როცა უამრავი ადამიანი უმნიშვნელო მი-



ზეზის გამო იხოცება, რაც თუნდაც 10 წლის წინ გადალახული იყო და არ არსებობდა. ცუდი მკურნალობის შედეგებს ისიც განაპირობებს, რომ ექიმი დაუცველია, იგი თავის საქმიანობაში შეზღუდულია და საჭირო დროს, საჭირო სიტუაციაში გადაწყვეტილებას ველარ იღებს. ამიტომ ექიმი თავს არიდებს რისკებს, რადგან მისი რისკები დაზღვეული არ არის, რაც საბოლოოდ პაციენტს აზიანებს. როგორ შეიძლება წარმატებულ რეფორმაზე ვისაუბროთ, როცა ექიმი ხელ-ფეხ შეკრულია. გარდა ამისა, რეფორმის მთელი აქცენტი სალაროების გარემონტებაზეა გადატანილი. ადამიანს, რომელსაც თუნდაც ელემენტარული შეკითხვა აქვს ექიმთან, აუცილებლად ჯერ მოლარეს მიაბარებენ, ეს დიდი ხარვეზია. ეს ექიმის ავტორიტეტის შელახვაცაა, რომელიც პაციენტის თვალში დამხმარედ კი არა, მოძალადედ აღიქმება, ექიმის მიმართ ნდობა იკარგება. უბედური შემთხვევების სტატისტიკა 100 ათასჯერ უფრო მეტია, ვიდრე მოგების ჯამი. სტატისტიკურად, ავიაციაში კატასტროფებში დაზარალებული მილიონში ერთია, ხოლო სამედიცინო დაწესებულებებში — ყოველი მესამესე“.

5 ლარიანი დაზღვევის ჩავარდნის შემდეგ, პრეზიდენტი ამჯერად სექტემბრიდან საყოველთაო დაზღვევის ინიციატივით გამოვიდა. **ზურა ფუტკარაძის** თქმით, ამ კუთხით, ქვეყანას ჩამოყალიბებული სტრატეგია არ აქვს — 2012 წლის მაისში 20 პროცენტიანი თანადაფინანსება გამოაცხადეს, ივნისში — 10 პროცენტიანი და კაცმა არ იცის სექტემბერში რა იქნება. მნიშვნელოვანია კიდევ ერთი გარემოება, — „სადაზღვევოებს ნუსხაში ის წამლები ჰქონდათ შეტანილი, რომელსაც ვერ ასაღებდნენ, ამით უზარმაზარ თანხას შოულობდნენ, 15 მილიონის გადასაყრელი წამალი საღდებოდა და სადაზღვევოები მდიდრდებოდნენ. ამ პროგრამაში ახლაც არაფერი შეცვლილა, აბსოლუტურად იგივე მდგომარეობაა“. აი, პენსიონერებისთვის კი თავად ჯანდაცვის სამინისტრო იზრუნებს და უფასო მედიკამენტების ნუსხასაც თავად შეადგენს. როგორც ჩანს, ჯანდაცვამ პრიორიტეტი ახლა სადაზღვევოების კი არა, საკუთარი ჯიბის გასქელებაზე გააკეთა. გადაინაცვლა თუ არა კორუფციამ ერთი საფეხურით ზევით ამას სექტემბერში გავიგებთ.

**ზურა ფუტკარაძე**: „კონტროლის პალატამ აუდიტი რომ ჩაატარა, სადაზღვევოებს 60-70 პროცენტიანი მოგების მარჟა აღმოუჩინა. მთელს მსოფლიოში ეს მარჟა 7-8 პროცენტამდეა. დღეს სადაზღვევოებს იმდენი მოგება აღარ აქვთ იმიტომ, რომ სახელმწიფომ საავადმყოფოების მშენებლობა შეაწერა. მსოფლიო ბანკის კვლევის თანახმად, ჩვენთან ნაღდი ფულით გადახდა 75 პროცენტია. ეს საშინელი ციფრია, ასეთი რამ ხშირად ხდება. ბევრი ფული კი არ გვაქვს, უბრალოდ, ხალხს რომ უჭირს, ბინებს ყიდიან, რათა სიცოცხლე შეინარჩუნონ. ეს პრობლემა პირველადი ჯანდაცვის არარსებობითაა განპირობებული. ნაღდი ფულით გადახდა ყველაზე ძვირი ევროპის ქვეყნებშია და იქ ეს ციფრი 20-25 პროცენტს არ აღემატება, სხვა ყველგან 10-15 პროცენტია. ამ მხრივ, ბანანის ქვეყნების დონეზე ვართ. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ საყოველთაო დაზღვევის შედეგად ყველა სახელმწიფო პროგრამა გაუქმდება. დარჩება მხოლოდ რეფერალური პროგრამები, სადაც ვის და რატომ უყოფენ თანხებს, ყოვლად გაუგებარია. თუმცა, უცვლელი რჩება კიდევ ერთი რამ — ამჟამად მოქმედი პროგრამებიდანაც და საყოველთაო დაზღვევითაც 5-დან 60-წლამდე კონტინგენტი ჰაერშია გამოკიდებული.

**მარინა ბერაძე:** „თუ ადამიანი ღატაკი არ არის და 5-დან 60-წლამდე ასაკისაა, სახელმწიფოსგან განწირულია. არავინ საუბრობს, თუ რა ეშველება ამ კონტინგენტს. ეჭვი მაქვს, საყოველთაო დაზღვევაც შეიძლება ცარიელი დაპირება აღმოჩნდეს, რადგან ჯერ არ ვიცით, როგორ, რა გზებით იქნება ეს დაზღვევა“.

დღეს არსებული ვითარებიდან გამომდინარე მოსახლეობის დიდი ნაწილი ექიმთან მისვლას ვერ ახერხებს, ამიტომ მათი ბიუჯეტის დიდი ნაწილი წამლებში იხარჯება, რაც ასევე ძალიან ძვირი ფუფუნებაა. **ზურა ფუტკარაძის** თქმით: ევროკავშირის ქვეყნებიდან წამლებზე მოგების ყველაზე დიდი მარჟა იტალიაში — 45 პროცენტია, ჩვენთან კი 110 პროცენტია. ჩვენთან, ძირითადად გენერიკები — პატენტები და არა საფირმო დასახელების წამლები შემოდის. საფირმო წამალი ძალიან ძვირია, თავისი კვლევებით შეიძლება 20-30 მილიონი დოლარი დაჯდეს. გენერიკს იგივე თვისებები აქვს, რაც საფირმო წამალს, მაგრამ იგი დაბალხარისხიანია. ჩვენი ექიმები პაციენტს, თუ შეგიმჩნევიათ ძალიან ბევრ წამალს უწერენ იმიტომ, რომ ძირითადად გენერიკებია და არ იციან, რომელი რა არის, კარგია თუ ცუდი და ა.შ. ამის

**კონტროლი, თუ როგორ მოქმედებს ესა თუ ის წამალი ადამიანზე, ქვეყანაში არ ხდება. ყოველგვარი შემოწმების გარეშე შემოდის წამლები. ამიტომაც არის, რომ მოსახლეობა ხშირად ჩივის, რომ წამალს, ეფექტი არ აქვს.**

ეს წამლები არავითარი ეფექტის მომცემი არაა. წამლები, ძირითადად ინდოეთიდან, აზიიდან შემოდის და ღმერთმა უწყის, როგორ მზადდება. არც ადგილობრივი პროდუქციით ვართ დაზღვეული. როგორი ბიოექვივალენტობა აქვს ამა თუ იმ მედიკამენტს, ამის შემოწმება არ ხდება.

**ასე რომ, ასეთი ვითარება გვაქვს — შეიძლება წამალმა არ მოგკლას, მაგრამ არც მოგარჩენს, რადგან უხარისხოა, ბიოექვივალენტურობა არ გააჩნია, იმ აქტივობებს არ შეიცავს, რაც დაავადებასთან საბრძოლველადაა საჭირო. მაპატიეთ, მაგრამ ცარცის ფხვნილისგან არის გაკეთებული — არც მოგკლავს და არც მოგარჩენს“.**

**P.S.** აი, ასე, იმას რასაც მსოფლიოში ვერსად ნახავ, აუცილებლად გამოცდი საქართველოში — აქ დალევ წამალს, რომელიც არც მოგკლავს და არც მოგარჩენს, ერთ პალატაში ორსულს დააწვენენ ხოლერით დაავადებულ მამაკაცთან ერთად, ხუთვარსკვლავიან სასტუმროში უფრო შეხვალ ღამის გასათევად, ვიდრე საავადმყოფოში, გაიკეთებ კიბოს საწინააღმდეგო აცრას ისე, რომ არც კი გეცოდინება სხვებისთვის საცდელი კვლევის ობიექტი თუ გახდები და შენზე გამოცდით გადაწყვეტს დანარჩენი მსოფლიო, ღირს თუ არა ამ აცრების თავისთან დანერგვა. აშკარაა, რომ ხორციელდება გეგმა-გენოციდი, რითაც საბოლოოდ ქართველი მოსახლეობა მილიონნახევრამდე უნდა შემცირდეს.

**თამარ შველიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# Sen miyvarxar me imdenad, ramdenadac xar qarTve l i...

**ზაურ კალანდია**

**მწერალი**

... დრო იყო და გვახსოვს, რუსის ჯარს დავით-გარეჯში სამხედრო პოლიგონი ჰქონდა გამართული. ისიც კარგად მახსოვს, თუ არ ვცდები 1989 წლის მაის-ივნისში ამის გამო ბატონმა ზვიად გამსახურდიამ ოცდაოთხი დღე იშიმშილა. შიმშილობის ბოლო დღეა, თუმცა ჩვენ ეს ჯერ არ ვიცით, ყველა გაოგნებულები და დაზაფრულები ვართ. ზვიადი ჩონჩხადქცეული უსაშველოდ გაბერილი მუცლით, საშინლად გაყვითლებული ფრჩხილებით ნახევრად ბნელ ოთახში წევს. ჩვენ სხვა ოთახში ვართ, მისაღებ დარბაზში. რეკავს ტელეფონი, თათია ხაინდრავას ზვიადის ცოლისდა – ლელე ასწრებს. ერთ საათში ბატონები – აკაკი ბაქრაძე და ნოდარ წულეისკირი მოვლენო, ამბობს – კარგი ამბავი მოაქვთო, ამატებს. ჯუმბერ პატიაშვილმა საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრთა შეთანხმებას მიაღწია თურმე: ჯარს გაიყვანენ გარეჯიდან. მე, ნანა ჯაფარიძე და ბათუ დანელია გახარებულები გავრბივართ „ცისკარში“...

ეს ამბავი იმიტომ გავიხსენე, რომ ამ რამდენიმე კვირის წინ დავით-გარეჯს აზერბაიჯანელი სამართალდამცავები დაეპატრონნენ, თან საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ მათი საქციელი გაამართლა – როდის იყო საქართველოსი გარეჯიო, – განაცხადა. პირველი, ვინც გამახსენდა, მწერალი დათო ტურაშვილი იყო... მახსოვს, მაშინ მწერალ-სტუდენტს ტელევიზიის ეთერში წაუვიდა გული – დავით გარეჯის მონასტრის კედლები იბზარებაო და ცივი წყლით მოასულიერეს. თვალაცრემლებული ქალბატონები მინახავს ამის გამო.



ვიფიქრე, დავურეკავ დათოს...

სომხეთის დედაქალაქში, ერევანში აღმოჩნდა და როგორც რუსი ჟურნალისტი და პოეტი ნადეჟდა ვენედიქტევა წერს გაზეთ „× åãåì ñêàÿ ï ðàâäà“-ში, ცნობილმა ქართველმა მწერალმა დათო ტურაშვილმა განაცხადაო, რომ აღიარებს აფხაზეთის დამოუკიდებლობას.

ყოჩაღ, ტურიკ!

ბოდიშს ვიხდი ფამილარობისათვის.

მე ისე ახლოს არა ვარ დათოსთან –„ტურიკა“ დავუძახო. თუმცა მისმა ახლო მეგობარმა რომ დამირეკა და „ტურიკას“ განცხადება თუ ნახეო, მკითხა, ამან გამაბედვინა. მეტჯერ არ გავიმეორებ.

ყოჩაღ, ბესო, შენც!...

ბესო ვინ არისო, მკითხავთ.

ბესო ხვედელიძეზე მაქვს საუბარი, მწერალზე...

ბატონი ბესო მთლად აჭრილია, როგორ ვენედიქტოვა წერს: მეორე დღეს, უკვე სტეფანაკერტში, სრულიად ქართველი ხალხის სახელით მოუხდია ბოდიში, ანუ „იმ ქართველების გამო, რომლებიც ცხოვრობდნენ აფხაზეთში და არ დადგნენ იარაღით ხელში აფხაზების გვერდით, მაშინ როცა 1992 წლის 14 აგვისტოს ქართველები შეიჭრნენ ჩვენს პატარა ქვეყანაში“...

ამ ბატონმა კი არ აღიარა აფხაზეთის დამოუკიდებლობა, საერთოდ ჩამოგვაცილა აფხაზეთი!



ეს, თქვენი ენით რომ ვთქვათ, ჩემი უფლებების დარღვევაა. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, ამ ორასორმოცდაათიათასი ქართველი ლტოლვილის შეურაცხყოფაც!

სამაჩაბლოზე რატომ არაფერს ამბობს, ალბათ, სამარქაფოდ და მომდევნო შეხვედრისთვის შემოინახეთ!

მესმის, ყველა ადამიანს საკუთარი ნების გამოხატვის უფლება აქვს, მით უფრო მწერალს ღვთისგან აქვს ეს უფლება ბოძებული. უფლისგან ხელდასმულია თავად მწერალი, თუმც მწერლისთვის თავად სამშობლოა უფალი! სამშობლოს დაცვა კი ყველა ღირსეული მამაკაცის ღირსების საქმეა! ასეც შეიძლება ითქვას – თავად სამშობლოა ღირსება და, თუ ძმა ხარ, ვაჟა-ფშაველას თავი დაანებე (თავის სიტყვაში მოიშველიებს ვაჟას – დიდი ჰუმანისტიო!). სწორია! თუმცა არსად უწერია ვაჟას, როცა მტერი ხმლით შემოგივარდება ოჯახში, მხრები ჩამოყარე, გაიქეცი, კურდღელივით ტყეს შეაფარე თავიო!

ზვარაკად შეწირულ სოხუმელ ვაჟკაცებს: ვოვა ვეკუას, გენო ადამიას, ჯუმბერ ბეთაშვილს, გურამ გაბისკირიას, თქვენს ტოლს და კოლეგას გურამ სალიას თუ ჩვენ, ცოცხლად დარჩენილებს – ძმებს კალანდიებს, მამაშვილს ჯაიანებს, გურამ ოდიშარიას, შალვა ბაკურაძეს, გელა ჩქვანავას თუ ციალა არდაშელიასა და მანონ ბულისკერიას გინდა მოსწმინდო, შენი აზრით, ნამუსი?

შენი ჭკუით, ასე უნდა გვექნა თურმე: ჟიული შარტავას, მამია ალასანიას... ჭაბუას ვაჟკაც შვილს – ირაკლი ამირეჯიბს, ლევან აბაშიძეს (სადაც ქართველების ომია, იქ უნდა ვიყო მეცო, – თქვა და აფხაზეთში ჩასვლის მეორე დღეს დაიღუპა), საშკა იოსელიანს ღალიძგასთან დავხვედროდით იარაღით ხელში, საინტერესოა, ჩვენ გვესროლა თუ რუსი და ჩეჩენი ბოევიკები დაგვექირავებინა და ჩაგვეხოცა.

უცნაური რამ გჭირთ, ბიჭებო, ზედმეტად და საეჭვოდ ჩქარობთ...

მარტო სომხური კონიაკის სიყვარულს როგორ დავაბრალო!...

„ვარდების რევოლუციის“ წლისთავზე გალაღებული დათო ტურაშვილი მახსოვს: ხედავთ, ხალხნო, რა ხდება, შუქნიშანთან პატრულმა მანქანა გააჩერაო! ეს ყველა შოუში ოთხ-ხუთჯერ გაიმეორა, როგორ წავედით წინო!... მეგონა, ის პატრული გინებით გამოვარდებოდა და იყვირებდა: რა გამიჭირე საქმე, ბენზინი გამითავდა და მანქანა გამიჩერდაო! (იმ ხანებში პატრულის თანამშრომლებმა 18 წლის ბუტა რობაქიძე, წერეთელზე მანქანაში ჩაცხრილა და ერთხელ არ გახსენებია).

კიდევ ერთ ამბავს მოგიყვები, ბესო!

არ ვიცი, რამდენად იცნობ ნოდარ ნათაძეს, მაგრამ თუ დამიჯერებ, დიდი ვაჟკაცი კაცია!

გაგონილი მაინც გექნება, ბატონი ნოდარ ნათაძე სოხუმში იბრძოდა.

სოხუმის დაცემამდე, სექტემბრის დასაწყისში, სოხუმის რკინიგზის სადგურთან რთული ვითარება შეიქმნა. ათ-თორმეტკაციანი ჯგუფი მტრის ხაფანგში მოხვდა.



უდანაკარგოდ გამოსვლა ძნელი იყო. უმეტესობა ახალგაზრდები იყვნენ, ერთადერთი ჭაღარა და ასაკოვანი ნათაძე ერიათ. ერთ-ერთმა მეომარმა – მე გავაკეთებ დერეფანსო, – გადადო თავი. არაო, თქვა ნათაძემ, მე „ჟილეტი“ მაქვს და „სტრახოვკაზე“ მე დავდგებიო. მართლაც ასე მოხდა, თავისი გაიტანა ნოდარმა. როცა სამშვიდობოს გავიდნენ, მერე გაირკვა, რომ ნოდარს არავითარი „ჟილეტი“ არ სცმია. ეს ბატონ ნოდარს კი არ მოუყოლია ჩემთვის, იმ ჯგუფში ჩემი ახლობლები იყვნენ და მათგან ვიცი.

რა, ჩემო ბესო, ნოდარ ნათაძის გამო შენ რატომ იხდი ბოდიშს?!

თუ ბოდიში მოსახდელია, თუ მეომრის ენერგია დღეს არა აქვს ნათაძეს, სინდისი და სამართალი არ დაუკარგავს და უშენოდაც შეძლებს!

ეს არ შეეშლება!

იქნებ გენო კალანდიას, როგორც შენი ნათქვამიდან გამოდის, თბილისელი ნოდარ ნათაძისათვის ჩაიში საწამლავი უნდა ჩაეყარა!

ბესო, შენ რომ გეთქვა, ჩვენ ორივენი შევცდით. ბოდიში აქვს აფხაზს ქართველისთვის მოსახდელი და ქართველს – აფხაზისთვისო, როგორც დემოკრატს, როგორც მწერალს, როგორც პაციფისტს, გაგიგებდი.

არც ცალმხრივი სიყვარული გამოდის...

ცალმხრივი სიყვარული უნაყოფოა, ბერწი...

კი, ბატონო, „სამხრეთ კავკასიის კულტურის მოღვაწეთა დიალოგს“ მივესალმები. საჭიროა დიალოგები, შეხვედრები, აზრის გაცვლა-გამოცვლა, მაგრამ არა შენი ქვეყნის ხარჯზე და საზიანოდ...

არ ვიცი, შენ როგორ ფიქრობ, მაგრამ ახლახან რუსთაველის გამზირზე გამართული გეი-აღლუმი ჩემთვის აფხაზეთის წაგებული ომის ტოლფასია.

კაცია და გუნებაო, იტყვი, ალბათ...

მე ასე ვერ ვიფიქრებ...

არ ვიცი, რამდენად უგულო მშობელი ვარ, მაგრამ გეი-პარადზე მიმავალ ვაჟიშვილს, ომში მიმავალი და, ღმერთო მაპატიე, იქიდან არდაბრუნებული მირჩევნია.

შვილმკვდარ მამად არ ჩავთვლი თავს.

* * *

ლიტერატურის ისტორია კარგად იცით ორივემ და კიდევ ერთ ამბავს შეგახსენებთ ჩვენი უახლესი ისტორიიდან.

ერის სინდისად წოდებული, დიდებული პოეტი და მწერლობის თავკაცი, ბატონი კოტე მაყაშვილი 21 წლის 20 თებერვალს ქალიშვილს – მაროს კი არა ვაჟიშვილს შალვას უძღვნის ლექსს (მაროს მოგვიანებით მიუძღვნა მამამ ლექსი).

* * *

**შალვა მაყაშვილს**

**შენ მიდიხარ იქ, საითკენ**
**ქართველები იჩქარიან,**
**გული სევდით მეკუმშება და თან,**
**და თან მიხარიან!**
**ჩემი სისხლი და ხორცი ხარ**
**და ისმინე, რის ვარ მთქმელი:**
**შენ მიყვარხარ მე იმდენად,**
**რამდენადაც ხარ ქართველი,**
**საქართველოს მე ვაღმერთებ,**
**არას ვეტრფი იმას გარდა,**
**ეხლა მით ვარ ბედნიერი,**
**რომ შენც იგი შეგიყვარდა.**

შალვა მაყაშვილი დაიჭრა ტაბახმელის მისადგომებთან. საბედნიეროდ, გადარჩა.

მარო მაყაშვილის ამბავი ყველამ იცის.

მეც აქ დავამთავრებ.

მომავალ შეხვედრამდე.

**P.S. რომ გადმოვწერე ეს ლექსი უფრო მომეწონა და გადავწყვიტე ჩემს ცხრამეტი წლის სტუდენტ ვაჟიშვილს ბლოკნოტში ჩავუწერო.**

# Temur SaSiaSvili:

# საჭესთან მჯდარმა მიხეილ სააკაშვილმა კაცი რომ გაიტანა, ამაზე ინფორმაცია ბადრი პატარკაციშვილს ჰქონდა და ამის შესახებ ერთმა მისმა ახლობელმა პოლიტიკოსმაც იცის...

**„საერთო გაზეთს“ ესაუბრება პოლიტიკური გაერთიანება „თეთრების“ ლიდერი თემურ შაშიაშვილი.**

**— ბატონო თემურ, ბაგრატის ტაძრის ე.წ. აღდგენის პროცესი, რომელიც ნგრევა-მოსპობა უფროა, კათალიკოს პატრიარქის მოწოდების შემდეგ კი შეჩერდა, თუმცა ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ რაღაც შეთანხმების შემდეგ კვლავ გაგრძელდება. თქვენი გუბერნატორობის დროს ტაძრის აღდგენაზე არ გიფიქრიათ?**

— მე ვიყავი ის პიროვნება, რომელმაც 1994 წელს პრეზიდენტის დღევანდელ მრჩეველთან და ბატონ პეტრე მეტრეველთან ერთად ჩავიტანე მოთხოვნა იუნესკოში გელათისა და ბაგრატის ტაძრის მსოფლიო კულტურის მემკვიდრეობის სიაში მიღების თაობაზე. მსოფლიოს 420 ძეგლს შორის მოხვდა მაშინ ბაგრატი და გელათი. მე ვარ ის პიროვნება, რომელმაც ყველაფერი გავაკეთე იუნესკოს მაშინდელი გენდირექტორი, ბატონი მაიორი საქართველოში რომ მომეწვია. საქართველოს კათალიკოს პატრიარქის ილია II-ის მხარდაჭერით ყველაფერი გავაკეთე, რომ მსოფლიო პატრიარქი ორჯერ ჩამოსულიყო საქართველოში (1994 და 2003 წლებში). ყველა ექსპერტი, ვინც კი ჩამოდიოდა საქართველოში, გვეუბნებოდა, რომ ბაგრატის ტაძარს იმ შემთხვევაში მივიღებთ იუნესკოს ხსენებულ სიაში, თუ თქვენ მის აღდგენაზე არ იფიქრებთ, რადგან ეს ისეთი დიდი ისტორიის მქონე ძეგლია, ყოველგვარი შეხება მისი დამახინჯება იქნებაო. 2003 წლამდე ვცდილობდი დამერწმუნებინა იუნესკო, რომ მისი აღდგენა საჭირო იყო. დიდ შეკრებაზე პირდაპირ ვუთხარი ედუარდ შევარდნაძეს, რომ ბაგრატის ტაძრის საკითხი მისი კი არა პატრიარქის გადასაწყვეტი იყო. შევარდნაძისთვისაც არ იყო ადვილი, მაგრამ მაინ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს კათალიკოს პატრიარქთან საბჭოს შექმნის შესახებ. შეკრებების დროს ჩვენს დიდ ისტორიკოსებს, მათ შორის ქალბატონ მარიკა ლორთქიფანიძესაც ბაგრატის ტაძრის აღდგენის შესახებ მოსმენაც კი არ უნდოდათ. მე მხოლოდ ერთი არგუმენტიღა მრჩებოდა, რომ ეს არის საქართველოს ერთიანობის სიმბოლო და არ შეიძლება იგი დანგრეული იყოს. ეს არგუმენტიც არ გადიოდა, მეუბნებოდნენ ერთი აგურიც რომ არასწორად დაიდოს, ეს უკვე აღარ იქნება ერთიანობის სიმბოლოო. იტალიიდან და საბერძნეთიდან ჩამოვიყვანეთ მეცნიერები, იუნესკომაც გამოაგზავნა თავისი ექსპერტები, ყველა იმას გვეუბნებოდა აღდგენა არც იფიქროთო. იუნესკო, როგორც იქნა, დავარწმუნე რომ 2003 წლისთვის გამოცხადებულიყო კონკურსი. ის პროექტი, რომლითაც დღეს მუშაობენ, ჩვენ გავიტანეთ კონკურსზე. ორი პროექტი იყო წარმოდგენილი და ორივე, რომ იტყვიან თავზე დაგვახია იუნესკომ. იუნესკოში ძალზე მაღალ დონეზე პირდაპირ მითხრეს, დეპუტატობა გინდა თუ პრეზიდენტობა ეს რომ მოგაქვსო. ამას მე, იმ პიროვნებას მეუბნებოდნენ, ვინც ორჯერ ვთქვი უარი კენჭისყრაზე. პირველად 1995 წელს დავით აღმაშენებლის ძეგლი გავხსენით, მეორედ 2003 წელს, როდესაც ბაგრატის ტაძრის 1000 წლისთავი გადავიხადეთ. სააკაშვილი არც ამ იუბილეს დასწრებია და არც დავით აღმაშენებლის ძეგლის გახსნას, შემომითვალა რა დროს ბაგრატის ტაძარი და ძეგლის გახსნაა, ქვეყანა შიმშილით იღუპებაო. იგი პირველად 2002 წელს მივიდა აღმაშენებლის საფლავზე. ხელები ისე ჰქონდა დაწყობილი, იქიდან რომ გამოვიდა ვუთხარი, მომავლისთვის დაიმახსოვრე მეფის ძეგლთან ხელებს ასეთ ადგილზე არ იწყობენ-მეთქი. მაშინ მითხრა, პირველად ვარ და რა შთამბეჭდავი ყოფილა გელათიო. გეშინოდეთ იმ პოლიტიკოსების, რომლებიც ტაძარში, თეატრში და სტადიონზე პრეზიდენტად, ქალაქის მერად და გუბერნატორად გახდომის შემდეგ დადიან. როგორ შეიძლება ვინმე ენდოს იმ პოლიტიკოსს, რომელმაც ბიძინა ივანიშვილის მიერ შესრულებული 2-მილიარდიანი სამუშაოები თვითონ დაიბრალა. სააკაშვილი თავს იმით გაიმართლებს, ბიძინა ივანიშვილს არ უნდოდა, რომ გვეთქვა მისი გაკეთებული რომ იყოო. ჩემი გუბერნატორობისას, როცა საჯაროდ ვამბობდი საავადმყოფო, სკოლა თუ სხვა რამ ბიძინა ივანიშვილის აშენებული რომ იყო, ბატონ ბიძინას არასდროს უთქვამს რატომ ამბობ მაგასო. ნინო ბურჯანაძე სახელმწიფოს მეორე პირი იყო და დღემდე არ იცის, რომ იმ თანხას, რომელსაც ხელფასზე დანამატის სახით იღებდა, ბიძინა ივანიშვილი უხდიდა. სააკაშვილი არის სკამის მონა, სკამზე შეყვარებული კაცი და სკამის კაცების პოლიტიკა საქართველოში უნდა დამთავრდეს.



**— მეუფე კალისტრატემ მიხეილ სააკაშვილი მეორე აღმაშენებლად და ღვთისგან მოვლენილად გამოაცხადა. თქვენს მიმართ როგორი დამოკიდებულება ჰქონდა?**



— მეუფე კალისტრატეზე გული იმაზე მწყდება, რომ თემურ შაშიაშვილს რასაც უწოდებდა, იგივე სიტყვები სააკაშვილთან მიმართებაში არ უნდა გამოიყენოს.

**— ბატონო თემურ, თქვენ არაერთხელ გითქვამთ, რომ ბევრ გასაიდუმლოებულ ინფორმაციას ფლობთ, თუნდაც ზურაბ ჟვანიის მკვლელობასთან დაკავშირებით. საუბრობდით აუდიოკასეტაზე, რომელიც ამ მკვლელობაში სააკაშვილის მონაწილეობას არ გამორიცხავს.**

— მე ბოლო ხანს გავაკეთე განცხადება. არის პიროვნება, რომელიც ევროპაში ცხოვრობს, იგი ზვიად გამსახურდიას გუნდის წარმომადგენელია. მან საკუთარი თვალით ნახა როგორ შეიტანეს გვამები საბურთალოს ქუჩაზე იმ ბინაში, სადაც ვითომ გაზით გაგუდული პრემიერ-მინისტრის გვამი იპოვეს. უცხოეთში თუ წახვალთ, შემიძლია დაგაკავშიროთ ამ პიროვნებასთან, საქართველოდან დარეკვა არ შეიძლება, რადგან ყველაფერი ისმინება. მოკლედ, ის ქალბატონი, რომელმაც დაინახა, როგორ შეიყვანეს გარდაცვლილი ჟვანია და იუსუპოვი იმ ბინაში, ამათაც დაინახეს. მან ძალიან კარგად იცოდა, რომ რაც არ უნდა ერთგული ყოფილიყო ამ ხელისუფლების, მაინც არ აცოცხლებდნენ, ისევე როგორც იმ პირებს ვინც ჟვანიას საქმესთან იყო დაკავშირებული. მოგეხსენებათ, ისინიც კი მოკლეს ვინც ამ ხელისუფლების სასარგებლოდ მოიქცა. ფაქტიურად უკვე 7-8 კაცია მოკლული, რაც რეალურად ვიცით. 7 აპრილს კონგრესი უნდა გვქონოდა, ამ ქალბატონს წინასწარ შევეხმიანე, მინდოდა იქიდან ეთქვა თავისი სათქმელი, მაგრამ 7 აპრილს არ შემოგვეხმიანა. ათი დღის შემდეგ სხვა ქვეყნიდან სულ სხვა პიროვნებამ დამირეკა, ის ქალბატონი ვერ გირეკავთ, რადგან უსმენენ, საქართველოში შვილები ჰყავს და ეშინია, ამიტომ მთხოვა მე გადმომეცა, თუ რა შეემთხვაო. ამ ქალბატონს გადაუწყვიტია შეხვედროდა იმ ქვეყნის პრემიერ-მინისტრს და არასამთავრობო ორგანიზაციებს, სადაც ცხოვრობს და ყველა მასალა, რაც საქართველოსთან დაკავშირებით ჰქონდა, მათ შორის ჟვანიას მკვლელობასთან დაკავშირებულიც, მათთვის გადაეცა. შეხვედრამდე ორი დღით ადრე მას ავტომანქანა დაეჯახა და დღემდე ინვალიდის ეტლსაა მიჯაჭვული, არავის აკარებენ, ჩაკეტილია. როცა ეს ამბავი შევიტყე, დავუკავშირდი გოგლა ჟვანიას, მით უფრო, რომ ვიცი ამ ბოლო პერიოდში ხელისუფლება აპირებს ზურაბ ჟვანიასთან დაკავშირებით ბინძური რაღაცეების გამოტანას. ბატონ გოგლას ვუთხარი ასეთი პიროვნება რომ არსებობდა და, დავალაპარაკე კიდეც. მეორე დღეს იმ ქალბატონმა სკაიპით წერილი გამომიგზავნა, ჩანაწერი კომპიუტერში მაქვს დატოვებული და როგორც ჩანს, ამიტომაც ტეხავენ ჩვენს ელექტრონულ ფოსტას, სადაც მწერს თქვენი ოთახი და სკაიპი ისმინებაო. ჩვენი საუბრის შემდეგ, ორივე ქალბატონის შვილებისთვის დედების პასპორტების ასლები მოუთხოვიათ. ავტოავარიაში მოყოლილი ქალბატონის შვილები საჯარო სამსახურში მუშაობენ, სახელისუფლებო წრეებთან არიან დაკავშირებული. მათ თან ჰყვებიან, ყველას ითხოვენ სამსახურიდან, მათ გარდა, ამით, ერთი მხრივ, უნდათ მათ დედაზე კონტროლი ჰქონდეთ დაწესებული. მე ის აუდიოკასეტა, რომლის გარკვეული მონაკვეთიც მოსმენილი მაქვს, ხელთ რომ მქონდეს, აუცილებლად გადავცემდი გოგლა ჟვანიას. იმ ხალხს, ვისაც ეს კასეტა აქვს, საქართველოში ახლობლები ჰყავთ და ეშინიათ მათ არაფერი დაუშაონ.

**ისინი პირდაპირ ამბობენ, ეს ჩანაწერი ჩვენი გაკეთებულია, რომ გადმოგცეთ და გაახმაუროთ, მაშინვე მიხვდებიან ვისგან მოდისო. ვერც გაამტყუნებთ, ხომ გამოიტანეს ის ჩანაწერი, რომელიც ადასტურებდა როგორ შედგა შევარდნაძის დავალებით შეხვედრა ავთანდილ ჯორბენაძესა და მიხეილ სააკაშვილს შორის 2003 წლის ნოემბერში. ეს ჩანაწერი ჯინჭარაძემ გააკეთა, რომელიც მოკლულია. ამ ჩანაწერის შესახებ იცოდა მეორე ჯინჭარაძემ და ისიც მოკლეს. ყველაზე მეტი ჩანაწერები მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით რომან დუმბაძეს ჰქონდა და ისიც მოკლეს, ექსპერტი ლევან სამხარაულიც მოკლულია. როგორ გგონიათ, ვინმე გადადებს თავს? თუმცა მე გადადებული მაქვს და მათ ვთხოვ, რომ იმ კასეტიდან ის ნაწილები მაინც მომცენ, რომელიც მათ არ ამხელს.**

იქ 4-5 კაცი იყო, რომლებიც უსმენდნენ როგორ წყვეტდნენ მავანნი, რა გაეკეთებინათ ამ მკვლელობასთან დაკავშირებით. თუ ჟვანია და იუსუპოვი იმ ბინაში გაზით გაიგუდნენ, მაშინ სად არის იუსუპოვის ფეხსაცმელი, რომელიც დღემდე არ არის მოძებნილი. რატომ არ აქვეყნებენ ჟვანიას სიკვდილთან დაკავშირებით საბოლოო დასკვნას? იმიტომ ხომ არა, რომ ეშინიათ იქიდან ზღვა მასალა არ წამოვიდეს, მაშინ ხომ ჟვანიას ბინძურ რაღაცებს ველარ დააბრალებენ.

18 gv.

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

## Temur SaSiaSvili:

# საჭესთან მჯდარმა მიხეილ სააკაშვილმა კაცი რომ გაიტანა, ამაზე ინფორმაცია ბადრი პატარკაციშვილს ჰქონდა და ამის შესახებ ერთმა მისმა ახლობელმა პოლიტიკოსმაც იცის...

17 gv.

**- მაინც რა მოისმინეთ იმ კასეტიდან?, სხვათა შორის, ისიც ითქვა, გია ბარამიძეს საკუთარი ზურგით მიატანინეს ჟვანიას გვამი იმ ბინაშიო.**

- ეს ჩანაწერი „შავნაბადის" რეზიდენციაშია გაკეთებული. ფეხის ხმა ისმის, 2-3 კაცი ტრიალებს და მერე ისმის ხმა, აშკარად ჩანს, რომ სააკაშვილი ლაპარაკობს, წაიღეთ (ის უფრო უხეშ გამოთქმას ხმარობს, გარდაცვლილზე ამას ვერ ვიტყვი) და როგორც მოვილაპარაკეთ ისე გააკეთეთო. მხოლოდ ეს მომასმენინეს. ზურაბ ჟვანია მის კაბინეტშია მოკლული. მარტო იმ ქალბატონმა კი არა, სხვამაც დაინახა გვამების შეტანა. რაც შეეხება ბარამიძის იქ



ყოფნას, ვერაფერს გეტყვით, რადგან არ ვიცი. ისე ამ ხალხისგან და სხვებისგანაც ვიცი, რომ ბარამიძე ყველაზე მეტადაა საქმის კურსში ამ მკვლელობასთან დაკავშირებით. ჟვანიას გუნდიდან ვისაც ვერ ეხება სააკაშვილი და თავისთან შეინახა ის ხალხია, რომელმაც ყველაფერი იცის ჟვანიას სიკვდილის შესახებ და სააკაშვილს მათი მოშორება არ აწყობს. ამის დასტური იყო მიხეილ მაჭავარიანის „ნაცმოძრაობის" გენმდივნად დანიშვნა, ამავე დროს ეს იმის დასტურიცაა, რომ არჩევნების გაყალბებას აპირებენ, რადგან მაჭავარიანი გაყალბების დიდოსტატია. გოგლა ჟვანიამ ვაჟკაცური სიტყვა თქვა, ყველა მოღალატეა ვინც ზურაბ ჟვანიას გვერდით იყო და სააკაშვილთან დარჩაო.

ერთიც მინდა გითხრათ, ძალიან კარგად ვიცი, სააკაშვილს რამე რომ დაემართოს, მის დაცვას და გარემოცვას ალიბი აქვთ. თქვენ ხომ არ გგონიათ, ვანო მერაბიშვილის გარეშე მოხდა მიხეილ სააკაშვილი მახათას მთაზე იმ ფორმაში რომ ვნახეთ. ვის აწყობდა ეს რომ გვენახა? რა თქმა უნდა იმათ, გვეტყვიან ნარკოტიკებს იღებდა და კაიფში „გაიპარაო". რა გგონიათ, სააკაშვილი მუდმივად რატომ ისვამს ცხვირზე ხელს? რაღაც სისულელეებს ვისმენთ ტელევიზიებით, ნეტავ, სად ყრია შპრიცებიო? ხალხს ჰგონია, რომ ნარკომანობა მარტო შპრიცებითაა. მახათას მთაზე სააკაშვილი ნარკოტიკისგან გაგუდული იყო. ნინო ბურჯანაძემ ძალზე ვაჟკაცური სიტყვა თქვა, მე რომ მის გვერდით ვყოფილიყავი, წინ გადავუდგებოდი და ამ მდგომარეობაში მყოფ სააკაშვილს მახათას მთაზე არ გავუშვებდიო.

**აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ მის გარემოცვასაც კი უნდა ხალხს ასეთი სააკაშვილი ანახოს, რადგან მას ხვალ-ზეგ რამე რომ დაემართოს ან ოპოზიციას დააბრალონ, ან თქვან ნარკოტიკებისგან გაიგუდაო.**

ასევე ათასნაირი რაღაცეები აქვთ შეთხზული ზურაბ ჟვანიასთან დაკავშირებითაც. აი, ასეთი ვერაგი ხელისუფლება გვყავს. მე არ ვიცი რამდენად მართალია ის ვერსიები, რასაც ისინი ჟვანიასთან დაკავშირებით ამტკიცებენ, მაგრამ ამ მკვლელობასთან რომ არავითარი კავშირი არ აქვს, დანამდვილებით ვიცი.

**ზურაბ ჟვანია პირადად მიხეილ სააკაშვილის ხელითაა მოკლული. მე ვერ გეტყვით, რომ მას ეს უნდოდა, მაგრამ შემთხვევით რომ არ მომხდარა, ეს ფაქტია. არც ბადრი პატარკაციშვილია შემთხვევით მკვდარი და არც გურამ შარაძე. არც ისაა შემთხვევითი, საჭესთან მჯდარმა მიხეილ სააკაშვილმა კაცი რომ მოკლა.**

ეს ინფორმაციები ბადრი პატარკაციშვილს ჰქონდა, რაც ერთმა მისმა ახლობელმა პოლიტიკოსმაც კარგად იცის. დარწმუნებული ვარ დადგება დრო, როცა ის ამას იტყვის. მან ისიც იცის რამდენი ასეული მილიონი ჩამოირიცხა ფოთის პორტში, რომლის შესახებაც ბადრი პატარკაციშვილს მასალები ჰქონდა, ამიტომაც უნდა მომკვდარიყო, თორემ სააშკარაოზე გამოვიდოდა ისეთი დოკუმენტები, რომელიც დასავლეთსაც ამხელდა ბევრ რამეში.

**— სააკაშვილს იმ ტრაგიკული ავტოავარიის დროს რა თანამდებობა ეკავა?**

— იგი იმ პერიოდში მოქკავშირის გენმდივანი და იუსტიციის მინისტრი იყო. პოლიციელები არ ჰყავს ნაცემი ირაკლი ოქრუაშვილს იუსტიციის მინისტრის მოადგილე რომ იყო? სააკაშვილი მასაც და თავისი სხვა მოადგილეების ძმებს, რომლებმაც ათასი უბედურება ჩაიდინეს, თავგამოდებით იცავდა. მსგავსი აზროვნებითაც კი ქვეყნის დამანგრეველი ამერიკულ-სომხური „პეტერსონ ბელქნაფის" ფირმის მსახური, როგორიც სააკაშვილია, წარმოუდგენელია. ამერიკის ის წრეები, რომლებსაც საქართველოს ხელში ჩაგდება სჭირდებათ, უკეთეს კაცს ვერ მოძებნიან და სააკაშვილს დათმობენ? ვერც რუსეთი მოძებნის უკეთეს კაცს საქართველოს ეკონომიკის ხელში ჩასაგდებად, ამიტომ არც ის დათმობს სააკაშვილს. ქართველმა ხალხმა უნდა აიძულოს ისინი, თავიანთი საზიარო მარიონეტი დროულად მოაშორონ აქაურობას.

**მანანა სუხიშვილი**



# visTan emzadeba saomrad xelisufleba?

როგორც ცნობილია, საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში აქტიურად დაიწყო ე.წ. რეზერვისტების შერჩევა და მობილიზება.

ჯერჯერობით უფრო სელექციური ხასიათის სამუშაოები მიმდინარეობს — სწავლობენ კონტიგენტს, არჩევენ კანდიდატებს, რომლებსაც შემდეგ სათანადო ტრენინგებს უტარებენ.

განსაკუთრებული აქტიურობით, როგორც ამბობენ, სოფლის მოსახლეობაში მუშაობენ.

თითოეული სოფლიდან 10-15 რეზერვისტი ირჩევა. ფიზიკურ მონაცემებთან ერთად აუცილებელია რეზერვისტობის კანდიდატი პოლიტიკურად საიმედო იყოს ანუ „ნაცმოძრაობას" უჭერდეს მხარს და ოპოზიციური აზრები არ აწუხებდეს.

**წარმოუდგენელია, რეზერვისტების სიაში მოხვდეს რომელიმე ოპოზიციური პარტიის წევრი ან ოპოზიციურად განწყობილი რომელიმე ოჯახის წარმომადგენელი, რაც საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ასეთი „სპეციფიკური" ნიშნებით შერჩეულ ადამიანებს ჯერჯერობით უხილავი და დაუდგენელი მტრის მოსალოდნელი შემოსევისგან ქვეყნის დასაცავად კი არა, საჭირო შემთხვევაში ოპოზიციურად განწყობილი მეზობლების და თანასოფლელების მისაბეთქად ამზადებენ.**

მთელი საქართველოს ტერიტორიაზე, ამერსა და იმერში, ჯერჯერობით არ დაფიქსირებულა არც ერთი შემთხვევა, ვიმეორებთ, არ დაფიქსირებულა არც ერთი შემთხვევა, რეზერვისტების სიაში აღმოჩენილიყოს რომელიმე ოპოზიციური პარტიის წევრი.

აქედან დასკვნა: ან ამ ხელისუფლების აზრით, სამშობლოსათვის ბრძოლა და მისთვის თავგანწირვა მხოლოდ „ნაცმოძრაობის" წევრების ან მმართველი გუნდისადმი ლოიალურად განწყობილი მოქალაქეების პრეროგატივაა, დანარჩენებს კი ამის უფლება არ აქვთ ან ამ რეზერვისტებს ქვეყნის დაცვა კი არა, სააკაშვილის „ნაცმოძრაობის" და ზოგადად მთელი სახელისუფლო გუნდის დაცვა ევალებათ შინაური „მტრებისგან" — პოლიტიკური ოპონენტებისგან, განსხვავებული აზრის მქონე მოქალაქეებისგან და სხვა არასაიმედო „ელემენტებისგან".

მოკლედ რომ ვთქვათ, ესენი რეზერვისტები კი არა, ზონდერ-რეზერვისტები არიან, რომლებსაც მომავალ საპარლამენტო არჩევნებში სხვაგვარად მოაზროვნეთა ასალაგმავად და „დასაჩმორებლად" წვრთნიან.

**ყველა სოფელსა თუ ქალაქში „ნაცმოძრაობის" აქტივისტებს დავალებული აქვთ წარმოადგინონ ოპოზიციურად განწყობილი მეზობლების, მეგობრების, ნაცნობების, „თანაპადიეზდელების", თანაუბნელების თუ თანასოფლელების სია, რომელიც შემდეგ ერთად იყრის თავს ერთ საინფორმაციო ბანკში.**

**თითქმის ისეა ყველაფერი, როგორც გასული საუკუნის 37-იან წლებში — ხელისუფლება რეპრესიული მანქანის დასაქოქად ემზადება.**

სწორედ ამისთვის ჭირდება მას რეზერვისტებად მონათლული ნახევრად გასამხედროებული დაჯგუფებების შექმნა, რომლებიც შეიძლება ქართულ „ესესად" ან სულაც ქართულ „ენკავედედ" ჩამოყალიბდეს.

სახიფათო თამაშს თამაშობთ თქვენ, ძვირფასო ხელისუფალნო და ამ თამაშ-თამაშში ემანდ ისეთი ბომბი არ აგიფეთქდეთ, რომელიც ქვეყანასთან ერთად თქვენც მოგიყოლებთ ნანგრევებში, საიდანაც თავის დაღწევა შეუძლებელი იქნება...

**გიორგი გამეზარდაშვილი**

იხილეთ „საერთო გაზეთი" ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი



# gaerTianebis gareSe arsebuli reJimis sruli demontaJi SeuZlebelia

## „სახალხო პარტია“ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ

დამოუკიდებლობის 20 წლის განმავლობაში განვითარებულმა პროცესებმა ნათლად დაგვანახა, რომ ჩვენი ქვეყანა ერთგვარ მოჯადოებულ წრეს ვერ გასცდენია და, ნაცვლად იმისა, რომ ცივილიზებული მსოფლიოს გამოწვევებს ავუწყოთ ფეხი, ჯერაც იმ პრობლემებს ვებრძვით, რაც კარგა ხანია წარსულისთვის უნდა ჩაგვებარებინა.

მხედველობაში გვაქვს, ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება და **ხელისუფლების ცვლილების პრობლემები.**

დღეს ეს პრობლემები კიდევ უფრო მძაფრია, ქვეყნის ტერიტორიის 20%-ი ოკუპირებულია და ქვეყანას მართავენ დემოკრატიული, ეროვნული და ქრისტიანული ღირებულებებისაგან დაცლილი, აგრესიული კლანები, რომელთა ლეგიტიმაციას უზრუნველყოფს სახელმწიფოსთან შეზრდილი დანაშაულებრივი საარჩევნო გარემო და მმართველი პარტია, რომლის სახესაც დღეს წარმოადგენს **ტიპურ ტირან-ავტოკრატად ჩამოყალიბებული მიხეილ სააკაშვილი.**

აი, ამ უაღრესად მძიმე ფონზე, ბუნებრივია საზოგადოების მძაფრი ინტერესი საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისადმი, რომელიც გამოწვეულია პოლიტიკურ არენაზე ისეთი ძლიერი მოთამაშის ჩართვით, როგორიც **ბიძინა ივანიშვილია**.

მისმა გამოჩენამ ძირეულად შეცვალა სიტუაცია და, გარდა სრულიად ახალი აქცენტებისა, გამოიწვია საპროტესტო ელექტორატის გააქტიურება.

**ვეხმიანებით რა ბატონი ბიძინა ივანიშვილის გულწრფელ, ემოციურ გამოსვლას მრავალათასიან მიტინგზე ოზურგეთში, გვსურს საზოგადოებას გავუზიაროთ რამდენიმე მოსაზრება იმის თაობაზე, თუ როგორ ესახება „სახალხო პარტიას“ რიგი ნაბიჯებისა, რაც თავიდან აგვაცილებდა მოვლენების განვითარებას არასასურველი სცენარით.**

ამ წერილის მიზანი, ცხადია, არ არის რომელიმე პარტიის საქმიანობასა თუ ქმედებაში რაიმე სახის კორექტივების შეტანის სურვილი, ან მით უმეტეს, მათი პოლიტიკური ნაბიჯების რევიზია, არამედ ეს არის „სახალხო პარტიის“ პრინციპული პოზიცია და ჩვენი პოლიტიკური გამოცდილებიდან გამომდინარე, თავს უფლებას ვერ მივცემთ, არ დავაფიქსიროთ იგი.

ვთვლით, რომ ჩვენს მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებები შესაძლოა გახდეს განსჯის საგანი და შეძლებისდაგვარად იქნას გათვალისწინებული ის მწარე გამოცდილება, რომელიც დაგროვილია ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში და იძლევა იმ დასკვნების გაკეთების საშუალებას, რამაც შეიძლება ქვეყანა გამოიყვანოს ჩიხიდან, რომელშიც ამჟამად იმყოფება:

— ხელისუფლების მოქმედება აბსოლუტურად მიუღებელია ქართული საზოგადოებისათვის და, შესაბამისად, იგი მზად არის, რათა აქტიური მონაწილეობა მიიღოს ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობაში.

— რიგ გარემოებათა გათვალისწინებით, რაზეც ამჯერად თქვენს ყურადღებას არ მოვაცდენთ, დღევანდელი ოპოზიციური სპექტრის ყველაზე გამოკვეთილი ფიგურისა და პოლიტიკური ორგანიზაციის წარუმატებლობა შესაძლოა კატასტროფული აღმოჩნდეს სახელმწიფოსთვის, რადგან ყოვლად დაუშვებელია დღევანდელი რეჟიმის შემადგენელი კლანების რეინკარნაცია. მათი ხელახალი „წარმატების“ შემთხვევაში არა, თუ ქვეყნის განვითარება დადგება ეჭვქვეშ, არამედ საქართველოს, როგორც სახელმწიფოს არსებობაც კი.

უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია **საერთო ამოცანის სწორად დასახვა** და შედეგზე ორიენტირებული პოლიტიკური ბრძოლის შესაბამისად დაგეგმვა. არსებობს მოსაზრება, რომ ეს სისტემა მხოლოდ ერთი ადამიანის ნება-სურვილით იმართება და მხოლოდ მისი შეცვლით შესაძლებელია სიტუაციის გამოსწორება. ამგვარი მცდარი აზრი სათავეშივე უნდა გამოირიცხოს, რადგან სააკაშვილის ხელისუფლებიდან ჩამოცილება ავტომატურად არ ნიშნავს (ისევე როგორც შევარდნაძის ჩამოცილება არ ნიშნავდა) რეჟიმის, სისტემის შეცვლას. შესაბამისად, ამოცანა უნდა იყოს არა მხოლოდ სააკაშვილის გასტუმრება ხელისუფლებიდან, არამედ მთელი მანკიერი სისტემისა, რომლის შექმნაშიც თითოეულმა ჩვენგანმა მივიღეთ მეტ-ნაკლებად მონაწილეობა.

აქედან გამომდინარე, ნუ გავექცევით პასუხისმგებლობას, ნუ ვეცდებით, რომ მხოლოდ და მხოლოდ სააკაშვილს ავკიდოთ ყველაფერი, ჩვენ კი, ყველამ, უცოდველებად და მის მსხვერპლად მივიჩნიოთ თავი.

საჭიროა, რომ თითოეულმა ჩვენგანმა თავისი წილი პასუხისმგებლობა აიღოს საკუთარ თავზე და რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში სწორედ ამ განცდით განახორციელოს თავისი ქმედებები.

აუცილებელია ერთობლივი ძალისხმევა, რათა **შევძლოთ არსებული რეჟიმის სრული დემონტაჟი,** რადგანაც ამის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება არსებული პრობლემების მოგვარება. ამის გარეშე სააკაშვილის ხელისუფლებიდან გაშვება ნიშნავს ჩანაცვლებას, რაც თავის მხრივ, ნიშნავს გარკვეული ვალდებულებების აღებას ქვეყნის შინ და გარეთ, რაც დაღს დაასვამს ახალი ხელისუფლების საქმიანობას.

მსგავსი ცვლილება 2003-ში განხორციელდა და რაც ამჟამად გვჭირს, სწორედ ამგვარი, მემკვიდრეობით ნაკისრი ვალდებულებების შედეგია. ასე გრძელდება ჩვენს ქვეყანაში „დემოკრატიად“ წოდებული ეს ფარსი დამოუკიდებლობიდან დღემდე.

ქართული სახელმწიფოს მშენებლობისათვის **ჯანსაღი პოლიტიკური სივრცის პარამეტრების** ჩამოყალიბების, სრულიად რეალური ოპოზიციური კონსენსუსის მიღწევისა და პოლიტიკურ ცხოვრებაში დამკვიდრების გარეშე შეუძლებელია მდგრადი პოლიტიკური სისტემის შექმნა და ქვეყნის განვითარების დაწყება.

სისტემის შეცვლის მექანიზმებისა და ახალი სისტემის შექმნის პარამეტრების შემუშავებაში მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველამ, ვისაც კი აქვს შესაბამისი გამოცდილება.

ამასთან, დაუშვებლად მიგვაჩნია პოლიტიკური ოპოზიციის ნებისმიერი სუბიექტის მხრიდან ისეთი ქმედებები, რომელიც ხელს შეუწყობს ხელისუფლებას პოლიტიკური მანიპულაციების განხორციელებაში, რამაც საბოლოო ჯამში შეიძლება თუნდაც ერთი ადამიანის ბრძოლიდან გამოთიშვა ან არჩევნებზე ერთი ხმის დაკარგვა გამოიწვიოს.

ამგვარად, უკვე ამ ეტაპზევე აუცილებელია ოპოზიციურად განწყობილი ქართული საზოგადოების ამ დიდი ნაწილის **სტრუქტურირება და მისი ბრძოლისუნარიან ძალად ჩამოყალიბება**. საერთო ეროვნული ამოცანის მოაზრება, პოლიტიკური მენეჯმენტისა და ინფრასტრუქტურის განვითარება და თითოეული თანამებრძოლის ადგილის განსაზღვრა ამ ამოცანის შესრულებაში.

აღნიშნული ქმედებები ისე უნდა იყოს გააზრებული და განხორციელებული, რომ საქართველოს მოქალაქეებს გაუჩნდეთ სისტემის დამარცხების შესაძლებლობის რწმენა, ხოლო ყველა აქტივისტს უნდა ჰქონდეს დაცულობის განცდა და იმის გარანტია, რომ ის მარტო არ იქნება მიტოვებული რეჟიმთან ბრძოლის პროცესში.

პირველყოვლის, მკაფიოდ და ნათლად უნდა იყოს ნაჩვენები ძირითად საკითხებში **სააკაშვილის რეჟიმისგან განსხვავებული ხედვები და ქმედებები.**

ასევე მიგვაჩნია, რომ დღეს წინა პლანზე სოციალურ პრობლემატიკასთან ერთად, წამოწეული უნდა იყოს ეროვნული ღირებულებები, რომლისთვისაც ღირს ბრძოლაც, სიცოცხლეც და სიკვდილიც.

ამგვარად, თუ ზემოთქმულს შევაჯამებთ, უნდა მოხდეს სააკაშვილის რეჟიმს დაპირისპირებული ყველა სუბიექტის **ერთიან პოლიტიკურ სივრცედ ორგანიზება;** რეჟიმის გარე ლობისტებისა და შიგა სატელიტების მხილება, რათა მოხდეს მმართველი ძალის გაშიშვლება და მარტო დატოვება.

შესაბამისად, ჩვენი აზრით, დროა, რომ **ყველა პოლიტიკურმა პარტია**, იმ მიმართულებითა და იმ სივრცეში, რომელიც მისთვის წლების განმავლობაში ჩვეულია და გათავისებულია, უფრო მეტად უნდა გააქტიურდეს, რადგან უმართებულოდ მიგვაჩნია, რომ მხოლოდ ერთ ლიდერს ავკიდოთ მთელი პასუხისმგებლობა და თავად კი მომლოდინეს ან ჩასაფრებულის როლი ვიკმაროთ.

„სახალხო პარტია“ გამოთქვამს ამ ბრძოლაში მონაწილეების მზადყოფნას, იწყებს აქტიურ პოლიტიკურ კონსულტაციებს და მოუწოდებს ყველას, ვინც იზიარებს ზემოთ ჩამოყალიბებულ შეხედულებებს, ვინც არ იკვებება სახელისუფლებო სუფრიდან, ვისაც გააჩნია შესაბამისი ადამიანური, პოლიტიკური, ინტელექტუალური და სხვა რესურსი — გავაძლიეროთ ჩვენი ძალისხმევა და მოვახდინოთ მოქმედებების კოორდინირება, რათა შევქმნათ გარანტი იმისა, რომ მოხდეს არსებული რეჟიმის სრული დემონტაჟი და ერთხელ და სამუდამოდ საქართველოში დამკვიდრდეს ნორმალური, ცივილიზებული პოლიტიკური გარემო, სადაც გადაწყვეტილებებს მიიღებენ არა დანაშაულებრივი კლანები, არამედ ჩამოყალიბებული პოლიტიკური სუბიექტები და საქართველოს მოქალაქეები.



**მამუკა გიორგაძე,**
**სახალხო პარტია**
**თბილისი, 2012 წლის 23 ივნისი**

# „ულმობელი საქმის კაცი"

## ეპიზოდები ნიკო ნიკოლაძის ცხოვრებიდან



ასე უწოდა არჩილ ჯორჯაძემ ნიკო ნიკოლაძეს, ვისაც საქვეყნო საქმეებისთვის დაუღალავი შრომა ცხოვრების უმთავრეს აზრად მიაჩნდა. მისი სხვა თანამედროვე „დროს გასწრებულ კაცად" მოიხსენიებდა. ნიკო ნიკოლაძე, თითქმის 50 წლის განმავლობაში, საქართველოში წამოწყებული უმნიშვნელოვანესი საქმეების მოთავე და მონაწილე იყო, სადაც საჭირო ხდებოდა მისი დახმარება, უმალ იქ ჩნდებოდა: „ბანკი იყო, საბანკო საქმეს ემსახურებოდა, სტამბა-გამომცემლობა იყო, სასტამბო-საგამომცემლო საქმეში შრომობდა („კრებული", „დროება", „ობზორი", „ნოვოე ობოზრენიე", „ქართული წიგნი"), ტყიბულის ქვანახშირი იყო, სამთამადნო საქმეს დაადგა თავი (ქვანახშირს თვითონაც აწარმოებდა და მწარმოებელთა ამხანაგობებიც ჩამოაყალიბა), რკინიგზა იყო, სარკინიგზო საქმეს უძღვებოდა (პლატფორმაც კი არსებობდა „ნიკო ნიკოლაძე"), ჭიათურის შავიქვა იყო, მარგანეცის საქმეს უთავკაცა (გადაზიდვის საქმეც მოაგვარა და ჭიათურა-შორაპნის სარკინიგზო ტოტიც გაიყვანა), ქალაქისთავობა იყო და ფოთი მან წამოაყენა ფეხზე...", — წერს აკაკი ბაქრაძე ნიკო ნიკოლაძეზე დაწერილ მონოგრაფიაში.

ნიკო ნიკოლაძე ფოთს ზედმიწევნით იცნობდა — ქალაქის ჭირი და ლხინი გულთან ახლოს მიჰქონდა, წუხდა მისი იმდროინდელი მდგომარეობის გამო:

„ფოთის ადგილ-მდებარეობის უცუდესი მხარე ის არის, რომ ის მეტად დაბალი და ჭაობიანია; დიდი წვიმებისა და რიონის წყალდიდობის დროს ქალაქი წყლით სავსეა... რასაკვირველია, ამისთანა დაცემულს და წყლიან ადგილს მეტად ნოტიოიანი ჰავა აქვს. პირველი შეხედვით, კაცი იტყვის, რომ ეს ხოლერის და ყველა გვარი ციებ-ცხელების ბუდე უნდა იყოსო და, მართლაც აქაური ჰავა კარგი არ არის, მაგრამ კიდევ კარგი, რომ ის იმდენათ ცუდი და მავნებელი არ ყოფილა, როგორც საფიქრებელია...

...ფოთის გასაშრობად საჭიროა რიონის ნაპირის დაგუბვა და ამაღლება, მთელი ქალაქის სივრცეზე დიდძალი ქვიშის მოყრა და რუების გაყვანა... ფოთს დიდი როლი და კარგი სვე მოელის მომავალში, რკინის გზა ჩქარა შეაერთებს მას თბილისთან, მერე კასპიის ზღვასთან, შემდგომ როდისმე შუა აზიასთან, სპარსეთთან და შესაძლებელია ინდოეთთანაც. მაშინ ამ გზით გაიმართება დიდი მოძრაობა, მისვლა-მოსვლა და აღებ-მიცემა ერთი მხრით ევროპასა და მეორე მხრით საქართველოს, შუა აზიას და სპარსეთს შორის, და ფოთს თავისი პორტით ექნება დიდი მნიშვნელობა; იგი შეიქმნება ერთი უდიდესი და უმდიდრესი სავაჭრო ქალაქთაგანი, იგი აჯობებს მაშინ ოდესასაც", — ოცნებობდა და წინასწარმეტყველებდა ჯერ კიდევ 1871 წელს სრულიად ახალგაზრდა ნიკო ნიკოლაძე და რომ არა იგი, ეს ოცნება ოცნებად დარჩებოდა...

ამ ოცნების ასრულების აუცილებლობა დრომ მოიტანა. მართალია, ფოთის მშენებლობაზე მანამდეც ბევრს ფიქრობდნენ და შრომობდნენ კიდეც, მაგრამ ათეული წლების განმავლობაში მდგომარეობა თითქმის არ იცვლებოდა. ფოთელებმა საშველად



ნიკო ნიკოლაძეს მიმართეს და სთხოვეს, ქალაქის მერობას დათანხმებულიყო.

აი, ფოთელი ხმოსნების წერილობითი თხოვნა:

„ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი, ფოთის სათათბიროს ხმოსნები მოგმართავთ თქვენ თხოვნით, რომელიც, ვიმედოვნებთ, არ მოგეჩვენებათ თავხედობათ ჩვენი მხრიდან. ქალაქი ფოთი მძიმე ავადმყოფს გავს, რომლის განკურნებისათვის აუცილებელია გამოცდილი ექიმი. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ უარს არ იტყვით მის დახმარებაზე. ჩვენ 25 წელზე მეტი თვალს ვადევნებთ თქვენს საზოგადოებრივ მოღვაწეობას, ვხედავთ, რომ არ იშურებთ ცოდნასა და ენერგიას, არ ჩერდებით არავითარი დაბრკოლების წინაშე და სახელოვნად ატარებთ მოწინავე კავკასიელის დროშას, იბრძვით ქვეყნის წარმატებისათვის. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ფოთის სათათბიროს თქვენი დიდი სახელიც ამშვენებს.

ჩვენი ქალაქის მძიმე მდგომარეობის პირობებში საფუძველი გვაქვს მოგმართოთ თქვენ თხოვნით ჩაუდგეთ მას სათავეში... გთხოვთ, მოგვცეთ თანხმობა წამოვაყენოთ თქვენი კანდიდატურა ქალაქის თავის თანამდებობაზე. თქვენ იქნებით ერთად ერთი კანდიდატი. ვიმედოვნებთ, რომ დადებითად გვიპასუხებთ".

ნიკო ნიკოლაძის კანდიდატურა თითქოს ყველასთვის მისაღები უნდა ყოფილიყო, მაგრამ დაეჭვებულებიც გამოჩნდნენ და იმდროინდელ პრესაში გამოჩნდა კიდეც განმაქიქებელი პუბლიკაციები... ნიკოლაძე მართალია, ერთადერთი კანდიდატი არ აღმოჩნდა, როგორც ამას ქალაქის ხმოსნები ვარაუდობდნენ, თუმცა მისი უპირატესობა აშკარა იყო.

„ბ-ნი ნიკოლაძე უფრო შეეფერება ფოთელების იდეას. იგი, გარდა იმისა, რომ საქმის კაცია, ნიჭიც შესწევს ახალი სასარგებლო საქმეც შეჰქმნას და მეორე, მან თავისი სიცოცხლე ტფილისის საბჭოსა და იმის ხმოსნებთან ბრძოლაში გაატარა და ამიტომ ზედ-მიწევნით აქვს შესწავლილი კავკასის დედა-ქალაქის ეკონომიური მდგომარეობა.



მართალია, ნიკოლაძე, როგორც კაცი, უნაკლო არ არის, და იქნება ზოგიერთის მხრივ კიდეც ჩამოუვარდეს თავისს წინამოადგილეებს, მაგალითებრ, ის დინჯად ვერ მოისვენებს თავმჯდომარის სავარძელზედ, როგორც ვახრამოვი, იმას ისეთი დარბაისელი შეხედულება არა აქვს, როგორიც ჰქონდა თავდგირიძესა. ისე ხერხიანად ვერ ჩამოართმევს ხელსა, როგორც ბ-ნი მეუნარგია და, ამას გარდა, იმის სერთუკს ერთი ფოლაქი ყოველთვის აგლეჯილი ექნება, მაგრამ, სამაგიეროდ, თუ ნიკოლაძეს მოუხდება ბრძოლა ქალაქის მტრებთან, მაშინ იგი არ დაიშურებს და უხვად გამოიჩენს თავისს დიდსა და საფუძვლიანს ეკონომიურსა, სტრატეგიულსა და სხვა მეცნიერულ ცოდნას, და ამ შემთხვევაში კი ნიკოლაძეს მართლაც ცალი და ბადალი არ ჰყავს" *(ივანე ვახრამოვი, ნესტორ თავდგირიძე და იონა მეუნარგია ნიკო ნიკოლაძის წინამორბედები იყვნენ ფოთის მერის თანამდებობაზე).*

...საბედნიეროდ, მავანთა ქილიკსა და ეჭვიან დამოკიდებულებას საბოლოო შედეგზე გავლენა ვერ მოუხდენია — 1894 წლის 25 ოქტომბერს, ფოთის ქალაქისთავის არჩევნებში, 210 კაციდან ნიკო ნიკოლაძეს მხარი 193-მა დაუჭირა, 17 კი წინააღმდეგი იყო.

ამ პერიოდისთვის ფოთის ბიუჯეტი 75 ათას მანეთს შეადგენდა, ხოლო როცა თანამდებობა დაატოვებინეს და უამრავი ბრალდებაც წაუყენეს, 723 327 მანეთს. წიგნში — „ფოთის წარსულიდან" გამოქვეყნებულია 1914 წელს შედგენილი დოკუმენტი — ფოთის ქალაქის ხმოსნების მიმართვა ამომრჩევლებისადმი. მასში ჩამოთვლილია ის, რაც უკვე გააკეთა ნიკო ნიკოლაძემ და ისიც, რის გაკეთებასაც მომავალში აპირებდა.

**რა გააკეთა:**

„1. წყალდიდობისაგან აკლებულ ფოთს ულმობელ სტიქიისაგან შველა ესაჭიროებოდა, ამისათვის ქალაქს ირგვლივ ჯებირი შემოავლო და ახლა წყალი ისე თავისუფლად ვერ დასეირნობს ქუჩებში, როგორც წინათ.

2. შავს ვარსკვლავზე დაბადებული პორტი მკვდრეთით აღდგენას ლამობდა და გააცოცხლა ნავსადგურის განახლებით, ფოთსა და საქართველოს დიდი სარგებლობა მოუტანა. ევროპა დაგვიახლოვა, აღებ-მიცემობა გააძლიერა.

3. გადაჭიმა სამი ხიდი, რომელთაგან ორი ქალაქსა და დიდ კუნძულს პორტთან აერთებს და მესამე, ფოთელების მასაზრდოებელ გურიასთან.

4. ახალი ხიდების აგებით გააუქმა მდინარე მალთაყვაზე და რიონზე ნავებით გადასაყვან-გადმოსაყვანი უზომო გადასახადი გაჭირვებულ ხალხის შემავიწროებელი.

5. მოსპო ძველ რკინის ხიდზე დაწესებული ბაჟი.

6. ააშენა ელექტრონის სადგური, რომელიც პორტსა და ქალაქს ანათებს.

7. გააბა ტელეფონის ქსელი, რომლის ბოძები თავმორთულ კეკლუც პატარძალივით ქუჩებს ამშვენებს.

8. გააკეთა, ნაცვლად დახავსებულ სამოქალაქო და სახელოსნო სასწავლებლების ხის სახლებისა, ლამაზი აგურის ორსართულიანი შენობები, რომელსაც მხარს უმშვენებენ ახლად დაარსებული ქალების და ვაჟების გიმნაზიის ქვის შენობები და სხვა სკოლები.

9. უხერხულ ადგილას მოთავსებული სავაჭრო მოედანი გადაიტანა მოხერხებულ ბინაზე, სადაც გაშენებულია გადახურული ბაზარი და სასწორი. იქვე გაკეთებულია ოთხი ქვის დუქანი და სხვა.

10. მოაწყო სასაკლაო და ორი წყლის ამოსაღები გენებიკის სისტემისა, რომელიც მცხოვრებლებს სუფთა წყალს აწვდის.

11. განაახლა ქალაქის კოშკი და მის გვერდით ამართა უზარმაზარი ეკლესია ბიზანტიის სტილზე, რომელიც თავის აგებულობით იპყრობს მნახველთა ყურადღებას.

12. მოუპოვა სამკურნალოს და პოლიციას საკუთარი ბინა.

13. მოაწყო ცხენის რკინიგზის ლიანდაგი.

14. ნავსადგურში მიმავალი ქუჩების მოკირწყვლა და სხვა გზატკეცილების გაყვანა თუ ძნელად ოცნებაში არსებობდა, დღეს სინამდვილედ გახდა.

15. ქალაქის განაპირა ადგილების (ჩოჩხატის აგარაკის) შეძენა ბანკიდან.

16. საქონლის საწყობების გამართვა პორტში და ელევატორში.

17. ნახევარკაპიკიანი საფუთო გადასახადის დაარსებას ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს ქალაქის ფინანსებისათვის, რომ მისი წყალობით სულდგმულობს ადგილობრივი კულტურული დაწესებულებანი..."

ასეთ მრავალმხრივ და მასშტაბურ საქმიანობას მხოლოდ თავდაუზოგავი შრომა არ ჰყოფნიდა: მას ჯანმრთელობა და ნერვები ეწირებოდა. ნიკო ნიკოლაძე თავის მეგობარ იონა მეუნარგიას შესჩიოდა:

„რა ნერვები უნდა ჰქონდეს ადამიანს, ამისთანა სიცოცხლე აიტანოს, ნეტავი მაინც ოჯახობა არ მყავდეს აქ, არ ხედავდეს ჩემს გასაჭირს და ღელვას. რომ იცო-

დე, როცა შინ ვბრუნდები, რანაირად შემცქერიან თვალებში ჩემი შვილები და ცოლი – მწუხარეა თუ მხიარულიო, რამდენად ჩემზე უფრო მეტს განიცდიან ესენი, როცა საქმე ფერხობს თუ კოჭლობს. ხშირად, როცა შინ ვბრუნდები, უნდა მხიარული გამოხედულობა განგებ მივიღო, რომ ესენი არ დავაღონო. რამდენად უფრო ადვილი იყო ჩემი მდგომარეობა აქ, როცა არავინ მოწმეთ არ მესწრებოდა ტანჯვისა და გასაჭირისა“.

18 წლის განმავლობაში (1894-1912 წლები), ნიკო ნიკოლაძის ქალაქისთავობისას, ჭაობიანი პატარა ფოთი დიდი პერსპექტივების ქალაქად გადაიქცა. 1913 წელს ჟურნალ „კლდეში“ ვკითხულობთ:

„ამ ოცი წლის წინათ პირველად ვიხილე ფოთი. იმ დროს იგი უფრო მოზრდილ სოფელს ჰგავდა, ვინემ ქალაქს, წუმპე-ტალახიანი ბნელი ქუჩები, ხის პატარა სახლები, ჭუჭყიანი უშნო დუქნები, ციებ-ცხელებით შეპყრობილი, უძალღონო, უფერული ხალხი; ირგვლივ ჭაობები... აი, რა იყო იმ დროს ფოთი...

ამ დღეებში შემთხვევა მომეცა კვლავ მენახა ეს ოდესღაც საცოდავი ფოთი. ღმერთო ჩემო!.. თიილისმას გარდაუქმნია იგი ამ ოც წელიწადში მშვენიერ ქალაქად: დამშრალა ჭაობები... ვრცელი და სწორი მოკირწყლული ქუჩები, ხისა და ქვის ორსართულიანი ლამაზი სახლები, საქონლით სავსე მინით გადახურული ბაზარი და კოხტა დუქნები, პატარა წყალსადენი, ცხენის კონკა და ელექტრონით განათება – აი, რა ვნახე დღეს ფოთში...

ნეტა ვინ მოახდინა ეს სასწაული?! ვინ არის ის ჯადოსანი, რომელმაც გააცოცხლა მკვდარი ფოთი და გარდაქმნა იგი მშვენიერ ქალაქად?! ვინ ააყვავა დამპალ ჭაობებში საქართველოს ეს ქალაქი და აქცია იგი პირველხარისხოვან ბოღაზად, რომლის ნავსადგური სავსეა დღეს ოკეანის გემებით და რომლის საქონლის გატან-შემოტანა უდრის წლიურად 100 მილიონ ფუთს?! ვინ აღძრა და აამოძრავა ფოთის სიცოცხლის ძარღვი?! ეს გახლავთ ნ. ნიკოლაძე“.

ნიკო ნიკოლაძე უფრო მეტის გაკეთებას ცდილობდა; სამომავლო გეგმები არანაკლებ შთამბეჭდავი ჰქონდა – მასზე უკეთ ვინ იცოდა, რა სჭირდებოდა ყველაზე მეტად ფოთს:

„1. არხით შეერთება რიონისა პორტთან.

2. რკინიგზის საქონელზე ბაჟის დადება ქალაქის სასარგებლოდ.

3. საავადმყოფოს დაარსება.

4. ქალაქის საზოგადო ბანკის გახსნა.

5. სამასწავლებლო ინსტიტუტის დაარსება.

6. სამასწავლებლო სემინარიის.

7. სამეურნეო და საოჯახო სკოლის.

8. გემების გამყვან-შემომყვან ბუქსირიანი ორთქლმავლის შეძენა.

9. პორტის შიდა აუზის შეერთება მდინარე კაპარჭინასთან, სუფსასთან და ხობის წყალთან არხების გაყვანით.

10. რიონის მომზადება შავი და აზოვის ზღვების გემების სადგომათ ზამთარში.

11. წყალვარდნილების ხმარება ელექტრონის საშოვრათ პორტის და ქალაქის სანათად და მანქანების საძრავათ.

12. მანქანების და მოტორიანი ნავების შეძენა მდინარეებზე და შენაკადებზე სახმარად.

13. გადასატან-გადმოსატანი რკინიგზების მოწყობა სილისა და მიწის საზიდავად ქალაქის დასაშრობათ.

14. ფოთის გარშემო ადგილების დაშრობა და ნაჭერ-ნაჭრათ გაყიდვა ფერმების გასამართავად.

15. კურორტის გამართვა ზღვასა და პალიასტომს შუა.

16. სახალხო სახლისა და თეატრის აშენება“.

საქმეებში ჩაფლულმა ვერც კი შეამჩნია, რომ უმადურები მის წინააღმდეგ გამოსვლას გეგმავდნენ. 1913 წლის 5 იანვარს გაზეთმა „იმერეთმა“ ფოთელები ასეთნაირად „დამოძღვრა“:

„ნიკო ნიკოლაძის მოღვაწეობამ თავის დრო მოჭამა და დღემდი თუ ის ფოთისათვის საჭირო იყო, ამას იქით მავნებელი იქნება.

და კიდევ ვიმეორებ, ფოთელებს ურჩევნიათ ნ. ნიკოლაძეს შესაფერი პენსია დაუნიშნონ, ოღონდ თავიდან მოიშორონ. რის გაკეთებაც შეეძლო გააკეთა, აწ კი იმ გზით აღარაფერი გაკეთდება; სხვა დროა და სხვა გზაა საჭირო. და პირიქით, ის გზა, რომელსაც ნ. ნიკოლაძე ადგა, ფოთს დაღუპავს“.



უამრავი ბრალდება წაუყენეს, უფრო მეტად – აბსურდული:

ნახევარკაპიკიანი გადასახადის შემოღებით, ფოთი ჭიათურის შავქვის მრეწველობას ძარცვავსო. ისე გამოდიოდა, რომ ფოთის ქალაქის მესვეურებს ჭიათურის ბედი უფრო აწუხებდათ, ვიდრე თავიანთი ქალაქისა. თავის დროზე, ნიკოლაძის ამ ნახევარკაპიკიანმა გადასახადმა დააყენა ფოთი ფეხზე, მარგანეცის მრეწველობისთვის კი იგი თითქმის უმნიშვნელო იყო.

კიდევ ერთი აბსურდული ბრალდება: თუ კარგი კაცი იყავ და მთავრობას არ ეხმარებოდი, როცა გენერალმა ალიხანოვ-ავარსკიმ მთელი დასავლეთ საქართველო გადაბუგა და გადაწვა, ფოთი დანგრევა-განადგურებას როგორ გადაურჩაო.

რაც თავის დროზე ნიკო ნიკოლაძის გამჭრიახობად მიიჩნიეს, ახლა მისსავე საწინააღმდეგოდ გამოიყენეს, რატომღაც ყველამ დაივიწყა, სინამდვილეში რა მოხდა: ფოთისკენ მიმავალ გამძვინვარებულ გენერალს გზაში შეგებებია ნიკო ნიკოლაძე და შეუშინებია: ფოთი უცხოეთშია დაზღვეული და თუ დააქცევთ, მთელი ზარალის ანაზღაურება პირადად ხელმწიფე-იმპერატორს მოუწევსო. მეფის დაზარალების შიშმა დააფრთხო თურმე გენერალი და ჯარი სხვა მიმართულებით წაიყვანა.

სხვაც ბევრი რამ მოუდეს შარად, მდგომარეობა დაიძაბა, უკიდურესად გამწვავდა და ნიკოლაძე ქალაქის მერის თანამდებობიდან გადააყენეს. მარტო ეს არ აკმარეს – სამართალში მისცეს...

„მოგეხსენებათ, პასუხისგებაში ვარ მიცემული. ამ გასაჭირში მშველელი არსად ჩანს, თორემ დამწიხვლელი, ბევრი მოგეცესთ, უთვალავია. ყოველ ჭინჭრაქას, ყოველ ლაწირაკს და ქვემძრომს შეუძლია მავნოს, თვალდახელშუა სიცრუის თქმითაც. შეშლილი უნდა იყოს ადამიანი, ასეთ მდგომარეობაში ამხანაგს მტრად რომ აქცევდეს?“ – წერდა ნიკო ნიკოლაძე გაზეთ „იმერეთში“ 1913 წლის 1-ლ თებერვალს. ყველაზე მეტად მას ძველი მეგობრის, ახლა კი მტრადმოკიდებული იონა მეუნარგიას სიტყვებმა ატკინა გული, როცა ნიკო ნიკოლაძეს გაზეთში თაღლითი, ბოროტი და ორპირი უწოდა...

ბრალდებები ვერ დაუმტკიცეს, მაგრამ მაინც დამნაშავედ ცნეს – როცა ფოთის პორტს აშენებდა, რაღა მაინცდამაინც ის ფირმა შეარჩია, ალბათ მშენებელი ორგანიზაციის თავკაცისგან საჩუქრად ფული აიღოო. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ეს სასამართლო უხილავის ხელით იმართებოდა, მის უკან კი გაუტანლობისა და შურის მზაკვრული გეგმის კონტურები ჩანდა.

ძირითადი ბრალდება ვერ დაუმტკიცეს, მაგრამ საჩუქრის აღებაში მაინც დამნაშავედ ცნეს – ან რვა ათასი მანეთი გადაიხადოს, ან ერთი წელი ციხეში წავიდესო... (მოვლენებს წინ გავუსწრებთ და შეგახსენებთ, რომ ნიკო ნიკოლაძეს ისევ ფოთელები დაეხმარნენ, ფულიც მოუგროვეს და მერის ხელფასიც შეუნარჩუნეს).

ნიკო ნიკოლაძე განაჩენს სიმშვიდით შეხვდა – ან კი რა უნდა გაჰკვირვებოდა მას შემდეგ, რაც ქუთაისის საადგილმამულო ბანკის თავმჯდომარესა და დირექტორს, მხცოვანი ასაკის კირილე ლორთქიფანიძესა და დავით ბაქრაძეს დამართეს: ბანკში 30-წლიანი თავდადებული მსახურების შემდეგ, ორივე სამართალში მისცეს. კირილე ლორთქიფანიძე, ვინც ხელფასის მხოლოდ ნახევარს იღებდა და მეორე ნახევარს ბანკს უტოვებდა, დამნაშავედ ცნეს, გაუყიდეს არა მარტო მისი, არამედ და-ძმის მამულები. რომ არა მათი ასაკი, 80 წლის მოხუცებს კატორღა არ ასცდებოდათ და იქვე დალევდნენ სულს. ამ ამბის შემსწრე ნიკო ნიკოლაძეს მართლაც, ველარაფერი გააკვირვებდა.

73 წლის „ულმობელი საქმის კაცი“, თანამემამულეთა ულმობელი დამოკიდებულების გამო, იძულებული გახდა, რუსეთში წასულიყო საცხოვრებლად და სამუშაოდ...

**მოამზადა გ. ჭავჭავაძემ.**

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

# facebook

# xa l xis az r i T

წესით, როცა თეფშები მიაქვთ, ლამბაქები და დესერტი შემოაქვთ. კობალტის თეფშები აქვს დეიდაჩემს და დავურეკო ერთი, გადამალოს, სანამ დააყადაღეს ბაბუაჩემის საფლავიანად...

ამ ღირსებადაკარგულ, სინდის და ტვინგარეცხილ ხელისუფლებას მანამ ვერ მოვიცილებთ ვერც არჩევნებით, ვერც კანონიერი მოთხოვნით, ვერც ევროპის და ამერიკის ჩარევით, სანამ თავად ქართველი ხალხი კუდით ქვას არ ასროლინებს. ვფიქრობ რომ კარგ მაგალითად ვერ დაინახა სააკაშვილმა და მისმა დამქაშებმა, რომ შევარდნაძე ვერ აღუდგებოდა შეკრულ ქართველ ხალხს და აღარ დაედგომებოდა. იმდენად გასასტიკებული არიან დღეს, რომ შევარდნაძის პერიოდი მონაგონია, გაცილებით ბევრად უფრო ღიად და კანონს ამოფარებულნი გამხეცებული ჩაფრენიან სკამებს და ცოცხალი თავით არ აპირებენ გვერდზე გადგომას.დღითი დღე სიძულვილი უფრო და უფრო ღრმავდება სააკაშვილის და მისი მთავრობის მიმართ. სააკაშვილი უკვე შეურაცხად მდგომარეობაშია და ისეთ სულელურ ბრძანებებს გამოსცემს და აშანტაჟებს ადამიანებს, მის გვერდით მყოფნიც ხვდებიან უკვე რომ დრო დგება გაეცალონ, სანამ მათაც არ ჩაიყოლებს ჭაობში. იქნებ დადგა დრო რომ ყველამ ერთად მოვიშოროთ ეს სირცხვილი ქვეყნისა, რაც სააკაშვილის ტაკი-მასხარაობით დღემდე გრძელდება. არსებობს ასეთი საბრძოლო ხელოვნება- აიკიდო, სადაც მოწინააღმდეგე თავმამსხმელი რაც მეტად აგრესიულია, მისი ენერგია მისსავე საწინააღმდეგოდ უბრუნდება უკან და ბევრად უფრო ზარალდება. სააკაშვილი და მისი ხელისუფლება იმდენად გასასტიკებულნი და აგრესიულნი არიან ქვეყნის მოსახლეობის მიმართ, რომ სულ მალე ეს ყოველივე ქართველი ერისგან საწინააღმდეგოდ დაუბრუნდებათ უკან და ისეთ მარცხს იგემებენ ველარასდროს გასწორდებიან წელში.

რაიმე ინტერნეტ წერილი არ არსებობს, რომ მივწეროთ ამერიკის საელჩოს და ხელის მოწერაც დავაფიქსიროთ? ძალიან დაძაბულია ხალხი და საშინლად იქცევა ხელისუფლება. ზოგიერთი მათი დაქირავებული ზონდერები იმასაც კი არ ერიდებიან მამას დაემუქრონ წლინახევრის შვილის გაუპატიურებაში. დროულად მიმართოს შესაბამის რეაგირებას თორემ უმძიმესი ფატალური შედეგები მოყვება თუდაც ასეთი შემზარავი მუქარის პატრონის მიერ ცხელ გულზე გადადგმულ ნაბიჯს. ხალხი ნამდვილად დაიცავს ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილ მამას!!

არჩევნებამდე სამი თვით ადრე ნაც-ბანდა გადასულია არნახულ ტერორზე, როდემდე უნდა ვიყოთ ჩუმად ან თუ ასე გაგრძელდა როგორ მივაღწიოთ არჩევნებამდე? ეს ქალი რომ დააკავეს,არის ვინმე გამკითხავი? ყველას მოგვადგებიან ოქტომბრამდე ყველას,უკადრებელს იკადრებენ ეს გარეწრები, საელჩოები და განსაკუთრებით ამერიკის საელჩო რას მიკეთებს? კაცი, შვილი არაა ჩვენი ამბის გამკითხავი.

ვისაც დაყენებული ჰქონდა გლობალის თეფშები, დაკითხვაზე იბარებენ ყველას და აქრობენ პირდაპირ ამ სიტყვის მნიშვნელობით, ახლობლები ეძებენ ოჯახის წევრებს და ვერ პოულობენ. ოზურგეთში, იმერეთში და სხვა რეგიონებში მომრავლდა ასეთი ფაქტები,ეს არის ტერორისტული შეტევა საკუთარ მოსახლეობაზე, ძალიან ცუდი შედეგები მოყვება ამ ყველაფერს!

ეს დაშინებები და მოსახლეობაზე ზეწოლა უკურეაქციას რომ იწვევს, ვერ ხვდებიან ნაცები?!

გერმანიაში ფაშისტები სახლებს ჩხრეკდნენ. ეძებდნენ ორ რამეს– დამალულ ებრაელებს და რადიომიმღებებს. იმთავითვე იცოდნენ გებელსმა და სხვა იდეოლოგებმა, თუ რა ძალა აქვს ინფორმაციას. ამათ ესღა დარჩათ, სახლებიდან კონფისკაცია გაუკეთონ ჩვენს ტელე და რადიო ყუთებს.

უფასო რჩევა სააკაშვილს და მის ნაცშპანას: სასწრაფოდ დაანგრიეთ ივანიშვილის ფულით აშენებულ-გარემონტებული 400 სკოლა! საქართველოს არ სჭირდება ივანიშვილის გაკეთებული სკოლები! :))) (დანარჩენ რჩევებს პერიოდულად მოგაწვდით, ჯერ სკოლებით დაიწყეთ!)



# ukan, monobisken anu rogor ewireba `nacionalebis~ kaprizebs adamianebis sicocxle...

„ვარდების რევოლუციით“ შობილი „ნაციონალური“ სოციალურ-შრომითი კანონმდებლობით დასაქმებული დისკრიმინაციულ პირობებში მოექცა. იგი შეიძლება ნებისმიერ დროს, მოტივის განუმარტებლად დაითხოვონ სამსახურიდან, გაუზარდონ სამუშაო დრო, შეუმცირონ ხელფასი. თუ ადამიანი მძიმე, მავნე და საშიშ პირობებიან სამუშაოზე იმყოფება, ვერ იღებს ვერანაირ შეღავათსა და კომპენსაციას. არ ხდება მუშაკთა პროფესიული დაავადებების კვლევა და აღრიცხვა. ლიბერტარიანული „შრომის კოდექსის“ შემოღების შემდეგ, 2006 წელს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში გაუქმდა შრომის დეპარტამენტი და შრომის სახელმწიფო ინსპექცია. „ნაციონალურმა“ რეჟიმმა სახელმწიფოს თვითიზოლაცია მოახდინა შრომის უსაფრთხოებიდან, მაგრამ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების გამო ვერ გააუქმა „წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევების გამოკვლევისა და აღრიცხვის დებულება“. დღეს ამ დებულების შესრულებაზე პასუხისმგებელი შრომის სახელმწიფო ინსპექცია აღარ არსებობს. ამ ინსპექციის გაუქმების შემდეგ მისი უფლებამონაცვლის შესახებ არანაირი მითითება აღარ არსებობს. გაუქმდა არამარტო შრომის სახელმწიფო ინსპექცია, გაუქმდა არქიტექტურისა და მშენებლობის ინსპექციაც და სახელმწიფო ტექნიკური ზედამხედველობის ინსპექციაც.




2007 წელს პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაურის ხელმოწერით გამოიცა მთავრობის №53 დადგენილება „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“, რომელიც ფორმალურად ადგენს დაზარალებული დასაქმებულისთვის ყოველთვიური სარჩოს გაცემას, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ზიანი დამსაქმებლის მიზეზით მოხდა. აი ამას კი, თუ ვისი მიზეზით მოხდა, ადგენს შემთხვევების გამომკვლევი კომისია, რომელიც ტყიბულის მაგალითიდან გამომდინარე პრაქტიკულად ყოველთვის ბრალს დასაქმებულს უყენებს. შედეგად, დაღუპული მუშაკების ოჯახებს დაკრძალვისთვის საჭირო ხარჯები თუ უნაზღაურდებათ, განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლება საწარმომ დაზარალებულ მუშაკს მკურნალობის ხარჯები დაუფინანსოს, ისიც საკუთარი ნებით. პროფკავშირული ორგანიზაციები კი ასაჩივრებენ კომისიების უსამართლობებს, მაგრამ „ნაციონალურ“ სასამართლოებში პროცესები წლობით იჭიმება და დაზარალებულის ოჯახები ამით კიდევ უფრო მეტ მორალურ და მატერიალურ ზარალს იღებენ.



2010 წლის 8 აპრილს ამოქმედდა პარლამენტის მიერ მიღებული კანონი „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“, რომელიც ითვალისწინებს კერძო საინსპექციო ორგანოების ჩამოყალიბებას, ამ კანონის თანახმად ამ კერძო ორგანოებს უნდა განეხორციელებინათ სამუშაო ადგილების მონიტორინგი საშიშ ობიექტებზე და მათ მიერ შედგენილი ოქმებისა და მასალების საფუძველზე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება ტექნიკური და სამშენებლო ინსპექცია, ოქმში დაფიქსირებული შეუსაბამობების შემთხვევაში მსვლელობას მისცემდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოებას დამრღვევი საწარმოს მიმართ. მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს საქვეუწყებო დაწესებულება ზედამხედველობას ახორციელებს განსაკუთრებით მაღალი ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტებზე, ხოლო კერძო საინსპექციო ორგანოები ორი წლის შემდეგაც არსად არ შექმნილა კიდევ. კანონი „პროფკავშირების შესახებ“ პროფკავშირული ორგანიზაციების შრომის უსაფრთხოების დაცვის ინსპექტორებს მხოლოდ იმ საწარმოებსა და დაწესებულებებში აძლევს ინსპექტირების უფლებას, სადაც ამ პროფკავშირული ორგანიზაციის წევრები არიან დასაქმებულები. აქაც კი პროფკავშირების წარმომადგენლის შესვლას წინ ათასგვარ წინაღობას უქმნიან. „შრომის კოდექსში“ აღარ არსებობს მუხლი, რომელიც პროფკავშირებს უფლებას აძლევდა თუნდაც საზოგადოებრივი ზედამხედველობა დაეწესებინათ შრომის უსაფრთხოებაზე მოქმედ საწარმოებსა და დაწესებულებებში.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება მხოლოდ მცირე ნაწილის ინსპექტირებას ახდენს, კერძო საინსპექციო ორგანოები არ არსებობენ, პროფკავშირული ორგანიზაციების შრომის ინსპექტორებს ასევე უმცირეს ნაწილში, ხან უშვებენ და ხან არა. ეს ნიშნავს, რომ სამუშაო ადგილებზე შრომის უსაფრთხოების მდგომარეობის შესახებ სრული და საიმედო ინფორმაციის მოპოვება შეუძლებელია. ამ მიზეზით შეუძლებელია წინმსწრები ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, რათა მოქმედ საწარმოებში და დაწესებულებებში, მათი საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, სრულდებოდეს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციებითა და რეკომენდაციებით გათვალისწინებული უსაფრთხო შრომის ნორმები, პროფკავშირებს ეძლეოდეთ უსაფრთხო შრომის დაცვაში რეალური მონაწილეობის საშუალება.

**დავით არაბიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# kaxa beriZe: imeds vitovebT, rom Cempionebis memorialuri kedeli kvlav im adgilas Tu ara, sxvagan mainc daidgmeba

**ქართველი ოლიმპიური ჩემპიონების მემორიალური კედლის დანგრევის მიზეზი არ სახელდება, მაგრამ, როგორც ამბობენ, ჩვენი ოლიმპიური ჩემპიონების „ქართულ ოცნებაში“ გაწევრიანებამ გაანაწყენა ჩვენი ხელისუფლება. საუბრობენ აგრეთვე, რომ რამდენიმე გვარის ამოღებაც უნდათ მემორიალიდან, მაგრამ ისტორიას ხომ ვერ შეცვლიან? მემორიალური კედლის დანგრევასთან დაკავშირებით ვესაუბრეთ პრესსამსახურის ხელმძღვანელს კახა ბერიძეს.**



**– კახა, რას იტყვით, იმაზე, რომ გორში დაანგრიეს ოლიმპიური ჩემპიონების მემორიალური კედელი?**

– ბუნებრივია, ცუდია რაც მოხდა, გამართლება არა აქვს. ვერც იმას გეტყვით ვისი ინიციატივით მოხდა ამ კედლის დანგრევა. ჩვენ, ოლიმპიური კომიტეტი ინფორმირებული არა ვართ. იმედს ვიტოვებთ, რომ ოლიმპიური ჩემპიონების მემორიალური კედელი იმ ადგილზე თუ არა, სხვაგან მაინც გაკეთდება.

**– ახლა საუბრობენ სპორტსმენთა ნაწილის სიიდან ამოღებაზეც.**

– ალბათ, მათზეა საუბარი, ვინც ოპოზიციაშია. სიმართლე გითხრათ, ვერ გეტყვით, ვის რა უნდა, ჩემი აზრით, ოლიმპიური ჩემპიონი გამორჩეულია და თუ ვინმე პოლიტიკური ნიშნით ასხვავებს, ცუდია. თუ თქვენი ინფორმაცია, მართალია, ეს მიუღებელია არა მგონია, ვინმეს გაუხარდეს რომელიმე ოლიმპიური ჩემპიონის გვარი თუ არ იქნება მემორიალზე.

**– პრესაშიც იყო განცხადება, სპორტსმენები ზონდერბრიგადებში, არიანო ახლახან სამეგრელოში ბიძინა ივანიშვილის სტუმრობისას ვინც ცდილობდა ხელის შეშლას, თქვეს, სპორტსმენები, კერძოდ კიკბოქსისტები იყვნენო. რას იტყვის ჩვენი ოლმპიური კომიტეტი?**



– ჩემთვის ძნელია ვისაუბრო იმ თემაზე, რაც კარგად არ ვიცი. პრესაში ბევრი რამ იწერება, მაგრამ რა არის სიმართლე, ამის დადგენა ძნელია. მართლა გულწრფელად გეუბნებით, რომ არ ვიცი არიან თუ არა სპორტსმენები ზონდერბრიგადებში. ერთი ვიცი, რომ ქართველი ოლმპიელების ამოცანაა ქვეყანაში ხელი შეუწყოს სპორტისა და ოლიმპიზმის განვითარებას. კიკბოქსინგი, მოგეხსენებათ, არაოლიმპიური სახეობაა და ვერაფერს გეტყვით ამ სახეობის სპორტსმენებზე, რამდენადაც ჩვენ არ გვეხება. სამწუხაროდ, გვინდა თუ არა, სპორტი და პოლიტიკა მაინც ურთიერთკავშირშია, არიან ქვეყნები, რომელთა სპორტსმენთა შეხვედრებიც სცდება სპორტს, რაც შეეხება ზონდერბრიგადებს არიან თუ არა სპორტსმენები, გიმეორებთ, ძალიან ცუდი და მიუღებელია თუ ასეთი რამ მართლაც ხდება.

**გია ბურდული**

ბატონ პეტრე მამრაძეს დავუთმოთ სიტყვა, რომელმაც ჩვენს ხელისუფლებას, რომელსაც არაერთი ეპითეტით ამკობს ხალხი, საკმაოდ ზუსტი სახელი მოუძებნა: „წინა სამშაბათს გაისმა რეპლიკები, რომელ რეჟიმზე ლაპარაკობთ, რატომ გვეძახით რეჟიმსო. ჩემი პასუხია მათდამი,

**დღევანდელ რეჟიმს ეწოდება ავტორიტარული კლეპტოკრატია. კლეპტოკრატია ეს არის ქურდების მმართველობა. ამ შემთხვევაში საუბარია ხაზინის ქურდებზე.**

ბიზნესმენს ავიწროებენ ან საერთოდართმევენ ბიზნესს და თავის კაცს სვამენ, ან ტოვებენ, მაგრამ თვითონ მართავენ ბიზნესს. ესეც ხაზინის ქურდობაა. იმიტომ, რომ ეს აკლდება ბიუჯეტს.

თუ ადამიანი გაეცნობა ოფიციალურ სტატისტიკას, სასამართლოებში საოცარი მდგომარეობაა. მაგალითად, შარშან წარმოებული იყო 18300 საქმე და აქედან მხოლოდ 18 გაამართლა სასამართლომ პროკურატურის მოთხოვნის წინააღმდეგ. ეს ნულის ტოლია სტატისტიკური თვალსაზრისით. როცა უცხოელს აჩვენებ ამ მონაცემებს, მაშინვე გეუბნება, რომ მათთვის გასაგებია, რა რეჟიმიც არის ჩვენთან. ამ ორი თვის წინ მაღალი წავლენ მას შემდეგ. მთავარი არის ის, რომ ამ რეჟიმის ღვიძლი ინტერესები მოვიდა სრულ ანტაგონიზმში, სრულ დაპირისპირებაში ეროვნულ ინტერესებთნ. დაახლოებით იგივე სიტუაციაა პუტინის ჩეკისტურ რეჟიმსა და რუსი ხალხის ინტერესებს შორის. იქაც ტრაგედიაა, მაგრამ მათ თავიანთ თავს თავად უნდა მიხედონ. ამ ხაზინის ქურდების ხელისუფლებში ყოფნის ყოველი დღე ეს არის დიდი მინუსი, უკან დახევა ერისთვის, კიდევ უფრო გაღრმავება იმ ტრაგიკული ვითარების, რაც დღეს არის -დემოგრაფიული, ეკონომიკური, სოციალური და ა.შ. მაგრამ აქ არის მეორე ფაქტორი: ესენი წამსვლელები არ არიან. უკვე შესულები არიან ჩიხში. 2007 წელს, იმ ძალადობის შემდეგ, წასვლის შანსი ჰქონდათ, მაგრამ მე როგორც ვიცი, მხოლოდ ზურა ადეიშვილი იყო ერთდერთი კაცი, რომელიც ამბობდა: მარტო მიშა კი არა, ყველანი წავიდეთო და ეს იქნებოდა სწორი. მაგრამ რა ხდება დღეს?! მართალია, ივანიშვილი დაპირდა ნაციონალურ მოძვითარებაშია: „ან მე მიმყავს ის მმაჩის ბიუროში, ან მას მივყავარ პროკურატურაში". ამიტომ თავს არ დაზოგავენ. მათ ხომ ძალიან დიდი შავი ფული აქვთ. ამათ ხომ თელასი, წყალკანალი, მადნეული, ყველაფერი რუსებს გადასცეს, რაც ნიშნავს, რომ ყველაფერს გაძლევთ, ოღონდ დაგვტოვოთ ხელისუფლებაში.



გავიხსენოთ ლაზიკაც, ხომ წერია, რომ ბიუჯეტიდან კაპიკი არ გავა ლაზიკაში. მაშ ვინ? ინვესტორი? რომელი ინვესტორი? რომელი ჩადებს ფულს იმ ჭაობში? უკვე ხალხში წავიდა ლაპარაკი, რომ ესენი იქნებიან ჩინელები. რო-

# opiumis mwevlis zmanebani



მელთაც ეტყვიან, თქვენ მთლიანად წაიღეთ ეს ადგილი და ხალხი რამდენიც გინდათ ჩამოიყვანეთ, პასპორტებსაც მივცემთ და მაშინ ლაზიკა 500 000 კი არა, მილიონიანი ქალაქი გახდება სამ-ოთხ თვეში. რატომ იბადება ასეთი ეჭვები? იმიტომ, რომ გამჭვირვალობა არის ნულის ტოლია, ტოლერანტობისა არ იყოს".

„გახსოვთ, ალბათ ჰილარი კლინტონს პასპორტი რომ გადასცა, რა სახე ჰქონდა მას ან ბასს, ან სხვა დელეგაციების წევრებს. ამაზე ლინკოლ მიტჩელი წერს, ეს იყო უმძიმესი წუთები კლინტონის ცხოვრებაში, მე იმედი მაქვს, რომ სააკაშვილი თანამდებობას დაატოვებინებს იმ ადმინისტრაციულ მუშაკს, რომელმაც ეს აზრი უკარნახა. სააკაშვილი არავის არ მოხსნის, რადგან ეს თავისი იდეა იყო, ის ხომ თავად მღერის და თავად ცეკვავს. იგივე მიტჩელი წერს, რომ ეს იყო აბუჩად აგდება ამერიკის ადმინისტრაციისა, რომელიც ამდენი თვე დაჟინებით ითხოვს, ივანიშვილს მისცენ მოქალაქეობა, ეს იყო იმის დემონსტრირება, რომ საქართველოს პასპორტი ეს სათამაშო კი არ არის. არადა, მე როგორც ვიცი, დაურიგეს ყველა ჩამოსულ ჟურნალისტს, სიურპრიზი გაუკეთეს. ეს არის კალიგულას კომპლექსი — რაც მინდა, იმას ვაკეთებ"...

რანგის სტუმარი გვყავდა გერმანიიდან. ფანჯრიდან გამახედა და მითხრა, ამ შუშის ხიდს და ზიზილ-პიპილო ანძას რომ დაინახავ, უკვე იცი, რომ ავტორიტარული რეჟიმია, რადგან დემოკრატიულ ქვეყანაში ასეთი ნაგებობები არ დაიდგმებოდა, ეს მხოლოდ ერთი ადამიანის სურვილი შეიძლება იყოსო. სხვათა შორის, დღეს ვთქვი სხდომაზე, რომ **CNN**-ის გადაცემა „ლაზიკის" შესახებ იწყება ჟურნალისტის სიტყვებით, ხომ არ არის ეს პროექტი ოპიუმის მწეველის ზმანებაო".

ბატონი მამრაძე აცხადებს: „მოდით, წუთით მოვშორდეთ გვარ-სახელებს, ემოციებს, და ვთქვათ, რა არის მთავარი ერისთვის, ქვეყნისთვის, დარჩენილი საქართველოსთვის, რადგან ამ მთავრობის ხელში ის ტერიტორიები უვადოდ არის დაკარგული. ისედაც ძალიან რთული იქნება გამთლიანება, თუმცა რეალურია, ესენი რომ რაობას, რომ არ დაისჯებიან, მაგრამ მათ არ სჯერათ პარტიების.

სქემა ასეთია: სააკაშვილი და ხუთი-ექვსი კაცი მის გარშემო, ამის შემდეგ შემსრულებლების პირველი რგოლი და შემდეგ მეორე რგოლი. ამ ხალხ რაც არ უნდა დაჰპირდე, ხელშეუხებლობის კონტრაქტი დაუდო, გამორიცხულია მათი დათანხმება წასვლაზე, ისინი არასოდეს დაიჯერებენ ამას. რადგან მათი კრედო და მრწამსია, რომ დაჰპირდე ადამიანს, რათა დღევანდელი ვითარება გადააგორო და მერე გადააგდო. მაგრამ რომ არ დათმონ, მათ ელოდებათ ჩაუშესკუს სცენარი ადრე თუ გვიან".

„ნაციონალები თვლიან, რომ 15%-ით მეტი აქვთ ივანიშვილზე, ამისი თავად სჯერათ, ასევე იმედი აქვთ მოსახლეობის იმ 20-22 % -ისა, რომელიც ცოცხალი თავით არ ამბობს, ვის აძლევს ხმას. ანუ სააკაშვილი „ამხანაგი საახოვის"

**ხათუნა თოდუა**

***წერილში გამოყენებულია ფრაგმენტები პეტრე მამრაძის ტელე-ინტერვიუდან „კავკასია"***

# facebook

# xalxis azriT

მოკლედ, რადიო ავკრძალეთ... ტელევიზიები ავკრძალეთ და ახლა ტელემაყურებლებს ვიბარებთ დასაკითხად...

თურქების ბორდელად გადააქციეს საქართველოს გმირი კარიბჭე გონიო,მოღალატე მანქურთები,ეს ბათუმის მერი თავადაა სუტენიორი და თავად აქვს სარგებელი ამ საქმიდან.ესეთი მოღალატეობრივი პოლიტიკა თვით კომუნისტებსაც კი არ გაუტარებიათ.შეიგნოს ვარშალომიძემ და მისმა ბანდამ ,რომ გონიო და აჭარა ვერასოდეს გადაიქცევა თურქეთის ბორდელად.კანონში ნათლად წერია—-გარყვნილების ბუდის შექმნა ისჯება პატიმრობით და გარყვნილების ბუდის მფარველობისთვის აჭარის ხელისუფლების პირველი პირები კაბინეტებში კი არა, საპყრობილეებში უნდა ისხდნენ.

ვაჟა ფუხაშვილი! სააკაშვილის ჯიბის სასამართლოს მონა მოსამართლე, რომელმაც უამრავ უკანონო გადაწყვეტილებას კიდევ ერთი დაუმატა და "გლობალ tv"-ის ანტენების დაყადაღებასთან დაკავშირებით განჩინება გამოიტანა! განჩინება, რომელსაც ბეჭედი არ აქვს!.

"ენა, მამული, თეფში!"

„საწყალობელ იქმნა უბადრუკი მიშა, რამეთუ უვარ-ყო ჭეშმარიტი დემოკრატია და აღიარა ატროშანი და შეერთო იგი დიქტატორთა":))))

თელაველებმა არ იციან — ამდენი დაყადაღებული თეფშები სად წავიღოთო? განსხვავებულ სასმისად გამოვიყენოთ, დახოცავს ხალხსო, ხაშლამისთვის ნამეტანი დიდიაო, ფრენით ეს არ დაფრინავსო და ერთი ვარიანტია — ნაცებს ერთ ადგილას...

ბიძინას ვერა დააკლეს, თეფშებს დაუწყეს მტვრევაო))))

მიშა სახლში რომ შედის, ზღურბლთან გლობალის თეფშს უდებენ, წიხლით თუ გატეხა, იმ დღეს ბედნიერი იქნება...:

ისე ვერ განვახორციელებთ, თორემ მაგარი აქცია იქნება — ხვალე შსს-ს წინ მოსახლეობამ ნებაყოფლობით რომ ჩავაბაროთ თეფშები (სამზარეულოს)... მთელი დღე ჩვენზე ილაპარაკებენ სიენენი და ბიბისი..:))

ნაცმოძრაობა ცდილობს პროცესები უმართავი გახადოს, რათა არჩევნები არ ჩაატაროს. სამი თვე უნდა გავუძლოთ ამ ყველაფერს და მერე ან არჩევნებით მოვიშორებთ ამათ, ან რევოლუციით...

დღეს გიგი უგულავამ ცხოველების თავშესაფარი გახსნა...ნაციონალებისთვის გაამზადა, უეჭველი:))))

ჯარში დაწყებულია სერიოზული პანიკა, ჯარისკაცები წერენ პატაკს და არ აწერინებენ , ჯარში გაუსაძლისი მდგომარეობაა , ქართველი ჯარიკაცები ძალიან მალე ჩვენს მხარეზე გადმოვლენ, ფაქტიურად იგივე მდგომარეოობა პოლიციაშიც!!!!!!

ყვითელ სამარშუტო ტაქსებში რადიოს ჩართვა აკრძალეს, 5 მძღოლი მოხსნეს დღეს რადიოს ჩართვისთვის, ესე იყო კომუნისტები ამერიკის ხმას რო ახშობდნენ.... ქართველებო, თუ დავფიქრებულვართ იმაზე, ეს ნაც-ბოლშევიკური სავირთხეთი თუ დავტოვეთ ქვეყანაში, როგორი ტერორი ემუქრება ჩვენს ქვეყანას?!...

ანტენები სადაც იდო, ყველგან შევიდნენ და დააყადაღეს, თან მოსამართლის დადგენილება მიიტანეს,ოღონდ ბეჭედდაუსმელი. ალყა გაამაგრონ, თეფშები არ გამოექცეთ. თეფშები გარეცხილი დააბრუნეთ, ფარჩაკებო! :)))

არ უნდა მიშას არჩევნები, ბუნტი უნდა.მერე ერთს კარგად გადაგვივლის, გაიქცევა და დაჯდება,დევნილი პრეზიდენტის სტატუსით.



(დასასრული)

# `Tavo Cemo, bedi ar giweria~, anu mravalmoqmedebiani drama antraqtis gareSe

## ღია წერილი

საქართველოს პრეზიდენტს ბატონ **მიხეილ სააკაშვილს**
იუსტიციის მინისტრს ბატონ **ზურაბ ადეიშვილს**
ქ. თბილისის მთავარ პროკურორს ბატონ **ზოდელავას**
ქ. თბილისის პროკურორს ბატონ **გვარამიას**
სახალხო დამცველს ბატონ **ტუღუშს**
საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს ბატონ **თორდიას**

ბატონებო,

თითოეულ თქვენგანთან 2011 წლის განმავლობაში შვიდჯერ გამოვგზავნე მიმართვები და წერილები. ერთ მათგანზეც კი პასუხი არ მიმიღია. მხოლოდ ბატონმა ლაშა თორდიამ ჩემი თხოვნა გადააბარა მთავარ პროკურორს 2012 წლის მარტში, ასევე ქალაქის პროკურორსაც, მაგრამ პასუხი არსაიდან ჩანს.

იძულებული ვარ, კიდევ ერთხელ მოგმართოთ. მე, ლალი მიქავა-გორდელს, საქართველოს დამსახურებულ არტისტს წართმეული მაქვს ყოველგვარი ადამიანური უფლება.

ფალსიფიკაციისა და თაღლითობის გზით წამართვეს ბინა, არ მიშვებენ საკუთარ სახლში.

განადგურებულია ჩემი აწ გარდაცვლილი მეუღლის, ცნობილი კომპოზიტორის ოთარ გორ-




დელის სახელი, რადგან მოსპეს მისი სახელობის სალონ-მუზეუმი „შემოქმედება", მოიპარეს მისი არქივი. ეს დანაშაულია, ვინაიდან სალონ-მუზეუმი „შემოქმედება" არის სამართალმემკვიდრე თეატრ „ვერნისაჟისა", რომელიც დაარსდა საქართველოს მთავრობის 1991 წლის დადგენილებით და თვით ოთარ გორდელის მიერ იყო დარეგისტრირებული თავის საკუთარ სახლში. ოთარ გორდელი ზაქარია ფალიაშვილის შვილი იყო, ამ სახლში დაწერა ზ. ფალიაშვილმა ოპერა „დაისი", რის გამოც სახლი იყო ძეგლთა დაცვის ქვეშ.

მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტისა და მთავარი პროკურორის სახელზე დაწერილი ჩემი საჩივრის პასუხად ძველი თბილისის რაიონის პროკურატურას და პოლიციას დაევალათ სათანადო რეაგირება მოეხდინათ ჩემ საჩივარზე, ისინი განაგრძობენ ბანდიტი ბალდასაროვისა და მისი თანამზრახველების დაცვას და ცდილობენ ჩემ მოტყუებას. იგნორირება გაუკეთეს მთავარ საკითხს — ჩემი სახლის ნაწილის და სალონ-მუზეუმის „შემოქმედება" მიტაცებას და მოსპობას ბანდიტი ბალდასაროვის ხელით.

მოქალაქე ბალდასაროვისა და მისი დანაშაულებრივი ჯგუფის მიერ ოთარ გორდელისა და ჩემი, ლალი მიქავას ოჯახის წინააღმდეგ 11 წლის განმავლობაში ჩადენილია 4 დანაშაული:

1. ოთარ გორდელის კუთვნილი სახლის ნაწილის მიტაცება, რომელიც მისი ანდერძით გადმოგვეცა (50-50 პროცენტი) მე, მის მეუღლეს ლალი მიქავას და შვილს — ვახტანგ გორდელი-ფალიაშვილს. სახლის ნაწილი ბალდასაროვმა მიიტაცა 2007 წელს რეესტრში ფალსიფიცირებული დოკუმენტაციის წარდგენის გზით.

2. დაყადაღებული როიალის „ბეხშტეინის" მითვისება და გაყიდვა, რომელიც საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის 45-ე მუხლის თანახმად, საერთოდ არ ექვემდებარებოდა დაყადაღებას, რადგან ვარ პიანისტი, საქართველოს დამსახურებული არტისტი და როიალი არის ჩემი პროფესიული საქმიანობისთვის აუცილებელი ნივთი და შემოსავლის წყარო.

3. ო. გორდელის სალონ-მუზეუმის „შემოქმედება" გაძარცვა — ოთარ გორდელის არქივისა და ნივთების მიტაცება, ლალი მიქავას არქივის მიტაცება, ლადო გუდიაშვილის 2 სურათის და ელენე ახვლედიანის 1 სურათის მოპარვა, ალექსი ბუზოღლიმ მოიპარა დავით კაკაბაძის 3 სურათი-გრაფიკა, ძველი ვენეციანური გრავიურა, წიგნებისა და ნოტების ბიბლიოთეკები, ფირფიტების ბიბლიოთეკა — 800 ფირფიტა, სლაიდები — 500 ცალი; ანტიკვარული ფაიფურის სამშვენისები, სასადილო ჭურჭელი, საწოლის ნივთები და თეთრეული, საოჯახო და სამზარეულო ნივთები, თეატრ „ვერნისაჟის" თეატრალური კოსტუმი — 44 ცალი, ჩემი პირადი ნივთები, სალონ-მუზეუმის თეატრ „ვერნისაჟის" და ჩემი პირადი დოკუმენტაცია. ეს ხდებოდა 2010 წლის ზაფხულიდან 2011 წლის მარტის ბოლომდე, როდესაც ალექსი ბუზოღლიმ საერთო შესასვლელში ჩამოჰკიდა რკინის კარი და არ მომცა გასაღები, ანუ თვითნებურად გამაგდო ქუჩაში, არ მომცა საკუთარი ნივთების აღების საშუალება.

ამ დანაშაულებრივი ჯგუფის მთავარი ბრალეულობა არის, რომ ისინი შანტაჟით და პროვოკაციით ცდილობდნენ ვახტანგ გორდელი-ფალიაშვილი იძულებული გაეხადათ განეხორციელებინა უკანონო ქმედებები — გაეგდო საკუთარი დედა ქუჩაში და გაენადგურებინა მამის მუზეუმ-სალონი.

ოთხივე დანაშაული წინასწარი განზრახვითა და მიზანმიმართულად ჩადენილია ბალდასაროვისა და მისი დანაშაულებრივი ჯგუფის (მალხაზ ბაქრაძე, ალექსი ბუზოღლი, რომელიც არის „მეგალაინის" დირექტორი. „მეგალაინი" კი, მოგეხსენებათ, არის ბადრი ბიწაძის საკუთრება; დარეჯან კორძაია, ირინა ბრეგაძე, გოგი ჭიჭინაძე) მიერ.

ამ 11 წლის განმავლობაში ჩადენილი ოთხივე დანაშაული მხარდაჭერილი და გამართლებული იყო ძველი თბილისის რაიონის პოლიციის 74 განყოფილების მიერ. ამას ადასტურებს ის ფაქტები, რომ, როდესაც 2010 წლის ზაფხულში დაიწყო ჩემი სახლის ძარცვა, პოლიციამ არ აღწერა ბინაში დარჩენილი მუზეუმისა და ჩემი საკუთრება, არ დალუქა ბინა, სანამ ალექსი ბუზოღლის მიერ 2011 წლის მარტში არ დაიკიდა რკინის კარი საერთო შესასვლელში, ამის შემდეგ კი უფლებამოსილი გამომძიებელი ზურაბ მ. სამი დღე მირეკავდა და მოითხოვდა, რომ მე წამეღო ჩემი ნივთები, რადგანაც იქ უკვე ცხოვრობდა ვინმე ირინა ბრეგაძე, მაგრამ როგორც კი გაიგო, მე ბინაში შევიდოდი მხოლოდ პატრულის თანდასწრებით და ხელზე მექნებოდა მოწმეების მიერ დამტკიცებული და შესასვლელის დახურვამდე ერთი დღით ადრე მოწმეების თანდასწრებით შედგენილი დარჩენილი ნივთების ზუსტი სია, იგი გაქრა და დღემდე არ გამოჩენილა. უფრო მეტიც, 2011 წლის ივლისის თვეში უარი თქვა მოსვლაზე, მი-


ლალი მიქავა

უხედავად იმისა, რომ მის მოსვლას მოითხოვდა პატრული.

დოკუმენტების საფუძველზე, რომლებიც ხელთა მაქვს, მოვითხოვ:

ჩემი წილი სახლისა და იქ განთავსებული ოთარ გორდელის სახელობის სალონ-მუზეუმის მითვისებისა და მოსპობის შესახებ საქმის აღძვრაზე დადგენილების გამოტანას ან დადგენილების გამოტანას საქმის არაღძვრაზე, რადგანაც მაშინ შესაძლებლობა მექნება საქმე სტრასბურგამდე მივიყვანო. არაღძვრის შესახებ დადგენილების გამოტანის შემთხვევაში, მოვითხოვ კანონის იმ მუხლის მითითებას, რომელიც იცავს ცრუ დასმენას, ადამიანის უფლებების შელახვას. დოკუმენტის ფალსიფიცირებას და უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობას.

ჩემი საყოფაცხოვრებო და პირადი ნივთების, ავეჯის, სანოტო ფირფიტების, წიგნების ბიბლიოთეკის, ჩემი, ლალი მიქავას და მამაჩემის — მწერალ ნიკოლოზ მიქავას არქივების და ოთარ გორდელის სახელობის სალონ-მუზეუმის „შემოქმედება" გაძარცვის თაობაზე დადგენილების გამოტანას საქმის აღძვრის, ან არაღძვრის შესახებ. საქმის არაღძვრის შესახებ დადგენილების გამოტანის შემთხვევაში, მოვითხოვ კანონის იმ მუხლით მითითებას, რომელიც შეიცავს თაღლითობას, ქურდობას და ძარცვას ბანდიტური გზით.

პასუხი ამ დადგენილების გამოტანის შესახებ იყოს წერილობითი და გადმომცეთ ხელზე, რამეთუ ძველი თბილისის პროკურატურასა და პოლიციას არც ერთი გადაწყვეტილება არ მოუცია ჩემთვის.

მოვითხოვ, საბოლოოდ აღსრულდეს სასამართლოს 19.12.01 გადაწყვეტილება, რომელიც შესულია კანონიერ ძალაში და უზენაესი სასამართლოს 06.11.06 გადაწყვეტილება, რომელიც საბოლოოა და არ ექვემდებარება გასაჩივრებას.

დაყადაღებული ანტიკვარული ავეჯი და ნივთებიც ეგიაზარ ბალდასაროვმა დაუსჯელად მიითვისა და გაყიდა, რომლებიც ეკუთვნოდა ო. გორდელის სალონ-მუზეუმს, რის შესახებაც ქ. თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიერ (რადგანაც არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება 2001 წლის დეკემბერში და სააღსრულებო ფურცელი) ე. ბალდასაროვის მიმართ ქ. თბილისის პროკურატურაში 2010 წელს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე №010108448, რომელიც უკვე ორი წელია არის თბილისის პროკურატურაში გამომძიებელ მალხაზ კაპანაძესთან, მაგრამ საქმე ადგილიდან არ იძვრის.

გთხოვთ საქმე აიყვანოთ კონტროლზე და მომცეთ წერილობითი პასუხი კანონით დადგენილ ვადაში.

**პატივისცემით,**
**ლალი მიქავა-გორდელი.**
**2012, 23 ივნისი.**

* * *

ოთარ გორდელი-ფალიაშვილის ქვრივი ლალი მიქავა ცნობილი ქართველი მწერლის ნიკოლოზ მიქავას ქალიშვილია. ნიკოლოზ მიქავას მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ქართული სულიერი კულტურის განვითარების საქმეში.

**ლალი მიქავა**: მამასთან დაკავშირებით ერთი ამბავი მინდა გავიხსენო. რუსი ჟურნალისტი ესწრებოდა ყვავილების გამოფენას ჰოლანდიაში. ყვავილების ზღვაში მან შეამჩნია ერთი მცენარე, სახელად „ჟიულ-სანდო". ეს ყვავილი ყველაზე გამორჩეული სილამაზით ბრწყინავდა და სწორედ მან მიიღო გამოფენაზე პირველი ადგილი.

ჟურნალისტი დაბრუნდა რუსეთში და ერთხელაც, ბიბლიოთეკაში ყოფნისას აღმოაჩინა, რომ ჟიულ-სანდო იყო ცნობილი მწერლის ჟორჟ სანდის საყვარელი ადამიანის მიერ ყვავილისთვის შერქმეული სახელი. ამ კაცს ცხოვრებაში დიდი ტრაგედია გადახდა. მოუკვდა ერთადერთი ბიჭუნა, რის შემდეგაც გადასახლდა პროვინციაში და ხელი მიჰყო ყვავილების მოშენებას. თვითონვე გამოიყვანა ყვავილის განსაკუთრებული ჯიში და დაარქვა „ჟიულ-სანდო" ჟორჟ სანდის საპატივცემულოდ. ამ ამბავთან დაკავშირებით ჟურნალისტმა სტატია გამოაქვეყნა, სადაც წერდა: რომ იყო უკვდავი, ამისთვის არაა საჭირო იყო ცნობილი მწერალი, აკადემიის წევრი და ა.შ. მთავარია ცხოვრებაში გაახარო თუნდაც ერთი ყვავილიო.

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ჩემი აზრით, მამაჩემმა ნიკოლოზ მიქავამ ეს უკვე გააკეთა, მან გაახარა თავისი ყვავილი — აჩუქა საქართველოს წიგნი ,,საქართველოს შვილები“, რომელიც გაფორმებული იყო ლადო გუდიაშვილის მიერ და ეძღვნებოდა გამოჩენილ ქართველებს. მას ძალიან უყვარდა საქართველო, ის იყო ნამდვილი ქართველი კაცი.

მამაჩემი — კოლია მიქავა იყო ის ადამიანი, ვინც პირადად უმასპინძლა ამერიკელ მწერალ ჯონ სტეინბეკს და ქართული ლიტერატურის გაცნობის მიზნით აჩუქა მას ,,ვეფხისტყაოსანი“. შემდეგ სტეინბეკმა ამერიკაში შესანიშნავი წერილი გამოაქვეყნა საქართველოს შესახებ.

მამაჩემის სახელს უკავშირდება უზარმაზარი საბჭოთა გემისთვის ,,შოთა რუსთაველის“ სახელის მინიჭება.

შოთა რუსთაველის დღეები იმართებოდა მაშინ, როცა ეს გემი სსრკ გემთმშენებლობამ მოქმედებაში გაუშვა. გემთმშენებლობის უფროსი იყო გვარად გედევანიშვილი, გარუსებული ქართველი, რომელსაც მაშინ უკვე არავითარი კავშირი არ ჰქონდა საქართველოსთან. ამ გედევანიშვილთან მივიდა მამაჩემი და სთხოვა: რადგან გემის მშენებლობის დასრულება შოთა რუსთაველის დღეებს დაემთხვა, დაარქვით მას შოთა რუსთაველის სახელიო. იმ პერიოდში ყველაზე დიდი საზღვაო ხომალდი ,,შოთა რუსთაველი“ იყო.

მამაჩემთან სტუმრობდა ელიოტ რუზველტი, თეოდორ რუზველტის შვილი, ხოლო ვიქტორ-ბუცა ჯორბენაძე, გუგული თორაძე, ლიანა ასათიანი, ნატა ვაჩნაძე, ვენერა ურუშაძე ჩვენი ოჯახის მუდმივი სტუმრები იყვნენ. ძალიან საინტერესო ფოტომასალა მაქვს ამასთან დაკავშირებით, მაგრამ ჩემს სახლში არ მიშვებენ. ხომ გითხარით, ყველაფერი ჩაკეტილი და დალუქულია.

მაგრამ რატომ იყო ყოველივე ეს საჭირო? იმისთვის, რომ ოთარ გორდელის ბიოგრაფია თავდაყირა დაეყენებინათ და მისი შემოქმედება გაეცამტვერებინათ?!

დღეს მე ვცოცხლობ მხოლოდ იმისთვის, რომ დავიბრუნო სალონ-მუზეუმი და ჩემი პროფესია, რომელიც წამართვეს ბანდიტმა ბაღდასაროვმა და ალექსი ბუზოღლიმ...

**P.S. რას ერჩიან საქართველოში ქვეყნის მოყვარულ ადამიანებს საფლავშიც რომ არ ასვენებენ? კონსტანტინე გამსახურდიას არ იყოს — ,,თუ ვინმე კარგი გამოგვერია, ისე დავკორტნით, როგორც დაკოდილ ძერას ყვავები“.**

**ზაქარია ფალიაშვილზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ოთარ გორდელის მსგავსი კომპოზიტორი რომ სხვა რომელიმე ერს ჰყოლოდა, ერთი კი არა, ორი და სამი მუზეუმი ექნებოდათ იმ ადგილას, სადაც ერის იმ გამოჩენილ ადამიანს ,,ფეხი დაუდგამს“. აქ კი ქართველები თავისი ერის გამორჩეული შვილის საცხოვრისს და მის ნამყოფ ადგილს საგულდაგულოდ შლიან და ანადგურებენ... ხოლო საქართველოს დამსახურებულ პიანისტს, ხელოვან ადამიანს, ხანდაზმულ ქალს ქუჩაში აგდებენ. რაც არ უნდა დაეშავებინა და რა უკანონოდაც არ უნდა იქცეოდეს ქალბატონი ლალი მიქავა, მას აუცილებლად ეკუთვნის საკუთარი თავშესაფარი საქართველოში და არა ისე, როგორც დღეს არის — ქუჩაში, სრულიად გაძარცვული, ცარიელ-ტარიელი...**

**არ ვიცი, რა დავარქვა ამას და ამიტომ, კომენტარი, პატივცემულო მკითხველო, თქვენთვის მომინდვია...**

**ირანდა კალანდაძე**




**ირაკლი ალასანია:** ვაშინგტონში ერთი კვირით ვიყავი ჩასული, შევხვდი სენატორებს, კონგრესმენებს, თეთრი სახლის, სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლებს, იქ არის აბსოლუტური კოსენსუსი სააკაშვილთან დაკავშირებით,რომ ამ კაცმა რაც გააკეთა - გააკეთა, რაც ვერ შეძლო - ვერ შეძლო, მაგრამ ახლა უნდა წავიდეს პოლიტიკური სცენიდან. ეს გადაწყვეტილება მას უთხრა პრეზიდენტმა ო’ბამამ, ეს უთხრა ჰილარი კლინტონმა, იმიტომ კი არა, რომ აშშ ერევა ქართულ შიდა პოლიტიკაში, არამედ იმიტომ, რომ საქართველომ ახალი ნაბიჯი გადადგას წინ. ამ ნაბიჯისთვის კი გვჭირდება დაბალანსებული პარლამენტი, ხელისუფლება, რომელსაც აქვს სწორად წარმოდგენილი სტრატეგია, როგორ შექმნას სამუშაო ადგილები, როგორ დააყენოს ფეხზე სოფლის მეურნეობა, როგორ უნდა მოგვარდეს ინფრასტრუქტურული, წყლის პრობლემები სოფელში, როგორ უნდა გამოვიყენოთ ის მილიარდიანი ინვესტიცია, რომელსაც ,,ქართული ოცნება“ და ბიძინა ივანიშვილი დებს სოფლის მეურნეობის განვითარებაში, ანუ როგორ შეიქმნას ელემენტარული კეთილდღეობა.

ნაციონალური მოძრაობის წარმოდგენები ხელისუფლებაში ყოფნის შესახებ ერთია და მეორეა ის მუხტი, რომელიც დაადასტურა ასიათასობით ქართველმა, რომელთაც სჯერათ, რომ ცვლილების დრო მოვიდა. ფული არ იგებს არჩევნებს, არც პიარი, არჩევნებს იგებს ის გულწრფელობა, რომელიც ადამი-



ანებს, ჩვენს თანამოქალაქეებს ასე ენატრებათ. ამდენ ტყუილს, ბრალდებას, გათიშულობას, მოღალატეებად და ჩემიანებად დაყოფას, პოლარიზებას, რომელიც სააკაშვილს შემოაქვს საზოგადოებაში, საზოგადოება ვეღარ იტანს, დაიღალა, გაითანგა ხალხი ამით. ამიტომ გამოვიდა ხალხი თბილისში, ქუთაისში, გურიაში.

სამეგრელოში იმ დადებულმა და ამოღებულმა ბომბმაც ვერ შეაკავა ხალხი მოსულიყო ,,ქართულ ოცნებასთან“ შესახვედრად. ეს არის გარდაუვალი პროცესი და ჩვენი ამოცანაა, პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ ამ პროცესს, უნდა მივიდეთ არჩევნების დღემდე და არჩვენებმა გადაწყვიტოს, ვინ იქნება პარლამენტში. ეს არის ბიძინა ივანიშვილის, ჩვენი ამოცანა. ამას ემსახურება ის თავშეკავებაც, რომლისკენაც ჩვენ მოვუწოდებთ ამომრჩევლებს, რომ ვერდიქტის გამოტანის დრო უნდა დაემთხვეს სწორედ არჩევნების დღეს. ის, ფაქტებია რომ ვიღაცას ავალებენ გადაიღონ ბიულეტინი, რომ დაუწერელი ბრძანება იქნება თავდაცვის სამინისტროში, შინაგან საქმეთა სამინისტროში, ეს ხალხს უკვე აღიზიანებს. ვერ წარმოიდგენთ, როგორ სოლიდარობას იჩენენ საჯარო სამსახურები იმ ცვლილების მიმართ, რომელიც მათ ელოდებათ ოქტომბერში. მე წლების განმავლობაში ვმუშაობდი სამართალდამცავ სტრუქტურებში, საგარეო საქმეთა სამინისტროში, მერწმუნეთ, იქ მომუშავე ხალხი მოწოდებულია იმისკენ, რომ ემსახურონ თავიანთ ქვეყანას, თავიანთი პროფესიონალიზმი მოახმარონ ქვეყნის წარმატებებს და არა იმას, როგორ დაუდარაჯდნენ, მოუსმინონ, უთვალთვალონ ოპოზიციის წარმომადგენლებს. სწორედ ამიტომ აქვს ოქტომბრის არჩევნებს გადამწყვეტი მნიშვნელობა, რა მიმართულებით წავა საქართველო - წავა რეალურად ლიბერალური დემოკრატიის მშენებლობისკენ, ეკონომიკის გაჯანსაღებისკენ, სამუშაო ადგილების შექმნისკენ თუ კიდევ უფრო მეტი ავტორიტარიზმისა და ტოტალური სახელმწიფოს ჩამოყალიბებისკენ. ამის გასაღები დევს ქართულ საზოგადოებაში და ამიტომაც ვარ დარწმუნებული, რომ ის ყველაფერი, რაც ბოლო პერიოდში ჩვენს თვალს ასე ახარებს, ესეთი არნახული სამოქალაქო სოლიდარობა, რომელსაც ხალხი იჩენს ერთმანეთის მიმართ უპირველესად, არის დასტური იმისა, რომ საქართველოში საზოგადოება მომწიფდა ცვლილებისთვის. ამას ვერ შეაჩერებს ვერც სააკაშვილი, ვერც ბოკერიას განცხადებები და ვერ ვერავინ, ეს არის გარდაუვალი.

ვერ წარმოიდგენთ რა ვითარებაა სამეგრელოში. იქ მთელი სივრცე, ხელისუფლებაც და ბიზნესიც გადანაწილებული აქვს ორ კლანს - ახალაიების და გოროზიების კლანებს. მიწები, საძოვრები წაართვეს ხალხს მოტყუებით, რითც არსებობის საშუალება მოუსპეს. ეს ყველაფერი მოსახლეობის თვალწინ ხდებოდა წლების განმავლობაში, რამაც ხალხი დაარწმუნა იმაში, რომ ის რეალობა, რასაც ტელევიზიით ხედავ და რეალობა, რომელიც მის ირგვლივაა, აბსოლუტურად განსხვავდება ერთმანეთისაგან. სწორედ ეს იწვევს პროტესტის გრძნობას.

მარტვილის რაიონში არის ესეთი სოფელი - ლეცეცხვაია, სადაც გმირი, ვაჟკაცი ადამიანის -გელა ჭედიას სახელობის სკოლა არსებობს. ამ ადამიანმა თავისი სიცოცხლე შესწირა სამშობლოს 2008 წლის აგვისტოში. ეს სკოლა გააუქმა სააკაშვილმა და შაშკინმა იანვარში, მაგრამ საოცრება ისაა, რომ ეს სკოლა დეფაქტოდ აგრძელებს ფუნქციონირებას. დირექტორი, მასწავლებლები, მშობლები ცდილობენ, როგორმე შეინარჩუნონ სკოლა. თან არ დაგავიწყდეთ, რომ ეს არის დაბალკონტიგენტიანი სასწავლო დაწესებულება. უბრალოდ ხელისუფლებამ პრინციპული პოზიცია დაიკავა და ეს ბავშვები ვერ მიიღებენ შესაბამის სერთიფიკატს. ასევე დაიხურა ათობით და ასობით სკოლა. სკოლის შენარჩუნება პირდაპირ ნიშნავს სოფლის შენარჩუნებას. ეს ყველაფერი მოქმედებს საზოგადოებაზე. ხალხს გამოაქვს დასკვნა, რა შეიცვალა რეალურად ბოლო რვა წლის განმავლობაში მათ ცხოვრებაში.

...რაც შეეხება სამეგრელოს, შემიძლია გითხრათ,რომ აქ განწყობა არის ძალიან იმედიანი, ცვლილების მოლოდინი აქვთ. ქართული ოცნების და ბიძინა ივანიშვილის მიტომ დაიჯერეს, რომ სააკაშვილისა და ნაცმოძრაობისგან განსხვავებით, ჩვენ შეგვიძლია განსხვავებული აზრის მოსმენა და არგუმენტირებული პასუხის გაცემა, რაც გააკეთა ბიძინა ივანიშვილმა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ დღეს ოპოზიციაში ყოფნის დროს, უარყოფითად და აგრესიულად არა ვართ განწყობილი განსხვავებული აზრის მიმართ. მით უფრო, რომ სამეგრელოში გამართულ შეხვედრაზე ხალხის უმრავლესობა მოსული იყო სწორედ პატივისცემის გამოსახატავად და მოსასმენად. ხალხს ძალიან აღელვებს სოფლის მეურნეობის საკითხი. ეს არის გადამწყვეტი რეგიონებში. სოფლის მეურნეობის აღორძინების გარეშე მასშტაბური უმუშევრობის დაძლევა რეგიონებში, ფაქტიურად, შეუძლებელია. განსხვავებით ბენდუქიძისგან, რომლის იდეაც იყო, საერთოდ მოისპოს სოფლის მეურნეობა.მე ძალიან ბევრს დავდივარ სოფლებში და საერთოდ ვერ ვამჩნევ შიშის განცდას.

დღეს კიდევ ერთი უნამუსო გადაწყვეტილება მიიღო სასამართლომ და ჩვენი შტაბის ხელმძღვანელს ზუგდიდში - სერგო ჩაჩიბაიას გამოუტანა 4,5 წლიანი თავისუფლების აღკვეთა. მიუხედავად ამისა, თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორი მოლოდინის, განცდაა ხალხში რომ ეს ადამიანი 4 თვეში გამოვა. და მინდა ვთქვა, რომ 4 თვეში თავისუფლებას მოიპოვებს ყველა, ვინც უსამართლოდ არის დაკავებული, პოლიტიკური ნიშნით ან ეკონომიკური ინტერესით, რომელიც აქვს ნაცმოძრაობას. ძალიან ბევრი ადამიანია ამ ნიშნით დაკავებული, საპროცესო გარიგებით ართმევენ ქონებას, ყველა ეს საკითხი იქნება გადახედილი და ისინი დაუბრუნდებიან თავიანთ ოჯახებს. მეტიც, მათ ადგილს დაიკავებს, მაგალითად, იუსტიციის მინისტრი, რომელიც დღეს გეგმავს ასეთ სამარცხვინო და სულმოკლე ნაბიჯებს. დარწმუნებული ვარ, ადეიშვილს მიეცემა საშუალება წარსდგეს ქართული, დამოუკიდებელი მართლმსაჯულების წინაშე. და ასე მოუვა ყველას, ვინც ემსახურება ბოროტ საქმეს. ამიტომ დროა, გამოფხიზლდნენ!

ფაქტია, რომ ბოლო წლებში საზოგადოებამ ზოგადად პოლიტიკის მიმართ რწმენა დაკარგა, მაგრამ ბოლო პერიოდის განმავლობაში, ივანიშვილის გამოჩენის შემდეგ, ეს იმედი დაბრუნდა ასობით ათას ქართველში. მისი წარსული, რა უკეთებია მას საქართველოსთვის, ეს არის მაჩვენებელი იმისა, შეიძლება თუ არა ამ კოალიციის ნდობა, რომელიც ბატონი ბიძინას თაოსნობით ჩამოყალიბდა. არც ერთი მოქალაქისთვის მე ჯერ არ მითქვამს, მე მომეცი ხმა-თქო. ყველას ვეუბნები, ეს არის ჩვენი ხედვა, ამის გაკეთებას ვაპირებთ. მოდი არჩევნებზე და იმ დღეს გული რასაც გიკარნახებს, ისე გადაწყვიტე! ხალხს არ უყვარს, როცა ეუბნებიან - ესე იფიქრე და ხმა ამას მიეცი! ხალხმა უნდა დაიჯეროს, რომ ეს ცვლილება შეეხება მას, მის ოჯახს. დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან ბევრმა დაიჯერა ეს და იმედს ვიტოვებ, შევძლებთ დავარწმუნოთ ხალხის ის ნაწილიც, რომელიც დღეს უიმედოდაა განწყობილი. ბიძინა ივანიშვილმა სასწორზე დადო ყველაფერი, რაც ამდენი წლის განმავლობაში შეუქმნია, რადგან არ უხარია ისეთ ქვეყანაში ცხოვრება, სადაც 70% ჯანდაცვის გარეშეა, სადაც უმუშევრობა 60%-ზე მეტია და ეს დასაფასებელია. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მისი გადაწყვეტილება კი არაა, არამედ ის, რომ ამ ადამიანს შეუძლია სამუშაო ადგილების შექმნა, მას ეს გაუკეთებია და რაც მთავარია, ეს არის სულით-ხორცამდე ქართველი. ეს არის ადამიანი, რომელიც სახელწიფო სამსახურში არ იყო და მაინც ქვეყნისათვის აკეთებდა უამრავ რამეს. 600 მილიონი მარტო სახელმწიფო საჯარო სამსახურის მოწესრიგებაზე დახარჯა, პოლიციის გაძლიერებაზე. ეს მაშინ როდესაც აზრადაც არ ჰქონდა პოლიტიკაში მოსულიყო. ამიტომ დავუკვირდეთ, ვის რა აქვს პოლიტიკაში გაკეთებული და გადაწყვეტილებები ისე მივიღოთ ოქტომბერში.

ნაციონალების წარმომადგენლები, კოორდინატორები საგანგებოდ ავრცელებენ აზრს მოსახლეობაში, რომ თუკი შეიცვალა ხელისუფლება, ჩვენ ნებას მივცემთ აღდგეს კრიმინალების თარეში, მე გარწმუნებთ, რომ პირიქით იქნება. მათ, ვინც უსამართლოდაა დაკავებული ნაციონალების მიერ, მოეხსნებათ ბრალდება, მაგრამ კრიმინალებს, რომლებიც დანაშაულს სჩადიან, აუცილებლად ემუქრებათ პატიმრობა. სწორედ ბიძინა ივანიშვილმა დააფინანსა ის რეფორმა, რასაც პატრულის რეფორმა ჰქვია, რომლებიც ყველას ძალიან მოგვწონს. ლევან იზორია იყო ის ადამიანი, ვინც განახორციელა ეს რეფორმა. ჩვენ ბევრად უფრო მომთხოვნი ვიქნებით კრიმინალების მიმართ, მაგრამ ციხეებში მდგომარეობა შეიცვლება. კრიმინალსაც აქვს უფლება ადამიანური პირობები ჰქონდეს. პენიტენციალური სისტემის მოვალეობა ის კი არ უნდა იყოს, როგორც დღესაა, რომ სულიერად გატეხონ ადამიანები, არამედ მას უნდა მოახდევინო ვალი საზოგადოების წინაშე და დააბრუნო საზოგადოებაში. ეს იქნება ცვლილება, რომელიც რეალურად გახორციელდება.

**,,კავკასია“**

**მოამზადა ხათუნა თოდუამ**

# ნაწლავური რევოლუცია

პრაქტიკულად ყველა ადამიანი, ცხოვრებაში ერთხელ მაინც, აწყდება საჭმლის მონელებასთან დაკავშირებულ პრობლემას მეტეორიზმის სახით. ამ კოსმოსური ტერმინით სპეციალისტები საჭმლის მომნელებელ ტრაქტში აირების დაგროვებას ასახავენ.

სწორედ ამიტომ გთავაზობთ საჭმლის მომნელებელი ტრაქტის დაავადებათა პროფილაქტიკის წესებს, რომელთა დაცვაც ადვილია.

ჩვენი ორგანიზმის ერთ-ერთი ყველაზე დიდი სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისთვის აუცილებელია რამდენიმე ძირითადი პრინციპის დაცვა:

### როგორ მივიღოთ სითხე

ჭამამდე 15-30 წუთით ადრე ან ჭამიდან 2-4 საათის შემდეგ აუცილებლად უნდა მიიღოთ სითხე, რომლის რაოდენობაც მირთმეულ საკვებზეა დამოკიდებული;

### კვების დროს გაითვალისწინეთ საჭმლის მომნელებელ ფერმენტთა თვისებები

ყოვლად დაუშვებელია, ერთროულად ხორცის (იგი მჟავა არეში მომუშავე ფერმენტების დახმარებით მოინელება) და კარტოფილის (ტუტე არეში მომუშავე ფერმენტებით მოინელება) მიღება. ამ დროს საჭმლის მომნელებელ არხში ხდება ფერმენტთა ინაქტივაცია და საკვების მონელებაც ფერხდება.

ამ პრინციპის მიხედვით, კატეგორიულად შეუთავსებელი პროდუქტებია, ერთი მხრივ: ცხოველური და მცენარეული ცილების შემცველი ხორცი, თევზი, კვერცხი, ხაჭო, ყველი, რძე და რძემჟავა პროდუქტები, ლობიო, ბარდა, თხილი, კაკალი, მზესუმზირა და მეორე მხრივ — სახამებლითა და ნახშირწყლებით მდიდარი კარტოფილი, მარცვლეული, პური და ფქვილის ნაწარმი, შაქარი და მისი შემცველი ნამცხვრები, მურაბები, თაფლი და ხილი.

ეს უკანასკნელი კი, უმჯობესია, სხვა პროდუქტების მიღებამდე 30 წუთით ადრე ან მათი მიღებიდან 3-4 საათის შემდეგ მიიღოთ.

### ჭამის დროს ნუ იჩქარებთ

საჭმელი უნდა მიირთვათ ნელა, კარგად დაღეჭოთ, რათა გუნდა მაქსიმალურად გაჯერდეს ნერწყვით. ეს აუცილებელი პირობაა საჭმლის სრულფასოვანი მონელებისთვის, რადგან ნერწყვი საკვების გუნდას ლპობისა და დუღილისგან იცავს.

ნუ მიუჯდებით მაგიდას გადაღლილი, გაღიზიანებული, ფიზიკური შრომის დამთავრებისთანავე ან უშუალოდ სამუშაოს დაწყებამდე, ეს ფაქტორები ანელებს საჭმლის მომნელებელი წვენების გამოყოფას, იწვევს ლპობისა და დუღილის სწრაფად დაწყებას და ნაწლავში მობინადრე სასარგებლო ბაქტერიებს საჭმლის მომნელებელ პროცესებში მონაწილეობაში უშლის ხელს;

### დაიცავით სეზონურობა

ეს პოსტულატი ითვალისწიებს წელიწადის განსაზღვრულ დროს განსაკუთრებული საკვების მიღების აუცილებლობას. მაგალითად, ზამთარსა და შემოდგომაზე პარკოსნების, მარცვლეული კულტურების, ახალი ხილისა და ბოსტნეულის მიღებას, ზაფხულში — კენკროვანი მცენარეების, გაზაფხულზე კი — მცენარეული სალათების.



წლის ნებისმიერ დროს შეგიძლიათ მიირთვათ რაც შეიძლება ბევრი უმი ხილი და ბოსტნეული, რადგან ექსპერიმენტებმა ცხადყო, რომ უმი ხილი და ბოსტნეული მოხარშულზე გაცილებით ძლიერ ასტიმულირებს ნივთიერებათაა ცვლის პროცესებს, ეს კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვებსა და ხანდაზმულთათვის.

### როგორ ჩავახშოთ აიროვანი რევოლუცია

მეტეორიზმის პრობლემის მოგვარებისას აუცილებელია ყველა იმ ფაქტორის გათვალისწინება, რომლებიც ნაწლავებში აირების ჭარბად დაგროვებას განაპირობებს.

* აირი ორგანიზმში ხვდება საკვების მიღებისას, ჭამის დროს საუბრისას, ფეხზე მდგარი სადილობაც ერთი-ორად ზრდის ორგანიზმში მოხვედრილ აირთა რაოდენობას, ამიტომ ჭამის დროს კომფორტულად მიუჯექით სასადილო მაგიდას და ხმის ამოუღებლად ისადილეთ.

* მეტეორიზმისადმი მიდრეკილმა ადამიანებმა საერთოდ უარი უნდა თქვან მოდურ, წონაში დასაკლებ დიეტებზე, რადგან ისინი ყველაზე ძლიერ და ადვილად ახდენს საჭმლის მომნელებელი ტრაქტის ტრავმირებას.

* საშიშროებას წარმოადგენს გაზიანი სასმელებიც, განსაკუთრებით თვითფერმენტირებადი ბურახი და ლუდი.

* მეტეორიზმის გამოწვევა შეუძლია საღებავის შემცველ საღეჭ რეზინებსაც.

* აუცილებელია ასაკის შესატყვისი მოძრაობითი აქტივობა. თუ ადამიანი არ მოძრაობს, მისი კუნთები და მათ შორის შინაგანი ორგანოების მუსკულატურაც, დაქვეითებული აქტივობის რეჟიმში გადადის, რაც იწვევს ორგანიზმში შეგუბებით მოვლენებს და მათ შორის მეტეორიზმსაც.

* თუ ყაბზობას უჩივით, ნუ გამოიყენებთ ხშირად და უმართებულოდ გამწმენდ ოყნასა და საფაღარათო პრეპარატებს, ესეც უარყოფითად ისახება კუჭ-ნაწლავზე, ამ შემთხვევაში გასტროენტეროლოგს უნდა მიმართოთ.

* მეტეორიზმის პროვოცირება შეუძლია ტკბილ და ცხიმიან საკვებს, ნაწლავებში ჭარბი აირების დაგროვებისას უარი თქვით ყავასა და შოკოლადზე. ზომიერად მიირთვით კომბოსტო, ბარდა და სხვა ბოსტნეული.

ეგზოტიკურ პროდუქტებს, გირჩევთ, თავი ანებოთ.

* აუცილებელია კვების რეჟიმის დაცვა — შეეცადეთ, საჭმელი დღის ერთსა და იმავე დროს მიიღოთ.

* მეტეორიზმის სამკურნალოდ გამოყენებული ზოგიერთი პრეპარატი აძლიერებს ფლატულენციას (აირებისგან ორგანიზმის გათავისუფლებას), ამიტომ გირჩევთ პრეპარატი მაშინ მიიღოთ, როდესაც შინ ბრძანდებით.

* გახსოვდეთ! მეტეორიზმი ზოგჯერ საჭმლის მომნელებელ ტრაქტში მიმდინარე სერიოზული პათოლოგიური პროცესის მაუწყებელი სიგნალია. ამიტომ მისი პირველი ნიშნების გაჩენისთანავე, ნუ შეეცდებით მასთან დამოუკიდებლად გამკლავებას, უმჯობესია, ეს სპეციალისტს მიანდოთ.

# თუ ფეხები გიშუპდებათ

**ცხელ ამინდში ბევრს უშუპდება ქვედა კიდურები, რაც ორგანიზმში ჭარბი სითხის დაგროვების მანიშნებელია, მას შესაძლოა იწვევდეს:**

### გულის უკმარისობა

მიოკარდის ინფარქტი, ხანგრძლივი ჰიპერტონია, გულის სარქველების ვირუსული ან სხვა დაავადებანი აზიანებს გულის კუნთს, რის გამოც იგი ვენებიდან მიწოდებულ სისხლს საჭირო ინტენსივობით ვეღარ გადადენის ფილტვებში, იგი გუბდება ვენებში, მისი თხიერი კომპონენტი კი იჟონება ქსოვილებში და იწვევს ფეხების შეშუპებას.



გულის მარცხენა ნაწილის სისუსტისას ფილტვებიდან ფერხდება ახალი სისხლის გადინება, შეგუბებითი პროცესი ახლა უკვე ფილტვებში ვითარდება, რაც აძნელებს სუნთქვას. სწორედ ამიტომ გულის უკმარისობის მქონეებს, ორივე ქვედა კიდურის შეშუპებასთან ერთად, ყოველთვის აღენიშნებათ გაძნელებული სუნთქვა და ქოშინი;

### ფლებიტი

ქვედა კიდურის ერთი ან რამდენიმე ზედაპირული ვენის დაზიანებაა, რომელიც ვითარდება ანთებითი პროცესით ან ვენის სანათურის სისხლის კოლტით დახშობის შედეგად. ფლებიტი იწვევს ტკივილს, შეშუპებასა და სიწითლეს. ვენების სანათურთა დახშობის შემდეგ სისხლი ქვედა კიდურებში ყოვნდება, გუბდება და იძულებულია, ახლომდებარე ქსოვილებში გამოჟონოს.

გულის უკმარისობისგან განსხვავებით, ფლებიტისას პაციენტს აღენიშნება ტკივილი და მხოლოდ ცალი კიდურის შეშუპება;

### ვენების ვარიკოზული გაგანიერება

ვარიკოზული დაავადების დასაწყისში ქვედა კიდურები ძლიერ არ შუპდება, ეს დაავადების მოგვიანებით სტადიაზე იჩენს თავს და პირდაპირ უკავშირდება სხეულის ვერტიკალურ მდგომარეობას — შეშუპება გაცილებით ძლიერდება საღამოს. დასვენების შემდეგ, დილით, იგი ქრება, დღის მეორე ნახევარში კი კვლავ ჩნდება. მოგვიანებით, შეშუპებას თან ერთვის კანის პიგმენტაცია და წყლულები. ვარიკოზის დროს შეშუპება ასიმეტრიულია და ჩვეულებრივ, მხოლოდ ცალი კიდურია შეშუპებული;

### თირკმლის დაავადებები

ამ დროს მთელი სხეულია შეშუპებული, რაც გამოწვეულია შარდთან ერთად ცილა ალბუმინის დანაკარგით. ნორმაში ალბუმინი შარდთან ერთად არ გამოიყოფა, თირკმლის დაავადებისას კი იკარგება და მისი დეფიციტის შესავსებად სისხლიდან ქსოვილებში ზედმეტი სითხე გადადის, რაც მთელი ორგანიზმის და მათ შორის ქვედა კიდურების შეშუპებას იწვევს;

### ღვიძლის დაავადებები

შეშუპებას ორი მექანიზი განსაზღვრავს:

1. დაზიანებული ღვიძლის კედლები ვერ გამოიმუშავებს საკმარისი ოდენობის ცილა ალბუმინს და შეშუპება თირკმლის დაავადების მსგავსი მექანიზმით ვითარდება. 2. ღვიძლი, ქსოვილოვანი დაზიანების გამო, ქვედა კიდურებიდან გულისკენ სისხლს შეუფერხებლად ვეღარ ატარებს და ისიც ქვედა კიდურებში გუბდება;

### სხვა მიზეზები

**შიმშილი** — ცილების დეფიციტი იწვევს მთელი სხეულის შეშუპებას, განსაკუთრებით კი — მუცლისა და ქვედა კიდურების;

**ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დაქვეითება** — შეშუპებას, თირკმლისა და ღვიძლის დაავადებების მსგავსად, ნივთიერებათა ცვლის დარღვევის შედეგად გამოწვეული ალბუმინის დეფიციტის დაბალანსების მცდელობა იწვევს;

**კორონარული შუნტირების შემდგომი შეშუპებას** — ოპერაციის მიზნით, ქვედა კიდურებიდან დიდი ზომის ვენის ამოკვეთა იწვევს, რაც რამდენიმე თვეში ქრება — სხვა ვენა ეგუება დანაკარგს და მის ფუნქციებს ინაწილებს;

**პრეპარატები** — შეშუპებას იწვევს ტესტოსტერონი, სტეროიდები, ესტროგენები, ზოგიერთი ანტიდეპრესანტი და ჰიპოტონიური საშუალება;

**პერიკარდიტი** — პერიკარდი გულის პერანგია, იგი გულის შეკუმშვების პარალელურად იშლება და იკუმშება. როდესაც იგი ზიანდება, გულს უძნელდება ნორმალური შეკუმშვა, ამიტომ სისხლი ჯერ კისრის ვენებში, შემდეგ მუცელში, ბოლოს კი ქვედა კიდურებში გუბდება;

**ცხოვრების წესი** — ქვედა კიდურების შეშუპებას ხანგრძლივად ფეხზე დგომა და უმოძრაობა იწვევს; იგი ჩნდება ძლიერი ფიზიკური შრომის, საკვებში სუფრის მარილის ჭარბად გამოყენების, ბრტყელტერფიანობის დროს. გამომწვევი ფაქტორებია: მაღალქუსლებიანი და არაკომფორტული ფეხსაცმელი, ეგრეთ წოდებული „მჯდარი პროფესიები", ხანგრძლივი დროით მგზავრობა. ასეთი შეშუპება მისი გამომწვევი ფაქტორის მოხსნისთანავე ქრება.

### საგულისხმო რჩევები

* შეარჩიეთ მაქსიმალურად კომფორტული ფეხსაცმელი;

* თუ ფეხზე ხანგრძლივად დგომა გიწევთ, გამოიყენეთ სპეციალური სამკურნალო წინდები, რომლებიც შეშუპებას ეწინააღმდეგება;

* შეზღუდეთ საკვებში სუფრის მარილის გამოყენება;

* თუ შეშუპება ხანგრძლივია და ჩვეულებრივი რჩევები ვერ გეხმარებათ, მიმართეთ ექიმს.

* სასტიკად აკრძალულია ყოველგვარი თვითდიაგნოსტიკა და მკურნალობა.

* სიფრთხილე გმართებთ შარდმდენ პრეპარატებთან — შეშუპების მკურნალობა ორგანიზმიდან დაგროვილი ჭარბი სითხის მოცილებას კი არა, მისი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრას გულისხმობს.

**ზვიად ღონღაძე**

# dRes arc xelisuflebaSi, arc opoziciaSi da arc Cems garSemo ar arsebobs adamiani, romelsac Cemi wamali ar sWirdebodes

*ნიჭირებასა და ღვთისგან მომადლებულ უნარს ან გაუნათლებლები, ან თავად უნიჭონი, ან მავნელები ებრძვიან. გასაკვირია, მაგრამ 21-ე საუკუნეშიც ებრძვიან ადამიანთა სნეულებათაგან საბოლოოდ განკურნების შესაძლებლობებსა და საგვარეულო მედიცინის ბუნებრივ ხერხებს. ქალბატონი* ***მანანა ჭყონია*** *საუკუნეების წინ იტალიიდან საქართველოში მისიონერებად ჩამოსახლებული, შემდგომ მართლმადიდებლობაზე მოქცეული და აქ დასახლებული ძველი კოლხი წინაპრების შთამომავალია. მეთოდიცა და წამლების ფორმულებიც ქალბატონ მანანას ბებიისგან გადმოეცა მემკვიდრეობით. მკურნალობის ბებიის უნარით დაჯილდოებულმა მანანა ჭყონიამ წამლების საგვარეულო ფორმულები საკუთარი რეცეპტებითაც გაამდიდრა. შედეგი საუცხოოა, თუმცა მის წინ "აუღებელი ციხე-სიმაგრეც" აღიმართა ბუნებრივი საშუალებებით მკურნალობის მოწინააღმდეგეთა მხრიდან.*



**— თქვენი მკურნალობის ამოსავალი წერტილი ხერხემალია. რა უპირატესობა აქვს თქვენს მეთოდსა და წამლებს. თავად როგორ შეაფასებდით თქვენი მეთოდის უპირატესობას?**

— ცოტა შორიდან დავიწყებ. შექმნილის შექმნილმა რა უნდა შეძლოს შემქმნელზე უკეთესად? უფალმა ადამიანთან და ავადმყოფობებთან ერთად მისი განკურნების საშუალებებიც შექმნა. ავადმყოფობა ადამიანის ან ფიზიკური ან სულიერი დაუდევრობის სასჯელია. მე ყველაფერი ლოგიკაზე მაქვს აგებული და ჩემი პრაქტიკიდან გამომდინარე, მკურნალობის თეორიაც მაქვს. ამასთან, ჩემი წამლები არ შეიცავენ იმ ბიოდანამატებს, რითაც სააფთიაქო პრეპარატებია გაჯერებული.

**— რაც შეეხება პროფესიონალებს, ფაქტია, რომ თქვენისთანა პიროვნებებს, როგორც "არაპროფესიონალებს", ვისაც ადამიანთა ხალხური და ბუნებრივი საშუალებებით განკურნება ძალგიძთ — გებრძვიან. ზოგი ექიმბაშს გიწოდებთ, ზოგიც მაპატიეთ და, შარლატანს. თუმცა მსმენია, რომ ბევრი ექიმი დადის თქვენთან და ბევრიც მოგირჩენიათ.**

— მართალია, ჩემთან ბევრი ექიმი მკურნალობს და ამასთან მთხოვენ, მათ კოლეგებს რომ არ ეწყინოთ, საიდუმლოდ შევინახო ფაქტები იმ დაავადების განკურნებაზე, რასაც მე ვკურნავ და სხვა კი ოპერაციას სთავაზობს. ბრძოლას რაც შეეხება, კონკურენცია ყველაგან და ყველა დროში იყო. მე ასეთი თავდაჯერებული წინა წლებში არ ვყოფილვარ. არც ადამიანებზე მიკეთებია ექსპერიმენტები. ვიცოდი პრეპარატის ერთი მიმართულება და როცა პაციენტს კონკრეტული დაავადებისთვის მივაწოდე, იმდენი დადებითი ეფექტი მომცა, რომ შემდეგი პაციენტისთვის უკვე თამამად შემეძლო შეთავაზება. წლების განმავლობაში ეს გამოცდილება დაგროვდა. პრაქტიკამ მიკარნახა, რომ ხერხემალზე დამოკიდებულ ორგანიზმში "ნაფტალანზე" დამზადებული წამალი, (რომელიც ძვალსახსროვანი ქსოვილების აღდგენისთვისაა და მე სხვა კომპონენტებიც დავამატე), სხვა ორგანოების განკურნების საუცხოო შედეგი მომცა. რასაკვირველია, მქონდა ბალახებიც, მაგრამ ბალახეულ მცენარეებთან შედარებით უპირატესობას ხეებს ვანიჭებ, რადგან ადამიანის მიერ დაბინძურებული დედამიწისა და ატმოსფეროს შედეგად დაბინძურებული ნალექიდან ზედა შრეში ბალახი უფრო ადვილად ითვისებს მავნე ნივთიერებებს. ხეები კი, რომელთაც ბალახებზე ბევრად ღრმა ფესვები აქვს, უკეთ ახერხებენ დედამიწის სიღრმიდან ადამიანისთვის საჭირო, ეკოლოგიურად სუფთა და სასარგებლო თვისებების მატარებელი ელემენტების ამოღებას. რატომ მერჩიან, არ ვიცი, მაგრამ საპირისპიროს ვერ მიმტკიცებენ. მთელ მსოფლიოში მომიძებნონ თიაქრისა და კოქსართროზისგან ოპერაციის გარეშე მორჩენილი ადამიანები, მით უფრო, როცა ოპერაცია არ ამართლებს. ოპერაციის დროს ჩაკეტვა ხდება. მე კი აღდგენაზე ვმუშაობ.

**— ფარმაკოლოგიის ბიზნესი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უძვირესია და თქვენი წამლებით ასეთ კომპანიებსა და ფირმებს ხომ არ უწევთ კონკურენციას?**

— "ბიზნესს" ჩავანაცვლებდი "საქმიანობით". რასაკვირველია, უთქვამთ კიდეც, რომ არ გვაწყობს შენი წამალი, რადგან შენი პაციენტი ჩვენთან აღარ მოდის და მორჩენილი პაციენტი დაკარგულიაო. მყავს ცოცხალი ადამიანები და ვისაც აინტერესებს მათი ნახვა (თავისი საბუთით, რენტგენის სურათით, დაავადების კლინიკური გამოვლინებით და ანალიზებით) ნებისმიერ დროს შეიძლება. ყველაფერი ჩემი პრაქტიკით მაქვს დასაბუთებული და საპირისპიროს ვერავინ მიმტკიცებს. ვერასდროს ვიქნები ქირურგთა კონკურენტი, რადგან ერთდროულად ორი-სამ პაციენტზე მეტის აყვანა არ შემიძლია. წამალს მე ვამზადებ. მეთოდი ჩემია და განსხვავებით ბევრი ექიმისგან პირადად ვაგებ პასუხს.

**— დღევანდელ დუხჭირ ცხოვრებაში რასაკვირველია, მკითხველსაც და თქვენს მომავალ პაციენტებსაც დააინტერესებთ მკურნალობის საფასური.**

— ეს ჩვენი საზოგადოების და განვითარებადი ქვეყნების პრობლემაა. არ დაგიმალავთ, მასალა უძვირესია. თავისუფლად შემიძლია ჩამოვთვალო რამდენიმე კომპონენტი, რომელსაც ვერავინ გამოიყენებს და დაამზადებს, რადგან მე ყოველი პაციენტისთვის ინდივიდუალურად ვამზადებ მას. ეს არის ბუნებრივი მინერალები და არა ცარცი, მარილი და სხვა. ჯერ მხოლოდ ნაფტალანი ითვლება ერთ-ერთ უძვირფასეს ნივთიერებად, რომელსაც სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა შემადგენლობით მოიპოვებენ და უკუჩვენებებიც აქვს, თუ არ იცი, რომელი გამოიყენო. იმ ნაფტალანის მოპოვება, რომელსაც უკუჩვენებები არ ახლავს, საკმაოდ ძვირი ჯდება. ოქროს მარილი, ალმასის მტვერი. ალმასი და ბრილიანტი უძვირფასეს მინერალებად ითვლება, მაგრამ ყველაზე ძნელი მოსაპოვებელი ბუნებაში მაინც ოპალია.

**— ინტერვიუმდე ახსენეთ, რომ სპორტსმენების ტრავმის განკურნების საშუალებასაც ამზადებთ.**

— ტრავმებზე დიდხანს ვიკავებდი თავს, მაგრამ, როდესაც ადამიანი ფიზიკურ ტრავმას იღებს, იქ მარტო ძვალი არ ზიანდება. ზიანდება წვრილი ქსოვილებიც და სისხლძარღვებიც, ნერვული ქსოვილებიც, რომლის აღდგენა არ ხდება. რაც გადარჩება, იმის ხარჯზე ხდება ჯანმრთელობის რეაბილიტაცია. არის კიდევ მეორე რამეც. წარმოიქმნება შიდა ჰემატომა, რომელიც სახსარში ბოლომდე არ იწოვება. რაც, შესაძლოა, არასასურველ წარმონაქმნადაც კი იქცეს. თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ შიდა ჰემატომის გაწოვის საშუალება არათუ საქართველოში — არსად არ არსებობს. მომიტანონ და დამიდონ მაგალითი და შედეგები იმისა, რომ ეს ყველაფერი აღსდგა. ხერხემლის კომპრესიული მოტეხილობა ყველაზე რთულ მოტეხილობად ითვლება. სჭირდება სულ ოცი დღე, მაგრამ აქ მხოლოდ ძვალზე არ არის საუბარი. სადაც ეს მალა დაზიანდა, იქ ყველა რბილი ქსოვილი ჩატყდა, დაზიანდა და მასაც სჭირდება აღდგენა. იგივე დისკის თიაქარი, კოქსართროზი, ბავშვობაში მიღებული ტრავმა, არ არის უცებ განვითარებული პათოლოგიები და მოზრდილობაში პრობლემებში ამიტომ გადადის. მე შემიძლია ამ ქსოვილების სრულფასოვანი აღდგენა. რასაკვირველია, ეს უნარი ღმერთმა მომანიჭა და ვერაფერს დავიბრალებ იმის გარდა, რომ არც შრომა და არც წლები არ დამიშურებია. ამპარტავანი ნამდვილად არა ვარ, მაგრამ ზედმეტ პასუხისმგებლობაშია ჩემი პრობლემა. ჩვენი საზოგადოების ნაწილს ერთმანეთთან წამხედურობით ურჩევნია უცხოეთში ძვირადღირებულ საავადმოყოფოში და პრეპარატით მკურნალობით იტრაბახოს ერთმანეთთან. რაც ადრე რუსეთში და მთელ საბჭოეთშიც იყო, ის ნაცნობი და ძველია. რაც ხელმისაწვდომია და აქვეა — იმას ფასი არა აქვს. კოსმოპოლიტიზმის გაშიფრვა მრავალი კუთხით შეიძლება. მე, ზოგადად, ადამიანები მიყვარს. ცუდი და კარგი ყველგანაა. ჩვენი ქვეყნისთვის სხვა ეთნოსის წარმომადგენლებს არაფერი დაუშავებიათ. ძვირია ჩემი წამალი, იმიტომ რომ ძალიან ძვირი ჯდება მისი დამზადება, მაგრამ ეს წამალი არჩენს. მე სხვის დიაგნოსტიკას ვერ ვენდობი. იმათ სხვა მექანიკური მეთოდები აქვთ, რომლებიც მე ამოვიღე, რადგან ხერხემალი უსათუთესი ორგანოა. სადაც ნერვი გადის ყველა ორგანო აზროვნებს. მოფერება და სიყვარული სჭირდება.

**— ქალბატონო მანანა, თქვენ ამბობთ, რომ თქვენს მეთოდს სიმაღლეში გაზრდაც შეუძლია.**



— სამოც წლამდე შემიძლია ნებისმიერი ადამიანი ისე გავზარდო, რომ ბოლომდე შეინარჩუნოს ეს სიმაღლე. მეთოდები აქვთ, გაჭიმავენ იმ მომენტში და დაჭიმულზე გაზომავენ. ნახავენ, რომ "გაზრდილია". გადის რამოდენიმე კვირა და ადამიანი იგივე ზომაზე დგება. "ფენომენის" რედაქტორი დაინტერესდა და შემთავაზა, გავახმაუროთ, რომ ქართული ვიაგრა არსებობსო. მაქვს ისეთი მეთოდი და პრეპარატები, რომლებიც საქართველოში პროსტატის პრობლემას საერთოდ მოხსნის. ერთი რამეა— პროსტატას ვერ მოარჩენს ვერც ერთი წამალი, თუ ხერხემალი არ განიკურნა. პირველი, რაც აზიანებს პროსტატის ჯირკვალს, ეს არის ხერხემლის დაავადება.

**— ქალბატონო მანანა, უცხოელი პაციენტები თუ გყოლიათ და უცხოეთიდან გამოხმაურება თუ ჰქონია თქვენს მეთოდსა და წამალს?**

— დაახლოებით 17 წლის წინ 90-იან წლებში აქედან წასული ქართველი ებრაელი პაციენტი მყავდა. რომელმაც მითხრა, რომ ტიბეტში ჩასულა. იქედან კი აქეთ გამოუგზავნიათ— "რომელს გვაქვს აღმოსავლეთის ქვეყნებში ჯანმრთელი ხერხემალიო და კოლხური მედიცინისთვის მიმართვა ურჩევიათ. ჩემი ბებიის საგვარეულო წამლის ფორმულები მართლაც წარმოადგენს იმ საბაზისო მალამოებისა და წამლების საფუძველს, რითაც აჭარა, გურია და სხვა ქართული მხარეებია ცნობილი. ამ ადამიანს ვუმკურნალე. მორჩა. შეძლებული ადამიანი იყო. მთხოვა ისრაელში პროფესიონალური მედიცინა ძალიან დაბალ დონეზეა, აპარატურა საუცხოო გვაქვს, მაგრამ ეს აპარატურა არ არჩენსო. კლინიკის გახსნა და მათთან მუშაობა შემთავაზა. ამ დაავადებაში ადამიანები მილიონებს იხდიანო. ჩემგან მხოლოდ მუშაობას ითხოვდა. თუმცა ბევრი მიზეზის გამო ვერ წავიდოდი უცხოეთში.

**— რატომ არ გიწყობთ ხელს ხელისუფლება, რომელიც რომელიც ყველანაირი პროგრესის, ჯანდაცვის, იგივე ტურიზმის ასეთი მომხრე და აგიტატორია?**

— დღეს არც ხელისუფლებაში, არც ოპოზიციაში და არც ჩემს გარშემო არ არსებობს ადამიანი, რომელსაც ჩემი წამალი არ სჭირდებოდეს, მაგრამ ესეც, ეტყობა, ჩვენი სენია: "ავმა ძაღლმა არც თვითონ ჭამა და არც სხვას აჭამაო". რამდენად მიიტანეს, სადაც საჭირო იყო ამბავი, არ ვიცი, მაგრამ მქონდა შეთავაზებებიც, როდესაც საქართველო ტურიზმის ქვეყანად უნდა ექციათ და სამედიცინო ტურიზმზე როცა გაკეთდა აქცენტი, გაკეთდა რეკლამა "ასეთი და ისეთი" აპარატურის დაყენების. ბოდიშს მოვიხდი, მაგრამ რომელი აპარატურაა საქართველოში ისეთი, რაც უცხოეთში არ არსებობს. აპარტურისა და ფეშენებელურ კლინიკაში სამკურნალოდ აქ არავინ ჩამოვა. არ ვამბობ, რომ ჩემი წამალი პანაცეაა. ბევრი სხვა საშუალებებიც არსებობს საქართველოში. ელემენტარულ მაგალითს მოგიყვანთ. ვინმე საქართველოში თუ ახსენებს კატრექსს? კიბოს პრევენციის ამაზე უკეთესი სხვა საშუალება მსოფლიოში არ არსებობს. გინახავთ რომელიმე ექიმი ან მკურნალი, ჩემს გარდა, თავისი საქმიანობით მატერიალურად, მორალურად, სულიერად დაზარალებული? მე ოპერაციას არ ვაკეთებ. იმ სფეროში, რაშიც მე ვმოღვაწეობ, (სხვა სფეროში იგივე ქირურგიაში, გინეკოლოგიაში და სხვას მე არ ვიჩემებ) მომიყვანონ ჩემნაირად მორჩენილი პაციენტი. ან მომიტანონ წამალი, რომელიც სისტემას მკურნალობს და არა მხოლოდ ცალკეული ორგანოს დაავადების პროცესს აჩერებს. როგორ შეიძლება თერაპევტი- კუჭის ექიმი ცალკე, ღვიძლის ცალკე და თირკმლის ექიმი ცალკე იყოს? ათი მყავს სამი, თუ ათასი პაციენტი, მნიშვნელობა არა აქვს. მომიყვანონ ადამიანი განკურნების იმ შედეგით, რა შედეგსაც მე ვაღწევ და დავანებ ამ საქმიანობას თავს.

**მანანა ჭყონიას საკონტაქტო ნომერია:**
**599 16 56 65**

მოგზაურობა სამშობლოში





# სვანთა ერისთავი

## ადიშის თემი

ადიშჭალის (იგივე ადიშისწყლის) ხეობა, როგორც წინა მოგზაურობისას ვთქვი, იფარის თემის სოფელ ბოგრიშის მერე იწყება. ეს გზა არათუ ავდარში, კარგ ამინდშიც ძნელი სავალია, რადგან ენგურის ამ შენაკადმა ოდენ გაზაფხულზე არ იცის ადიდება და კალაპოტიდან ამოვარდნა. იგი ხომ კავკასიონის უმაღლესი მწვერვალების თეთნულდის, რუსთაველისა და პუშკინის პიკების მყინვარებით საზრდოობს. მდინარე სიგრძეში 14 კილომეტრია და გზაც მის ნაპირებს გასდევს. სოფელი ადიში ამ გზის მე-8 კილომეტრზეა.

ადიშში გვიან ღამით ავდივართ, მაგრამ მაინც კმაყოფილები ვართ, რადგან დრო მოვიგეთ და საქმეს დილაადრიან შევუდგებით. **თბილისიდან ადიშამდე ზუსტად 500 კილომეტრია.** ჯიოყოლა ჩეგიანი სიმაღლის მრიცხველსაც ამოწმებს: **ზღვის დონიდან 2100 მეტრის სიმაღლეზე ვიმყოფებით.** ადიშელ მასპინძელს ტარზან ქალდანს ჩვენს ლოდინში მოთმინება დაუკარგავს, უფიქრია, მანქანით ვერ ამოვლენო და ცხენები შეუკაზმავს.

თავდაპირველად დავადგინოთ, რომელი უფრო მართებული გამოთქმაა: **„ადიში“** თუ **„ჰადიში“?** დგინდება, რომ გვიან შუასაუკუნეებში ამ თემს ჰადიში ერქვა, მაგრამ შემდეგ ადიშის მაცხოვრის ეკლესიის გაცილებით ადრინდელმა, XI საუკუნის ნაკაწრმა წარწერამ „ადიში“ დაადასტურა: **„ქ.მუეფეო მეუფეთაო და უფალო უფლებათაო, წმიდაო მაცხოვარო ადიშისაო, შეიწყალე სინელი მწარედ ცოდვილი დღესა მას საშინელსა განკითხვისასა, შენსა მას დიდებით მოსვლასა, მათ დიდთა დაჯდომასა“.** გარდამავალი მხედრული დამწერლობით შესრულებული ეს წარწერა ცნობილმა პალეოგრაფმა ვალერიან სილოგავამ ხსენებული ტაძრის კანკელის ანტაბლემენტის შიდა მხარეს, აღსავლის კარის მარცხენა სვეტის ზევით, სვეტის თავიდან 28-40 სმ-ის სიმაღლეზე წაიკითხა.

დღეს ადიშის თემში ერთადერთი და ამავე სახელწოდების სოფელია. აქ ავალიანების და ქალდანების 9 კომლიდა ცხოვრობს, ადრე კი, თურმე, 12 გვარის ხალხი და მათ შორის, ჩეგიანებიც ყოფილან. სოფლის ცენტრში მდებარე დიდი სახლის ნანგრევების კედლებზე დღემდეა შემორჩენილი თუნუქის ფირნიში, რომელზეც წერია: „ადიშის 8-წლიანი სკოლა“...

* * *

ახლა ძველ ამბებს დავუბრუნდეთ. ადიში უწინარესად, ცნობილია სახელგანთქმული **„ადიშის ოთხთავით“**, რომელიც ამჟამად მესტიის მუზეუმში ინახება. ეს ჩვენში აღმოჩენილ და მივიწყებულ სახარება-ოთხთავებს შორის ჯერჯერობით ყველაზე ძველი, ვრცელი და ამასთანავე რამდენადმე განსხვავებული რედაქციის ხელნაწერია. იგი 897 წელსაა შექმნილი და 387-ე გვერდზე ინახავს XI საუკუნის საინტერესო მინაწერს, რომელიც ნუსხა-ხუცურით არის შესრულებული და ოთხთავის გადაწერის ადგილს გვამცნობს. აი, ისიც:



**„სახელითა არსება დაუბადებელისა ყოვლად წმიდისა სამებაისაითა, მეოხებითა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისაითა, შეწევნითა და წყალობითა წმიდათა მთავარანგელოსთაითა, მეოხებითა და შეწევნითა ყოველთა წმიდათაითა, მე ნ (ი)კ(ო)ლ(აო)ს, ოდესმე ჯუმათის მამასახლისმან, ულირსმან და სულითა საწყალობელმან ფრიადითა ხარკებითა — აღაშენენ ღმერთმან კლარჯეთისა მონასტერნი — შევიარენ და შევკრიბენ წმიდანი ესე წიგნნი: პირველად წმიდაი ესე სახარებაი ოთხთავი, და მრავალთავი და ხელთკანონი და მამათა წიგნი და კითხვა-მიგებაი, უმეტესად — აღაშენენ შატბერდი - ესე ოთხთავი და ხელთკანონი და მამათა წიგნი მათსა ეკლესიასა“.**

მაშასადამე, ჯუმათელ წინამძღვარ **ნიკოლაოსს** ეს ოთხთავი შატბერდიდან ჩამოუტანია და ადიშის ერთ-ერთი, სავარაუდოდ, მაცხოვრის ეკლესიისათვის გადაუცია. დიდი ალბათობაა, რომ ზემოთ დასახელებული წიგნების ერთი ნაწილიც ადიშის ან სვანეთის სხვა რომელიმე თემის ეკლესიებს გადაეცა. რა სჯიდა ნიკოლაოსს, რომ ეს წიგნები ამ სიშორეზე ამოეტანა?

XI საუკუნის მიწურულს, დავით აღმაშენებლის ზეობის პირველსავე წლებში და, ალბათ, მანამდეც, სვანეთში დიდი საეკლესიო-სამონასტრო ცხოვრება გაშლილა. ნიკოლაოსის მსგავსი ნეტარი მამანი ამ მონასტრების სათანადო ლიტერატურით მომარაგებისათვის ილვწიან, სხვები კი უშუალოდ მშენებლობას ხელმძღვანელობენ. ადიშში ერთ-ერთი ასეთი ორგანიზატორი ზემოთ ნახსენები **სინელი ხუცესია,** ვის სახელს, „მაცხოვრის“ გარდა, სხვა ეკლესიათა წარწერებშიც ვხვდებით, მაგრამ სულ სხვაა მშენებლობის ინიციატორის, ხუროთმოძღვრის და მხატვრის როლი თუ ღვაწლი და სულ სხვაა — ქტიტორის, დამფინანსებლის. აქ უკვე ისეთი პიროვნება იქნებოდა საჭირო, რომლის სიუზერენულ ნებას ქონებრივი შესაძლებლობაც გაამაგრებდა.

დღეს ჩვენში გავრცელებულია მცდარი წარმოდგენა, რომ ბალს ზემო სვანეთში კლასობრივი დაყოფა არ არსებობდა და ყველა ყველას ტოლი გახლდათ. გვიან შუასაუკუნეებში, როცა ერთიანი საქართველო სამეფო-სამთავროებად დაიშალა, ეს, ალბათ, ნაწილობრივ ასეც იყო, თუმცა მაშინაც, თემებში არსებობდნენ **„ვარგები“**, ანუ აზნაურებთან გათანაბრებული პირები.

სულ სხვა მდგომარეობა უნდა ყოფილიყო განვითარებულ შუასაუკუნეებში, ერთიანი სახელმწიფოს პირობებში, ოღონდ მაშინაც აქაური ერისთავობა განსხვავებული იქნებოდა სხვა რეგიონების ერისთავობისაგან და აი, რატომ: ცნობილია, რომ უძველეს დროში ერისთავი უწინარესად ამა თუ იმ დიდი ხევის



სოფელი ადიში, მაცხოვრის ეკლესია და მიქაელ ჩეგიანის წარწერიანი ფრესკა

(პოლიტ-საზოგ.ერთეულის) სამხედრო ხელმძღვანელი იყო. სვანეთში ამის ნიშნები ძალიან ადრეული პერიოდიდან ვლინდება. ასე მაგალითად, როცა სტრაბონი ამბობს, რომ სვანებს 200-ათასიანი ლაშქრის გამოყვანა შეუძლიათო, ეს იმას გულისხმობს, რომ მოლაშქრე იყო ყველა ჯანმრთელი კაცი: ახალგაზრდაც და ჭარმაგიც, წინააღმდეგ შემთხვევაში თუნდაც ერთ ოჯახს რომ ერთი მოლაშქრე გამოეყვანა, 200 ათასი ოჯახის არსებობა მაშინდელ, თუნდაც ტერიტორიულად გაცილებით დიდ სვანეთშიც კი წარმოუდგენელი იქნებოდა. სავარაუდოა, რომ „ქუდზე კაცის“ პრინციპი ოდითგან იყო სვანეთში. ეს ერთგვარი სამხედრო-დემოკრატიული ტრადიცია ძვალ-რბილში იყო გამჯდარი. ამდენად, აქაური დიდი ხევისუფალი, უწინარესად მაღალი სამხედრო იერარქი, მხედართმთავრული ნიჭით დაჯილდოებული პირი უნდა ყოფილიყო, რომელიც ქონებრივი ცენზით და მამულის სივრცითაც იქნებოდა გამორჩეული. მაგრამ გაურკვეველია ერთი რამ: ადრეულ ხანაშიც და განვითარებულ შუასაუკუნეებშიც ეს სახელო გარდამავალი იყო თუ მემკვიდრეობითი?

ასეა თუ ისე, ერთ-ერთი ასეთი დიდი ხელისუფალი რომაა გამოხატული ადიშის მაცხოვრის ეკლესიაში და იგი არა მარტო ამ ტაძრის, არამედ სხვა ეკლესიების ქტიტორიცაა, ეს უდავოა. ეს პიროვნება **მიქაელ ჩეგიანია.**

ფრესკა მოთავსებულია სამხრეთ კედელზე, კარიდან აღმოსავლეთით, მაცხოვრის გამოსახულებიდან მხარმარჯვნივ. იგი სანახევროდ შებრუნებულია საკურთხევლისაკენ და ორთავე ხელი მავედრებლის პოზაში აქვს. ეს ჟესტი იმას გვეუბნება, რომ უფალს სწირავს ამ ტაძარს. პორტრეტის მარჯვენა მხართან არის წარწერა, ოღონდ არა ნაკაწრი და გარდამავალი მხედრულით, არამედ ასომთავრულით შესრულებული:

**„ქრისტე, შეიწყალე მიქაელ ჩეგიანი, ამენ! ესე“...** მეორე წინადადება აღარ სრულდება, მაგრამ იგი შელესვისას არ დაზიანებულა. მხატვარს აღარ ან ველარ დაუსრულებია წარწერა.

**ფრესკაზე მიქაელ ჩეგიანი მთელი ტანით ყოფილა გამოსახული მაგრამ მისი ქვედა ნაწილი დაზიანებულია და ახლა მხოლოდ 85 სმ-ის სიმაღლისაა. მას ძალიან მდიდრულად აცვია. წელში გამოყვანილ კაბაზე მრავალგან ოქრომკედი და ძვირფასი თვლები აქვს. მოწითალო ქუდს ირგვლივ ბეწვი აქვს შემოვლებული და მის წვერში რაღაც განსაკუთრებული ნიშანი, მაღალი იერარქის ინსიგნიაა დამაგრებული.** ეს ჩვეულებრივი „ვარგი“ (აზნაური) არ არის, იგი დიდი ხევისუფალი — ერისთავი უნდა იყოს. შესაძლოა, მიქაელ ჩეგიანი არა მარტო ბალსზემო, არამედ მთელი აღმოსავლეთ სვანეთის საზოგადოების თავკაცია, რომელიც ძნელბედობის ჟამსაც კი შესაშური ერთიანობით გამოირჩეოდა. ნ.ალადაშვილი და ან.ვოლსკაია მხატვრობას XII საუკუნეს განაკუთვნებენ, მ.ბერძენიშვილი კი წარწერას პალეოგრაფიული ნიშნებით XI საუკუნეს მიაკუთვნებს. **ასეთ შემთხვევაში თარიღად XI-XII საუკუნეთა მიჯნა უნდა მივიჩნიოთ. (დაახლ. 1085-1115 წ.წ.). ამრიგად, მიქაელ ჩეგიანი ერთდროულად ფრესკით და წარწერით დამოწმებული ყველაზე უძველესი ერისთავი და ქტიტორია სვანეთში** (და მგონი, არა მარტო სვანეთში). ამის შემდგომ მოდის საეკლესიო მოღვაწის კვირიკე მამასახლისის ფრესკა და წარწერა ლაღამის „მაცხოვარში“ (XIII-XIV სს), დიმიტრი ჩართველანის ფრესკა და წარწერა ლეხთაგის (მესტია) „ლამარიაში“ (XIVს-ის I მეოთხედი) და სხვა. სვანეთის ისტორიაში XI საუკუნის 80-იან წლებამდე ერისთავების, სტატუსით ცნობილია 3 პიროვნება და ოჯახი: 1) **„სამნაღირი, ერისთავი ეგრისა და სუანეთისა“ — ვახტანგ გორგასლის ეპოქიდან; 2) ერისთავი ზვიადი (მარუშიანი) — ბაგრატ III-ის და გიორგის I-ის ეპოქიდან; 3) დიდი ერისთავი ვარდანი — გიორგი II-ის ეპოქიდან. „ვარდანმა, „მატიანე ქართლისაის“ ცნობით, გაადგინნა სუანნი ავისა მოხარკულნი, დაარბიეს და ამოსწყვიტეს საეგრო“,** მაგრამ სამნაღირიც, მარუშიანიც და ვარდანიც წარმოშობით სვანეთიდან იყვნენ თუ არა, ბოლომდე დადგენილი არ არის. ისინი ხომ სვანეთის გარდა ეგრისსაც მართავდნენ... მიქაელ ჩეგიანი კი უდავოდ ადგილობრივი ერისთავი და სვანეთის ლიდერია.

ჩეგიანთა კვალს მომავალ მოგზაურობაშიც გავყვებით.

**გელა ქოქიაშვილი**

**ავტორის ფოტოები**

ადიშის ოთხთავი ნიკოლაოსის მინაწერით



# raxdeba `plexanovze~ galamazebuli fasadebis miRma da raujdeba mosaxleobas `evropuli donis~ quCis restavracia?





თითქმის 2 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ალმაშენებლის გამზირის გალამაზება და 23 ნოემბერს ქუჩა საზეიმოდაც გახსნეს, მაგრამ ის, რაც შეღებილი ფასადების მიღმა ხდება, ეს მხოლოდ ალმაშენებლის გამზირის მცხოვრებლებმა იციან. პრეზიდენტმა გახსნის დროს განაცხადა, რომ ქუჩა ევროპული ქალაქების ქუჩებს აგონებს და რომ მე-19 საუკუნის არქიტექტორები პირს დაალებდნენ გაოცებისაგან, განახლებული პლეხანოვი რომ ეხილათ. პრეზიდენტს, ყველამ ვიცით, მართლაც მოვლილი აქვს ევროპის ქალაქები და მიკვირს, მინიმუმ ის მაინც რომ არ აქვს შემჩნეული, რომ იქ, ევროპულ ქალაქებში მსგავსს ქვაფენილიან ქუჩებში მანქანები ხტუნვით არ დადიან. ალმაშენებლის განახლებული გამზირი რომ დაენახათ მე-19 საუკუნის არქიტექტორებს, მართლა პირს დაალებდნენ, რადგან გარდა იმისა, რომ ქუჩის რესტავრაცია არასწორად მოხდა, ევროპული ქუჩისთვის გაღებული მსხვერპლი, მოსახლეობის ნაწილს დღემდე, საკმაოდ ძვირი უჯდება. უკვე თვეებია, ალმაშენებლის მცხოვრებლები ხან მერიას მომართავენ თხოვნით, ხანაც პრეზიდენტს. ჯერჯერობით წერილებს მართლაც თხოვნის სახე აქვს, რადგან მოსახლეობას კიდევ იმედი აქვს, რომ ხელისუფლება დაეხმარება და არ უნდათ მთავრობის მომდურება. მერია და მთავრობა დახმარებაზე უარს არც ამბობენ, აიმედებენ, სახლში წაბრძანდით და მოვალთ და ყველაფერს გაგიკეთებთო, თუმცა, დღემდე არც ერთ ოჯახში არავინ მისულა დასახმარებლად. პლეხანოველებს ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა აქვთ: რატომ უნდა დაეზარალებინათ და გაენადგურებინათ მობინადრეთა კერძო საკუთრება? რატომ არ აქვთ უფლება გაიგონ, რა სამუშაოები უნდა შეესრულებინათ მშენებლებს და ვის უნდა აენაზღაურებინა მიყენებული ზარალი? რატომ არ აჩვენეს, მიუხედავად მოთხოვნისა, დეფექტური აქტები და ვის უნდა მოეწერა ხელი მიღება-ჩაბარების აქტზე? რატომ არ ახლეს ხელი ალმაშენებლის გამზირ 110-ში ორსართულიან სახლს, რომელიც თავის დროზე ამორტიზირებულმა ელექტროენერგიის სადენმა დაწვეას?

რა ხდება, რეალურად, შეღებილი ფასადების მიღმა? სახლების უმეტესობას დაზიანებული ჭერი დაუტოვეს. ძველი სახურავი გადახადეს სახლებს და ახალი კი - ცუდად გააკეთეს და ჭერიდან წყალი ბევრ ოთახში დღემდე ჩამოდის. მოსახლეობას დაუტოვეს დანგრეული ოთახები და დაუმთავრებელი ფანჯრები, რომელთაც რაფები და დარაბები საერთოდ არც გაუკეთეს. არქიტექტურულ თუ საპროექტო წუნს ემატება ის სამშენებლო ნაგავი და ტონობით ქვის ლოდები, რომლებიც სხვენზე და სარდაფებში უპატრონოდ დაყარეს და დატოვეს. ვინ უნდა აგოს პასუხი დაზიანებულ ბინებსა და ოთახებზე? — იმან, ვისაც პასუხისგება ევალება და ისე კი მხოლოდ ფასადი აღელვებს, თუმცა — აქაც არ გახლავთ საქმე მარტივად. ხელოვნებათმცოდნეების აზრით — განახლებული პლეხანოვი არა ისტორიას, არამედ პიროვნებათა გემოვნებას პასუხობს. მმართველ გუნდს სისწრაფეს უწუნებენ, რადგან სწორედ აჩქარების გამო რესტავრაციის პროცესი — რეკონსტრუქციას დაემსგავსა. ერთ-ერთი მაჩვენებელი კულტურული ძეგლის ღირებულებისა — ავთენტურობის ტესტია, რომელსაც ამჟამად ნამდვილად ვერ გაივლის ალმაშენებლის გამზირი. შესაძლოა, პრეზიდენტმა არ იცის, პლეხანოვზე მომუშავე ადამიანებიდან (რომლებიც ბოლო კვირეები უკვე 24 საათიანი რეჟიმით მუშაობდნენ, წვიმისა თუ ქარის მიუხედავად და ღამით პლეხანოვზე კოცონს ანთებდნენ, რომ შემთბარიყვნენ) რამდენს არ აუღია საერთოდ ხელფასი, რამდენს მოუტეხა ბრიგადირმა და რამდენი სოფლიდან სამუშაოდ ჩამოსული გაუშვეს უკან ცოლ-შვილთან უკაპიკოდ. მაგრამ, არა მგონი, ძნელი მისახვედრი და დასანახი იყოს ის, რაც პლეხანოვზე ხდება. მერიის არქიტექტურის სამსახური პლეხანოვის "შედეგიანი" პროექტის შემდეგ ეშხში შევიდა და მარჯანიშვილის ქუჩას მიადგა. წესით, როგორც ქალაქპროექტის ინჟინრები ამბობენ, მარჯანიშვილის ქუჩა უნდა გადიდებულიყო, რადგან თბილისი ისედაც გრძივი ქალაქია და განივი ქუჩების სიმცირეს განიცდის. შესაბამისად, ცენტრალური, განივი ქუჩა არ შეიძლება, გადიდების ნაცვლად, პირიქით დაპატარავდეს. ალბათ, შეამჩნევდით, მარჯანიშვილის ქუჩა, ახალაშენებული ოთხი სახლის ხარჯზე დაპატარავდა. რაც ყველაზე საინტერესოა და, შეიძლება ითქვას, რომ სასაცილოც, ისაა, რომ ეს ოთხი რამდენიმე სართულიანი სახლი პირდაპირ მიდგმულია კორპუსებზე, შესაბამისად არსებულ კორპუსებში რამდენიმე სართულზე მოსახლეობას მთლიანად ამოექოლათ ფანჯრები. მსგავს პრეცენდენტს ნამდვილად ვერ ნახავთ ვერსად, ვერც ევროპის და ვერც აფრიკის რომელიმე ქვეყანაში. ვის აქვს უფლება, გარდა ჩვენი გადიდგულებული მთავრობისა, ფანჯრები ამოგიქოლოს საკუთარ სახლში მხოლოდ იმიტომ, რომ შენი სახლის წინ ახალი ფართების აშენება მოუნდა, რომელთაც გააქირავებს და ჯიბეში რამდენიმე ათეულ ათას ლარს ჩაიდებს. მოსახლეობა იმდენად დაშინებულია უსამართლობით, ხმის ამოღებას ყველა გაურბის.

**თამარ კუშელავა**

# ქართველ კინემატოგრაფისტთა მიმართვა ქართულ საზოგადოებას და საქართველოს მთავრობას

მეოცე საუკუნეში კინემატოგრაფისტთა რამდენიმე თაობის ძალისხმევით შეიქმნა მსოფლიოში აღიარებული ქართული კინოს ფენომენი, რომელიც ყველა ცნობილ ევროპულ თუ ამერიკულ ენციკლოპედიასა და კვლევაში მოიხსენიებოდა არა როგორც "საბჭოთა", არამედ მხოლოდ როგორც "ქართული კინო".

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ კინომ ნელნელა დაკარგა თავისი პოზიციები. პირველი და უმნიშვნელოვანესი დარტყმა ფინანსური იყო.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სახელმწიფოს მხარდაჭერის გარეშე პატარა ქვეყნის კინო ვერ იარსებებს. ეს კარგად ესმით ცივილიზებულ სამყაროში, სადაც მთელი სისტემებია შემუშავებული კინოს დასაცავად.

საქართველოში კინო არ იქცა სახელმწიფოებრივი ზრუნვის ობიექტად. დღეს სრულიად უგულვებელყოფილია ქართული კინოს განსაკუთრებული როლი ერის კულტურულ ცხოვრებაში. მიზერულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან ეროვნული კინოცენტრის დაფინანსება (3 მილიონი ლარი წელიწადში). განიავებული და გაყიდულია ქართული კინოს ქონების უდიდესი ნაწილი, მათ შორის დიღმის ტერიტორიის და საწარმოო—შემოქმედებითი შენობების ორი მესამედი. სააქციო საზოგადოების დამფუძნებელ ქართველ კინემატოგრაფისტებს ისე გაუყიდეს კუთვნილი წილი, რომ მათთვის ეს არც უცნობებიათ. განადგურებულია დიღმის კინოსტუდიასთან არსებული ქართული კინოს მუზეუმი და ნაწილობრივ (ხანძრის შედეგად) კინო—არქივი.

ბევრი დარტყმა მიიღო ალმაშენებლის გამზირზე მდებარე ე. წ. ძველმა კინოსტუდიამაც, სადაც ჩაისახა ქართული კინო და რომელსაც განსაკუთრებული მოვლა სჭირდებოდა, როგორც ქართველი ხალხის ისტორიული მეხსიერების და კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვან ძეგლს. ქართული კინოს მფლობელობაში აღარ არის თავისი მასშტაბით გამორჩეული, უნიკალური "დიდი პავილიონი", სადაც, ოციანი წლებიდან დაწყებული, უმნიშვნელოვანესი ქართული ფილმებია გადაღებული. მთლიანად ტერიტორიაც სავალალო მდგომარეობაშია. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ტერიტორიაზე ქართველი ხალხისთვის საყვარელი მიხეილ თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრიც მდებარეობს.

კინოსთვის, და ზოგადად კულტურისთვის ამ უმნიშვნელოვანესი კერის გადასარჩენად 2005 წელს ქართველმა კინემატოგრაფისტებმა შეიმუშავეს ამბიციური პროექტი, რომელიც ამ ტერიტორიაზე კინოქალაქის დაარსებას ითვალისწინებდა. კინოქალაქს კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და სასწავლო—შემოქმედებითი ფუნქცია უნდა ჰქონოდა. გათვალისწინებული იყო კინოარქივის, კინოთეატრის, კინომუზეუმის, დოკუმენტური კინოსტუდიის, მულტფილმების სტუდიის, სასწავლო სახელოსნოების, სტუდია ,,დებიუტის" და საფესტივალო ცენტრის შექმნა.

ამ პროექტის განხორციელების მიზნით ჩამოყალიბდა "ქართული ფილმის განვითარების ფონდი", რომელსაც პროექტის ხორცშესხმასა და ინვესტიციების მოზიდვაზე უნდა ეზრუნა.

ამ წარმტაცი პერსპექტივის ნაცვლად დღეს ფონდის გამგეობის კინოსაზოგადოებასთან შეუთანხმებელი ნაბიჯის შედეგად აღმოვჩნდით შემდეგი ფაქტის წინაშე: ალმაშენებლის გამზირზე მდებარე მთელი ტერიტორია გადაეცემა სახელმწიფოს, რომელიც, ჩვენი ვარაუდით, მას გაასხვისებს კერძო მესაკუთრეზე, რომლის მიზანი, ცხადია, მხოლოდ კომერციული მოგება იქნება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქართული კულტურისთვის დაიკარგება უმნიშვნელოვანესი კერა — ქართული კინოს აკვანი, რაც კატასტროფის ტოლფასად გვესახება.

მოგმართავთ ქართულ საზოგადოებას და საქართველოს მთავრობას, რათა დაგვიჭიროთ მხარი, ერთიანი ძალისხმევით გადავარჩინოთ თავისი ტრადიციებით განთქმული ეს კულტურული კერა, შემდეგ კი ვიზრუნოთ იმ საინტერესო და კრეატიული პროექტის განხორციელებაზე, რომელიც კულტურულ მემკვიდრეობასაც დაიცავს და შემოქმედებით და სასწავლო—შემეცნებით ფუნქციასაც იკისრებს.

ვფიქრობთ, რომ ეს არა მარტო კინემატოგრაფისტების, არამედ მთელი ქართული საზოგადოების ეროვნული ღირსების და პრესტიჟის საქმეც არის.

ამავე დროს კატეგორიულად მოვითხოვთ, არავითარი გადაწყვეტილება, მით უმეტეს ასეთი სტრატეგიული მნიშვნელობის, არ იყოს მიღებული ქართველი კინემატოგრაფისტების აზრის გათვალისწინების გარეშე.

**ქართველი კინემატოგრაფისტების სახელით:**
**ელდარ შენგელაია, ლანა ღოღობერიძე, მერაბ კოკოჩაშვილი, რეზო ესაძე, ალექსანდრე რეხვიაშვილი, ბაადურ წულაძე, გელა კანდელაკი, ნანა ჯორჯაძე, ქეთი დოლიძე, ბონდო შოშიტაიშვილი, ცოტნე ნაკაშიძე, რამაზ ხოტივარი, მერაბ თავაძე, ზაზა ურუშაძე, ლევან ღლონტი, ლევან კიტია, ნინელი ჭანკვეტაძე, ზურაბ ყიფშიძე, ამირან ამირანაშვილი**

**დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:**
**გაგა ჩხეიძეს 235 67 60 ან**
**არჩილ შუბაშვილს 298 83 28**

**იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში**
**www.saertogazeti.net**
**შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე**
**საერთო გაზეთი**

# mware gakveTilebi

## evroamerika, ruseTi da saqarTvelo

## ციკლიდან: ომი ბნელეთთან — რიცხვი მისი 666

ჯემალ დავლიანიძე

### სიმშვენიერე ნარგვარობაშია

შევარდნაძე, იმის საფუძველზე, რაც თავს დაატყდა საქართველოს, ალბათ ამ ქვეყნის ღვიძლი შვილი არ არის!

აქვე საჭიროა განვაცხადო, რომ არ არსებობს მსოფლიოში ხალხი, ერი, რომ მე, პირადად, არ მიყვარდეს და პატივს არ მივაგებდე! ამას ვაცხადებ კატეგორიულად და, თუ რომელიმე ეროვნების წარმომადგენელს აუგად ვახსენებ, სულაც არ იქნება ე.წ. ანტისემიტიზმი.

ამაში, ჩემო მკითხველო, აქვე უნდა მოვრიგდეთ!

არც ის მიმტკიცოს ვინმემ, რომ არსებობს რომელიმე იდეალური ეროვნება, რომელიც ამ ქვეყნად არასოდეს ჩაიდენს დანაშაულს!

ბოროტება დედამიწაზე ყველგანაა და თითოეულ ხალხში საკმაოდ მოიძებნება უარყოფითი!

კი, ვიცი, ვიცი, აქა-იქ ესურვილებათ, თავიანთი თავი, მსოფლიოში უპირველეს ეროვნებად გამოაცხადონ, მაგრამ ეს წადილი განწირულია.

ამიტომ, კაცს ის სახელი უნდა დავარქვათ, რასაც იმსახურებს!

მკვლელი — მკვლელია!

ქურდი — ქურდია!

მოღალატე — მოღალატეა!

ვინ არის წარმოშობით შევარდნაძე? და, საერთოდ მის ეროვნულობას აქვს რაიმე მნიშვნელობა? მით უმეტეს, მისი პატრონები და მმართველები აპირებენ ერთ დიდ ქვაბში ჩაყარონ მთელი მსოფლიოს მოსახლეობა, ხარშონ, ხარშონ და ერთი დასახელების მქონე — ე.წ. მსოფლიო მოქალაქეები ამოყარონ!

აბა, ბიჭებო, ვნახოთ როგორ ჟღერს — მე განა იტალიელი, რუსი ან ქართველი ვარ, არამედ მსოფლიო მოქალაქე გახლავართ! მე მიცავს მსოფლიო მთავრობა და მსოფლიო კონსტიტუცია! მე მინდა ვიყო ევროკავშირელი, თუნდაც ამერიკელი და ა.შ

გავარკვიოთ შევარდნაძის ეროვნული წარმოშობის ისტორია? შევძლებთ თუ არა?

იქნებ ოდნავ, გაკვრით მაინც შევეხოთ? რისთვის არის ეს საჭირო?

მცირეოდენ სახიფათო თემა ხომ არ გახლავთ?

ამ წუთში, პირველი სტრიქონის დაწერაც არ არის საჭირო, რომ ჩასაფრებული, სხვის გვარს შეფარებული გენეტიკური აგენტი (როგორ მოგწონთ ახალი ტერმინი „გენეტიკური აგენტი?“) უკვე ბღავის:

— ავტორი ამ წიგნისა გახლავთ ქსენოფობიით და ანტისემიტიზმით შეპყრობილი!

არა ბატონებო, თქვენნაირ ხალხს ისიც ეყოფა, რომ ჩემი ქრისტიანული მართლმადიდებლობა არ მოგწონთ და საძრახისად მიგაჩნიათ!

თქვენ, ბატონებო, ჩემს ერს და ჩემს სამშობლოს იმდენი ტკივილი მიაყენეთ, აუცილებლად უნდა გამხილოთ როგორმე. უნდა გითხრათ პირში სიმართლე, რომელსაც ფარავთ და რომლისაც ძალიან გეშინიათ!

უდავოა, როცა ამა თუ იმ ქვეყნის „მოთვინიერება“ სურთ, მხოლოდ სურვილი კი არა, უკეთესია მმართველად უცხო ეროვნების, წარმოშობით უცხო ეროვნების ადამიანი დასვან, რადგან, გინდა თუ არ გინდა, ამგვარ პიროვნებას სულაც არ ენაღვლება განწირული სახელმწიფოს ჭირ-ვარამი!

ეს მეთოდი უკვე გამოცდილია და უკანასკნელ საუკუნეებში დიდი მოწადინებით გამოიყენება მსოფლიო გლობალიზაციის მესვეურთაგან!

ამიტომაც, საჭიროა ერის, ხალხის სიფხიზლე, რომ ასეთი ადამიანი არ გაძვრეს ქვეყნის მმართველად!

ახალავე ჩამესმის არა მხოლოდ უცხო ჯილაგთა ხმა, არამედ ჩემი, კოსმოპოლიტიზმით დაავადებულ



თანამემამულეთა ბღავილი:

-ალბათ, თქვენ ჩამორჩენილხართ, რაღა დროს ეროვნებათა შორის განსხვავების ძებნაა, მალე მთელი კაცობრიობა ერთნი ვიქნებით!

ამგვარ გადარჯულებულ, უღმერთო ადამიანებს ვპასუხობ, რომ ღმერთმა ნაირფეროვნება თავისი შემოქმედებითი წვით და ენერგიით შექმნა! მას რომ ნდომოდა, მთა-ველებს ერთადერთი ყვავილით და მიდამოს ერთადერთი ხის ჯიშით შემოსავდა!

სიმშვენიერე ველ-მინდვრისა, ყვავილებით მოწნული გვირგვინის ნაირფერადობაში ძევს და ამიტომ ამ საკითხზე ნურავინ შემომედავება!

მაშასადამე, ვინ არის ედუარდ შევარდნაძე?

ეს პიროვნება განგებამ დიდხანს აცოცხლა და აიძულა საკუთარი ცოდვების კინოფილმები უსასრულოდ ენახა.

ცოდვები კი... მას უსასრულოდ, მრავალი გააჩნია. მის შემეცნებაში სიცოცხლე ერთგვარი პრივილეგიაა, რაც, რაღა თქმა უნდა, მისი სრული ურწმუნოებიდან მომდინარეობს. უამრავი ცოდვა აწევს კისერზე. ამისი დამადასტურებელი სასამართლო განაჩენი ჯერჯერობით არ არსებობს, მაგრამ ღვთის სამსჯავროზე, ამ ქვეყნად გაუსამართლებელი ადამიანები გაცილებით დიდ სასჯელს იმსახურებენ.

შევარდნაძის განკარგულებანი ამა თუ იმ განწირული ადამიანის დასაღუპად ან სასამართლოს მეოხებით ან შუამავალი პირის ანდა სულაც ტელეფონის საშუალებით ხდებოდა!

ის მარადიულად სახიფათოა საქართველოსთვის. მას დღესაც და ხვალაც ძალუძს ქვეყნის ხელისუფლება ისე ოსტატურად შეცვალოს, ისე დააბრმავოს ხალხი, ისეთი პიროვნებები დასვას ტახტზე, რომელთა მზაკვრობას მხოლოდ ოცი წლის შემდეგ გავიგებთ!

### შევარდნაძის მომაკვდინებელი ცოდვა

ერთ-ერთი ყველაზე დიდი ცოდვა შევარდნაძის მიერ ჩადენილი გახლავთ სასულიერო პირის, მღვდლის, თეიმურაზ (თეოდორე) ჩიხლაძის დახვრეტა, რომელიც თვითმფრინავის ე.წ. გამტაცებელთა საქმეში ფიგურირებდა და რომელიც იმ ახალგაზრდებთან ერთად მხეცურად დასაჯეს.

ამ საშინელების საილუსტრაციოდ მინდა გიჩვენოთ მამა თეოდორეს შვილის ღია წერილი ედუარდ შევარდნაძისადმი, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (№243, 1991 წ.):

„ამხანაგო ედუარდ!

სიმართლე გითხრათ, უკვე არ ვიცი, როგორ მოგმართოთ: „კომუნისტური ამხანაგობის პარტიის“ მანდატი, ცნობილია, რომ აღარ გაქვთ, და ამჟამად „დემოკრატიის მამამთავრად“ გვევლინებით.

ისე, რომ... ამხანაგო ედუარდ!

მე ელისაბედ თეიმურაზის ასული ჩიხლაძე ვარ, თქვენს მიერ სიკვდილმისჯილი უდანაშაულო ბერის — მამა თეოდორეს (ერისკაცობაში თეიმურაზ ჩიხლაძის) ქალიშვილი. ამ ღია ბარათის დაწერა გადამაწყვეტინა თქვენს მიერ ბატონ ვიქტორ დომუხოვსკისათვის („თვითმფრინავის გამტაცებელთა №201 საქმის“ საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე) მიცემულმა ინტერვიუმ, რომელიც გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა. გამოგიტყდებით, ადრეც მინდოდა მომემართა თქვენთვის, იმედს ვიტოვებდი, რომ მიპასუხებდით, მაგრამ, როგორც ინტერვიუდან ირკვევა, თურმე „არაფერი გცოდნიათ, არაფერ შუაში ხართ და არაფერი გახსოვთ“. ძალიან ვწუხვარ, რომ გულმავიწყობის სენს შეუპყრიხართ, ამიტომ თავს უფლებას მივცემ, ამხანაგო მინისტრო, თქვენი წითელი წარსულის ზოგიერთი ეპიზოდი შეგახსენოთ: 1983 წლის 18 ნოემბერს, საქართველოს დედაქალაქ თბილისში ტრაგედია დატრიალდა. ადგილი ჰქონდა თვითმფრინავის გატაცების მცდელობას. გამტაცებლები იყვნენ ზედმიწევნით განათლებული, ინტელიგენტი ახალგაზრდები, რომლებიც შემდეგ „ბანდიტებად“ მოინათლნენ... დღეს ბევრს ახსოვს ამ ფაქტთან დაკავშირებით თქვენი აეროპორტში მისვლა, რადგან თქვენთვის გაუთვალისწინებელი რამ მოხდა — ამხ. შევარდნაძის დიქტატურის წინააღმდეგ ახალგაზრდათა ჯგუფმა საჯარო პროტესტი გამოხატა, მოაწყო პოლიტიკური აქცია — თვითმფრინავის გატაცება. ამბიციებმა სული ისე დაგიბრმავათ, რომ მოსკოვიდან სასწრაფოდ გამოაძახებინეთ „სპეცჯგუფი“. აქაოდა, მე არაფერ შუაში ვარ, ბატონ-პატრონები აქ თქვენ ხართ და დამეხმარეთო (აქაც მშვენივრად გამოჩნდა ედუარდ შევარდნაძის ძველი, ნაცნობი მეთოდი: სპეცოპერაცია ჩაეტარებინა მოსკოვიდან გამოძახებულ სპეცნაზს, რომ დატრიალებული უბედურება რუსებს და რუს ხალხს დაბრალებოდა! — ჯ.დ.)...

ჰოდა, დაგეხმარნენ, ამხანაგო ედუარდ!

მშობლების თვალწინ „სპეცჯგუფმა“ 8 წუთში „გააუვნებელჰყო“ გამტაცებლები... იმ მშობლების თვალწინ, რომლებიც გემუდარებოდნენ, თვითმფრინავში შესვლის უფლება მიგეცათ, პირობას იძლეოდნენ, რომ შეძლებდნენ შვილების გამოყვანას. თქვენ უარჰყავით ეს ვედრება, მოსკოვს ხომ უნდა დაენახა ამხ. ედუარდის ერთგულება?!

მესამე ის იყო, რომ კბილებამდე შეიარაღებულდმა „სპეცჯგუფმა“ 8 წუთში „გააუვნებელჰყო“ ორი გარდაცვლილი, ოთხი დაჭრილი მამაკაცი და ერთიც 19 წლის ქალიშვილი.

ამხანაგო ედუარდ, თურმე როგორ გშინებიათ მათი?! მაგრამ... თქვენ ყოველთვის გეშინოდათ საკუთარი ხალხის!

მერე, პოლიტიკური აქციის სტატუსი რომ როგორმე მიგეჩქმალათ, „ნარკომანებად“, „ბანდიტებად“ მონათლეთ მხატვარი სოსო წერეთელი, ექიმი — კახა ივერიელი, ექიმი — პაატა ივერიელი, მხატვარი — დავით მიქაბერიძე, მსახიობი გეგა კობახიძე, მხატვარი გია ტაბიძე და... მამაჩემი — ბერი მამა თეოდორე, რომელიც საერთოდ არ ყოფილა თვითმფრინავში და აქციის მოწყობიდან მხოლოდ სამი თვის შემდეგ დააპატიმრეთ.

ინტერვიუში თქვენ „მშვიდი სინდისით“ ამბობთ ამხანაგო ედუარდ, რომ „მამა თეოდორე ბანდას მეთაურობდა და ამის გამო გავასამართლეთო“.

ნებისმიერი ცივილიზებული ქვეყნის კანონით, თვით მაშინდელი საბჭოთა კავშირის კანონითაც, ბანდა, ეს არის ადამიანთა ჯგუფი, რომელიც სჩადის არა ერთ, არამედ რამდენიმე დანაშაულს. ამდენად, იმის გამო, რომ „გამტაცებლებს“ მხოლოდ თვითმფრინავის გატაცება ჰქონდათ განზრახული და მანამდე სხვა დანაშაული არ ჩაუდენიათ, ვერასგზით ვერ მიენიჭებოდათ „ბანდის“ სტატუსი. აქედან გამომდინარე, თუ არ არსებობდა „ბანდა“, ვერ იარსებებდა მისი „მეთაურიც“.

ამდენად, ამხანაგო მინისტრო, თქვენ გაასამართლეთ და სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეთ სრულიად უდანაშაულო ადამიანს — მამა თეოდორეს.

საქართველოს მოსახლეობის ყოველი ფენიდან, ჯერ კიდევ სასამართლომდე, პირადად თქვენთან ამხ. შევარდნაძე, მოდიოდა უამრავი ბარათი, შეწყალების თხოვნით. ყველა გრძნობდა, რა ბედსაც უმზადებდით „გამტაცებლებს“ (სხვათა შორის, იმ დროს გავრცელდა ხმა, რომ ძმები ივერიელების მშობლებისთვის შევარდნაძეს უკითხავს — რომ მთხოვთ შევიწყალო თქვენი შვილები, ორიდან რომელს დაადებთ ხელს, რომელი გსურთ ცოცხალი დავტოვოო! — ჯ.დ.).

არ სდუმდა უცხოეთის პრესაც.

ფრანგული ჟურნალი „მონდი“:

„ქართველი ერის ინტელიგენციამ საბჭოთა მთავრობას სთხოვა, რომ შესაძლებლად მიიჩნიოს ქართველი ახალგაზრდებისათვის სიცოცხლის შენარჩუნება“.

გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“:

„სსრკ-დან წასვლის სურვილი, არასაკმარისი ბრალდებაა მსურველთა სიკვდილით დასასჯელად“ (როგორც ზემოთ მოგახსენეთ, შევარდნაძემ ჩვეულებისამებრ მიზანში მოახვედრა — მთელი მსოფლიო სსრკს და რუსეთს ადანაშაულებდა! — ჯ.დ.).

ბატონ ვ. დომუხოვსკისთან ინტერვიუში, ამხანაგი შევარდნაძე ამბობს: „საზოგადოებრიობას ძალზე აინტერესებდა ეს საქმე. დახურულ წერილებს ჩვენ ყოველთვის ვწერდით. ჩვენ უბრალოდ მივმართეთ კომუნისტებს და არა მარტო მათ. პარტია ძალზე ხშირად მიმართავდა რესპუბლიკის მოსახლეობას. ეს ჩვეულებრივი პრაქტიკაა“ (შევარდნაძე უსინდისოდ ცდილობდა ახალგაზრდების და მამა თეოდორეს დახვრეტა საქართველოს მთელი მოსახლეობისთვის დაებრალებინა! — ჯ.დ.).

ამხ. ედუარდ! ბოლომდე გულწრფელი რომ ყოფილიყავით, იტყოდით, რომ მიმართეთ კომუნისტებსა და კომკავშირლებს, რამეთუ დახურულ წერილში, რომელიც საქართველოს სსრ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმოწერით 9000 ტირაჟით გავრცელდა, მიმართავენ მხოლოდ კომუნისტებსა და კომკავშირლებს. საქართველოს მოსახლეობა აქ არაფერ შუაშია. ეს ერთი!

ახლა მეორე — როგორც რესპუბლიკის ყოფილ შინაგან საქმეთა

gagrZeleba. dasawyisi ix. `saerTo gazeTi~ #14–25

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

მინისტრს, კარგად უნდა გცოდნოდათ, რომ სასამართლომდე ნებისმიერი ფორმის მიმართვა პრეზუმპციის ელემენტარული დარღვევა იყო.

და, რაც მთავარია, მესამე — ეს ავადსახსენებელი „დახურული წერილი“, რომელიც წინ მიდევს, მრავალგზის გადავიკითხე და მასში ვერ აღმოვაჩინე მამა თეოდორეს შესახებ ნათქვამი ერთი სიტყვაც კი.

ვერ უარჰყოფთ ამას!

ეს კი იმას ნიშნავს, რომ გამოძიების დაწყებიდან თვეების განმავლობაში მამა თეოდორე არ ფიგურირებდა საქმეში. უკანასკნელ მომენტში დააპატიმრებინეთ იგი და გაასამართლეთ...

...მამა თეოდორე სუკისა და პირადად ამხ. შევარდნაძისათვის ძალზე „მოუხერხებელი“ პიროვნება გახლდათ... ხოლო მას შემდეგ, რაც 1983 წელს — პოლონეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დროს დაღუპულთ, მამა თეოდორემ პარაკლისი გადაუხადა სამების ეკლესიაში, იგი ამხანაგ ედუარდისთვის საშიშიც გახდა... აი, ჭეშმარიტი მიზეზი, თუ რატომ გაასამართლეთ და რატომ მიუსაჯეთ სიკვდილი უდანაშაულო ბერს...

აღნიშნული. თუ თქვენ სიცოცხლეს შემინარჩუნებთ, სადაც ხელს დამიდებთ, იქ წავალ და გავატარებ ჩემს გატანჯულ ცხოვრებას... და თუ მაინც მომკლავთ და ამით სხვას ეშველება, ან ქვეყანას სჭირდება ეს მსხვერპლი, სიამოვნებით წავალ იმ ქვეყნად... ეს კია, ბატონო მოსამართლევ, მალე თქვენი კომპარტიაც მოისპობა, ცენტრალური კომიტეტიც დაიშლება და ყველანი რელიგიისკენ მოიქცევით... ხალხო, - ოთხ კაცს რატომ ხვრეტთ, მე დამხვრიტეთ, მე არაფერში გამოგადგებით, ამათ კი სიცოცხლე შეუნარჩუნეთ, ამათ მაინც გამოიყენებთ!“

ამხ. ედუარდ! განაჩენის გამოტანიდან სამი დღეც არ იყო გასული, გაურკვეველ პირობებში გვერდიდან მომაშორეს დედაც და ამასაც „კომუნისტური ავტოკატასტროფის“ სურნელი უდიოდა.

ამხ. ედუარდ! ყოველ ქრისტიანულ ქვეყანაში, თუ რაიმე დანაშაულს ჩაიდენს ღვთისმსახური, გასამართლებამდე აუცილებლად დგება საკითხი მისი ეკლესიისგან მოკვეთის შესახებ და მხოლოდ ამის შემდეგ ამბობს მართლმსაჯულება თავის სიტყვას. გასაკვირი არაა, რომ



მამაჩემს მთელი სულიერი ენერგია იქით ჰქონდა მიმართული, რომ ირგვლივ არსებულ უზნეობას არ ჩაეთრია... 1978 წელს ბერად აღიკვეცა. მთელი არსებით ცდილობდა რწმენისათვის ეზიარებინა ირგვლივ მყოფნი. „თვითმფრინავის გამტაცებლებიც“ მასთან თეოლოგიის შესწავლის მიზნით დადიოდნენ. მამა თეოდორეს სხვა მოწაფეებიც ჰყავდა.

...1983 წლის 18 ნოემბრის ტრაგედიის შესახებ მან ისევე შეიტყო, როგორც მე და თქვენ. ძალიან განიცადა. ამ აქციამდე 10 თვის განმავლობაში მას ხომ საერთოდ არ ჰქონია შეხების წერტილი „გამტაცებლებთან“.

...ამხანაგო ედუარდ, ვერ დამარწმუნებთ, რომ „არაფერი იცოდით, არაფერ შუაში ხართ და არაფერი გახსოვთ“. აი, რას ამბობდა სიკვდილმისჯილი ბერი „საბოლოო სიტყვაში“:

„უპირველეს ყოვლისა, მინდა გითხრათ, რომ მე, როგორც მსჯავრდებული, აქ არ უნდა ვიყო. არც ერთ ქვეყანაში უდანაშაულო ადამიანს არ სჯიან, მით უმეტეს არ ხვრეტენ. თქვენ იცით, რომ მე ღვთისმსახური ვარ და ამის გამო მასამართლებთ... არავითარი ბოროტება არ ჩამიდენია. სასამართლო ბრალად მდებს ბანდის ხელმძღვანელობას. დიახ, მე ვიყავი ჯგუფის ხელმძღვანელი, რომელსაც თეოლოგიას ვასწავლიდი. აქ მყოფ ბრალდებულებთან მქონდა მხოლოდ სარწმუნოებრივი კავშირი. მე კარგად ვიცნობ ამ ახალგაზრდებს. თითოეული მათგანი ნიჭიერი და ღრმად განათლებულია... ჩემს ერთ-ერთ ჯგუფში თეოლოგიას სწავლობდა მარგალიტაშვილი, რომელიც ამჟამად ქუთაისის საეპარქიოს ეპისკოპოსია... სახლში მაქვს ერთი ძველი ქართული რუკა, სადაც საქართველოს ყველა ტაძარი და მონასტერია

იმპერიამ ეს კანონიც უგულებელჰყო.

... გაიხსენეთ ღმერთი ამხანაგო ედუარდ და მოინანიეთ არა ჩრდილოეთის წითელ ღმერთებთან ბრეჟნევთან, ანდროპოვთან, გორბაჩოვთან... ისინი ანტიქრისტენი გახლავან!... არამედ მოინანიეთ ჭეშმარიტ ღმერთთან, რომელიც ერთია!

საქართველოს ერთადერთი მახვილი აქვს — სიმართლის მახვილი, და თუ მის მიერ მოიკვეთებით... ნავსაყუდელს ვერსად ჰპოვებთ...

მაშინ წადით და იცოცხლეთ... მიბრძანდით და იქადაგეთ „გლობალურ დემოკრატიულ პროცესებზე“, უსამშობლოდ, უსაქართველოდ დარჩენილმა!“

ჩემო მკითხველო, ალბათ ზარდამცემია ამ წერილის წაკითხვა, მაგრამ შევარდნაძემ უდანაშაულო მღვდლის დახვრეტის შემდგომ საქართველოში გაცილებით სისხლიანი ამბები დაატრიალა და მიუხედავად ამისა, დღეს-დღეობით ევროამერიკელი ძმების და საძმოს მეოხებით მშვიდად ბერდება, კრწანისის რეზიდენციაში ზის და მოგონებებით ტკბება!

ეროვნულმა ხელისუფლებამ ვეღარ მოასწრო შევარდნაძის დასმა საბრალდებო სკამზე და საამისოდ თვითმფრინავების გამტაცებელთა საქმეც იკმარებდა.

როგორც ხედავთ, 1991 წლის დამლევს დაიბეჭდა დახვრეტილი მღვდლის ქალიშვილის წერილი და სულ რაღაც ოციოდ დღეში საქართველოში სამხედრო გადატრიალება დაიწყო!

შევარდნაძეზე საერთაშორისო ძებნა უნდა გამოცხადებულიყო, როგორც სისხლის სამართლის დამნაშავეზე, მაგრამ შევარდნაძე კი არა, აქეთ, მთელი ქვეყანა კინაღამ პატიმრად აქციეს...

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# `ocnebis~ da `nacebis~ orTabrZola sofel lesaSi

13 და 14 ივნისს ლანჩხუთს, სოფ. ლესას სტუმრობდნენ „ოცნების“ წარმომადგენლები: **ზაზა გოგსაძე** – იტალიაში ყოფილი ელჩი **ლევან იზორია** – პატრულის შემქმნელი, და ცნობილი ფეხბურთელები: **მურთაზ ხურცილავა, თემურ ჩხაიძე, მერაბ თევზაძე** და სხვები. შეხვედრას დაესწრო სოფლის მაცხოვრებელთა დიდი ნაწილი. სოფლის ხალხს ესაუბრნენ ივანიშვილის სამომავლო გეგმები — სოფლის აღორძინებაზე, საწვავის ფასის, სასუქის ფასის დაწევაზე, ხეხილის შეწამლვაზე და ჯანმრთელობის პროგრამაზე. ხალხი შეხვედრით ძალიან კმაყოფილი დარჩა. შეხვედრას თვალს ადევნებდა ლანჩხუთის პატრული და ლანჩხუთის მაჟორიტარი დეპუტატი კუნჭულია. მან ინფორმაცია მიაწოდა თბილისის წვრილფეხა „ნაცების“ ბელადებს და მეორე დღესვე გადაწყვიტეს რევანში აეღოთ „ოცნებისათვის“. 15 ივნისს, პენსიის დარიგების დღეს, პენსიონერებს უთხრეს, რომ დღის 1 საათზე მათთან შესახვედრად მივიდოდა სოფლის მეურნეობის მინისტრი გოროზია და ენერგეტიკის მინისტრი ხეთაგური. პენსიონერები 11 საათიდან 2 საათამდე ელოდნენ „კანტორის“ ეზოში. სტუმრები 2 საათზე მოგრიალდნენ ძვირადღირებული მანქანებით თავიანთ ხალხთან ერთად — ბოდიშიც კი არ მოუხდიათ 1 საათით დაგვიანებისათვის, არც იმის შერცხვენიათ, რომ ასეთი ძვირადღირებული მანქანებით „მობრძანდნენ“, ხოლო იქ დამხვდურ მამაკაცებს ჯიბეში „ასტრა“ ედოთ. მინისტრები არ მიბრძანებულან, კიდევ ერთხელ მოატყუეს პენსიონერები — მოვიდა ახალგაზრდა მე-3 რანგის ჩინოვნიკი სოფლის მეურნეობის სამინისტროდან. ვინმე გიორგი აბულაძე. მან ამომრჩეველ საზოგადოებას დამამშვიდებელი ვერაფერი ვერ უთხრა, სამაგიეროდ, იმარჯვეს ამომრჩეველმა პენსიონერებმა და წამოვიდა კითხვების კორიანტელი.

2004 წლის აგვისტოში — ცხინვალში მოკლული 21 წლის გიორგი ლომაძის მამა — დემურ ლომაძე. იგი დღემდე „ნაცების“ მხარდამჭერი იყო. მან განრისხებულმა ჰკითხა: — სად არის პრეზიდენტის მიერ დაპირებული ტრაქტორები? რატომ დგას სოფელ მერიაში ტრასაზე ტრაქტორები, როგორც საგამოფენო ნიმუში? გვითხარით, რატომ არ დაურიგეთ სოფელს? — ახლა ვალებით დავხან-დავთესეთ, რატომ ტყუის პრეზიდენტი? მე-3 რანგის ჩინოვნიკმა ამ კითხვას პროვოკაციული უწოდა და პასუხი არ გასცა. ჩინოვნიკი ძალიან ღელავდა, ხშირად ოფლს იწმენდდა და ცდილობდა ზოგიერთი კითხვისთვის გვერდი აევლო, ან პასუხი არ ჰქონდა, ან არ იყო საქმეში ჩახედული.

**ფიქრია კუნჭულია**: რატომ იყიდება ჩვენი ქართული სასუქი თურქეთში 6 დოლარად და რატომ ღირს ჩვენთან 1 ტომარა სასუქი 5 ლარი?

ჩინოვნიკის პასუხი იყო არაფრის მთქმელი, თითქოს ზოგი სასუქი კომერციულია და ფასიც ამიტომ არის სხვადასხვაო.

**ლენიკო კუნჭულია**: ამ ამერიკულმა პეპელამ დახრა ყველაფერი სახლებში შემოდიან, თხილი რომ გადაჭამა, ეხლა ვაშლს და მსხალს მიადგა — მერე სიმინდზე გადავლენ.

ჩინოვნიკი დაპირდა ხალხს ხვალიდან დაიწყება შეწამლვაო! — ესეც მორიგი ტყუილი აღმოჩნდა — უკვე ერთ კვირაზე მეტი გავიდა ჩინოვნიკის დაპირებიდან და ხეხილს არავინ არ წამლავს.

**მზია დუმბაძე**: რატომ ღირს საწვავი ასე ძვირი? ნუთუ არ შეიძლება ხვნა-თესვის დროს ცოტა გააიაფოთ? ვაუჩერს ეხლა ვანაღდებთ, ვერაფერში ვერ გამოვიყენეთ. ვალებით დავთესეთ, სოფელში ორი ძველი ტრაქტორია — არჩევნების წინ გახსენდებათ.

ამ კითხვაზე ჩინოვნიკის პასუხი ასეთი იყო: — საწვავი საქართველოს არ აქვს, ამიტომაც დაგირიგეთ ვაუჩერებიო.

მალე ჩინოვნიკს და მის თანმხლებ პირებს ხალხი შემოეცალათ, ხალხი მიხვდა, რომ ეს იყო „ნაცების“ მორიგი ტყუილი და აქ ფუჭად დგომას არჩიეს სახლში წასვლა.

17 ივნისს ოზურგეთში „ოცნების“ მიტინგზე ლანჩხუთიდან 2500-მდე კაცი მონაწილეობდა. დილიდანვე ლანჩხუთის ცენტრში სადაც „ოცნების“ მხარდამჭერები გროვდებოდნენ დააყენეს ბულალტრები, რომ ხელი შეეშლოდათ, მაგრამ ამ მეთოდმა არ გაამართლა. სოფ. ლესაში 150-მდე კაცი შეგროვდა, მანქანები რომ არ ეყოთ, თავიანთი ფულით შემთხვევით გამვლელ მანქანებს გამოყვნენ, სოფლის ხალხი კმაყოფილი დაბრუნდა სახლში, სოფლისთვის ბიძინას დანაპირები მალამოდ მოედოთ მათ გულებს. ბიძინა ივანიშვილმა გამოძებნა გლეხის გულთან მისასვლელი გზა. სოფ. მერიაში, ტრასაზე მართლაც იდგა 10-მდე ტრაქტორი, როგორც საგამოფენო ნიმუში. ხაზგასმით მინდა ვთქვა, რომ სოფ. ლესაში ღამით დადიოდნენ ნაცების ადგილობრივი ბელადები და ხალხს მოუწოდებდნენ არ წასულიყვნენ მიტინგზე და არ დაედგათ მე-9 არხის ანტენები, მაგრამ მათმა შრომამ ფუჭად ჩაიარა. ოზურგეთში შედგა გრანდიოზული მიტინგი. ალბათ, ასეთი პროტესტი



ამ პატარა მხარის ხელისუფლებისადმი ფუჭად არ ჩაივლის და მას ექნება დიდი გამოძახილი საქართველოს სხვა კუთხეებისათვის. მიტინგზე ბატონმა ბიძინამ ალაპარაკა გურიის ღირსეული შვილები. მიტინგის ბევრი მონაწილე სიხარულისგან ტიროდა.

**რუსუდან პატარაია**

## კასპის პოლიციამ სოფელ დოესში გამართული აქციის ორგანიზატორები დააკავა



კასპის პოლიციამ სოფელ დოესში გამართული აქციის ორგანიზატორები ტარიელ და გია ოხანაშვილები დააკავა.

როგორც „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი ნინო თათანაშვილი აღნიშნავს, დაკავებულები, რამდენიმე დღის წინ სოფელ დოესში სარწყავი წყლის მიღების მოთხოვნით გამართული აქციის ორგანიზატორები იყვნენ.

„აქციაზე მოსახლეობა სარწყავ წყალს ითხოვდა, რათა სავარგულები მოერწყათ, რომელიც ჯერ სეტყვით განადგურდა და შემდგომ კი მოურწყაობის გამო. ამ ხალხს ეს არ აპატიეს“, — აღნიშნა ნინო თათანაშვილმა.

**„მედიანიუსი“**



# რეპტილოიდი — ანუნაქები
# ისინი ჩვენს გვერდით არიან!

მწერალი დევიდ აიკი მიიჩნევს, რომ სამეფო ოჯახები უძველეს ეგვიპტეში, რომსა და ბაბილონში აგრესიული უცხო ცივილიზაციის ადამიანი-რეპტილიების შთამომავლობაა ორიონის თანავარსკვლავედიდან.

რუსი მეცნიერი კონსტანტინე ციოლკოვსკი მიიჩნევდა, რომ სხვადასხვა უცხოპლანეტურმა ცივილიზაციებმა ადგილი ჰპოვეს დედამიწაზე.

დევიდ აიკის შეხედულებები უცხოპლანეტური ცივილიზაციის კონტაქტებზე ჩვენთან არ არის ერთადერთი და განსაკუთრებული. უძველესი ბაბილონისა და სხვა ცივილიზაციებზე მსჯელობისას მხოლოდ ის არ იძლევა ინფორმაციებს გველის გაბატონებულ კულტზე. შუმერები, ჩინელები, ავსტრალიელი აბორიგენები, ინდუსები და მაიას ტომები გამომსახველობით ხელოვნებაში გველებსა და დრაკონებს მთავარ ფიგურებად გამოხატავდნენ. აცტეკების მთავარ სალოცავად ითვლებოდა გველის პანთეონი. გველის გამოსახულებიანი თავსაბურავები აქვთ ეგვიპტის ფარაონებსაც.

მეცნიერების მტკიცებით, თავი, რომელიც ეძლვნება რეპტილიებს, ბიბლიაშიც მოიძებნება...

ილუმინატები, რაც ითარგმნება, როგორც გასხივოსნებულნი, შეიკრიბნენ ასეულობით წლის წინ, როგორც ოკულტისტებისა და მისტიკოსების საიდუმლო ორგანიზაცია. მათ მიეცათ განუსაზღვრელი ძალაუფლება, მართონ მსოფლიო, ისინი უდიდესი კაპიტალის მფლობელნი გახდნენ, რის შედეგადაც ახერხებენ დანიშნონ მათთვის ხელსაყრელი პრეზიდენტები, მოახდინონ ქვეყნებში რევოლუციები, არეულობანი, ისინი აკონტროლებენ ბეჭდურ და ელექტრონულ მედიას, რადიოს, განათლებას, მეცნიერებას.


მსოფლიო სავაჭრო ბირჟა

მათ ხელშია მთელი მსოფლიოს ბიოტექნოლოგიები, — აღნიშნავს მწერალი დევიდ აიკი. მსოფლიოს ნავთობწარმოება, ფული და ძალაუფლება მათ უპყრიათ.

კონსპიროლოგები ირწმუნებიან, რომ ილუმინატები იმართებიან არამიწიერი ძალებისგან, მათი მმართველი უცხოპლანეტური წარმოშობისაა, კერძოდ, მათ მართავს რეპტილოიდური რასა.

ორიონელები ის ხალხია, ვინც ჩვენს ზღაპრებსა და ზეპირ გადმოცემებში დრაკონების სახით არიან წარმოდგენილნი. მათთან მუდმივი ბრძოლა მიმდინარეობს, მაგრამ ზღაპრების მიხედვით ამ დრაკონებს უდიდესი ძალა აქვთ.

ოდესმე დაფიქრებულხართ, რას ნიშნავს პირამიდის გამოსახულება ერთი თვალით დოლარის კუპიურაზე? ან მიგიღიათ ამაზე ამომწურავი პასუხი? მაგრამ ასეთი ნიშანი არა მხოლოდ დოლარზეა გამოსახული. ის 1789 წლის ადამიანის უფლებათა დაცვის დეკლარაციაშიც ჩანს, ისრაელის უმაღლესი სასამართლოს შენობის ზედა ნაწილშიც, მადონას ჩაცმულობაშიც კრემლის ანდრეის სახელობის დარბაზშიც. პირამიდა ეს არის ილუმინატების სიმბოლური ნიშანი (კარგად დაფიქრდით, რაიმე ანალოგიებს ხომ არ ამჩნევთ საქართველოშიც!) ამ ნიშანს იყენებენ მასონებიც, იეზუიტებიც და სხვა საიდუმლო ორგანიზაციებიც, როგორც „ყოვლისმხედველი თვალი“. ეს სიმბოლო გამოსახულია ყველა სფეროში...

რეპტილოიდები არ იყვნენ სულიერად მაღალგანვითარებული არსებები, როგორც ატლანტები, ან ლემურიელები. ისინი ცბიერი, ვერაგი მტაცებლები იყვნენ, მათ სურდათ ბატონობა მთელ პლანეტაზე. ამიტომ თავს ესხმოდნენ და ხოცავდნენ. შესაძლოა ამითაც აიხსნას, რომ საგვარეულო გერბებზე გამოსახულია, როგორ ყლაპავს გველი ახალდაბადებულ ბავშვს.

ჩვენ ვიცით წმინდა გიორგის ხატი, სადაც წმინდა გიორგი კლავს რეპტილიას. ეს, ცხადია, ბოროტ ძალასთან ბრძოლას და მასზე გამარჯვებას ნიშნავს.

ისტორია გვეუბნება, რომ რეპტილოიდები და მათი შთამომავალნი დღესაც აგრესიულობით გამოირჩევიან და ანგლოსაქსების ხაზს თუ გავყვებით, ისინი უმაღლესი ხელისუფალნიც კი არიან, დღესაც ცდილობენ განახორციელონ ძმათამკვლელი ომები ტერიტორიების ხელში ჩასაგდებად და ადამიანების დასამონებლად. მათ სჭირდებათ მსოფლიო ქაოსი საკუთარი კეთილდღეობისთვის. ამას შეიძლება დავუკავშიროთ კონფლიქტი ახლო აღმოსავლეთში. მათ, ცხადია, აქვთ ეკონომიკური ინტერესებიც. საჭიროა მუდმივი არეულობები და ომები, რადგან ფულს არ უყვარს სიწყნარე...

მწერალი დევიდ აიკი ყურადღებას აქცევს ერთ მომენტს — ანგლოსაქსების ხასიათი ყველაზე ძალიან ჰგავს მძლავრი რეპტილიის — ნიანგის მდგომარეობას ნადირობის წინ. როგორც წესი, ნიანგი წყნარად წევს, თითქოს ძინავს და მოულოდნელად კი თავს ესხმის მსხვერპლს. მას ვერ უმკლავდება თვით ძლიერი ლეოპარდიც, რომელიც ნიანგის საბრძანებელის წყლის დასალევად ხანდახან მიუახლოვდება ხოლმე. მოგეხსენებათ, ცრემლსაც კი ღვრის კმაყოფილი რეპტილია.

ეს თვისება რამდენადმე გამოარჩევს ამერიკელ და ევროპელ პოლიტიკოსებსაც, რომლებიც მუდმივად გაჰკივიან მშვიდობასა და დემოკრატიაზე, მაგრამ ამის პარალელურად აქტიურად აჩაღებენ ომებს და სისხლისღვრას.

ნიანგებს განსაკუთრებით ღამით უყვართ ნადირობა, მიძინებულ მსხვერპლზე თავდასხმა სიამოვნებას ანიჭებთ. ამ მსგავსებას ვხედავთ ქვეყნების ღამეულ დაბომბვებთან დაკავშირებით. ფოლკლორიდან ვიცით, რომ რეპტილიები და მათ შორის გველები ყოველთვის იყვნენ ძვირფასეულობის მცველები. ეს ლეგენდები ცარიელ ადგილზე არ აღმოცენებულა. ცნობილია, რომ ძვირფას თვლებს შეუძლიათ ინფორმაციის შენახვა და გადაცემა. მაგრამ ოქრო ამ მხრივ განსაკუთრებულია. იგი არ იცვლება მდგომარეობის და ინფორმაციის ცვლის შემთხვევაშიც.




დღეს უკვე ცნობილი გახდა არცთუ დასაჯერებელი და ფანტასტიკური ვერსია იმის შესახებ, რომ ანგლოსაქსებმა ხელი მოაწერეს ორიონის თანავარსკვლავედთან თანამეგობრობას, რის შედეგადაც მათ მიიღეს უმაღლესი ტექნიკური მოწყობილობები. მაგრამ ისმის კითხვა: რატომ არ სურს ამერიკას დოლარი გამყარდეს ოქროთი? დღესდღეობით უკვე ცნობილი გახდა, რომ ოქროს აწარმოებენ იაფფასიანი ვოლფრამით. რაც საშიშია ჯანმრთელობისთვის.

დღეს ოქროს ძირითადი მარაგი ნიუიორკში ცენტრალურ სარეზერვო ბანკში ინახება, მეორე საცავი პატარა ქალაქ ფორტნაქსშია, სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე. ამბობენ, რომ ამ ტერიტორიებზე 10 000-ობით სუფთა ოქრო ინახება.

1930-იან წლებში პრეზიდენტმა რუზველტმა იმდენი მოახერხა, რომ მოსახლეობიდან თითქმის ამოიღო მათი კუთვნილი ოქრო, რადგან ცნობილი გახდა, რომ უბრალო მოქალაქეებში საკმაო რაოდენობის ოქრო დაგროვდა.

მსოფლიო ომის დროს ბანკებში ყველაზე მეტი ოქრო შევიდა, მაგრამ მერე, 1965 წელს პრეზიდენტი დე გოლი აგზავნის გემს აშშ-ში. ის ცდილობს იყიდოს აშშ-ს ოქრო მათივე დოლარებზე. რამდენიმე წლის შემდეგ პრეზიდენტი ნიქსონი აცხადებს, რომ დოლარი უკვე აღარ იქნება გამყარებული ოქროთი. აღარაა საჭირო ოქროს მარაგი, — განაცხადა მან.

არსებობს ასეთი ფანტასტიკური მოსაზრება — „ღმერთები“ მოფრინდნენ ჩვენს პლანეტაზე. ცხოვრობდნენ აქ. ურთიერთობდნენ ადგილობრივ მოსახლეობასთან. ისინი, ცხადია, უცხო ცივილიზაციისდან იყვნენ. ინდურ პანთეონში არის აღწერილია — არის „ღმერთები“, არსებობს ღვთაებრიობა, ღვთიური არსებები, მოაზროვნე არსებები და ა.შ. მაგრამ ეს კაცობრიობის სიზმარია.

მედიკოსები აღნიშნავენ, რომ დასაწყისში ადამიანის ჩანასახი რეპტილიას ჰგავს, შემდეგ საქმეში ერთვება ცილები და სხვა ნივთიერებები, რომლებიც აყალიბებენ ადამიანის გენომს.

მაგრამ რატომ აიღეს ჩვენმა წინაპრებმა მითების და ლეგენდების მთავარ გმირებად ეს ყველაზე ნაკლებად სიმპათიური არსებები?!

გავიხსენოთ გველის მიერ ევას შეცდენის ისტორია. ებრაულ ენაზე ევას შემცდენელს სხვა რამ ეწოდება, რუსულად ის ითარგმნება, როგორც დიდი თევზი, ივრითზე სულ სხვა რამეს ნიშნავს, საბოლოო ჯამში, დრაკონის მსგავსი საზიზღარი არსებაა, რომელიც არასასიამოვნო ენერგეტიკის მატარებელია. ე.ი. ევას აძლევს ვაშლს ბრძენი არსება — სხვა ენერგეტიკის მფლობელი.

მითოლოგიაში ღმერთების ომიც არის ცნობილი, მაგრამ ინდური გადმოცემები


უზენაესი სასამართლოს შენობა ისრაელში

არა მხოლოდ ღმერთების ომზე, არამედ მათ იარაღზეც მოგვითხრობენ, ლეგენდის მიხედვით, ღმერთმა — ვიშნუმ ნახევარღმერთებს რძის ოკეანიდან მისცა უკდავების ნექტარი, მაგრამ დემონებს არ მისცა არაფერი. ამიტომ განრისხებული დემონები გაემართნენ მტერთან საბრძოლველად...

ადამიანები მიისწრაფვიან სიყვარულისკენ, ბედნიერებისაკენ, სიხარულისკენ, რათა დაეუფლონ მთლიანობას და ყველას აწუხებს ერთი რამ: როგორ და სად იპოვოს საკუთარი „ედემის ბაღი“... ჩვენმა წინაპრებმა ადამმა და ევამ დაკარგეს სამოთხე და „შეიმოსეს“ ფიზიკური სხეული. ამ მომენტიდან მათთვის შეუძლებელი გახდა სიმშვიდის მოპოვება... მხოლოდ სულს შეუძლია დაბრუნდეს სამოთხეში... ადამიანები უნდა ცდილობდნენ მიუახლოვდნენ ღვთიურ იდეალს. კაცობრიობა უნდა შეიცვალოს და უზენაესის კანონებით უნდა იცხოვროს. შევძლებთ კი ჩვენ კვლავ დავუბრუნდეთ სულიერად თუ ფიზიკურად სამოთხეს ისე, რომ ვერ შეძლოს წინააღმდეგობა გაგვიწიოს ვერავითარმა ბნელმა ძალამ? იმედი ამოქმედებს თითოეულ ადამიანს...

**მოამზადა**
**ანა ვადაჭკორიამ**







## თავსატეხი

შვეულად: ანიკო, დენით, ელიძე, ეპიკა, ეარდო, ილორი, იისხა, კასტა, ლურჯი, მითრა, პეტია, სტელა, ქაჩა, გურჯი, შაირი, წვიმა, ჯლდლა.

ჰორიზონტალურად: ამიგო, ანეკა, არეხა, ბრეშე, გაიძე, ზეგი, თარსი, იგოკა, მალიშე, ნესტი, ოპერა, ორიელი, პლისე, ულიეტი, რისკა, ფეტრი, ქარვა, გურმა, ჩექმა, ძეგნა, წყნია, ჯინსი.

## სამიდან ქროსი

შვეულად: 1. მესერი, პასატი, კორადო. 2. მურეზა, ჩეროკი, ჯიხური. 3. გუნელი, საბეთი, კარაკი. 4. ჯილეხი, ლაზერი, ლილატი. 5. ქლიბი, ალესანდრია. 6. იმედა, იარდი, ილიკო. 11. ვარდნა, ვიტრაჟი, ვეხელი. 12. ნაკლები, საკლები, მაკლები. 13. სამეთი, ქალური, მაცილი. 14. ზარატი, ზუმარი, სასამი. 15. კისელი, კოლოფი, კონუსი. 18. გეში, გორი, გური.

ჰორიზონტალურად: 3. საკისარი, პატიმარი, კალაპოტი. 7. ბელუგი, ლამერა, ტესხი. 8. რეზობი, რომანი, რეკვიტი. 9. ნაჭამი, ნათელა, ნიღარი. 10. პარაზიტი, ზელიგანი, ქარავანი. 13. მეველი, მიხაკი, მანორი. 16. ასაკი, ალეკო, ალიბი 17. ტომარა, მუსუსი, ყურანი. 19. მესიკო, მაწონი, მიზეზი. 20. ლოტოსი, ლიგები, ლეიმონი. 20. პიჩიცია, პეტიცია, მილიცია.

## შიფრვორდი

| | |
|---|---|
| ა-3 | ს-4 |
| ბ | ტ |
| გ | უ 12 |
| დ | ფ |
| ე-26 | ქ |
| ვ | ღ |
| ზ | ყ |
| თ | შ-14 |
| ი 6 | ჩ |
| კ 1 | ც |
| ლ-8 | ძ-31 |
| მ | წ |
| ნ | ჭ |
| ო-19 | ხ |
| პ | ჯ |
| ჟ | ჰ |
| რ 9 | |

# `moZraoba 31 martis~ gancxadeba

უკანასკნელ ხანს პრესაში გახშირდა „მამხილებელი“ ინტერვიუები, რომელთა შინაარსი და პათოსი აბსოლუტურად მიუღებელი და შემაშფოთებელია.

ჟურნალისტთა მცდელობის სიცხადე შეიტანონ ჩვენი ქვეყნის უახლესი წარსულის ბუნდოვანობით მოცულ მონაკვეთებში. ხშირად უკუშედეგი მოჰყვება ხოლმე და ხელში გვრჩება მიკერძოებული, სუბიექტური შეფასებები და კიდევ უფრო გაბუნდოვნებული ფაქტები.

სამწუხაროდ, საქართველოს უახლესი ისტორია გაყალბებულია და ამ ტენდენციას დასასრული არ უჩანს. წარსულისადმი ასეთი დამოკიდებულება ქვეყანას კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობას უქადის.

ითვალისწინებს რა ყოველივე ამას, „მოძრაობა 31 მარტი“ გამოდის ინიციატივით, შეწყდეს ურთიერთ „მხილება“ და ცილისწამება.

იმისათვის, რათა ეროვნულ მოძრაობაში დაიძლიოს ხშირად გაუგებრობაზე აღმოცენებული ურთიერთდაპირისპირება, „31 მარტთან“ იქმნება უახლოეს წარსულში განვითარებული მოვლენებისა და ფაქტების დამდგენი კომისია, რომელიც დაკომპლექტდება ქვეყანაში განვითარებული პროცესების უშუალო მონაწილე და თვითმხილველი პირებისაგან.

ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ქვეყნის წარსული და მომავალი, ვთხოვთ ითანამშრომლოს ამ კომისიასთან, რათა რაც შეიძლება მეტად გამოვრიცხოთ სიყალბე და ცილისწამება და ნამდვილი, ობიექტური უახლესი ისტორიის დაწერას შევუქმნათ საფუძველი. მეტყველებს ასეთი ღონისძიების აუცილებლობა, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ მეტყველებს არაერთი პუბლიკაცია.

სამაგალითოდ კმარა სხვადასხვა გაზეთებში გამოქვეყნებული ინტერვიუები ვახტანგ (ლოთი) ქობალიასთან და კახა მიქაიასთან, რომლებშიც ყოველგვარი არგუმენტირებისა და მტკიცებულებების გარეშე, გურამ აბსანძისა და ლაშა გვასალიას მისამართით მკვეთრად უარყოფითი შეფასებებია გაკეთებული.

ვგმობთ რა მათ მიერ გადადგმულ გაუგებარ და საეჭვო ნაბიჯს, ვთხოვთ ამ ადამიანებს, ფაქტების დამდგენ კომისიას წარუდგინონ მტკიცებულებები, რომელნიც მათ აძლევთ ასეთი განცხადებების გაკეთების საფუძველს. წინააღმდეგ შემთხვევაში კომისია მოვალე იქნება დეტალური შეფასება მისცეს ინტერვიუებში გაკეთებულ განცხადებებს.

**ნემო ბურჭულაძე**
**რობერტ პეტრიაშვილი**
**გოჩა ბიჭაშვილი**
**მურმან ზაქარაია**
**ვალერი გაბელია**
**ჯემალ შონია**
**გიორგი სიჭინავა**
**მერაბ ღვინეფაძე**
**გია თავზარაშვილი**
**ლევან ხაჭაპურიძე**
**დიმიტრი ქებურია**
**მირიან წიკლაური**
**გოგი ხუციშვილი**
**ალეკო ვარძელაშვილი**
**ჯამბულ ბოკუჩავა**
**დათო ბიჭაშვილი**
**დათო შამუგია**
**ლაშა გვასალია**



# saqarTvelos uxucesTa darbazis mowodeba

„მამული, ენა, სარწმუნოება“ — ქართველი ერის სამი საუნჯე აი, რისი გაფრთხილება დაგვიბარა დიდმა ილიამ. ვუფრთხილდებით კი ჩვენ?

დღეს საქართველო დაპყრობილია „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ. ეს ხელისუფლება ჰყიდის და ასხვისებს ქართველების მიერ ხმლითა და მახვილით შენარჩუნებულ მიწა-წყალს.

გაყიდეს-გაასხვისეს: ტყეები, სათიბები, მდინარეები, ტბები, წიაღისეული, ზღვის სანაპირო, შენობა-ნაგებობები ჩინელებზე, ინდოელებზე, არაბებზე, ებრაელებზე, სომხეთის მოქალაქეებზე და ა.შ.

ახლა კი სამხრეთ აფრიკიდან გამოძევებული ჰოლანდიელები ჩამოგვისახლეს და ქართლში და კახეთში დაურიგეს მიწები. ეს მიწა ვისია, იცის ჩვენმა ხელისუფლებამ? ეს ხომ მე-17 საუკუნეში შაჰ-აბასის მიერ გადასახლებული 400 000 ათასი ქართველის მიწაა. მათი შთამომავლები დღეს ფერეიდანში ცხოვრობენ. ქართულად მეტყველებენ, ქართულად მღერიან, სამშობლოსაკენ იყურებიან, ჩვენი იმედი აქვთ, აი, ვის უნდა მივხედოთ, ვინ უნდა დავაბრუნოთ საკუთარ მიწა-წყალზე, ვის უნდა ავუშენოთ ახალი სოფლები და ქალაქები, თუნდაც „ლაზიკა“, მაგრამ ამას ეროვნული ხელისუფლება სჭირდება და არა დოლარების შოვნაზე ხელებდაგრძელებული ჩინოვნიკები.

ჩვენ კი მიწაზე მუშაობა ჰოლანდიელებისგან უნდა ვისწავლოთ. სასაცილო არ არის?

სამწუხაროდ, ოპოზიციის ნაწილსაც არ სტკივა ეროვნული სატკივარი. აუჩემებიათ პოლისები, პენსიები, დასაქმება. დიდი ილია გვეუბნება: ქართველები არასდროს არ იყვნენ მდიდრებიო. ქართველმა კაცმა ბოსტნეულით, პურითა და ღვინით გადაირჩინაო თავი, მაგრამ მამულს მუდამ მედგრად იცავდაო.

ამ ბოლო დროს აქტუალური გახდა ჩვენში ჯიქებისა და ჩერქეზების გენოციდზე საუბარი და მათზე გამოქომაგება. კი, კარგია, როცა დაჩაგრულს და შევიწროებულს გამოესარჩლები, მათ გენოციდს დაგმობ. სამწუხარო ის არის, რომ შენს წარსულს ივიწყებ, შენს ერზე ნაკლებად ზრუნავ, დაგვავიწყდა ფერეიდანი, ტაო-კლარჯეთი, საინგილო, აი, ვინაა მისახედი.

ქვეყნის პირველი პირი უნდა ქართველობდეს თურქებთანაც, აზერბაიჯანელებთანაც, ებრაელებთანაც, სომხებთანაც და ა.შ. ეს უნდა გეამაყებოდეს კიდეც. ვერ ვხვდები, რატომაა შეურაცხყოფა და ქსენოფობია, თუ ქურთს ქურთი უწოდე, ინგლისელს ინგლისელი, სომეხს კი სომეხი? მახსოვს, მოსკოვში, როდესაც ქართულ სახელს ძნელად იმახსოვრებდნენ და მეორე ან მესამე დღეს ახლად გაცნობილები მომესალმებოდნენ „ზდრასტვუი გრუზინ“. ჩემს სიამაყეს საზღვარი არ ჰქონდა და ირგვლივ მყოფთ მედიდურად გადავხედავდი ხოლმე.

თანამემამულენო! დღევანდელი ხელისუფლება მამულის პრობლემებს ვერ მოგვიგვარებს. საბედნიეროდ, დარწმუნებული ვართ, მათი ხელისუფლებაში ყოფნა დასასრულს მიუახლოვდა.

ჩვენი თხოვნა — ქართველი ერის ის ტკივილი, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი, ეროვნული ხელისუფლების მოსაგვარებელია, რომელიც, იმედია, მალე გვეღირსება.

ქართველ გლეხს თბილისის შემოგარენის სოფლებში შვილისთვის სამოსახლო ვერ გამოუყვია, რადგან ირგვლივ ყველაფერი უცხოელებს აქვთ ნაყიდი.

გვახსოვს ლოზუნგი: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“. მაგრამ „ყველა უმიწაწყლოებო საქართველოში მოიყარეთო თავი“ — რატომღაც არ მახსენდება ვინმეს მოეწოდებინოს. საქართველო მცირემიწიანი ქვეყანაა, ბევრი შემოგვაცინცლეს, მეტის დათმობა ერის გადაშენებაა.

ამ ხელისუფლების მიერ გატარებული ყველა ქმედება კანონგარეშედ უნდა გამოცხადდეს. ესენი ხომ ძალით მოვიდნენ ქვეყნის მმართველობაში.

თანამემამულენო! ხმა აღიმაღლეთ! შიში დაძლიეთ! ყველა, როგორც ერთი, დავუდგეთ გვერდში მამულს! ენას! სარწმუნოებას!

ყველამ ერთად უნდა ავიხდინოთ ქართული ოცნება!

**საქართველოს უხუცესთა**
**დარბაზის სახელით**
**როლანდ ნიჟარაძე**

# sruliad saqarTvelos adamianis uflebaTa dacvis asociaciis mimarTva

## ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მსოფლიოს ყველა კეთილი ნების ადამიანისადმი

ჩვენი ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, ღმრთის მსახური მირონ (მერაბ) სულაქველიძე ვეტერანი რელიგიური დისიდენტია. იგი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან იბრძოდა რელიგიის საბჭოთა-ათეისტური დიქტატისაგან სინდისის თავისუფლებისათვის. 1988 წლიდან კი მან დააარსა პირველი არაფორმალური რელიგიური ჟურნალი „ლაზარეს აღდგინება“, რომელიც მუშაობდა აღნიშნული მიმართულებით. მას აგრეთვე გამოქვეყნებული აქვს მრავალი წერილი ეკლესიის დაცვისა და გაძლიერებისათვის, აგრეთვე საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიისა და ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. ხოლო ერთობლივი საჯარო განცხადებებითა და მიმართვებით, მასთან ერთად, ჩვენ არაერთხელ გამოვხატეთ პროტესტი ე. წ. არატრადიციული სექსუალური პროპაგანდის გაღვივების საწინააღმდეგოდ 2005, 2007 და 2010 წლებში.

ღმრთის მსახური მირონი ახალგაზრდობაში აგრეთვე ავრცელებდა საპატრიარქოს ეგიდით გამოცემულ ათასობით საოჯახო წიგნს, სადაც ისტორიული და რელიგიური დოკუმენტებით დაგმობილი იყო სოდომიზმის სექსუალური მანიაკობა და მის მიმდევართა მსახურება ჯარში, პენიტენციალურ და განათლების სპეციფიურ სფეროებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე — იგი სხვადასხვა სახით განიცდიდა შევიწროებას. ა. წ. 10 მაისს კი ე. წ. სპორტსმენთა ოთხკაციანი ჯგუფის მიერ, ჯვრის მონასტერთან, მის წინააღმდეგ ჩატარდა სადამსჯელო ოპერაცია, რის შედეგადაც მან მიიღო სხეულის მრავლობითი დაზიანებები. გამოკვლევისა და დაზარალებულის ობიექტური მონაცემების შედეგად, ამ დაჯგუფების სამი წევრი — მოკრივე ძმები თათუხაშვილები უნდა ყოფილიყვნენ.

საგურამოს პოლიციის პრაქტიკულად უმოქმედობის გამო ამ წინასწარგანზრახული ჯგუფური ანგარიშსწორების ფაქტთან დაკავშირებით რიგრიგობით მივმართეთ შინაგან საქმეთა მინისტრს, კუდ-ის ხელმძღვანელსა და ზედამხედველ პროკურორს, მაგრამ ამ დღეებში, როგორც ამ უკანასკნელთან ჩვენი შეხვედრის შემდგომ აღმოჩნდა — საქმე არაა კვალიფიცირებული, როგორც ჯგუფური, წინასწარგანზრახული და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე ჩადენილი დანაშაული. იგი ერთი მუხლის შესაბამისად „მხოლოდ დაჯარიმებას“ ითვალისწინებს და თურმე ლაპარაკიც ზედმეტია რამდენიმე მუხლით ჩადენილი დანაშაულის დამკვეთისა და ორგანიზატორების გამოაშკარავებაზე. აქედან გამომდინარე — მსგავსი დანაშაულის განმეორებით ჩადენის შემთხვევაში, თუ ვინ უნდა აგოს პასუხი — ესეც არავის აინტერესებს...

დღემდე არაა აგრეთვე კუდ-ის სპეცრაზმის აღნიშნული მეთაურის ამოცნობა ჩატარებული და, ამისდა მიუხედავად, იყო სამი მოწმის დამატებით დასაკითხად დაბარების ფაქტები... მარტო ამითაც აშკარა შთაბეჭდილება რჩება, რომ პროკურატურა დამნაშავეთა კვალის დაფარვის თანამონაწილეა.

სამწუხაროდ — ჩვენი ქვეყნის კანონი არ ითვალისწინებს პროკურატურის ქმედებათა სასამართლო პროცესუალურ განხილვას. ხოლო ჩვენი ასოციაციის 64 წლის ვიცე-პრეზიდენტი მირონ (მერაბ) სულაქველიძე არაფრითაა დაზღვეული მომავალში მოვლენათა მსგავსი სცენარით განვითარებისაგან.

მიუხედავად იმისა, რომ საგურამოს პოლიციამ სისხლის სამართლის საქმე იმთავითვე აღძრა, გაურკვეველი მიზეზების გამო დღემდე ჭიანურდება გამოძიება და უფრო მეტიც — არ მიმდინარეობს სამართლიანი და ობიექტური ძიება. აქედან გამომდინარე — გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ გამოძიება დაინტერესებული არაა საქმის გახსნით.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე — ასოციაციის გამგეობა კატეგორიულად მოითხოვს აღნიშნული კრიმინალის გახსნას და მართლმსაჯულების წინაშე ყველა დამნაშავის წარდგენას.

ადამიანის უფლებათა დაცვის ჩვენი ასოციაციის გამგეობის მიერ 10 მაისის აღნიშნული ფიზიკური თავდასხმა შეფასებულია, როგორც ხელისუფლების მიერ განხორციელებული ჯგუფური ტერორისტული სპეცოპერაცია და მასზე შემდგომი პასუხისმგებლობაც უშუალოდ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ეკისრება.

**სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის გამგეობის სახელით:**
**პრეზიდენტი**
**გიორგი კერვალიშვილი**
**ვიცე-პრეზიდენტი**
**მირონ (მერაბ) სულაქველიძე**

**თბილისი, ფალიაშვილის 96**
**ტელ.: 2-22-25-13;**
**5-77 32-29-51;**
**5-77 74-83-28**
**el.fosta: lazare42@mail.ru**

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



*„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი*

***მთვარისა კევლიშვილი.***

ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

**— რას ნიშნავს გადაწყვეტილების მიღება ზეპირი მოსმენის გარეშე?**

— თუ თქვენ სარჩელის ფორმის შესაბამის გვერდზე მიუთითებთ, რომ თანახმა ხართ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე, სასამართლო გადაწყვეტილებას მიიღებს სხდომის დანიშვნის გარეშე მხარეების მოუწვევლად.

* * *

**— როგორია სახელმწიფო ბაჟის ოდენობა სასამართლოებში შეტანილ სარჩელსა და შესაბამის საჩივრებზე?**

— მოგახსენებთ:

I. სახელმწიფო ბაჟის ოდენობა I ინსტანციის სასამართლოში ქონებრივ დავებზე შეადგენს დავის საგნის ღირებულების 3 პროცენტს, მაგრამ არანაკლებ 100 ლარისა;

II. სააპელაციო საჩივრისათვის, მათ შორის საქმის წარმოების განახლებაზე უარის თქმის შესახებ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (განჩინებაზე), — დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტს, მაგრამ არანაკლებ 150 ლარისა;

III. საკასაციო საჩივრისათვის, მათ შორის, საქმის წარმოების განახლებაზე უარის თქმის შესახებ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (განჩინებაზე) დავის საგნის ღირებულების 5 პროცენტს, მაგრამ არანაკლებ 300 ლარისა.

სახელმწიფო ბაჟის ოდენობა:

პირველი ინსტანციის სასამართლოში არ უნდა აღემატებოდეს

ა) ფიზიკური პირისათვის — 3 000 ლარს; ბ) იურიდიული პირისათვის — 5 000 ლარს; II. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში არ უნდა აღემატებოდეს; ა) ფიზიკური პირისათვის — 5 000 ლარს; ბ) იურიდიული პირისათვის — 7 000 ლარს;

III. საკასაციო ინსტანციის სასამართლოში არ უნდა აღემატებოდეს:

ა) ფიზიკური პირისათვის — 6 000 ლარს; ბ) იურიდიული პირისათვის — 8 000 ლარს.

* * *

**— რას ნიშნავს სარჩელის გამოხმობა და რა სამართლებრივი შედეგები დადგება ასეთ შემთხვევაში?**

— მოგახსენებთ:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის I ნაწილის მიხედვით, მოსარჩელეს უფლება აქვს გამოიხმოს სარჩელი ისე, რომ არ თქვას უარი თავის მოთხოვნაზე. გამოხმობა დასაშვებია საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე. სარჩელის გამოხმობა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის მთავარ სხდომაზე განხილვისას, ასევე სააპელაციო და საკასაციო ნებით საქმის განხილვისას დასაშვებია, მოპასუხის თანხმობით. თუ მოპასუხე არ არის თანახმა, სასამართლომ უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს საქმე.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით თუ სასამართლო დააკმაყოფილებს მოსარჩელის განცხადებას სარჩელის გამოხმობის შესახებ, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვებისა და მისი მოსარჩელისათვის დაბრუნების თაობაზე, ასეთ შემთხვევაში მოსარჩელეს დაუბრუნდება მხოლოდ შესაბამისი ინსტანციის სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი. ამასთანავე, მას დაეკისრება მოპასუხის მიერ გაწეული სასამართლო ხარჯების გადახდა. სააპელაციო ან საკასაციო წესით საქმის განხილვისას სარჩელის გამოხმობის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლო აუქმებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებებს.



* * *

**— იხილება ჩემი სარჩელი I ინსტანციის სასამართლოში, მსურს, დავაყენო მოსამართლის აცილების საკითხი. რა არის მოსამართლის აცილების საფუძველი?**

— მოსამართლის აცილების საკითხის დაყენება თქვენი უფლებაა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის I ნაწილი: მოსამართლე, რომელიც მონაწილეობდა საქმის პირველი ინსტანციით განხილვაში, ვერ მიიღებს მონაწილეობას ამ საქმის განხილვაში, სააპელაციო ინსტანციის ანდა საკასაციო ინსტანციის სასამართლოში.

II ნაწილი: მოსამართლე, რომელიც მონაწილეობდა საქმის განხილვაში სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში, ვერ მიიღებს მონაწილეობას ამ საქმის განხილვაში პირველი ინსტანციის ანდა საკასაციო ინსტანციის სასამართლოში.

III ნაწილი: მოსამართლე, რომელიც მონაწილეობდა საქმის განხილვაში საკასაციო ინსტანციის სასამართლოში, ვერ მიიღებს მონაწილეობას ამ საქმის განხილვაში სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში ანდა პირველი ინსტანციის სასამართლოში.

მუხლი 30. სამოქალაქო საქმის განმხილველი სასამართლოს შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდნენ პირები, რომლებიც ერთმანეთის ახლო ნათესავები არიან, ხოლო თუ მათ შორის ასეთი ნათესავები მაინც აღმოჩნდნენ, ისინი უნდა ჩამოაცილონ საქმის განხილვას.

მუხლი 31. მოსამართლის აცილების სხვა საფუძვლები:

I ნაწილი: მოსამართლემ არ შეიძლება განიხილოს ან მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, თუ ის:

ა) ამ საქმეში თვითონ წარმოადგენს მხარეს, ან მას ამა თუ იმ მხარესთან საერთო უფლებები ან ვალდებულებები აკავშირებს;

ბ) ამ საქმის ადრინდელ განხილვაში მონაწილეობდა მოწმედ, ექსპერტად, სპეციალისტად, თარჯიმნად, წარმომადგენლად ან სასამართლო სხდომის მდივნად;

გ) მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია;

დ) პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით ან თუ არის სხვა ისეთი გარემოებები, რომელიც ეჭვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში.

II ნაწილი: ნათესავებად ითვლებიან

ა) მეუღლე;

ბ) დანიშნული;

გ) პირდაპირი ხაზის ნათესავი;

დ) და-ძმა;

ე) დისშვილები და ძმისშვილები;

ვ) მშობლების და-ძმები;

ზ) დანათესავებულები (მოყვრები);

თ) პირები, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ოჯახური ურთიერთობით არიან დაკავშირებულნი.

* * *

**— ვარ მოწმედ გამოძახებული სასამართლოში სამოქალაქო საქმეზე, მაკისრია თუ არა გამოცხადების ვალდებულება? გამოუცხადების შემთხვევაში რა მოხდება?**

— სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 145-ე მუხლის I ნაწილის მიხედვით, მოწმედ დაბარებული პირი ვალდებულია გამოცხადდეს სასამართლოში და მისცეს სწორი ჩვენება. მოწმის სასამართლოში არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, იგი დაჯარიმდება 50 ლარით. სასამართლომ შეიძლება დაადგინოს მოწმის იძულებითი მოყვანა.

ამავე მუხლის II ნაწილის მიხედვით, ჩვენების მიცემაზე უარის თქმისა და განზრახ არასწორი ჩვენების მიცემისთვის, მოწმეს შეიძლება დაეკისროს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

# facebook

# xalxis azriT

ორი დღე და ღამე ვიყავი საჩხერეში, არ ყოფილა მთლად ცუდი კაცი ეს პუტინი. უამრავი კარგი საქმე გაუკეთებია, სასწაული საავადმყოფო აუშენებია, 7 ვარსკვლავიანი სასტუმრო, უამრავი შენობები და კიდევ რაიონის ყველა მაცხოვრებელი დაზღვეული ჰყავს, სამწუხაროდ მიშას არ უყვარს ვოვა და გზები დანგრეულია, არ აძლევს უფლებას, რომ გააკეთოს, როგორც ხაშურის რაიონიდან საჩხერის რაიონში შედიხარ, ეგრევე ხვდები, რომ არ ევასება კოლეგა დიქტატორი. ისე, ვოვას რასაც ვერ დაუკარგავ, ეს სამების ტაძარია. 400 ქართული სკოლის რემონტიც და ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის გარემონტებაც მაგ პუტინის კისერზეა.

სულ ახლახანს ახმეტაში ,,ქართული ოცნების,, ხელმძღვანელი ზაქარია ქინქლაძე დააკავეს!!!მანამდე ახალქალაქის ოფისის მეპატრონე დააკავეს. სერიოზულ შეტევაზე გადმოვიდნენ, რაღაც უნდა გაკეთდეს, სანამ ხუსეინივით ქიმიური იარაღით დაგვხოცეს სუყველა. რას გადაეკიდნენ ამ კაცს, ხან მიწები გადაუწვეს, ხან ნაგვის არ გატანაო. სახლიც მოუყადაღეს, ეხლა დაიჭირეს!

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სოფელ მამათში გზის სასწრაფოდ გაკეთება მოითხოვა: “სასწრაფოდ, პირველ რიგში, მამათის გზა გურიაში,” - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა. რაცხა მამათის გზაზე დადგომას აპირებს მაგი მგონია და აპა ჰე, შევეშველოთ :))))))))))

როგორც ირკვევა, რეჟიმს გადაწყვეტილი აქვს არჩევნებამდე საქართველოში დაძაბოს სიტუაცია, რადგან ყველა გათვლებით მას არანაირი შანსი არ აქვს გამარჯვებისა. ამაში მას ეხმარება და კონსულტაციებს უწევს რუსული სპეც. სამსახურები. მათ გადაწყვეტილი აქვთ რეჟიმის შენარჩუნება და აპირებენ პროვოკაციის გათამაშება, რათა რუსული არმია კვლავ შემოიჭრას საქართველოში. ამას კურირებს თემურ ალასანია — სააკაშვილის გენერალი ბიძა.

ისე რა მაგარია, არააა... გრიგოლი რო იქნები ვაშაძე და სხვას რო დაუძახებ... ,,შე, რუსეთის აგენტოო’’

არჩევნების მოახლოების პარალელურად ნაცებმა დაიწყეს მასობრივი და-ბუბა-ვება, განსაკუთრებით შემოქმედებით წრეებში... ვისაც ვაჟკაცობა ეყოფა (პაატა ბურჭულაძის დარად), ხალხის სიყვარულს არ დაკარგავს... მერწმუნეთ, მიშა ამად არ ღირს ... დღეს ნაციონალების მხარდაჭერა სიკვდილის ტოლფასია ...

გებელსსაც კი შეშურდებოდა დღევანდელი ხელისუფლების....

მე მგონი ნაციონალები თავად უჩალიჩებენ თავის თავს სამარის გათხრას.... აბა, რას უნდა ნიშნავდეს ყოველი მეორე დღე, ისეთი დებილი და უწიგნური არსებისთვის, როგორიც ეს ვინმე ყბაჩა ლაპიაშვილია, იმის უფლების მიცემა, რომ ნაციონალების ინტერესები დაიცვას? შემეცოდა.

ჩვენი მთავრობა მაგონებს იმ ისტორიის მასწავლებელს, რომელსაც ნაპოლეონი, მხოლოდ ნამცხვარი ჰგონია:)



# ქალთევზა ხელოვნური აღმოჩნდა?



ქალთევზას მუმია ქალაქ ბაქსტონში ინახება. სხეული 40 პროცენტით თევზისაა, 60 პროცენტით ადამიანის. აქამდე ყველას ეგონა, რომ ის ნამდვილი იყო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მუმიას ადამიანის თმები, კანი და კბილები აქვს, ხოლო კუდი ნამდვილი თევზის. თვალებში მოლუსკის ნიჟარა აქვს ჩასმული, ხერხემალი კი უბრალო მავთულით აქვს გაკეთებული, ხოლო წელს ზემოთ ის მთლიანად ხისაა.

მის შესახებ ჯერ კიდევ მე-19 ს-ში გახდა ცნობილი. მერე აღმოჩნდა, რომ ქალთევზას ჰყავდა მეწყვილე – ე.წ. ვაჟ-თევზა. ის 1982 წელს აღმოაჩინეს. აღმოჩენის შემდეგ ქალთევზა ბაქსტონის მუზეუმში დატოვეს, მისი მეწყვილე კი ლონდონში გაამგზავრეს.

დღესდღეობით მუმიების შესწავლა კვლავ გრძელდება. მეცნიერების ვარაუდით, არაა გამორიცხული კვლევებმა სულ სხვა შედეგები აჩვენოს.

# 14 წლის ბრაზილიელი გოგონა უკვე ორ მეტრს აღწევს



ბრაზილიაში ცხოვრობს 14 წლის გოგონა, რომლის სიმაღლე ორი მეტრი და 5 სანტიმეტრია, თანაც გოგონა აგრძელებს ზრდას.

როგორც „დეილი მეილი“ იტყობინება, 14 წლის ელის სილვა, რომელიც შეუფერხებლად აგრძელებს ზრდას, გენეტიკურ პათოლოგიას მიეკუთვნება. სპეციალისტებს არ შეუძლიათ მას დაეხმარონ, მით უფრო, რომ ელის სილვას მშობლები ეკონომიურად არ არიან იმდენად ძლიერნი, რომ სამედიცინო ხარჯებს გაუმკლავდნენ.

გოგონა, რომელსაც გიგანტიზმის დიაგნოზი დაუსვეს, მუდმივ სამედიცინო ზედამხედველობას საჭიროებს. მისი ჯანმრთელობა საფრთხის ქვეშაა, მას მკურნალობა სჭირდება.

ელისს ძალიან უჭირს გაკვეთილების მომზადებაც, რადგან ხშირია შემთხვევები, როცა ის ავტობუსში საერთოდ ვერ ადის. როგორც გოგონა თვითონ ამბობს, მას სიმაღლე პრობლემებს უქმნის. ელისი ამბობს, რომ ხშირად სტკივა თავი, რადგან თავს არტყამს სახლის ჭერს. „ძალიან მინდა, მან შეწყვიტოს ზრდა. ვხედავ, რომ ის თავს საშ?ინლად გრძნობს, მსურს ისეთი იყოს, როგორიც მისი ტოლები არიან“, – ამბობს გოგონას დედა.

თვითონ ელის სილვა ამბობს, რომ მას სურს მოდელი გახდეს.

# ქალის მკერდის ზომა მის ხასიათზე მეტყველებს

სექსოლოგები მიიჩნევენ, რომ მკერდი ქალის ხასიათს განსაზღვრავს უფრო ცხადად, ვიდრე ზოდიაქოს ნიშნები. ისინი ქალის მკერდს სხვადასხვა ხილის ფორმის მიხედვით სხვადასხვა კლასიფიკაციას მიაკუთვნებენ.

ქალბატონის დიდი, მრგვალი მკერდი, რომელსაც ნესვის ფორმა აქვს, მიუთითებს იმაზე, რომ მისი მფლობელი კარგი დიასახლისია, მაგრამ ეს მთლად ასე არ არის. მას უყვარს მოგზაურობა და სურს იყოს მამაკაცისთვის ღვთაებრივი. თუმცა ასეთ ქალებს სექსი იშვიათად იზიდავთ.

ზოგიერთ მამაკაცს ისეთი ქალი მოსწონს, რომლის მკერდი ლიმონის ფორმისაა. ასეთი ქალი სიცოცხლის მოყვარულია. მას უყვარს დაბალანსებული ცხოვრება სიურპრიზების გარეშე.

მკერდი, რომელიც ანანასის ფორმისაა, ინტელიგენტურია, მიდრეკილია საკუთარი კარიერის შექმნისკენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის კვლავ რჩება რომანტიკოსად. შეიძლება ითქვას, ის გამყიდველია; ვინც არ უნდა მოიპოვოს მისი სიყვარული, იგი მალე კარგავს მის პატივისცემას.

ქალი, რომლის მკერდი გრეიფრუტის ფორმისაა, თუმცა შესახედავად მომხიბვლელია, მაგრამ ეს არ მიუთითებს მის სექსუალურობაზე. იგი ერთი შეხედვით ეროტიკული ჩანს, მაგრამ სინამდვილეში თავშეკავებულია და უყვარს ოჯახური სიმყუდროვე. ასე ვთქვათ, მიწებებულია პარტნიორზე და სექსის დროს განსაკუთრებულ სინაზეს ავლენს.

ქალბატონები, რომელთა მკერდი ატამს ჰგავს, ასევე ნაკლებად ინტერესდება სიყვარულის ფიზიკური ასპექტებით. მათ იციან, რაც უნდათ, თუმცა სექსი ნაკლებად აინტერესებთ.

„ატმებს“ უყვართ ინტიმური საუბრები და უშფოთველი პარტნიორული ურთიერთობები.

ქალები, რომელთაც პატარა მკერდი აქვთ და მათი მკერდი ალუბალს ჰგავს, მხიარულები არიან, უყვართ გართობა, არიან არაჩვეულებრივი პარტნიორები ცხოვრების ნებისმიერ შემთხვევაში, სექსს ძალზე სერიოზულად ეკიდებიან.

ქალები მსხლის ფორმის მკერდით ყველაზე მოსიყვარულენი არიან. მათ უყვართ ინტიმური ურთიერთობები თავის ყველა გამოვლინებაში. ის შეიძლება იყოს რელიგიური, მაგრამ სიცოცხლე რომანტიკული ურთიერთობების გარეშე ვერც კი წარმოუდგენიათ.



მაგალითად, იაპონელი ექსპერტი დოქტორი მიცუგა შიგა ირწმუნება, რომ ლოგინში გოგონები განსხვავდებიან ერთმანეთისგან აქტიურობით იმის მიხედვით, რა ზომის მკერდი აქვთ მათ. ამ მხრივ გამოყოფს სამ ჯგუფს: დიდმკერდიანები, რომლებიც ოპტიმისტები და სიცოცხლისმოყვარულები არიან, მგრძნობიარენი და თამამნი ბრძანდებიან სექსში. დიდმკერდიანი ლამაზმანები ინიციატივიანნი და თავისუფალნი არიან. პარტნიორისგან ისინი საწოლში განსაკუთრებულ მოქცევას ითხოვენ.

ქალბატონები პატარა მკერდით უფრო ტემპერამენტიანნი გახლავან. ოღონდ, მუდმივად აწუხებთ კითხვა – ყოველთვის სასურველი იქნებიან თუ არა პარტნიორისათვის. ისინი ნაკლებად არიან დარწმუნებულნი საკუთარ თავში.

მშვენიერი სქესის წარმომადგენლები, რომელთა მკერდი 2-3 ზომისაა, უყვართ სექსი და თანახმა არიან დაკავდნენ ამ საქმიანობით დღეში რამდენიმეჯერ. იაპონელი ექსპერტის მიცუგა შიგას აზრით, შეაფასო ქალბატონები მათი გარეგნობის მიხედვით, ძალიან ძნელია, მაგრამ ერთადერთი ნაწილი მისი სხეულისა, რომელიც არ მოგატყუებთ, ეს არის მკერდი.

მოამზადა
**ანა ვადაჭკორიამ**





ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო, ერთად ღვთისაკენ!

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!


# ასტროლოგიური პროგნოზი


**ვერძი** – თქვენი საქმიანობა საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცევა. გაგიჩნდებათ მფარველები. თუ თეატრალური, ტურისტული ან პედაგოგიური საქმიანობით ხართ დაკავებული, ამ კვირაში სრულყოფილად შეძლებთ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებას.


**კურო** – ჰარმონიული ურთიერთობები მეუღლესა და ოჯახის სხვა წევრებთან სულიერ სიმშვიდეს მოგიტანთ.


**ტყუპები** – ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით გაგიჩნდებათ ინტერესი სამსახურებრივი წინსვლისადმი.


**კირჩხიბი** – ნათესავების მხარდაჭერასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით ამ კვირაში დიდ წარმატებებს მიაღწევთ ბიზნესსა და კარიერაში.


**ლომი** – თუ თქვენ უმუშევარი ხართ, შესაძლებელია სწორედ ამ კვირაში იპოვოთ ისეთი სამსახური, რომელზეც ოცნებობდით.


**ქალწული** – ამ კვირაში სარფიანად წარიმართება უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობა. დიდ სიამოვნებას მოგანიჭებთ ურთიერთობა საყვარელ ადამიანთან.


**სასწორი** – ნებისყოფით და ორიგინალური იდეებით ადვილად გაართმევთ თავს ცხოვრებისეულ პრობლემებს. მოგეცემათ შესაძლებლობა გააფართოვოთ თქვენი გავლენის სფერო.


**მორიელი** – ამ კვირაში თქვენი ბიზნესი კარგ მოგებას მოგიტანთ. გაიზრდება თქვენი შემოსავლები, ასევე წარმატება გელით სასიყვარულო ურთიერთობებშიც.


**მშვილდოსანი** – თავი აარიდეთ სამართლებრივ დავას. ცხოვრება თამამ გადაწყვეტილებებს მოგთხოვთ. სარისკო ქმედებები კი გამართლებული აღმოჩნდება.


**თხის რქა** – ბევრ ახალ შემოთავაზებას მიიღებთ. წარმატება გელით შოუ-ბიზნესში, კულინარიასა და პოლიტიკაში.


**მერწყული** – დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში სერიოზული უსიამოვნებები გელით. ყველაფერს გაამწვავებს ძველი მეგობრების მიერ გავრცელებული ჭორები.


**თევზები** – საყვარელ ადამიანთან თბილი და ჰარმონიული ურთიერთობები გექნებათ. თუ დაქორწინებული არ ხართ, უმჯობესია გარკვეული ხნით საიდუმლოდ შეინახოთ თქვენი სასიყვარულო ურთიერთობები.

**ამავე ნომრის სკანვორდის პასუხები:**
**სკანვორდი**

1. კრუშონი. 2. პაიჭაძე. 3. პრიშტინა. 4. ჰალოგენი. 5. აკუსტიკა.6. სიონისტი. 7. ტროლეი. 8 ტოლსტოი. 9. ლაჰტი. 10. ლოტოტრონი. 11. ნაიტლი. 12. სერვისი. 13. აბიატი.14. შანდალი. 15. კარამბოლი. 16. კრაკოვიაკი. 17. შოკოლადი. 18. ბასა. 19. ქარგილი. 20. ნაშვილი. 21. ტრუბადური. 22. სპენსერი. 23. კაბინეტი. 24. ტოზი. 25. დარეჯან ცბიერი. 26. სკარაბეუსი. 27. შინი. 28. პირამიდა. 29. იუდოფობი. 30. დოინჯი. 31. ბუნკერი. 32. რემი. 33. მცირე. 34. მონადირე. 35. ორკესტრი. 36. ჯიუჯიცუ. 37. კეინ. 38. ქაშერი. 39. დასენი. 40. ტუმბო. 41. ფაზა. 42. შიდო.43. დეცი 44. ფუილი. 45. აერაცია. 46. რაცია. 47. ფიტული. 48. ტანგა. 49. ნატრიუმი. 50. აბრისი. 51. ბრამანი. 52. ბარენცი. 53. ჰაიმორიტი. 54. იურგენ. 55. გასტრონომი. 56. ნივეა. 57. სანიტარი. 58. შოუ. 59. ალია. 60. კვანტალიანი. 61. მანი. 62. შანკრი. 63. ეშლი. 64. ემისია.